

073-4  
1993



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

3.1993

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



Известия Академии наук Грузии

ფილოსოფიისა და  
ფსიქოლოგიის  
სერია

СЕРИЯ  
ФИЛОСОФИИ И  
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980  
წლის იანვარში

Журнал основан в январе  
1980 года

გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца

3. 1993

თბილისი  
ТБИЛИСИ



„მეცნიერება“  
«МЕЦНИЕРЕБА»



## სარედაქციო კოლეგია:

მ. ბალიაშვილი (რედაქტორის მოადგილე), თ. ბუაჩიძე, გ. თევზაძე, ვ. კე-  
შელავა, ზ. მიქელაძე, ლ. მჭედლიშვილი (რედაქციის მდივანი), შ. ნადირა-  
შვილი, გ. ნოდია (რედაქტორის მოადგილე), თ. ნონიაშვილი, დ. ფარჯანაძე,  
ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი), შ. ხიდაშელი.

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Балнашвили М. С. (зам. редактора), Буачидзе Т. А., Кешелавა  
В. В., Микеладзе З. Н., Мчедლიшვილი Л. И. (секретарь редколлегии),  
Надирашвили Ш. А., Ноджа Г. О. (зам. редактора), Нониашвили  
Т. А., Парджанадзе Д. Ш., Тевзадзе Г. Б., Хидашели Ш. В., Чав-  
чаваძე Н. З. (редактор)

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19

Адрес редакция: Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

ტელეფონი 37-85-46 телефон

---

გადაცემა წარმოებას 23.8.1993; ხელმოწერილია დასაბეჭდელ 28.3.94;  
ანაწეობის ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭედი; პირ. ნაბეჭდი თაბახი 9,8;  
საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,59;  
ტირაჟი 380; შეკვეთა № 1087;

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

## შ ი ნ ა რ ს ი

### ფილოსოფია

ლ. ჩიქოვანი, უმაღლესი ღირებულება და საზოგადოების ცხოვრების გზა . . . . .	5
ი. უშგლამი, ნ. ჰარტმანის რეალური დიალექტიკა . . . . .	10
მ. მნათობრიშვილი, ტრაგიკულის პრობლემა ჰეგელის ფილოსოფიაში . . . . .	24

### ფსიქოლოგია

შ. ნადირაშვილი, ადამიანის პრობლემა განწყობის ანთროპოლოგიურ თეორიაში	35
ლ. შვანილაშვილი, ეკოლოგიური მიდგომა მენსიერების თანამედროვე ფსიქოლოგიაში	57
ვ. ბაბაბაძე, ეგზისტენციალიზმი (ვიქტორ ემილ ფრანკლი)	70
მ. ჩხანიძე, ერთაშორის ურთიერთობათა კანონზომიერებები . . . . .	94
ბენო ცინცაძე (ნეკროლოგი) . . . . .	111

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

Л. А. Чиковани, Высшая ценность и жизненный путь человека . . . . .	5
Эл. О. Шубладзе, Реальная диалектика Н. Гартмана . . . . .	10
М. М. Мнатобишвили, Проблема трагического в философии Гегеля . . . . .	24

### ПСИХОЛОГИЯ

Ш. А. Надирашвили, Проблема человека в антропологической теории установки	35
Л. Дж. Квავилашвили, Экологический подход в современной психологии памяти	57
В. Л. Какабадзе, Экзистенциализм (Виктор Эмиль Франкл)	79
М. Ш. Чхаидзе, Закономерности межнациональных взаимоотношений . . . . .	94
Гено Циццадзе (некролог) . . . . .	111



# ფილოსოფია

ლევან ჩიქოვანი

## უმალესი ღირებულება და საზოგადოების ცხოვრების გზა

დასაბამიდან ადამიანი თავის მოქმედება-მოღვაწეობის აღმძვრელ ინტერესებსა და სურვილებს ერთმანეთის სამსახურში მყოფ მიზნებად ალაგებდა. მაგალითად, ვარჯიშს ჯანმრთელობისათვის ეწეოდა, ჯანმრთელობა შრომისათვის უნდოდა, შრომა კეთილდღეობისათვის და ა. შ. ის, თუ რომელ მიზანს დაუმორჩილებს ადამიანი ყველა დანარჩენს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიჯნა მას ცხოვრებაში უმალესს ღირებულებად. ღირებულების ცნობიერება, რომელიც უარყოფს და აღიარებს, კიცხავს და ამართლებს, აუცილებლობით ახლავს ადამიანის ქცევას, როგორც შეფასების კრიტერიუმში. რამეთუ იგი ამ დამოკიდებულების დროს მკვლავნდება, რომელსაც გარკვეული ობიექტი ადამიანის მისწრაფებასთან ამყარებს. მაშასადამე, სუბიექტსა და ობიექტს შორის მყარდება მიმართება. ამ მიმართების შეფასების მიმცემი არის ადამიანის თვით-ცნობიერება. იგი ამ მიმართებას ადამიანის სასიკეთოდ ან საზიანოდ მიიჩნევს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ან უშლის ხელს ეს ობიექტი ადამიანს მისი არსების გაშლაში. ადამიანის არსების გაშლა, ადამიანის ცხოვრების გზაა; სხვა სიტყვებით, იგი ადამიანის ამქვეყნად მოქმედება-მოღვაწეობაა. რაში გამოიხატება ადამიანის მოქმედება-მოღვაწეობა, ანუ ცხოვრების გზა? ესაა შრომითი მოღვაწეობა წარმოების სხვადასხვა დარგში, ცხოვრება ოჯახსა და სახელმწიფოში, და ბოლოს შემეცნებითი ცხოვრება. პირველი ემსახურება სიცოცხლის შენარჩუნებასა და გვარის გაგრძელებას, მეორე ადამიანური ღირსებისა და თავისუფლების დამკვიდრებას, მესამე კი — არისტოტელის აზრით, უშუალოდ ბედნიერებისათვის არსებობს. მაშასადამე სიცოცხლე, თავისუფლება და შემეცნება არის ადამიანის არსება და მიზანი. მაგრამ არსებობს განსხვავებული გზაც, რომელიც, მართალია პირველ მიზანს ადამიანთა შეზღუდული რაოდენობისათვის აღწევს, მაგრამ მიუღწეველი რჩება მეორე და მესამე მიზანი. ეს გზა არის ყაჩაღობისა და ძარცვის გზა, ადამიანთა ურთიერთობაში მონობისა და ბატონობის დამკვიდრების, იმპერიების შექმნის, შემეცნების შეზღუდვის და კაცობრიობის წინსვლის შემაფერხებელი (ეკოლოგიური პრობლემა, ბირთვული იარაღი). ამიტომ დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგება კითხვა: რა არის ის კრიტერიუმი, ანუ უმალესი ღირებულება, რომელიც სწორ არჩევანს გავგვავებინებს ამ ორ გზას შორის.

როგორც ყველაფერ არსებულს, ადამიანის მოქმედება-მოღვაწეობასაც აქვს თავისი არსებობის წესი და კანონი. ამ წესით და კანონით ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთი გზა დგინდება ჭეშმარიტად, რადგან როგორც ქვიშაში ჩაყრილი მარცვალი თავთავს არ მოგვეცემს, ისე არ შეიძლება ადამიანთა ცხოვრების გზად განუჩივრებელ ვითარებათა სიმრავლე გამოდგეს. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ ვხვდებით ხალხებს, რომელთაც შრომა-მოღვაწეობის ნაცვლად ცხოვრების გზად სხვისი დაპყრობა და გაძარცვა აურჩევით.





ვასაკვირი არ არის, რომ ასეთი გზით მავალი ხალხი ვერასოდეს ვერ აღწევს მისწრაფებათა პარმონიულ დაკმაყოფილებას. ვერ აღწევს სრულყოფას და ამაღლებულ ადამიანურ ყოფას. ცხოვრების სწორი გზიდან გადახვევა ხდება ხშირად იმ მიზეზით, რომ ისწრაფვიან რა სხვების დაპყრობა-დამორჩილებისაკენ, წინამძღოლნი იძულებულნი არიან იგნორირება გაუკეთონ საკუთარი ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების დამკვიდრებისათვის. მაშასადამე, ადამიანი წარმოგვიდგება თავისი არსებით ანუ მისწრაფება-მიზნებით: სიცოცხლე, თავისუფლება, შემეცნება, რაც ფარავს მიზნის მიღწევისათვის ყველა დროში შინაარსით იგივეობრივი მოღვაწეობის გზას; ესაა წარმოება, ანუ ბუნების საგნების გარდაქმნა-მითვისება, ესაა საზოგადოებრივი ურთიერთობები და მათი სრულყოფა ანუ ბრძოლა თავისუფლებისათვის და ბოლოს, ესაა შემოქმედებითი წვა არსებულის საიდუმლოს ასახსნელად. როგორც ითქვა, მოღვაწეობის მხოლოდ ეს სამი სახე ითვლება ცხოვრების სწორ გზად; რადგან არ შეიძლება ამ განსხვავებულ მიზანთა განსახორციელებელი მოღვაწეობა ერთმანეთს დავუპირისპიროთ, არ შეიძლება რომელიმე ამ მიზნის მიღწევას სხვა მსხვერპლად შევწიროთ.

ადამიანი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, გაქრებოდა თავის მოქმედებაში ამ აკრძალვებს რომ არ იცავდეს. მავალითად, იმისათვის, რომ სიცოცხლე შევიწარჩუნოთ, უფლება არა გვაქვს ადამიანური ღირსება ვავთვლოთ. ანდა იმისათვის, რომ დავიკმაყოფილოთ ჩვენი შემეცნებითი მოთხოვნა, უფლება არა გვაქვს ადამიანის თავისუფლება შევლახოთ. ეს აკრძალვები ისტორიის წარმართველი კანონების არსებობის საფუძველი. ეთანხმება რა მოვლენათა თანამიმდევრობის ჭეშმარიტ წესსა და რიგს, ეს კანონები მარადიულია, თუმცა მისი მარადიულობა არ გამორიცხავს შემთხვევითობის არსებობას. საქმე იმაშია, რომ კანონების შემქმნელნი თვით თავისუფალი ადამიანები არიან. ლიკურგეს კანონებმა სპარტანელების ცხოვრება ათეულების ცხოვრებისაგან განსხვავებული გახადა. ასევე კანონებით და, რა თქმა უნდა, იძულებით შეძლეს ფაშისტებმა და კომუნისტებმა აეცილებინათ სსრკ უნდა გერმანია განვითარების ბუნებრივი გზიდან. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ კანონები გარკვეული მიზნით იქმნებოდნენ. როგორც საბერძნეთის, ისე სსრკ — გერმანიის შემთხვევაში, მიზანი აგრესიული სახელმწიფოს შექმნა იყო. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კაცობრიობის ისტორია სავსეა მხოლოდ ისეთი კანონებით, რომლებიც მხოლოდ დროის მოთხოვნამ და სარგებლიანობამ დაბადა? ცნობილია, რომ ამ აზრს ფაშისტებზე და კომუნისტებზე ადრე ჯერ კიდევ სოფისტები იცავდნენ. ადამიანის ცხოვრებისეული მიზნების ამორჩევა მის თვითნებობაზეა დამოკიდებული, ფიქრობდნენ ისინი. სამუდამოდ დადგენილი კანონები არ არსებობენ, რადგან კანონი მხოლოდ ძლიერის სურვილიაო. როგორც არ უნდა იყოს ეს სურვილი, მთავარი ერთია — დაარეგულიროს ადამიანთა ურთიერთობები ისე, რომ ისინი გარკვეულ კალაპოტში მოექცნენ, რის შემდეგ ყველაფერი იძულებაზე და შიშზე დამოკიდებული აღმოჩნდება. პასუხი რომ გავცეთ კითხვას — სწორი იყვნენ თუ არა სოფისტები, ფაშისტები და კომუნისტები ცხოვრების გზის ამორჩევაში, კანონით დასარეგულირებელი ურთიერთობის ცნებაზე უნდა შევჩერდეთ. ურთიერთობა ჯერ ერთეული ადამიანის თავისთავთან მიმართებით იწყება. ადამიანის „მე“ ანუ თვითცნობიერება მარტო არ არის, მას ამ ქვეყნად ყოველვის ახლავს თავისი სხეული, სწორედ



ამ სხეულთან შედის „მე“ ანუ სული პირველ მიმართებაში. კერძოდ, სხეულში და სულში ცდილობს ერთმანეთის შენახვასა და გატანას. სული გადაწყვეტილების მიღებაში ყოველთვის თავისუფალია, იგი არა მარტო თეორიულად სჯის და ინტელექტია, არამედ როგორც პრაქტიკული გონი, იგი ნაბიჯის გადამდგმელი ნებაც არის. სწორედ ამ ორი მომენტის გამო უწოდებენ „მე“-ს გონივრულ ნებას. ბუნებრივია, ნებას არ შეუძლია არც თავის გარეშე და არც სხეულის გარეშე არსებობა. ადამიანის მისწრაფებები და მიზნები ორივე ამ შემადგენელის შენარჩუნებას ემსახურება.

სულის რაობა ღირსების დაცვაში და შემეცნების განხორციელებაში მდგომარეობს, სხეულისა კი — სიცოცხლის შენარჩუნებაში და გვარის გაგრძელებაში. სხეულებრივი და სულიერი, ორი განსხვავებული პრინციპია, რომელთაგანაც ერთი განმსაზღვრელი უნდა იყოს. ეს განმსაზღვრელია სწორედ ის, რაც სამყაროს განვითარებისა და კაცობრიობის ცხოვრების წარმმართველ მიზანს წარმოადგენს. როგორც თანამედროვე მეცნიერების მიღწევები ადასტურებენ, ენერჯია ანუ მოძრაობა არის ყოფიერების მატერიალურობის პირობა, მოძრაობის იგივეობრივი კი აზრია. ამიტომ სამყაროს არსება აზრისეული, სულიერი საწყისია, რომელიც ადამიანში სუბსტანციური გონის სახით ცოცხლობს. რაც უფრო შორსაა ადამიანი განვითარების საწყისი საფეხურიდან, მით უფრო იკვეთება სულიერი პრინციპის განმსაზღვრელი მნიშვნელობა. თუ ველური სხეულის შენარჩუნებას სულიერ ღირსებაზე უფრო მაღლა აყენებს, კულტურული კაცი სულის ღირსების გადასარჩენად საკუთარი სხეულის მოსპობაზეც კი მიდის. აქედან დასკვნა: ცხოვრება უნდა მოეწყოს სულიერ ანუ იდეალურ არსებასთან შესატყვისობაში. სწორად მიუთითებდნენ ნეოკანტიანელები: ის, თუ რა ჯერ არს, ღირებულების იდეალური. სამყაროთა განსაზღვრულია. როგორც აღინიშნა, ღირებულების იდეალური ბუნება იმ განსხვავების მიზეზი, რომლითაც სოციალური სფერო ბუნების სფეროს გამოეყოფა. სოციალურ სფეროში მნიშვნელობს და ბატონობს არა მარტო არსებულ ფორმათა ურთიერთ საპირიპოებისა და ურთიერთ სამსახურის პრინციპი; აქ ყოფნის განსხვავებული არეალია, აქ ბევრის გახარება ვერ აიწახლავთ ერთვის ტანჯვას. აქ არსებობა თუ გინდა, ძალასთან ერთად სამართლიანობაც უნდა გინდოდეს. აქ სამართლის არმქონე სუსტდება და ძაბუნდება; ამიტომ მხოლოდ აქ არის ცოდვა-მადლის განკითხვა. მხოლოდ აქ თხოვენ ძლიერს პასუხს სუსტის დაჩაგვრისათვის. ამის გაკეთება კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ძლიერის თანასწორი ხარ. ამ თანასწორობის საფუძველია სწორედ იდეალური საწყისი ანუ უმადლესი ღირებულება. იგი სულია, რომელიც ყველაში ერთია. ამ სულის ყველაში იგივეობაა მიზეზი იმისა, რომ ერთის უფლების შელახვა მეორეს თავისი უფლების შელახვად მიიჩნია. აი რას წერს ჰეგელი სულის ამ ერთიანობის შესახებ: თავისუფალი ნება თავისი თავის შიგნით არის რალაც აბსოლუტური, მასში ზოგადია ის, რომ სხვისი ნდომა მეც აბსოლუტურად მიმჩნია სულის ზოგადი ბუნების გაგების გარეშე, მისი, როგორც რეალობის მქონე, საყოველთაო ნების გაგების გარეშე, ვერასოდეს ვერ მივხვდებით რას ნიშნავს ადამიანის ღირსება, ვერ მივხვდებით იმას, თუ რატომაა თითოეული კაცი პიროვნება, ხოლო ყველა პიროვნება კი ერთმანეთის თანასწორი. საქმე იმაშია, რომ პიროვნებას, ერთის მხრივ, აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სუბიექტური მოთხოვნილებები: ბუნებრივი მისწრაფებანი, რომლებიც ადამიანში ვიტალურ მოთხოვნებს აღძრავენ. მაგრამ მეორეს





მზრივ, პიროვნებას აქვს ინტერესები, რომლებიც მისი სუბსტანციური გონიერ-  
 რულობიდან გამოდის. ამ ჭეშმარიტების მიგნება სოკრატეს დამსახურებაა. სოკ-  
 რატემ დაადგინა, რომ ცალკეული ადამიანის დანიშნულება და მიზანი, არაა  
 მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილებები. ადამიანი ასევე აუცილებლად ესწრა-  
 ფვის ზოგადს, მშვენიერებას, სიკეთეს, ჭეშმარიტებას და კანონიერებას. ადა-  
 მიანში სუბსტანციური გონიერულობის არსებობას ეფუძნება ის ფაქტი, რომ  
 ყაცი თავისი ქცევის მიზეზებსაც და სამყაროს საბოლოო მიზანსაც, მხოლოდ თა-  
 ვისი თავიდან გამოსული ნახულობს. იგი ჭეშმარიტებას მხოლოდ თავისი ძალე-  
 ბით აღწევს და ყველაფერი ეს იმიტომ ძალუძს, რომ მისი აზროვნების შინაარს-  
 ში სუბიექტურთან ერთად ობიექტურიც არსებობს. ეს ობიექტურია სწორედ მა-  
 სში არსებული სუბსტანციური და საყოველთაო, ანუ გონი. ეს გონი როგორც  
 მიზანი არის ღმერთი ანუ სიკეთე, რომელიც როგორც სუბიექტში არსებული  
 თითქოს ადამიანური გონია, მაგრამ იგივე გონი როგორც ობიექტური, ასევე  
 არაა სუბიექტის კუთვნილება. რაც შეეხება პირობას, რომელიც აუცილებელია  
 ჭეშმარიტების მისაღწევად, ესაა მსჯელობის უნარი. განსჯის პროცესში ადა-  
 მიანი ამა თუ იმ სურვილს ამ სურვილის დაკმაყოფილების საშუალებას ადა-  
 რებს; შემდეგ ამ საშუალებას განიხილავს თავისი არსებობის მიზანთან მიმარ-  
 თებაში და ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორი ქცევა იქ-  
 ნება მისთვის მიზანშეწონილი. ასე, ცხოვრებისეული მიზნებისა და მათი გან-  
 ხორციელების საშუალებების შედარებითა და განსჯით, აყალიბებენ ადამიანე-  
 ბი ქცევის ამა თუ იმ წესს, ანუ კანონს. მსჯელობის უნარი არის ადამიანის  
 მთავარი ძალა — წერს კასირერი — იგია ჭეშმარიტებისა და მორალის წყარო.  
 რადგან მხოლოდ აქაა ადამიანი სავსებით დამოკიდებული თავის თავზე. აქ  
 იგი თავისუფალია, ავტონომიურია, თვითმართა. სოკრატემდე — ჰეგელის აზ-  
 რით — ღმერთი, სიკეთე, სამართალი ისეთ რამედ მიაჩნდათ, რომელზედაც  
 ვერაინ იტყოდა საიდან გაჩნდნენ და შემოვიდნენ ისინი კაცთა ცხოვრებაში.  
 სოკრატემდე არავინ იცოდა, რომ ეს სულიერი შინაარსი აზროვნებითაა გან-  
 პირობებული, მოტანილი და ადამიანს ეკუთვნის. სოკრატეს შემდგომი მთელი  
 ქრისტიანული თეოლოგია, სუბსტანციური გონის, როგორც გაადამიანურებუ-  
 ლი ღმერთის შესახებ მოძღვრებაა. როგორც ზემოთ ითქვა, ამ საერთო სულს  
 გონიერულ თავისუფალ ნებასაც ეძახიან და სუბსტანციურ კონსაც. რამდენა-  
 დაც ეს თავისუფალი ნება ერთეულ ადამიანში არსებობს, იგი ამ ერთეულო-  
 ბაში, როგორც პლატონი იტყოდა, მძიმდება. მისი ეს დამძიმება გამოიხატება  
 ხორციელი შინაარსის მქონე განსაზღვრულობების მიღებით. ასეთ შემთხვევა-  
 ში, მიუხედავად იმისა, რომ ნებას არჩევანის თავისუფლება ჰქონდა, იგი მაინც  
 არაა ჭეშმარიტად თავისუფალი. ჭეშმარიტი თავისუფლება მხოლოდ მაშინ  
 გვაქვს, როცა ნება თავის შინაარსად თავისთავს გაიხდის. ეს შინაარსი კი წმინ-  
 და განუსაზღვრელობაა. ნების არსება იმაში მდგომარეობს, რომ მასში არა-  
 ფერი არაა ისეთი, რაც მან თავისად თვითონ არ გაიხადა. იმისათვის, რომ მზად  
 იყო ნებისმიერი სურვილით განისაზღვრო, ყველაფრისაგან განწმენდილი  
 უნდა იყო. არაფრით არ უნდა იყო შინაარსდებული ანუ დაკავებული. სწო-  
 რედ ასეთი ნება შეიძლება იყოს ზოგადი და ყველაში ერთი და იგივე. „სამარ-  
 თლიანი ანუ მორალური — წერდა ჰეგელი — სხვა სიტყვებით, საუკეთესო  
 საქციელი, თუმცა ცალკეული ადამიანის მიერ შესრულდება, მაინც ყველა  
 ერთნაირად ამ საქციელს. ე. ი. სხვები მასში თავისთავს სცნობენ ან და თავის  
 ნებას შეიცნობენ“. მაშასადამე ნების საყოველთაობას ხელს ვერ უშლის ცალ-



კელი ადამიანების ინდივიდუალური მანერები, მიდრეკილებები, ხასიათები, ნიჭი, რადგან ადამიანს შეუძლია მოიცილოს ისინი და მხოლოდ წმინდა, ანუ საყოველთაო ნებად დარჩეს. ასეთი მდგომარეობა პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვის მტკიცე საფუძველი. წმინდა საყოველთაო ნებად დარჩენა, თავისუფალ ნებად დარჩენას ნიშნავს. ამას ღმერთი კაცთა ისტორიით აღწევს. ამ მიზნისთვისაა საჭირო ადამიანის არსების სრული რეალიზაცია. ანუ მისი სამი მისწრაფების ჰარმონიული განხორციელება. სიცოცხლისა და გვარის შენარჩუნება, ღირსების დაცვა და ჭეղჩეითი ცხოვრების დამკვიდრება. სხვა სიტყვებით, კაცთა ისეთი ცხოვრების გზის ამორჩევა, რომელიც ამ სამი მისწრაფების აუცილებლად ჰარმონიულ რეალიზაციას ახდენს, არის ღმერთის ცხოვრების შესაღარი. სწორედ ამიტომ იშლებიან და ქრებიან იმპერიები, ამიტომ ვერ იკიდებს ფეხს ბოროტება, რამეთუ იგი კანონიერიდან გადახვევაა. ღმერთი, როგორც ერთი და ამავე დროს ყველა, როგორც მრავალნი თავის თავის დანახვა, სიყვარულიცაა და თვისი განხორციელებაც, ანუ თავისუფლება. როგორც იგივეობრივი მრავალში, იგი სხვათა უფლების შელახვის აკრძალვაცაა, რამეთუ ამ სხეებში შენცა ხარ. ამდენად იგი სამართლიანობაცაა. სიყვარულის თავისუფლებასთან, თავისუფლების სამართლიანობასთან შეხამება, ჰარმონიის დამკვიდრებაა. ამიტომ ხედავენ ღმერთში სიყვარულს, თავისუფლებას, სამართლიანობას და ჰარმონიას. ასეთ ცოცხალ ღმერთთან ნაზიარები გონივრული ნება არის ის უმალესი ღირებულება, რომელიც არჩევანის კრიტერიუმს წარმოადგენს. ამის დამადასტურებელია ოჯახის ინსტიტუტის დახვეწა, მისი მონოგამიური ხასიათი, რაც სიყვარულის ამაღლებაა. ამის დამადასტურებელია კაცთა მონობისა და მემკვიდრეობითი პრივილეგიების გაუქმება, რაც თავისუფლების გამარჯვებაა. ასევე ამას ადასტურებს საყოველთაოდ სამართლებრივი სახელმწიფოების შექმნა, რაც სამართლიანობის ზეიმიია.

**Л. А. ЧИКОВАНИ**

**ВЫСШАЯ ЦЕННОСТЬ И ЖИЗНЕННЫЙ ПУТЬ ЧЕЛОВЕКА**

**Резюме**

В философии можно считать установленным, что подлинную высшую ценность человек обнаруживает в стремлении к истинной свободе. Но, несмотря на то, что волей (возможностью свободного выбора) обладает каждый человек, нельзя все же допустить, что он таким образом «располагает» уже истинной свободой. С истинной свободой соприкасаемся тогда, когда воля выставляет собственное содержание своим предметом. Это содержание есть чистая самостоятельность и независимость. Именно такая воля становится всеобщей. Лишь эта воля является гарантией равенства и защиты личного достоинства. Бог добивается этой свободы историей человечества, осуществляя этим одновременно и высшую справедливость.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა



## ალინო შუბლაძე

### 6. ჰარტმანის რეალური დიალექტიკა

მე-20 საუკუნის დიალექტიკურ კონცეფციებს შორის უარყოფითი დიალექტიკის გაცნობიერებისა და ჰეგელის საპირისპიროდ მისი დადებითი მეთოდოლოგიური დანიშნულების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეტაპია ნიკოლაი ჰარტმანის რეალური ანუ კრიტიკული დიალექტიკა.

ნ. ჰარტმანმა მოღვაწეობა დაიწყო როგორც მარბურგის სკოლის ნეოკანტიანელმა. იგი იყო ჰ. კოჰენის მოწაფე, მაგრამ შემდეგ მისი ცალმხრივი „მეთოდოლოგიზმით“ უკმაყოფილომ, ე. ჰუსერლისა და მ. შელერის გავლენით, ონტოლოგიზმის გზა აირჩია. 30-იანი წლებიდან მან ახალი სისტემა ააგო, რომელსაც რეალონტოლოგია ანუ კრიტიკული ონტოლოგიის თეორია უწოდა („ონტოლოგიის საფუძვლებისათვის“ 1935 წ., „რეალური სამყაროს სტრუქტურა“ 1940 წ. და „ონტოლოგიის ახალი გზები“ 1942 წ.).

ახალი ონტოლოგიის დიდი სიახლე და წარმატებანი იმაში მდგომარეობს, რომ ყოფიერების ოთხფენოვანი სტრუქტურის იერარქიული წყობის ჩამოყალიბებით ნათელი გახადა დამოკიდებულება ყოფიერების დროულ-ვრცეული პლასტის, არაორგანულისა და ორგანულის ფსიქიკურთან (სივრცის გარეშე არსებულის), გონითთან (დროისა და სივრცის გარეშე არსებულის) მიმართების კანონზომიერება, რაც საფუძვლად დაედო ნ. ჰარტმანის მიერ აგებულ ზოგად კატეგორიოლოგიას, კატეგორიათა სისტემის აგების მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

ნ. ჰარტმანის გადასვლა ნეოკანტიანელობიდან ახალი ონტოლოგიის აგებაზე, გულსხმობს შუალედურ პერიოდს, როდესაც იგი სისტემის ამგები მეთოდების ძიების პროცესში იყო და ამ თვალსაზრისით ინტენსიურად იკვლევდა არსებული მეთოდების ღირებულებით მნიშვნელობებს. სისტემის მეთოდის ძიების გზაზე ე. წ. სისტემური მეთოდების დადგენისას მან სერიოზული ყურადღება დაუთმო დიალექტიკურ მეთოდს, როგორც სისტემის აგების მეთოდთა შორის ერთ-ერთ ყველაზე საფუძვლიან მეთოდს.

ნ. ჰარტმანის რეცეფციები სისტემური მეთოდის შესახებ ნათლად არის ჩამოყალიბებული მისი ფილოსოფიური ევოლუციის გარდამავალ პერიოდში დაწერილ ნაშრომში „სისტემატური მეთოდი“. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია სისტემისა და მეთოდის დამოკიდებულების პრობლემა და წინა პლანზე დგას იმ მეთოდების ძიების ამოცანა, რომელმაც სისტემის ამგები როლი უნდა შეასრულოს. მისი აზრით, სიძნელეს ქმნის ის, რომ მეთოდი ყალიბდება შემეცნების დროს, მაგრამ ის შემეცნებელი არ არის. შემეცნების პროცესში დადგენილი მეთოდი შემდეგ უნდა გაცნობიერდეს, ამიტომ, წერს ჰარტმანი, მეთოდის შემეცნება ყველა შემეცნებათა შორის ყველაზე გვიან ხდება.

ნ. ჰარტმანის ამოცანაა ააგოს არა სრულიად ახალი მეთოდი, არამედ გა-



მოიკვლიოს არსებული მეთოდები და დაადგინოს „სისტემატური“ ამ თვალსაზრისითაა განხილული აღწერითი, დიალექტიკური და ტრანსცენდენტალური მეთოდები. აქ ისიც არის დახასიათებული, რომ აღწერითი და დიალექტიკური მეთოდი ურთიერთგამომრიცხავი არიან და რომ მათ შორის ტრანსცენდენტალურ მეთოდს შუალედური ადგილი უჭირავს. ამასთან ერთად პარტმანი შეეცდება დაასაბუთოს, რომ ტრანსცენდენტალური მეთოდიდან ორივე მეთოდზე შეიძლება გადასვლა და რომ ეს მეთოდი კანტთან იდეალიზმის საფუძველზე კი არ არის გარკვეული, არამედ, იდეალიზმში სწორედ ამ მეთოდის შედეგს წარმოადგენს.

6. პარტმანი საკითხს ასე აყენებს: შესაძლებელია თუ არა მეთოდის ფაქტირება, მაშინ როდესაც მეთოდი, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა შინაარსების მიმართ, ცვლადი და მოძრავი უნდა იყოს. მეთოდი, რომელიც სისტემის აგებას ემსახურება, უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ მიზანსაც, რადგან ყოველ სისტემას აქვს თავისი ამოსავალი პუნქტი და მიზანი. სისტემა ფილოსოფიური შემეცნების საწყისი კი არ არის, არამედ რეზულტატია და ამ აზრით, სისტემა აღნიშნავს შემეცნების იდეალურ სისრულეს. ამიტომ, ვასაგებია, რომ შეუძლებელია სისტემა წინ უსწრებდეს მეთოდის ჩამოყალიბებას. სისტემის წინასწარი მონახაზი თვით ემორჩილება განვითარების პროცესს და იცვლება შემეცნების პროგრესში. ამგვარად, მეთოდი თითქოს ფილოსოფიის რეზულტატი და მიზანი კი არ არის, არამედ საწყისი და წინამძღვარია. ეს ის სახელმძღვანელო ძაფია, რომელიც გასდევს და ეუფლება ფილოსოფიურ აზროვნებას [6, გვ. 2]. ამ შემთხვევაში უნდა გავარჩიოთ მეთოდის გამოყენება და მისი შემეცნება, ე. ი. გაცნობიერებული მეთოდი, მაგალითად, ცნობილია, რომ ყოველი აზროვნება ემორჩილება ფორმალურ-ლოგიკურ მეთოდს, მაგრამ ის გაცნობიერებული არ არის. ჭერ კიდევ პლატონთან და არისტოტელესთან იყო ცნობილი, რომ მეთოდი აზროვნებისათვის იმანენტური ბუნებისაა და შინაარსის შემეცნება წინ უსწრებს მეთოდის შემეცნებას. ერთი სიტყვით, მეთოდის აგება მის გამოყენებამდე აპრიორულად არა მხოლოდ უაზროა, არამედ შეუძლებელიც არის და სინამდვილეშიც არასოდეს ასე არ ხდება.

6. პარტმანის დახასიათებით, ტრანსცენდენტალური მეთოდის არსება ლოგიკურად სილოგიზმის საპირისპიროა. აქ ლოგიკურად პირველადია საგნის არსებობის პირობები, ხოლო შემდეგია თვითონ საგანი. ტრანსცენდენტალური გამომდინარეობა აღმასვლის პრინციპებისაყენ, საგნებიდან მისი საფუძველებისაყენ სვლას გულისხმობს.

ტრანსცენდენტალური მეთოდის სპეციფიკა იმაშია, რომ გამომდინარეობის არც ერთი მეთოდი მას არ ესადაგება და ვერ ცვლის. მას აკლია დედუქციური კონტროლი, რაც მის გარეთ რაღაცას გულისხმობს. სწორედ იმაშია მისი უპირატესობა და მასში ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობები ჩანს [6, გვ. 10]. უნდა ითქვას, რომ ტრანსცენდენტალური მეთოდი ფაქტიურად ვერ არკვევს საგანთან მიმართებას. ეს მეთოდი ამოდის საგნიდან. იგულისხმება, რომ საგანი წინასწარვე არის მოცემული. მაგრამ საგნის მოცემულობის პრობლემა ამ მეთოდის საზღვრებში ვერ წყდება და ეს არის სწორედ მისი ძირითადი ნაკლი. ფაქტიურად ტრანსცენდენტალური მეთოდი ემყარება ცალკეულ მეცნიერებათა შედეგებს და მათ იყენებს, როგორც ცალკეულ ფაქტებს. ამით მოცემულობის პრობლემა, ბუნებრივია, მოუხსნელია და ამ პრობლემის გადაწყვეტას უბრალოდ გვერდი აქვს ავილი.



ბუნებათმეცნიერება ძირითადად ემყარება აღწერით მეთოდს. შეხედვით, თითქოს, უბრალოდ ფაქტიურად მოცემულის გადმოცემის მეთოდია. მაგრამ ნამდვილად კი ამ მეთოდით ხდება საგნის ნამდვილი ძიება. აღწერითი მეთოდი არ არის მხოლოდ ბუნებათმეცნიერული დაკვირვების მეთოდი, არამედ იგი გულისხმობს ზოგადი პრინციპების მიხედვით საკვლევი საგნის „ორგვლივბრუნვას“. ამიტომ არის აღწერის ლოგიკური სტრუქტურა დღემდე დიდი გამოცანა, რადგან ის მიმართავს ზოგად ცნებებს. ე. ი. ფაქტიურად ემყარება პრინციპების წინასწარ არსებობას და რაც მთავარია, მასში არის ლოგიკურისა და ფსიქოლოგიური ურთიერთობის მომენტი. აღწერას შინაარსობრივად ორივესთან აქვს საქმე (ლოგიკური და ფსიქოლოგიური), იგი ორგვარი ხასიათისაა. ანუ ლოგიკურ-ფსიქოლოგიურია. აღწერის მეთოდის თავისებური დამუშავება მოცემულია პუსერლთან, ინტენციონალურის ანუ უშუალო მიმართების ცნების დონეზე. აღწერითი მეთოდი იძლევა საგანს მის დაბალ საფეხურზე, რომელშიც ჭერ კიდევ არ არის შემეცნებელი მასში დაფარული პირობები. ამგვარად, იგივე პრინციპები, რომლებიც მეცნიერების საგნის კონსტიტუირებას ახდენენ, ამავე დროს აღწერის საგნის მაკონსტიტუირებელნიც არიან [6, გვ. 21]. ამიტომ აღწერით მეთოდს შეუძლია „მოგვეცეს“ პირველი პრობლემური განსაზღვრულობის მომენტი, რომლისგანაც ამაღლება ხდება პრინციპების შემეცნებად.

ამგვარად, ტრანსცენდენტალური და აღწერითი მეთოდები ეხებიან ერთსა და იმავე პრინციპებს, ორივენი მისით არიან განსაზღვრულნი და თავის მხრივ მიმართულნი არიან მათკენ სხვადასხვაგვარად. ერთი ცნობიერად და უშუალოდ, მეორე გაშუალებულად და თავისი ლოგიკური საფუძვლების გაუცნობიერებლად. ორივენი განაპირობებენ და ავსებენ ერთმანეთს, ერთიანობაში ქმნიან მეთოდთა სისტემის ჩანასახს.

ტრანსცენდენტალურ მეთოდს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა თავის დროზე, რადგან იგი ემსახურება პრინციპების სისტემის აგებას. მაგრამ რამდენადაც იგი საგნისაგან დაშორებული აღმოჩნდა, იმდენად ტრანსცენდენტალური მეთოდი ვერ იძლეოდა მყარ საფუძველს დადგენილი კატეგორიებისა და პრინციპების დაფუძნებისათვის. ისინი ფაქტიურად ჰიპოთეტურნი დარჩნენ. ამის გამო, ისტორიულადვე დადგა საკითხი ახალი მეთოდის აუცილებლობის შესახებ. ეს მოთხოვნა ჭერ კიდევ პლატონთან დადგა და იგი თავის ბოლო პერიოდის დიალოგებში აღარ კმაყოფილდებოდა ჰიპოთეტური მეთოდით და გადავიდა დიალექტიკურ მეთოდზე, სადაც წმინდა ცნებებზე აგებული ლოგიკური ოპერაციებია განსაზღვრული. პარტმანს აქ მხედველობაში აქვს პლატონის დიალოგები: „სოფისტი“ და „პარმენიდე“.

დიალექტიკური მეთოდი პორიზონტალურად გაშლილი მიმართულების მეთოდია, განსხვავებით ტრანსცენდენტალური და აღწერითი მეთოდებისაგან, რომელნიც ვერტიკალურობით ხასიათდებიან და მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ტრანსცენდენტალური ზევიდან ქვევით არის მიმართული და აღწერითი კი ქვევიდან ზევით [6, გვ. 25].

დიალექტიკა განსაზღვრებებს ადგენს კატეგორიათა ურთიერთმიმართებებით, რადგან აქ არ არსებობს *genus proximum* (უზოგადესი გვარი). ეს ბუნებრივია, რადგან კატეგორიებს საგვარეულო ცნებები არ გააჩნია. თუ ტრანსცენდენტალური მეთოდი კატეგორიებს საგნებთან მიმართებაში აყენებს, დია-

ლექტიკა კატეგორიებს განიხილავს კატეგორიათა სისტემაში. ის საკითხი, თუ როგორ დადგინდება და როგორ შეიცვლის თავის განსაზღვრულობებს ცნებები და კატეგორიები, რაც მეტად ძნელი იყო სხვა მეთოდის პირობებში, თავის გადაწყვეტას დიალექტიკური მეთოდით ნახულობს. «დიალექტიკა იძლევა ისეთ ბერეკტს, რომლის წყალობით ცნებათა წარმოება აყვანილია უმაღლეს ფილოსოფიურ ამოცანამდე. ცნება არ არის რაღაც დადგენილი მყარი, განუსაზღვრელი. იგი დინამიურია და თავის დამოუკიდებელ ფუნქციონალურ ბუნებას იძენს. ეს ხდება იმის გამო, რომ განსაზღვრება არის განსაზღვრება მიმართების საშუალებით, თანაც ყოველმხრივი და უსასრულო მიმართებებით. იგი არ არის მარტივი არსი თავისთვის, არც მარტივი არსი სხვისთვის. დიალექტიკა სხვა კატეგორიებთან ერთად ქმნის არსს «ერთმანეთისათვის» [6, გვ. 28].

ცნება დიალექტიკური მეთოდის უმთავრესი იარაღი და ამით იგი უფრო ახლოს დგას აპრიორული პრინციპების გაგებასთან, ვიდრე ტრანსცენდენტალური მეთოდი, როცა იგი ცნებათა სტატიკურ სქემას ქმნის. თუ ტრანსცენდენტალური მეთოდისათვის სისტემა არის ცალკეული თავისთავადი სრულდებულებიანი ცნებების ჯამი, დიალექტიკისათვის პირიქითაა, ყოველი კატეგორია არარაა სხვასთან მიმართების გარეშე და ამის გარეშე ფიქსირდება კი შეუძლებელია. სწორედ კატეგორიათა ეს ურთიერთგანსაზღვრა, ურთიერთგანპირობება იძლევა სისტემის იდეას [6, გვ. 29].

ამგვარად, დიალექტიკური მეთოდით აგებული კატეგორიათა სისტემა არის ყოველი ცალკეული კატეგორიის ლოგიკური წინა პირობა. ეს სისტემა არ არის კატეგორიათა ჯამი. ის უფრო მეტია, მათი ერთიანობაა, მათი მიმართების ერთობლიობაა. იგი დინამიური ერთიანობაა და არა სტატიკური. ისმის კითხვა: არის თუ არა წინააღმდეგობა იმაში, რომ მიმართება წინ უსწრებდეს მიმართების წევრებს, ე. ი. კატეგორიათა სისტემა წინ უსწრებდეს ცალკეულ კატეგორიებს? ასეთი წინააღმდეგობა არ უნდა გაჩნდეს, რადგანაც აქ საგნობრივ მიმართებებზე კი არ არის მსჯელობა, არამედ ცნებათა დამოკიდებულებაზე, სადაც განსაზღვრულობები მოიპოვება სწორედ ამ მიმართების შედეგად.

ტრანსცენდენტალურ ლოგიკაში საქმე ეხება იმას, თუ როგორია კატეგორიათა ურთიერთდაქვემდებარება, რომელი რომელს უნდა უსწრებდეს წინ. ტრანსცენდენტალურად ეს მთავარი საკითხია, რადგან აქ აუცილებელია დაქვემდებარებითი მიმართება. დიალექტიკისათვის კი ეს საკითხი მთლიანად უკანა პლანზე დგება. აქ ყოველი კატეგორია ერთნაირად პირველადიც არის და დამოკიდებულაც. ასე მაგალითად, დისკრეტობა ანუ წყვეტადი და უწყვეტობა ერთი მეორეს გულისხმობენ. მათზე მსჯელობა დისკრეტური ანუ გაყოფითი არ არის. ასე განიხილავს მათ ტრანსცენდენტალური მეთოდი, სადაც ერთი ზევით მდგომია, განპირობებელია, მეორე კი ქვევითაა, განპირობებულია. დიალექტიკური თვალსაზრისით ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ეს იმიტომაცა ასე, რომ დიალექტიკა იძლევა სრულიად სხვა ლოგიკურ განზომილებას, სადაც აღარ არის ზევითა და ქვევითა, სადაც განპირობებული განპირობებს თავის განპირობებელს. გამოდის, რომ ყოველი განპირობება არის ურთიერთგანპირობება. აქ უკვე აღარ არსებობს ადრე და შემდეგ. ყოველი კატეგორია გარკვეულ ურთიერთკავშირშია სისტემასთან. ეს ხდება არა სასრული განსჯის საფუძველზე, რომელსაც არ შეუძლია კატეგორიათა მთელი ჯაჭვი განსაზღვროს, არამედ გონების საფუძველზე.

დიალექტიკური მეთოდის ძალით გამართლებულია ჰეგელის დებულება —



თუ მოცემულია ერთი კატეგორიის ზუსტი განსაზღვრულობა, მაშინ მისგან აუცილებლობით გამომდინარეობს ყველა კატეგორიათა მთელი სისტემა. ამგვარი მსჯელობის საფუძველზე ნიკოლაი პარტმანი დასძენს: „მართლაც, თუ ჩვენ გვაქვს ერთი კატეგორიის შინაარსი, ე. ი. მთელი მისი სისტემურ მიმართებათა ერთობლიობა, მაშინ ამ მიმართებათა გაშლის გზით, ყველა კატეგორია თავის ადგილს დაიჭერს“. ამის შემდეგ იწყება დიალექტიკური მეთოდის პარტმანისეული კრიტიკა, რომელიც შედეგად მოსდევს ამგვარად დასმულ კითხვას: არის თუ არა ფაქტიურად მისაწვდომი ადამიანური აზროვნების უნარისათვის ამგვარი სისტემის აგება? ამ კითხვაზე ეს ფილოსოფოსი ასეთ პასუხს იძლევა: „დიალექტიკა არის იდეალური გონების რაციონალური მეთოდის იდეალი. ე. ი. გამოდის, რომ მხოლოდ იდეალურის საზღვრებში შეიძლება იყოს გამოყენებული დიალექტიკური მეთოდი. ე. ი. დიალექტიკა არ შეიძლება გავიგოთ როგორც უნივერსალური მეთოდი, ერთადერთი და განუყოფელი. სასრულ გონებას უნდა შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს ცნებათა ასეთი კონსტრუქციის აგებაში სხვა ძირითად ცნებებთან მრავალმხრივი მიმართების საფუძველზე. ამის მაგალითებით სავსეა ფილოსოფიის ისტორია, მაგალითად: ძენონის პარადოქსები, პლატონის „პარმენიდე“, ასევე ცნებათა მიმართებების მთელი სისტემური კავშირები არისტოტელესთან, პროკლესთან და ა. შ.

ნ. პარტმანის მიხედვით, თუმცა დიალექტიკური მეთოდი, როგორც წმინდა რაციონალური მეთოდის იდეალი, განუზოროცილებელია, მაგრამ ფილოსოფიის ისტორიული მაგალითებიდანაც ჩანს, რომ დიალექტიკის ამგვარ მომენტებს ადგილი აქვს იქ, სადაც სისტემატურად მუშაობს ფილოსოფიური აზრი, სადაც მიმდინარეობს სისტემატური ერთიანობის ძიება. სრულიადაც არ არის აუცილებელი რომ ეს გაცნობიერებული იყოს. არსებითად ყოველი ნამდვილად ფილოსოფიური აზროვნება სისტემატურია და ყველაზე მეტად თავს იჩენს იქ, სადაც გენიალური კონცეფციის ხასიათს ღებულობს. ნ. პარტმანი უარყოფს დიალექტიკის დაყვანას ანტითეატრობამდე, დიალექტიკურ სქემებამდე საზოგადოდ. ასეთი დაყვანა, მისი აზრით, გაუგებარს ხდის ფილოსოფიური აზროვნების დიალექტიკის იმანენტურ ბუნებას [6, გვ. 31—32].

ფილოსოფიაში დიალექტიკის მომენტები რომ ვაჩვენოთ, არ არის აუცილებელი მარტოდენ დიალექტიკურ სისტემებზე მითითება (მაგალითად, ფიხტე, ჰეგელი), იგი შეიმჩნევა აზრთა ყოველ მდინარეობაში, სადაც შესაძლოა სრულიადაც არ იყოს გაცნობიერებული დიალექტიკა, როგორც მეთოდი. მასში დიალექტიკა იმდენად იქნება, რამდენადაც არის სისტემატიკა, რადგან იქნება ცნებათა ისეთი კავშირები, რომელთაც ტრანსცენდენტალური მეთოდი ვერ ხსნის და რითაც იგი თვითნებობად შეიძლება მოგვეჩვენოს.

ნ. პარტმანის დახასიათებით, თვითონ კანტიც ვერ იფარგლება ტრანსცენდენტალური მეთოდის საზღვრებით. მის მიერ აგებული კატეგორიათა ცხრილი და მსჯელობის კლასიფიკაცია ემსახურება სისტემას, თვით გონების სისტემურ ამოცანას. ასევეა კოპენის ლოგიკაში, რომელთანაც კატეგორიები დაკავშირებულნი არიან არა უბრალოდ მეცნიერულ პრობლემასთან, არამედ ურთიერთთან, როგორც სისტემის ნაწილებთან [6, გვ. 33].

სისტემაში არ არის ადრე და გვიან. აქ ყველაფერი არის ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის მეშვეობით. ყოველი სისტემის აგებისაკენ სწრაფვა ნიშნავს სწრაფვას მთელისაკენ, დასრულებულისაკენ. ეს დასრულება ადამიანური



შემცნების მიღმა იგულისხმება, მაგრამ მისკენ მისწრაფება არ არის ილუსორული, გონების ყოველ მოქმედებაში არის უსასრულობის მოთხოვნა.

დიალექტიკა წმინდა ცნებით მიმართებებზე დაყრდნობილი აკვებს იმ ცარიელ ადგილს, სადაც უწყვეტელობის საშუალო მომენტები არ არსებობენ ან განუსაზღვრელნი არიან. ეს იძლევა არარსებული კატეგორიის ფორმულირების შესაძლებლობას. მაშასადამე, დიალექტიკას გააჩნია შესაძლებლობა განავითაროს სისტემის იდეა, თუ ყოველმხრივი სისრულის მხრივ არა, ყოველ შემთხვევაში უწყვეტობის მიმართულებით მაინც. პრინციპთა უსასრულობისაკენ მისწრაფება თვით ტრანსცენდენტალურ მეთოდშიც კი გამოჩნდა. მაგალითად, კატეგორიების ცხრილი თუმცა სრულყოფილი ჩანდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ კატეგორიების საწინააღმდეგო არ იყო გათვალისწინებული. ე. ი. ტრანსცენდენტალურ მეთოდს ამ მხრივ აშკარა ნაკლი ჰქონდა. დიალექტიკის ღირსება ტრანსცენდენტალურ მეთოდთან მიმართებაში იმაშია, რომ ის მხოლოდ შემეცნების მეთოდი არ არის, არამედ საგნის კონსტრუირების მეთოდიცაა [6, გვ. 40].

დიალექტიკის სისტემური იდეა შეესატყვისება ტრანსცენდენტალური მეთოდის სახეს. მას აპირობებს და აფუძნებს, როგორც მისი წინამძღვარი. აღწერის მეთოდთან ერთად იქმნება მეთოდთა მთლიანი სისტემა. ტრანსცენდენტალურ მეთოდთან შედარებით დიალექტიკა დედუქციურია. ის არის ერთადერთი ქეშარიტად აპრიორული მეთოდი, რომელსაც უნდა დაეყვამდებაროს ორივე მეთოდი. იდეალურ გონებაში დიალექტიკა მთლიანად შეცვლის მათ. იქ ზედმეტი გახდება აღწერის მძიმე გზა და ასევე ძნელი იქნება უკუქცევითი დასკვნის გზა [6, გვ. 41].

6. პარტიანის დახასიათებით, თუ დიალექტიკა თავისი წმინდა სახით აღებული იქნებოდა როგორც მეთოდი ბრძენისათვის, რომელიც უკვე დაუფლებულია პრინციპების შემეცნებას, ის არ გამოადგებოდა ფილოსოფოსს, რომელიც მხოლოდ ამ პრინციპებისაკენ მისწრაფვის. ადამიანური შემეცნება განწირულია მძიმე ემპირიული შრომისათვის. ხოლო იქ, სადაც იგი ამაღლებულია პრინციპებამდე, უნდა დაემყაროს წინასწარ გამოცდილების ფაქტს და მასთან შესაბამისობაში მოვიდეს. ე. ი. ტრანსცენდენტალურად უნდა მუშაობდეს. არსებობს კიდევ ერთი უფრო მაღალი გზა, რომელიც ცდილობს კატეგორიებიდან ამოსვლით დაადგინოს დიალექტიკური მიმართებები. რამდენადაც საკმარისად აღმოაჩნდება მას ცნებების მარაგი, იმდენად ემპირიულ გონებას ამ გზით სვლა შეუძლია, მაგრამ სისრულემდე მისვლა არ ძალუძს. თუ დიალექტიკას სურს ნაყოფიერი იყოს, იგი უნდა ემყარებოდეს ტრანსცენდენტალურ მეთოდს [6, გვ. 41]. არასოდეს არ უნდა მოსწყდეს გამოცდილებას, როგორც ორიენტირს, მეთოდოლოგიურად მასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დიალექტიკას თავისი შინაგანი სამყარო აქვს. აქვს აგრეთვე თავისი შინაგანი მეთოდოლოგიური სტრუქტურაც, რომლის გზითაც ცნებებს შორის შემეცნების პროცესში სისტემური კავშირები დგინდება.

6. პარტიანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დიალექტიკის გამოყენების ყალბი გზების დახასიათებას იძლევა. თუ იმ საუკუნის დასაწყისში დიალექტიკისადმი ინტერესი იმასთან იყო დაკავშირებული, რომ სჯეროდათ დიალექტიკური სქემის მეშვეობით მთელი სისტემის გამოყვანის შესაძლებლობა, საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ „პატარა გონების ადამიანები“, რომლებმაც დიალექტიკა აითვისეს მზამზარეული სქემის სახით და ასეთი გაგების



გამო დიდხანს ხელს უშლიდნენ ფიზტესა და ჰეგელის დიალექტიკის განვითარებას. ჰარტმანის მიხედვით, ამიერიდან მეთოდის შესახებ ასეთი ნორმატიული მნიშვნელობით მსჯელობა უნდა მოიხსნას. მეთოდის შემცენება წინ არ უნდა უძღვოდეს მის გამოყენებას, არამედ მას უკან უნდა მისდევდეს. მეთოდის შემცენებას არ შეუძლია ახალი შინაარსის აღმოჩენასთან მიგვიყვანოს.

პრობლემა ახლა იმაშია, თუ როგორ მუშაობს აზროვნების დიალექტიკური წესი, როგორია მისი საშუალებები, როგორ ხდება გადასვლა ერთი კატეგორიიდან მეორეში. ეს კითხვა იგივეა, რაზედაც ჰეგელი მსჯელობდა: როგორ წარმოიშვებიან კატეგორიები ერთმანეთისაგან? ის, რაც ცნებებს ერთმანეთისაგან თიშავს და ერთმანეთში კეტავს, არის წინააღმდეგობა კანონი (A არ არის non A), თუ ცნებები მოძრავნი და ერთმანეთთან შერწყმულნი არიან, მაშინ წინააღმდეგობა უნდა მოიხსნას, A უნდა დადგინდეს როგორც non A, ასე დადგინდება A-ს საწინააღმდეგოდ რაღაც B. თავდაპირველად იგი არ არის A-სთან შეერთებული, რომლისგანაც იგი გამოვიდა. მასთან შემადრთებული რგოლი, ჩნდება მაშინ, როცა A-სგან მიიღება რაღაცა ახალი მესამე, მაშინ A იხსნება B-ში (Aufheben) მოხსნა-შენახვის მეშვეობით.

ახლის წარმოშობას დიალექტიკური მეთოდის მიხედვით განსაზღვრავს უარყოფა-მოხსნა, რომელშიც პირველადია უარყოფა. რაიმე მოხსნილი და „განადგურებული“ ჩანს, მაგრამ იგი შენახულია თავის თავში გარკვეულობის სახით და როგორც რაღაცა გარკვეულს, მას შეუძლია რაიმე მოგვეცეს. „მოხსნა“ შედეგში აღმოჩნდა დადებითი, თუმცა როგორც საშუალება იგი უარყოფითია. ეს მეთოდური გზა დიალექტიკას საერთო აქვს ტრანსცენდენტალურ მეთოდთან, რადგან ორივესთან საერთო არის სინთეზი, რომელიც შემცენებას წინ ეწევა: გამოსვლა უარყოფითიდან, განუსაზღვრელიდან და ამ უარყოფითის გადაქცევა დადებითად. ამ ორ მეთოდში სინთეზის ფორმა თითქმის ერთნაირია, მაგრამ სინთეზის მიმართულება განსხვავებული [6, გვ. 44].

ჰეგელის მნიშვნელობა მთელი შემდეგი თაობებისათვის ის კი არ არის, რომ მან დიალექტიკური სქემა შექმნა, რომელშიაც მთელი სისტემა მოათავსა, არამედ ცნებათა იმ დიდ სიმდიდრეში, რომლის საფუძველზეც მან ააგო თავისი გრანდიოზული სისტემა. ამიტომ, როცა ჰეგელის მეთოდზე ვმსჯელობთ, აღნიშნავს ჰარტმანი, მისი მეთოდური განაზრებანი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ლოგიკური განხორციელების მდიდარი შინაარსი, რადგან დიალექტიკური მეთოდი არსებითად ჰეგელის მიერ გენიალურად აგებული „ლოგიკური შენობისა“ და „პირადი ნიჭის“ საქმე იყო [6, გვ. 44]. აქედან ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: არც ერთი დიალექტიკოსი, ფიზტე, შელინგი, ლაიბნიცი, სპინოზა, ბრუნო, კუზნაჩი, ნეოპლატონიკოსები, პლატონი, ძენონი და, რა თქმა უნდა, ჰეგელი არ მისულა ამ მეთოდის შემცენებამდე. ისინი იყენებდნენ ამ მეთოდს შემცენებამდე. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ მეთოდის შემცენება მეორადია, მეთოდის ფუნქციონირება კი პირველადი. აქედან თავის მხრივ გამომდინარეობს უფრო ზოგადი დასკვნა: დიალექტიკის ლოგიკური სტრუქტურის დადგენა ცნებათა სქემაში მის გამოსახვამდე შეუძლებელია. დიალექტიკა, როგორც ფილოსოფიური კვლევის მეთოდი, არ შეიძლება და არც უნდა გახდეს თავისთავადი. იგი უნდა ემყარებოდეს სხვა მეთოდს, რომელსაც მასთან შედარებით უპირატესობა ექნება თავისი გარკვეულობითა და ერთმნიშვნელოვნებით. ასეთად ჰარტმანს წარმოდგენილი აქვს ტრანსცენდენტალური მეთოდი. ე. ი. დიალექტიკა დაუსაბუთებელია, როგორც განსაკუთრე-

ბული ლოგიკური ხერხი. იგი ფილოსოფიის ზემეცნიერულ, ზემემპირიულ ხასიათს მოითხოვს. ამიტომაც, რომ დიალექტიკა გასაგები ზდება მხოლოდ ცალკეული მაგალითებით, როცა ცნებები გაშინაარსებულია. ამდენად, დიალექტიკა მთლიანად წინამეცნიერულ დონეზე რომ არ დაეშვას, საჭიროა მას საფუძვლად ყოველთვის ჰქონდეს ცოცხალი კავშირი მეცნიერულ ცდასთან, გამოცდილებასთან [6, გვ. 45]. ეს კი მხოლოდ ტრანსცენდენტალური მეთოდის საქმეა. თავის მხრივ ტრანსცენდენტალური მეთოდი იქამდე დგას მყარად, ვიდრე საფუძვლად აქვს აღწერა.

ამგვარად, დიალექტიკასა და აღწერის მეთოდს შორის პოლარობაა. მათ განეიტრალებას ახდენს ტრანსცენდენტალური მეთოდი, რომლის გამო ფილოსოფიურ აზროვნებაში მას პირველი ადგილი ენიჭება. დიალექტიკა და აღწერის მეთოდები კი ქმნიან ზემეცნების შესაძლებლობის ქვედა და ზედა ზღვარს.

მაშასადამე, ჰარტმანი ფილოსოფიური ზემეცნების მეთოდთა შორის უპირატესობას ანიჭებს ტრანსცენდენტალურ მეთოდს [6, გვ. 45].

განხილულ ნაშრომში ჰარტმანის პოზიცია დიალექტიკური მეთოდის მიმართ იმ შუალედური ვითარების ამსახველია, როცა ეს მოაზროვნე გადადიოდა ნეოკანტიანელობიდან ახალი ონტოლოგიის ნიადაგზე, მის დაფუძნებაზე. ჰარტმანმა თუმცა კი მიუთითა დიალექტიკური მეთოდის არსებით ღირებებზე სხვა მეთოდებთან შედარებით, მაგრამ იქვე დაასაბუთა დიალექტიკის ორი არსებითი ნაკლი, კერძოდ ის, რომ მას არა აქვს თავისი ლოგიკური სტრუქტურა და რომ იგი მოითხოვს ზეადამიანური აზროვნების უნარს, რომელიც ემპირიული ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია. ეს იმაში მდგომარეობს, რომ ერთ კატეგორიაში ამოცნობილი უნდა იქნეს კატეგორიათა მთელი სისტემა. ნ. ჰარტმანმა ჰეგელის დიალექტიკის არსებითი ნაკლოვანებები უფრო საფუძვლიანად ამხილა გერმანული იდეალიზმის შესახებ დაწერილ თავის მონოგრაფიაში და, რაც მთავარია, დიალექტიკის მიმართ თავისი ახლებური დამოკიდებულება მკვეთრად ჩამოაყალიბა ფუნდამენტურ გამოკვლევებში „რეალური სამყაროს სტრუქტურა“ (1940) და „ონტოლოგიის დაფუძნებისათვის“, ასევე გამოკვლევებში „ჰეგელი და რეალური დიალექტიკის პრობლემა“, „როგორ არის შესაძლებელი კრიტიკული ონტოლოგია საზოგადოდ?“. ეს ჰარტმანის მოღვაწეობის ბოლო პერიოდია, როდესაც დიალექტიკურ მეთოდს, როგორც ფილოსოფიურ მეთოდს უპირისპირებს კატეგორიალურ მეთოდს და ამით იწყებს არსის სტრუქტურის კვლევას. ამ კვლევით მან დაადგინა, რომ მატერიალური არსისა და აზრისაგან დამოუკიდებლად არსებობს იდეალური არსის კატეგორიების რეალური სამყარო, რომ კატეგორიები არც მატერიალურნი არიან და არც ცნებითი ბუნებისა. ამით ჰარტმანი შეეცადა ხელახლა აღედგინა ონტოლოგია და ნეოკანტიანელობის მიერ უარყოფილი ობიექტივიზმი ხელახლა დაეფუძნებინა ფილოსოფიაში.

დიალექტიკის რაობის შესახებ ჰარტმანის თვალსაზრისი უშუალოდ უკავშირდება მის კატეგორიოლოგიას, რადგან კატეგორიოლოგიის ანუ კატეგორიალური ანალიზის უმთავრესი ნაწილია ჰარტმანის ე. წ. რეალური დიალექტიკა.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ჰეგელის დიალექტიკა ჰარტმანმა შეაფასა როგორც აზროვნების შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე ავტონომიური განვითარების შედეგი. თვით ჰარტმანის გაგებით, დიალექტიკა ნიშნავს საგნის ზემეცნების პროცესში ერთი ცნების მიერ მეორე ცნების მოთხოვნას. ეს გამართლებულია იმით, რომ ზემეცნების საგანი მთლიანია, ერთიანია და ამიტომ





პარტმანმა დაუშვა ცნების გასვლა თავის თავიდან, ცნებათა შინაგანი მოძრაობა როგორც ფილოსოფიური ცნების შექმნის საკუთრივ დიალექტიკური მომენტი.

აქ უნდა გავარკვიოთ ცნებისა და კატეგორიის დამოკიდებულების პრობლემის ახლებური გაგება პარტმანთან. კატეგორიები ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში უზოგადეს ცნებებს ნიშნავს. პარტმანი კი თავის გამოკვლევაში „რეალური სამყაროს სტრუქტურა“ პირდაპირ წერს: „კატეგორიები, როგორც ასეთი, საერთოდ არ არის ცნებები“ [6, გვ. 111]. ბუნებრივია, რომ მას უნდა განესხვავებინა ერთმანეთისაგან კატეგორია და კატეგორიის ცნება. რამდენადაც კატეგორია არის რეალურ-ობიექტური სტრუქტურული წყობის ელემენტი, მისი განსაზღვრულობის ფორმა, სწორედ ამ პოზიციიდან არის პარტმანის მიერ გამოყენებული რეალური დიალექტიკის კონცეფცია.

ამის ფონზე ჩამოვყალიბოთ ის არსებითი განსხვავებანი, რაც ჰეგელის დიალექტიკასა და პარტმანის დიალექტიკას შორის არსებობს. ჰეგელისაგან განსხვავებით, პარტმანთან რეალური ანუ კატეგორიალური დიალექტიკა აზროვნების მიერ ცნებების თავისუფალ შემოქმედებაზე არ არის დამოკიდებული. პარტმანთან დიალექტიკის საგანი დამოუკიდებლად მოცემული კატეგორიებია. ამიტომ დიალექტიკამ ცნებები კატეგორიებთან მიმართებაში უნდა განიხილოს და კატეგორიალური მიმართების შინააჩსს მაქსიმალურად მიუახლოოს. დიალექტიკა პარტმანთან შემეცნების ემპირიული საფუძვლის გარეშე არ არსებობს, ჰეგელთან კი დიალექტიკა იყო აზროვნების შინაგანი წინააღმდეგობების გზით ავტონომიური განვითარება. პარტმანთან რასაც დიალექტიკა სწევდა, ის არის კონკრეტულის სფერო. კონკრეტული არაა ზოგად-კონკრეტული, არამედ ონტოლოგიურად კონკრეტული, რომელიც ინტენციის, მიმართების გარეშე თავისთავად არსებულა და მთლიანობაში დეტერმინირებულა. ასეთია ნივთი, მოვლენა, პროცესი, მიმართულება და სხვა, როგორც თავისთავად არსებული.

ჰეგელთან დიალექტიკას, როგორც ვიცით, ჰქონდა თავის ფორმალურ პრინციპად სამწევროვანი ფორმულა: თეზისი, ანტითეზისი, სინთეზი. პარტმანთან კი დიალექტიკას არავითარი ფორმალური სქემატიზმი არ გააჩნია. დიალექტიკური ცოდნა სქემით კი არ არის განსაზღვრული, არამედ მხოლოდ საგნის თავისებურებით. დიალექტიკა პარტმანთან წინააღმდეგობების გადაწყვეტაა, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის ლოგიკურის შინაგანი კანონზომიერება — დაძლიოს და გადალახოს ყოველგვარი წინააღმდეგობა. დიალექტიკა ამგვარ მოძრაობაში ცნებებს აწარმოებს, მაგრამ მხოლოდ კატეგორიებთან შესაბამისობაში და არა თავისთავად და იზანენტურად, როგორც ეს ჰეგელთან იყო. რაც მთავარია, პარტმანმა კატეგორიულად უარყო დიალექტიკის მიზნობრივი განსაზღვრულობა, ტელეოლოგიზმი, მას არა აქვს წინასწარ განსაზღვრული მიმართულება. ბოლოს, რაც მთავარია, დიალექტიკა რაიმეს განმავითარებელი კი არ არის, არამედ ის შემეცნებისა და აღმოჩენის მეთოდია, რომელიც მიმართულია არა აზროვნებისაკენ, არამედ აზრის საგნისაკენ. ძირითადი, რაც ამ განსხვავებიდან განსაკუთრებით გამოიკვეთება, შემდეგია: „ჰეგელის დიალექტიკა იდეალისტურ-სპეკულატიური და ტელეოლოგიურია, ხოლო ნამდვილი დიალექტიკა — არა. ჰეგელის დიალექტიკა ზეაღმავალი განვითარების თეორიაა, რომელსაც განსაზღვრული მიმართულება აქვს. კერძოდ, ევრტიკალური ხასიათისაა, ხოლო ნამდვილი რეალური დიალექტიკა კატეგორიალურ კოპერენციას მისდევს, უმიმართულებო დეტერმინაციის ფორმისა და პორიზონტალური ხასიათისაა [2, გვ. 42—43].

6. პარტმანის რეალური დიალექტიკა

6. პარტმანმა რეალური დიალექტიკის თეორიის აგებისას კვლევის ზემოაღნიშნული სამი მეთოდის: აღწერის, ტრანსცენდენტალურის და დიალექტიკურის არასაქმარისობა დასაბუთა და ახალი მეთოდების კვლევას შეუდგა. აღწერის ანუ დესკრიფციის მეთოდი, როგორც უკვე ცნობილია, მოცემულობის აღწერაა, რომლის შემდგომი ანალიზი აუცილებელია. ტრანსცენდენტალური მეთოდი კი, რომელიც შემდეგ მან ანალიზის ანუ უკუდასკენის მეთოდით შეცვალა, მიმართულია მოცემულობიდან კატეგორიების დადგენისაკენ. დიალექტიკა მათთან მიმართებაში სრულიად განსხვავებულ ფუნქციას ატარებს. კატეგორიათა ეს გამომდინარეობა ისეთ კავშირებს გულისხმობს, რომელიც ერთი დონის მიხედვით განსაზღვრავს ცნებათა მიმართულებებს. მაგალითად, არაორგანულ ბუნებაში აღმოჩენილი კატეგორიების მიმართებებიდან არ შეიძლება გადასვლა ორგანული ბუნების კატეგორიებზე. პარტმანის დიალექტიკა პორიზონტალური დიალექტიკაა, მისი ფუნქცია არ არის სხვადასხვა საფეხურების, ფენების, რეალობათა კატეგორიების დაკავშირება ერთმანეთთან, ასე მაგალითად, სინამდვილეში არსებობს შემდეგი სფეროები: რეალური, იდეალური, ლოგიკური, შემეცნებითი და არსებობს აგრეთვე სინამდვილის ფენობრივი დაყოფა: არაორგანული, ორგანული, ფსიქიკური, გონითი. ბუნებრივია, მათ შორის კავშირიც არსებობს, მაგრამ ამას უკვე დიალექტიკა არ ეხება. ამას თავისი გამოძკვლევით მეთოდი სჭირდება და პარტმანმა გამოიკვლია „შევსების“ მეთოდი, როგორც მეთოდი, რომელიც გამოიკვლევს სხვადასხვა ფენის კატეგორიების მიერ ერთმანეთის შევსებას. გარდა ამისა, პარტმანს შემოაქვს კიდევ ერთი მეთოდი „ცვლილების“ მეთოდი. მისი ამოცანაა, გამოიკვლიოს ის, თუ როგორ არის, რომ ერთი და იგივე კატეგორია სხვადასხვა კავშირშია, სხვადასხვა ფენაში განსხვავებულ ბუნებას გამოავლენს და ისიც უნდა დაადგინოს, რომ კატეგორიის ამ ცვლილებების დროს რჩება რაღაც საერთო.

ამ ხუთი მეთოდის ასპექტში დგას დიალექტიკა და პარტმანი მიუთითებს ნათ ერთგვაროვან მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ამ ხუთიდან არც ერთს არა აქვს განსაკუთრებული უპირატესობა თავისთავად. კატეგორიათა კვლევის პროცესში მათგან სხვადასხვა ვითარებაში რომელიმე მათგანი წამოიწვევს წინ. საერთოდ კი ყოველი ეს მეთოდი იქნება წინა პლანზე მდგომი მეთოდის შემოწმებელი და შემესები. ასე რომ, ახალი კატეგორიების დადგენის პროცესში პარტმანი საჭიროდ მიიჩნევს მეთოდთა ამ სისტემის გამოყენებას, მათ მიერ ურთიერთშემოწმებასა და შევსებას, რაც, მისი აზრით, შემეცნებაში ჰეგელიანობის მიღწევის და გარანტიის საფუძველი იქნება.

6. პარტმანი ფიქრობდა, რომ მან ახალი ონტოლოგიის ასეთი მეთოდოლოგიური პრინციპებით დაძლია ძველი მეტაფიზიკის და მათ შორის ჰეგელის სქემატიზმი და კონსტრუქტივიზმი.

ახლა დაუბრუნდეთ ისევ პარტმანთან დიალექტიკის გაგების შინაარსობრივ მხარეს. ეს კი თავის მხრივ დაკავშირებულია მისი კატეგორიოლოგიის დედაარსთან, კატეგორიების გაგებასა და მათი მიმართებების ახსნასთან. კატეგორიები პარტმანთან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ ისინი რა სფეროზე და რა ფენებზე ვრცელდებიან. თუ კატეგორიები განსაზღვრავენ კონკრეტულს არა მარტო რეალურ, არამედ იდეალურ სფეროშიც, ასეთ კატეგორიებს პარტმანმა ფუნდამენტური უწოდა. რეალურ არსში მათი აღმოჩენა ადასტურებს სამყაროს ერთიანობას. ფუნდამენტურ კატეგორიებს პარტმანთან შეისწავლის ზოგადი კატეგორიოლოგია და ისინი შეადგენენ საზღვარს ყოფიერების წმინდა

ფორმალური მხარისათვის, რომლიდანაც უნდა დაიწყოს ბუნებრივად რეალური სამყაროს შინაარსეული სტრუქტურის კვლევა; სწორედ ფუნდამენტური ანუ შინაარსეული კატეგორიები, (რომლებიც ყოფიერების ყველა სფეროზე კრცვლდებიან და ფენებისა და სფეროების კატეგორიებისათვის წანამდგრებს წარმოადგენენ) ურთიერთთან დაპირისპირებული ბუნებისა არიან და ისინი ამ დაპირისპირებაში ავლენენ საკუთარ ბუნებას. ამ პრინციპით ააგო ნ. პარტმანმა 12 დაპირისპირებულ წყვილთა ფუნდამენტური კატეგორიების ცხრილი, რომელშიც ყოველ კატეგორიას თავისი პოზიტიური მნიშვნელობა აქვს.

ნ. პარტმანმა განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანა კატეგორიათა ურთიერთმიმართების კანონებზე და ამასთან მიმართებაში განიხილა კატეგორიათა მიმართების ძირითადი კანონზომიერება. მთავარი აქ ის არის, რომ დიალექტიკა პარტმანისათვის კატეგორიათა კავშირის მხოლოდ ელემენტს კი არ არის, არამედ კატეგორიალური კავშირის გარკვეული მომენტის სპეციფიკურ კატეგორიალური კოპერენციის (კავშირის) ნიშანია და ამითაა განპირობებული.

ამგვარად, ის საფუძველი, რომელზედაც დიალექტიკა უნდა ამოქმედდეს, არის მხოლოდ კატეგორიალური კოპერენცია და მისი კანონები, ხოლო კატეგორიალური კოპერენციის კანონები კატეგორიათა ფენის პორიზონტალური კავშირების კოპერენციის კანონებია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალური სამყაროს ერთი ფენის კატეგორიები იმყოფებიან ერთმანეთთან განსაზღვრულ კავშირში და რომ კავშირის ეს ტიპი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამგვარი კავშირი ემყარება განსაზღვრულ კანონზომიერებას, რომელიც ყოფიერების ყოველ ფენაში მეორდება ნაწილობრივი ცვლილებებით. ისინი განმგობრებადნი არიან და ამიტომ ამგვარი კავშირის კანონები ზოგადია.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ყოველ ფენას შიგნით კატეგორიათა მიმართების სპეციფიკური კოპერენტული წყობა ახასიათებს. ამ შემთხვევაში გამორიცხულია კატეგორიების ურთიერთისადმი დაქვემდებარება, რაც კატეგორიათა კავშირის ვერტიკალურ განზომილებაში იგულისხმება.

ნ. პარტმანმა ერთმანეთისაგან განასხვავა კატეგორიალური კოპერენციის და კატეგორიალური მნიშვნელობის კანონები. ეს უკანასკნელი კატეგორიათა შინაგანი ერთიანობის კანონებია. ამიტომ მათ ინტერ-კატეგორიალურსაც უწოდებენ. მათთან მიმართებაში კოპერენციის კანონები იმითი არიან განსხვავებული, რომ ეს უკანასკნელი გამოხატავენ კატეგორიათა ფენის შიგნით მათ ურთიერთკავშირის წესს.

ნ. პარტმანმა გამოიკვლია კატეგორიალური კოპერენციის კანონები და აჩვენა, რომ კატეგორიალური კოპერენციის საფუძველი არის კატეგორიალური კავშირის კანონი, რომელიც მთლიანობაში ანუ კომპლექსურად განსაზღვრავს კატეგორიათა რიგს. ამიტომაცაა გამორიცხული ცალკეულ კატეგორიათა იზოლირებული განსაზღვრულობის, დეტერმინაციის შესაძლებლობა. როცა ხდება რომელიმე კერძო მეცნიერებაში ერთი მხარის, როგორც კონკრეტულის, იზოლირებული განხილვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული ცოდნა ნაკლოვანია და არ შეესაბამება იმ ფაქტიურ ვითარებას, სადაც კოპერენცია სრული ძალით მოქმედებს. ამიტომაც იზოლირებული კატეგორია, ისე როგორც ეს ჰეგელთან, თავის თავიდან აწარმოებდა სხვას, სინამდვილეში კი მხოლოდ აბსტრაქციაში შეიძლება არსებობდეს. არსებითად კი ყოველი კონკრეტული დეტერმინირებულია, მრავალსახეობაა, კომპლექსურია და კატეგორიები ფენებში განუყოფელ ერთიანობას ქმნიან. სწორედ ამ აზრით განსაზღვრავს ნ. პარტმანი კო-

პერენციას როგორც კატეგორიების პირველად შინაგან ერთიანობას, ისე როგორც მათი ფენის ერთიანობის სტრუქტურულ კავშირს. ამიტომ კოპერენცია არ არის მხოლოდ განსაზღვრულობის ერთიანობა, არამედ ის არის თავისთავად არსებული კატეგორიების შინაგანი ერთიანობა.

6. პარტმანთან დიალექტიკა როგორც მეთოდი, დაკავშირებულია მეთოდების მთელ წყებასთან, რომელთაგან კონკრეტულად გამოკვლეულია ხუთი, რომელიც შესაძლებელს ხდიან ცალკეული კატეგორიების წვდომას და მათი კავშირების აღმოჩენას.

6. პარტმანის მიხედვით, დიალექტიკა ისევე არსებობს ობიექტურად, როგორც ჩვენგან დამოუკიდებელი არიან კატეგორიები, კატეგორიათა ფენები. ასეთივე ობიექტურობა ახასიათებს კატეგორიალურ კოპერენციას, როგორც კატეგორიათა შინაგანი შინაარსობრივი კავშირების განმსაზღვრელს. დიალექტიკა როგორც კატეგორიათა გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდი კატეგორიათა კავშირმიმართების საფუძველზე არსებობს და სწორედ ის აიძულებს აზროვნებას რომელიმე გარკვეულობის დადგენილი საზღვრებიდან გამოვიდეს და სხვებთან კავშირმიმართებაში განიხილოს. დიალექტიკისათვის სპეციფიკურია სწორედ კატეგორიალური კავშირების შემეცნება. ეს კავშირები ჰორიზონტალური მიმართულებისაა, ხოლო ასეთი მიმართების საფუძველს კატეგორიალური კოპერენციის კანონები გამოხატავენ.

6. პარტმანის მიერ განხილული ანალიზური მეთოდი, რასაც ადრე ტრანსცენდენტალურ მეთოდს უწოდებდა, აგრეთვე ემყარება კატეგორიების კავშირს და კონკრეტულ ვითარებათა კავშირებს. დიალექტიკური მეთოდის სპეციფიკა კი ის არის, რომ აქ სხვაგვარი სახის კავშირებზეა ლაპარაკი. აქ კატეგორიები ერთმანეთთან არიან კავშირში. 6. პარტმანმა სწორედ ასეთი კავშირის სპეციფიკურ კანონებს უწოდა კოპერენციის კანონები.

ამგვარად, დიალექტიკური მეთოდი კოპერენციის კანონების მეთოდოლოგიური კვლევის შედეგია. სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით, რომელთაც მხოლოდ გარკვეული განსაზღვრული მიმართულება აქვთ, დიალექტიკური მეთოდი ყოველი მიმართულებით ღიაა. იგი ერთი კატეგორიალური ფენის შიგნით ყველას ყველასთან აკავშირებს. სწორედ ამ აზრით უწოდა 6. პარტმანმა კატეგორიალური კვლევის ამ მეთოდს კატეგორიალური დიალექტიკა და მკვეთრად გამოიჭნა იგი სპეკულატიური დიალექტიკისაგან, ე. ი ჰეგელის დიალექტიკისაგან, რომელიც არსებითად მხოლოდ ცნებათა დიალექტიკაა.

როცა 6. პარტმანი მსჯელობს კატეგორიების შესახებ, ეს არც იმას ნიშნავს რომ რაღაცა კატეგორიების თავისთავადი სამყაროა დაშვებული პლატონის იდეების მსგავსად, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ კატეგორიები მოკლებულნი არიან თავისთავადობას. კატეგორიების სფერო ეს არის ობიექტურად არსებული მიმართებები, კანონზომიერება, გარკვეული ვითარება, რომელიც სრულიადაც არ არის დამოკიდებული შემეცნებელზე, ადამიანზე და ა. შ. კატეგორიები აისახებიან ცნებების საშუალებებით შემეცნების პროცესში და ისინი (ცნებები) არასოდეს არ არიან სრულყოფილი. განუწყვეტლივ განიცდიან გარდაქმნასა და სრულყოფას. აქ მოქმედებს გარკვეული დიალექტიკა: ცნება შემეცნების პროცესში გარკვეულად მოძრაობს, უფრო სრული ხდება, რამდენადაც უახლოვდება პირველად ღირებულებასა თუ კატეგორიას, რასაც წინ უძღვის კატეგორიალური კოპერენციის ფენომენი, რომელიც გარკვეული



ტოტალიზმის სახით არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ცნება მას, ვინც ცნობდა, მისცენ მოძრაობს.

ნ. პარტმანმა მკვეთრად განასხვავა ერთმანეთისაგან ცნება და კატეგორია. ცნებების ჩამოყალიბება და სრულყოფა ხდება შემცნებებში, ე. ი. დროში, ხოლო ის, რასაც ცნება გამოხატავს, თვითონ კატეგორიათა ტოტალური ერთიანობაა. ამიტომ ყოველი ცნება კატეგორიათა კავშირის, სისტემის რაღაც ნაწილების ფრაგმენტების მკრთალი გამოხატულებებია. ცნებას აქვს იმის ტენდენცია, რომ უფრო სრული გახდეს და გავრცელდეს იმაზე, რაც ჭერ კიდევ შემეცნებულ არ არის. ასეთია ფილოსოფიური ცნებები, კერძოდ, ასეთია კატეგორიის ცნება (კატეგორიაზე მოაზრებული) და ნ. პარტმანი ვარაუდობდა, რომ დიალექტიკა ყველაზე მეტად მოქმედებს ფილოსოფიური ცნებების სფეროში.

შეიძლება ითქვას, რომ ნ. პარტმანის რეალური დიალექტიკა ეხება არა მხოლოდ კატეგორიალური კოპერენციის სტრუქტურას, არამედ თითოეული მისი ელემენტის სტრუქტურულ განსაზღვრულობასაც. ამ კონცეფციაში გათვალისწინებულია არა მარტო კატეგორიათა კავშირები, არამედ დაპირისპირებაც, სადაც ყოველი კატეგორიის საკუთარი არსება სხვითაა განსაზღვრული და ეს სხვა სწორედ მისი სხვა არის. ამ კავშირში გადაწყვეტი ის არის, რომ კატეგორიები შინაარსობლივად არიან თანასწორფლებიანი და სისტემის ელემენტთა კოორდინაციულ წყობას ჰორიზონტალური მიმართულება აქვს, სწორედ ამას ეწოდება დიალექტიკის ჰორიზონტალურობის კანონი.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ ნ. პარტმანთან დიალექტიკა არსის ფენათა და ცნებათა კავშირების კანონზომიერებად და მის შესაბამის მეთოდად აღარ გამოდგა, რადგანაც სამყაროს სტრუქტურაში ყოფიერების ფენები ურთიერთისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

ნ. პარტმანმა ფაქტიურად გაცნობიერა დიალექტიკა როგორც სინამდვილის კანონზომიერების მხოლოდ რეგიონალური ელემენტი. მიუხედავად ამისა, ნ. პარტმანის მიერ გააზრებული რეალური სამყაროს სტრუქტურაში დიალექტიკა ჭარბად ჩანს ისეთი სახით, რომელიც თავად ფილოსოფოსს გაცნობიერებული არა აქვს. ამ თვალსაზრისით მისი მოღვაწეობა კანტის ანალოგიურია, რომელიც უფრო დიალექტიკოსია იქ, სადაც დიალექტიკას ვერ ამჩნევს და ნაკლებად დიალექტიკოსია იქ, სადაც მას თავი დიალექტიკოსად მიაჩნია.

როგორც უკვე ვნახეთ, დიალექტიკა პარტმანთან, ფაქტიურად, მხოლოდ კატეგორიალური კოპერენციის ბაზაზე უნდა არსებობდეს და მისი უშუალო შედეგი უნდა იყოს. ამიტომ მან თავისი არსებობა უნდა შეწყვიტოს იქ, სადაც კოპერენციის სფერო მთავრდება. ამ აზრით, დიალექტიკას თავისი პოზიტიური ფუნქციის შესრულება შეუძლია მარტოდენ კატეგორიათა ჰორიზონტალურ კავშირებში, ხოლო იქ, სადაც ეს არ არის, დიალექტიკა თავის უარყოფით მხარეს უნდა ავლენდეს და ამიტომ ამ არადიალექტიკურის მიღმა სხვა მეთოდი და შესაბამისად სხვა კანონები იწყებენ მოქმედებას. ე. ი. დიალექტიკას აქვს, ერთი მხრივ, გარკვეულ სფეროში მასტრუქტურებელი, ამგები ფუნქცია, მის ვარგეთ კი იგი დესტრუქციულად იქცევა, რადგან იქ უკვე ყოფიერების ე. წ. დებენდენტური, დამოკიდებული, დაქვემდებარებული კავშირების ფენებია.

ნ. პარტმანის დიალექტიკის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს თავად ამ მოაზროვნის მიერ იყო ცნობიერად გააზრებული და განსაზღვრული. მისი რეალური დიალექტიკა ფაქტიურად არ არის მარტოდენ ერთი რიგის კატეგორიათა ფენებში მოქმედი მეთოდი. მას უფრო



ფართო გამოყენება აქვს, რადგანაც კატეგორიალური მიმართების სტრუქტურული წყობის აღწერის დროს ნ. ჰარტმანმა ფაქტიურად ყველგან აღმართების მიმართებათა განსაზღვრელი შინაგანი წინააღმდეგობრიობა. მეორეც, კავშირებისა და მიმართებების დიალექტიკა თითქმის უნივერსალური მასშტაბით გამოვლინდა ყოფიერების ფენების ურთიერთმიმართებათა, მათი განსხვავებისა და ერთიანობის განსაზღვრების დროს. ამ მხრივ განსაკუთრებით ორიგინალურია ნ. ჰარტმანის მსჯელობა იდეალურისა და რეალურის ერთიანობის შესახებ, „ონტოლოგიის საფუძვლებში“ გარკვევითაა ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, რომ იდეალური რეალურის სტრუქტურული ნაწილია, მომენტია, მას ემორჩილება.

### ლიტერატურა

1. ბაკურია მ. დიალექტიკის პორიზონტალურობის ნ. ჰარტმანისეული თვალსაზრისის კრიტიკისათვის, წიგნი „თანამედროვე ბურჟუაზიული და რევოიონისტული იდეოლოგია ანტიკომუნისმის სამსახურში“. თბ., 1977.
2. ბაკურია მ. ნ. ჰარტმანის ზოგადი კატეგორიოლოგიის კრიტიკისათვის, თბ., 1985.
3. ბუაჩიძე თ. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან, თბ., 1986.
4. თევზაძე გ. ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967.
5. მე-20 საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970.
6. Гартман Н. Систематический метод, журн. „Логос“, кн. 3—4, М., 1913.
7. Современная буржуазная философия, М., 1978.
8. Hartmann N. Der Aufbau der realen Welt, Berlin, 1940.
9. Hartmann N. Hegel und Problem der Realdialektik, Blätter für „Deutsche Philosophie“. Berlin, 1935/36 13 d. 9.

Эл. О. ШУБЛАДЗЕ

## РЕАЛЬНАЯ ДИАЛЕКТИКА Н. ГАРТМАНА

Резюме

Анализируя учение Н. Гартмана, приходим к выводу, что диалектика у него обнаруживается лишь на базе категориальной когеренции, поскольку позитивную функцию диалектика выполняет в горизонтальных связях — за их пределами диалектику должен заменить другой метод, ибо диалектика в этой сфере деструктивна.

Все же можно установить, что Н. Гартман сам недооценивает свои усилия в области диалектики. Фактически диалектика в универсальном масштабе проявляется во взаимоотношениях разных слоев бытия. Это обстоятельство хорошо читается и в «Основаниях онтологии», где откровенно утверждается, что идеальное структурная часть, момент реального.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

## მინდია მნათობიშვილი

### ტრაგიკულის პრობლემა ჰეგელის ფილოსოფიაში

ტრაგიკულს ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში მკაცრად განსაზღვრული ადგილი გააჩნია. აბსოლუტური გონი, ანუ ღმერთი, აზროვნებაა, რომელიც წმიდა სახით არის ლოგიკა; ამიტომ იწყებს ჰეგელი ლოგიკით, რომელიც აბსოლუტური გონის ერთ-ერთი მომენტია. იგი არსის, არსების და ბოლოს, ცნებათა კატეგორიაში თავისი იდეის ცნებას აღწევს, რომელშიც ცნება თავის თავს წვდება წმინდა იდეის სახით [2, გვ. 418]. ბუნების ფილოსოფია სისტემის მეორე ნაწილია, ბუნება იდეაა თავის „სხვადაყოფაში“ [3, გვ. 25], საფუძვლად სისტემაა, რომლის განვითარებას ცნების მეტამორფოზა განაპირობებს და თავის თავში აბსოლუტურის აღმოჩენით სრულდება. გონის ფილოსოფიაში, რომელიც სისტემის უკანასკნელი, მესამე ნაწილია, იდეა, ადამიანური მოღვაწეობის საშუალებით, თავისთავში ბრუნდება და ისე, როგორც მთელი სისტემა, გარკვეული დიალექტიკური პროცესია, რომელშიც აბსოლუტური გონის სახით მკლავდება. ამდენად, იგი თავისთავში პოტენციურად უკუმომსვლელი და უკუმოსული იგივეობაა, თავისუფლების შედეგია, რომლის საშუალებით ღმერთი თავის თავს იმეცნებს ხელოვნებაში, რელიგიაში და ფილოსოფიაში.

ჰეგელისათვის აბსოლუტური თავის თავს არაადექვატურად, მაგრამ ადამიანურში ამკლავნებს. ხელოვნება ადამიანური მოღვაწეობის შედეგია; შესაბამისად, ხელოვნება აბსოლუტურის არაადექვატურად გამკლავნების საშუალებაა. თავისუფლება აზროვნებიდან იწყება, ამიტომ შემოქმედებითი ზეშთაგონება მისთვის (თავისუფლებისთვის) არათავისუფალი, უცხო ძალაა. ჰეგელის რელიგიის შინაარსი აბსოლუტური გონია, რომლის უკანასკნელი სფერო ერთეულობა, უსაზღვრო დაბრუნება, სამყაროსა და აბსოლუტურის შერიგება, თავისთავთან იგივეობრიობაა; ის გონითი გამოცხადებაა, რომელიც წარმოდგენების კონკრეტულ სახეებში მკლავდება. ამდენად, ჰეგელისათვის ჰეგელისათვის აღნიშნული ფორმით ფილოსოფიის საგნად დგინდება, რომელშიც ხელოვნებისა და რელიგიის სინთეზი ხორციელდება. ხელოვნების სუბიექტური შემეცნების ფორმა და მისი სუბსტანციური შინაარსი რელიგიაში ტოტალობად ყალიბდება. ფილოსოფია, როგორც აბსოლუტური შემეცნება, ჯერ წარმოდგენებად განისაზღვრება, შემდეგ აბსოლუტური ფორმაა, ბოლოს მოაზროვნე იდეა, თავისთვის მცოდნე ჰეგელისათვის.

ჰეგელისათვის აბსოლუტური გონი საყოველთაოობაა, რომლის ცალკეული განსაზღვრული შინაარსი, ნამდვილია. იგი საკუთარ ერთიანობასა და მთლიანობაშია მოაზრებული, რომელიც ხელოვნებაში ინტუიციის, რელიგიაში წარმოდგენის, ხოლო ფილოსოფიაში ცნების სახით მკლავდება. ხელოვნების შინაარსი გრძობადი ფორმით წარმოდგენილი აბსოლუტური იდეაა, რომელიც კონკრეტული, სუბიექტური და განსაკუთრებულია. ფორმა და შინაარსი ინდი-

ვიღუაღურ საფუძველზე ერთიანდება, რაც მისი (ხელოვნების) ხარისხის შესაბამისად მსახვრელი, შესაბამისად გონის განხორციელების ადექვატურია. ცნება, იმ შემთხვევაში იდება, როდესაც საკუთარ რეალობაში წარმოდგენილი და მასთან ერთიანია. ცნებისა და რეალობის ერთიანობა, როგორც იდეის აბსტრაქტული განსაზღვრება, ასევე განსხვავებული განსაზღვრებების აბსოლუტური ერთიანობაა; ე. ი. კონკრეტული მთლიანობაა. რეალური ცნება რეალური განსხვავებების ფორმით არსებობს, იდეალურისა და გონის ერთიანობას, ჭეშმარიტ იდეას წარმოადგენს. ამდენად, ყოველივე არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს იდეა; მოვლენა ნამდვილია, რამდენადაც ცნების შესაბამისია; ცნების შესაბამისი რეალობა ჭეშმარიტი რეალობაა, რომელშიც იდეა თავისთავს ახორციელებს. [4, გვ. 117].

ხელოვნებაში, იდეა თავის თავთან შესაბამისი, თავისთვის არსებული შინაარსის სახით მკლავდება, გარეგნული ელემენტი მისი შესაბამისია; ამდენად, იგი თავის თავს გარეშე ელემენტში აღმოაჩენს. ხელოვნების საფუძველი ღვთაებაა, როგორც მთლიანობა, რომელიც ცხადი შემეცნებისა და სახეების სამყაროში არსებობს. ღვთაებრივი საწყისი შემოქმედებითი ფანტაზიის საშუალებით განსაზღვრული ფორმის სახედ გარდაიქმნება, შემდეგ განსხვავებული განსაზღვრებების სახით არსებობს და იდეალური ხელოვნების სფეროს შეადგენს. ამდენად, იდეალის უმაღლეს სიწმინდეს ღვთაების, ქრისტეს, მოციქულების, წმინდანების ისეთი გამოსახულება წარმოადგენს, რომელსაც მიწიერი არ შეხება. ქანდაკებას და ფერწერას გააჩნია ასეთი სახე როგორც ცალკეული ღმერთებისათვის, ასევე ქრისტესთვის, როგორც სამყაროს მსხნელისთვის, ყველა მოციქულისა და წმინდანისათვის [4, გვ. 177].

ჰეგელისათვის ჭეშმარიტი თავის თავში თავის თავთან შესაბამისად მკლავდება, ჩაკეტილია მასში (თავის თავში) და იღებს კერძო სახეს. ის განსაკუთრებული მომენტები, რომლებიც გარეგნულში ვერ თანხმდებიან, ამ შემთხვევაში გაწმინდილი, უბრალო განსაზღვრებების სახით არსებობენ და გარეგნულ ზეგავლენას მისგან განპირობებულ შესაძლებლობებს გამორიცხავენ. გონითი თავისუფლება იდეალის სფეროში, თავის თავში აღმოჩენილი მთლიანობის საშუალებით, ცალკეული, კერძო მომენტების ფლობის შესაძლებლობებს იძლევა. მიწიერ ადამიანურ სფეროში იდეალური საწყისი აღმოჩნდება იქ, სადაც ადამიანის სუბსტანციური შინაარსი ისეთ სუბიექტურ მომენტებს იმორჩილებს, რომელიც განსაკუთრებული, კერძო ხასიათისაა, ამდენად, განსაკუთრებული მოქმედების საშუალებით თავს აღწევს შემთხვევით სფეროს და კონკრეტული ხასიათი თანხვედება თავის შინაგან სიმართლეს. (ის, რაც ადამიანში სრულქმნილი სახით არსებობს, ღვთაებრივი საწყისია, რომელშიც ადამიანი თავის თავს ახორციელებს. გონითი განსაზღვრულობა თუმცა იდეალში ჩაკეტილია, განვითარებასთან მაინც უშუალოდაა დაკავშირებული, რომელშიც ღვთაების ინდივიდუალური განსაზღვრულობა მის ჩანასახს წარმოადგენს. სამყაროს იდეალური მდგომარეობა ჰერ გაორებულია, რადგან სუბსტანციური ერთიანობა მხოლოდ ზოგად სახეშია მოცემული. ინდივიდუალობისათვის მნიშვნელოვანია განსაზღვრება, ხოლო იდეალს განსაზღვრული სახე უნდა გააჩნდეს, რომ საყოველთაო მასში განსაკუთრებული სახით აღმოჩნდეს. ხელოვნებაში განსაზღვრული წარმოდგენა ქმნის სახეებს, რომლებიც განსაზღვრულ ხასიათებსა და მოქმედებებს ახორციელებენ. ზოგადი მდგომარეობა ცალკე-





ლი ინდივიდის არსებობას განაპირობებს, რომელიც ცალკეული მდგომარეობის სპეციფიურ განსაკუთრებულობაში იხსნება, მასში ინდივიდი თავის თავს ამჟღავნებს და პოულობს განსაზღვრული სახეების ხარისხში, ინდივიდის აღნიშნული თვითაღმოჩენა ისეთი პროცესია, რომელშიც ზოგადობა ცოცხალ, განსაკუთრებულ, ერთგვარ მოვლენად ფიქსირდება, საყოველთაო ძალა უზენაესობას ინარჩუნებს, რადგან განსაზღვრული იდეალის არსებითი ნაწილის სუბსტანციური შინაარსი ის სამუდამო არსია, რომელიც განაგებს სამყაროს [4, გვ. 197].

პეგელისათვის საყოველთაო ძალა თავის გარეთ ყოფნაში, ურთიერთდაპირისპირებაში მქლავდება, ის ურთიერთდაპირისპირებულ — სუბსტანციურ და ინდივიდუალურ — სფეროდ იყოფა. დაპირისპირება იმ არსებითი შინაარსის აღმოჩენას განაპირობებს, რომელსაც საყოველთაო ძალა ატარებს.

გარემოებები განაპირობებს სიტუაციას, რომელიც თვითგამქლავების საშუალებას აძლევს ყოველივე იმას, რაც სამყაროში განვითარებული სახით არსებობს. სიტუაცია კერძო თვისებების მატარებელი და, ამდენად, განსაზღვრულია, ის განსაზღვრულ სიტუაციას გულისხმობს ანუ გონის ქეშმარიტ შინაარსს, სიტუაციას თავის თავში განსაზღვრულობამდე, საყოველთაო და განუსაზღვრელი ფორმა გააჩნია. ამდენად, სიტუაციის არყოფნა, სიტუაციის ყოფნაა. როდესაც იგი (სიტუაცია), თავს აღწევს განუსაზღვრელობას, განსაზღვრულობაში გადადის, რომლის შედეგად აღნიშნულ განსაზღვრულობასა და გაორებაში ნამდვილ სახეს იღებს. სიტუაცია კოლიზიად, აქციებად და რეაქციებად ღვინდება, რაც სამყაროს საყოველთაო, უძრავი მდგომარეობისა და კონკრეტული მოქმედებების ურთიერთობას ემსახურება. მოქმედება, როგორც ერთიანი, თავისთავში მთლიანი მოძრაობა, აქციებისა და რეაქციების, მათი ბრძოლისა და მისი ვადაწყვეტის შინაარსს წარმოადგენს. იგი პოეზიის საგანია. სხვა ხელოვნებები მოქმედების ერთ მომენტს აღნიშნავენ, თუმცა მათ ადამიანის გარე სახის გამოხატვის შესაძლებლობებთან ერთად, ისეთი საშუალებები გააჩნიათ, როგორცაა ეესტი, გარეშე მყოფ ფიგურებთან და საგნებთან ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, მეტყველება ადამიანური არსის გამქლავების საუკეთესო საშუალებად განიხილება, რადგან ადამიანი, როგორც გონის პროდუქტი საკუთარ განსაზღვრულობას მეტყველებაში, სიტყვაში ამჟღავნებს. ადამიანი, გონითი წარმომავლობის მიუხედავად, კონკრეტულ გარე სამყაროში არსებობს; ამდენად იდეალი განმსჭვალავს და უშუალოდ მონაწილეობს მასში. ადამიანი თავის თავში სუბიექტური მთლიანობაა, რომელიც გარე სამყაროსაგან ცალკეედება. გარე სამყარო თანმიმდევრული, თავის თავთან დაკავშირებული და დამთავრებული მთლიანობაა. მათი არსებითი ურთიერთობა ისეთ კონკრეტულ სინამდვილეს ქმნის, რომლის მხატვრული გამოსახვა იდეალის შინაარსს წარმოადგენს, რაც მასალის საშუალებით ფიქსირდება. ხელოვნება საჭიროებს აბსტრაქტულ მასალას სივრცის, საგნის სახეობის, დროისა და ფერის სახით. მხატვრული ნაწარმოები, როგორც შემეცნების საშუალება, არსებობს ადამიანისთვის, რომელმაც მხატვრულ ობიექტში თავისი თავი უნდა აღმოაჩინოს და გამოსახულ საგნებთან თანხმობის შესაძლებლობა მიეცეს. მხატვრული შემოქმედების საფუძველი შემოქმედებითი ფანტაზიაა, რომელიც სინამდვილისა და მისი ფორმების აღმოჩენას, გონის შინაგან სამყაროსთან შეხებას გულისხმობს; მაგრამ ამასთან ერთად, რაღაც უდიდესი უნდა შეეხოს მას (შემოქმედს), რომ



ცხოვრების ქეშმარიტი საზრისი კონკრეტულ სახეებში განახორციელოს [4, გვ. 277].

ჰეგელისათვის ხელოვნება სუბსტანციური შინაარსის გონისმიერ ათვისებას გულისხმობს. შინაარსი, როგორც უშუალოდ მოცემული, ასევე გონისმიერია. ადამიანური მოღვაწეობისა და ბუნების საგნებში აღმოჩენილი აბსოლუტურის ერთიანობა, მათი სამყაროში არსებობა, გრძნობად რეალურისა და გონისმიერი საყოველთაობის ერთიანობა, ხალხების ის მსოფლგანცდა, რომელიც სამყაროს უშუალო სინამდვილეში აბსოლუტურის მონაწილეობას გულისხმობს, სიმბოლური ხელოვნების საფუძველს წარმოადგენს, ცნობიერება, ტოვებს რა უშუალოდ შემეცნებად, აბსოლუტურის იგივეობრივ სფეროს, შეერთებული მხარეების დაყოფის არსებით განსაზღვრებად გარდაიქმნება, რომლის საშუალებით ახალი გონისმიერი წარმოდგენები იქმნება, ხელოვნება ქმნადობის პროცესად განისაზღვრება, რომელშიც შინაარსი და ფორმა ჯერ განცალკევებულია. ქეშმარიტება სუბსტანციაა, რომელიც წმინდა შინაგანი ცხოვრების, სუბსტანციური ძალების ხარისხში, თავისთავში ბრუნდება. იგი აბსოლუტურია, რომლის წინაშე სასრული სამყარო წარმავალი და უძლურია, რაც მისი საყოველთაობის სიმბოლოა და, ამდენად, სიმბოლური ხელოვნების პრინციპად განისაზღვრება. ხელოვნების შემდეგი ფორმა კლასიკურია, მის ფორმასა და შინაარსს იდეალი განაპირობებს. კლასიკური იდეალის შინაარსი გონისმიერია, ფორმას ადამიანური სახე გააჩნია, რაც გონითი არსებობის თანაფარდია; ამდენად, იდეალის პრინციპს გონისმიერი ინდივიდუალობა წარმოადგენს, რომელიც ცალკეულ, შემთხვევით განხორციელებულ ისეთ ინდივიდებად იშლება, რომლებსაც შინაგანი ცხოვრებისა და მხატვრული განხორციელებისათვის არასაკმარისი, დაშლილი სახე გააჩნიათ; მაგრამ კლასიკური ხელოვნება მაინც იდეალის შესაბამის ცნებას და მშვენიერის დასრულებულ სახეს წარმოადგენს, თუმცა არსებობს მასზე უფრო დიდი, გონისმიერი შინაარსი, რომელსაც გონი გარეგნულ მოვლენად დაყოფის საშუალებით აღწევს. იგი (გონი) თავისი შინაგანი ცხოვრების სტიქიაში თავისთავთან შერიგებას აღწევს, რადგან ადექვატურია თავისი თავის. იგი (გონი) ცნებისა და რეალობის ერთიანობაა; თავისი შესაბამისი არსებობა თავის შინაგან ცხოვრებაში გააჩნია, რადგან მასში იგი აცნობიერებს რომ მას, როგორც გონს, გააჩნია თავისი სხვა, თავისი არსებობა თავის თავში, თავის შიგნით, რომლის შედეგად თავისი უსაზღვროებითა და თავისუფლებით კმაყოფილება [4, გვ. 499]. რომანტიული ხელოვნების სუბსტანციური შინაარსი, გონის თავის თავთან ერთიანობა, ღვთაების სამყაროსთან შერიგებაა. ღვთაება სასრულში სახლდება, რომ აბსოლუტურის ცნებაში არსებული აბსოლუტური დაპირისპირება გააუშუალოს და შეარიგოს. საყოველთაო იდეა თავის თავში აღარ არის მარტო, არღვევს თავის საზღვრებს, ურთიერთობას ამყარებს ისეთ სხვასთან, რომელიც მასვე ეკუთვნის. თავის სხვადაყოფნაში პოულობს თავის თავს და მასთან ერთიანდება. ღმერთი, ეწირება კაცობრიობასა და სამყაროს, რომ მათ შორის უდიდესი შერიგება განხორციელდეს; ხოლო კაცობრიობამ უნდა გაიაროს ისეთი გზა, რომელიც აღნიშნული შერიგების განხორციელების საფუძველი იქნება.

ჰეგელისათვის მშვენიერის ცნება ხელოვნების ნაწარმოების სახით შემეცნებისათვის გარეგნულ ფორმაში ობიექტურობას გულისხმობს, რადგან მშვენიერი, აეალურ ყოფაში, თავისთვის ქეშმარიტად მშვენიერი და იდეალურია. ამიტომ მხატვრული ნაწარმოების განხორციელება, მხოლოდ გრძნობად სტიქიაშია შესაძლებელი, რადგან აღნიშნული ფორმით იგი ქეშმარიტად კონკრეტუ-



ლი, რეალური, თავისთავში დასრულებული, ცალკეული ინდივიდუალური შინაარსი იდეალია, რომელიც განსხვავდება მსოფლმხედველობაგან ძველზე, იყოფა დამოუკიდებელ, მთლიან ნაწილებად და ხელოვნების განსხვავებული ფორმების მთლიანობის, ხელოვნების რეალურ სამყაროს და, ამდენად, ხელოვნების ისეთ განსხვავებულ სისტემას წარმოადგენს, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს. ხელოვნების ცნებიდან გამომდინარე, მის ამოცანას თავისთავში ობიექტური საწყისის ფორმირება წარმოადგენს. იმას, რასაც შინაგანი ცხოვრება არ უაჩნია, ისეთ შინაარსსა და ფორმას საჭიროებს, რომელიც გარეგნულია მის მიმართ, რადგან ფორმა და შინაარსი საკუთარ ობიექტურ საწყისთან იმანენტურია. აღნიშნული შინაარსი ხელოვნებაში არქიტექტურას გააჩნია, რომელსაც ჭერ ხელოვნების სიმბოლური ფორმა შეესაბამება, შემდგომ კლასიკური ფორმა, რომელსაც გონისმიერ საწყისთან შესაბამისი არსებობა არ გააჩნია; ამდენად, კლასიკური არქიტექტურა გარდაქმნის არა გონისმიერს, არამედ გარეგნულს. არქიტექტურის რომანტიულ ფორმას შუა საუკუნეების გოთური არქიტექტურა წარმოადგენს, რომელსაც ქრისტიანობის შინაგან გონთან შესაბამისი არქიტექტურული ფორმები გააჩნია. ამდენად, თუმცა არქიტექტურა გარეგანს შინაგანად გარდაქმნის, მაგრამ გონის ისეთ ადეკვატურობად ვერ გარდაიქმნება, რომელშიც თვით გონი არსებობს. ამიტომ ხელოვნება უფრო შინაგან სამყაროში ღრმავდება, რომელიც თავის უფრო მაღალ ქეშმარიტებაში, ქანდაკებაში მყლავნდება და ემსახურება გონს, როგორც წმინდა გარეგნული ბუნება და გარემოცვა, რომელიც თავისი თავისთვის არსებობს. [5, გვ. 88].

პეგელისათვის ხელოვნება დიალექტიკურად ვითარდება ცნებაში და საგნების ბუნებაში დაყოფილი სახით არსებულს გამოყოფს და აფიქსირებს და ავითარებს თავისი თავისებურებების შესაბამისად. სივრცულ-მატერიალურ ყოფასა და ცნებაში განსაზღვრული ცოცხალი განცალკევება კოლორიტის მრავალსახეობით განსხვავდება, სხეულებრივი სახით სივრცული მთლიანობის აბსტრაქტული ფორმისაგან. ამ უქანასკნელთან ქანდაკება დაკავშირებული, რომელიც თავის მხრივ, თავისი აუცილებელი განვითარების გამო, როგორც გონის პროდუქტთან ადამიანურ სხეულებრივ ფორმასთან კავშირდება, რაც სხვისთვის ყოფნა, სინათლეში არსებობაა. ქანდაკება კლასიკური იდეალის ხელოვნებაა. გონი მყლავნდება მატერიალიზირებული ფორმით თავისი თავისთვის და მასში თავის შინაგან ცხოვრებას იმეცნებს. მაგრამ, ამასთან ერთად ქანდაკება არ წარმოადგენს შინაგანი ცხოვრების კონცენტრაციას, გონის მოძრაობას, ვერ ახერხებს შინაგანი და გარეგანი განსხვავებების გამოჩენას. ღვთაება მასში (ქანდაკებაში) შემეცნებას ობიექტის სახით უპირისპირდება, ამიტომ რომანტიული ხელოვნების პირველი სფერო ფერწერაა. მასში თავისთავში ღვთაებრივი საწყისი გონითი ცოცხალი სუბიექტის სახით მყლავნდება, რომელსაც გონთან კავშირის შესაძლებლობა გააჩნია. განცალკევებული სუბიექტის საშუალებით სუბსტანციური საწყისი ცალკევდება, რომელიც როგორც საკუთარი სხეულებრიობისაგან, ასევე გარემოსაგან განსხვავდება და შესაძლებელი ხდება ადამიანის დამოუკიდებელი ურთიერთობა ღვთაებასთან; ამდენად, ფერწერაში გარე და გონითი პრინციპები ერთიანდება. შინაგანი ცხოვრების არსი გარეგნული არსებობის მრავალსახეობასთან კავშირდება და რომანტიული ხელოვნების პრინციპს წარმოადგენს. ფერწერა თუმცა შემეცნების საშუალებაა,

შაგრამ სამყარო, რომელსაც იგი აჩვენებს, გონის ანარეკლია მხოლოდ, თუმცა თავისი სივრცული არსებობით, გონის შინაგან სამყაროს სიცხადეს წარმოადგენს. ფერწერა გონისათვის არსებობს და მისი წმინდა თეორიული ინტერესი შინაგანის გარეგნულ გამოხატვაში მდგომარეობს. ფერწერის ფიზიკური ელემენტი არის სინათლე, რომელსაც თავისთავში გააჩნია სიბნელე, ჩამქრალი სინათლე, რომელიც თავისთავში ნათდება და ფერადოვნების პრინციპს, ფერწერის მასალას წარმოადგენს. ამიტომ იგი (ფერი) ურყევ სიცხადედ რჩება; მაგრამ მისი მასალა თავისთავად არ არის მდგრადი, ამიტომ ობიექტურობა გრძნობად ელემენტში არ წარმოადგენს სივრცულ სახეს, არ მკვიდრდება ძააში. ამდენად, საჭიროა ისეთი მასალა, რომელიც თავის არსებობაში სხვისთვის მდგრადია და რომელიც თავისი წარმოშობის შემდეგ ქრება. ამდენად, შინაგანი და გარეგანი სუბიექტურობის თავმოყრა წარმოშობს რომანტიული ხელოვნების შემდეგ ფორმას — მუსიკას [5, გვ. 160].

ჰეგელისათვის მუსიკა სუბიექტური შინაარსისა და ფორმის კეშმარტი თავმოყრაა, შინაგან სამყაროს წარმოადგენს და თავის ობიექტურობაში სუბიექტურია. გრძნობადი მასალა ხსნის თავის თავს, რადგან თავის თავში მოძრაობს, მკაცვობრები ნაწილები ადგილმონაცვლეობს და საწყის მდგომარეობას უბრუნდება. აღნიშნული ვიბრირებული მერყეობის შედეგი, მუსიკის მასალა — ბგერაა, რომლის შედეგად მუსიკა გარეგნული ფორმის სტიქიაში არ განიხილება. მისი აღქმის სუბიექტური ორგანო სმენაა, რომელიც არაპრაქტიკული, თეორიული გრძნობაა და სხეულის შინაგანი ვიბრაციების რეზულტატს, ამდენად იდეალურ, სულიერ სტიქიას აღიქვამს. ბგერის წარმოშობა, თავის თავში გაქრობას გულისხმობს. იგი (ბგერა) იდეალური შინაგანი ცხოვრების ადექვატური გამოსახულებაა. მუსიკას ობიექტი არ გააჩნია, სუბიექტური ხასიათისაა; ამდენად, აბსტრაქტული, სუბიექტური ფენომენი საიდუმლო თვითარსებობის გამოხატვის სუბიექტური საშუალებაა. მისი განსაზღვრება რიცხობრივი პროპორციითაა, რომელსაც გონისმიერი შინაარსის ხარისხობრივი მხარე შეესაბამება. იგი განსხვავებას, დაპირსპირებას წარმოშობს, რაც ბგერაში მთლიანად ვერ მქლავდება; ტექსტის საჭიროება აქედან გამომდინარეა. წარმოადგენების სფერო, თავის მხრივ, არ იზღუდება შინაგანი აბსტრაქტული ცხოვრებით, თავის სამყაროს კონკრეტული სინამდვილის სახით აფორმებს, სცილდება მუსიკას და თავისი არსების ადექვატურ მხატვრულ არსებობას პოეტური ხელოვნების ფორმაში ადგენს [5, გვ. 327].

პოეზია ჰეგელისათვის გონის შინაგანი ცხოვრების სფეროში პლასტიური ხელოვნებისა და მუსიკის უკიდურესობებს აერთიანებს. იგი გონს უშუალოდ გონისათვის წარმოადგენს; პოეზიაში ობიექტური გარეგნული ფორმა გონისმიერი ფორმაა; ყოველივე გონით, სამყარული შინაარსი მისი სავანია, რაც მხატვრული, პოეტური ფანტაზიის საშუალებით ხორციელდება. პოეტი აბსტრაქტულ საყოველთაობასა და გრძნობად კონკრეტულ სხეულებრიობას შორის წმინდა თეორიული ინტერესებიდან გამომდინარე მოღვაწიობს, როგორც დამოუკიდებელი, თავის თავში ჩაკეტილი სამყარო. პოეზია, განსაზღვრულ მხატვრულ ფორმაზე არ არის დამოკიდებული, ის საყოველთაო ხელოვნებაა, რომელიც ყოველ შესაძლებელ შინაარსს შესაბამის ფორმაში ახორციელებს. პოეზიაში ხელოვნება იწყებს დასრულებას; ფილოსოფიური შემეცნება რელიგიურ წარმოდგენებში გადასვლის საფუძველს ხედავს. მშვენიერის მოსაზღვრე სფეროს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასრული სამყარო, რომლიდანაც ხელოვნება

თავს აღწევს და, მეორეს მხრივ, რელიგიისა და მეცნიერების უმალღესი სფერო, რომელშიც პოეზია აბსოლუტურს სწვდება და ამდენად, გრძნობადისაგან თავისუფალ სფეროში გადადის. პოეზია სიტყვით და მისი ჟღერადობის საშუალებით მკლავდება, იგი ნიშანია, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოდგენაა, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში ყოველივე განსაკუთრებულის შინაგან ერთიანობას აღწევს. სიტყვა არამატერიალურია, რომელშიც შინაარსს გარეგნული პოეტური არსებობის ფორმა გააჩნია, რომელიც მხატვრულ რეალობად აღამიანის საშუალებით ხორციელდება [5, გვ. 336].

ჰეგელისათვის პოეზია სამყაროულ მთლიანობას გარე რეალობის საფუძველზე ახორციელებს, რომელიც აღამიანისა და ღვთაებების განსაზღვრული მოქმედების საშუალებით მკლავდება; ამდენად, არსი თავისთავად იხსნება და პოეტი მეორე პლანზე ინაცვლებს, რაც ეპიური პოეზიის საქმეს წარმოადგენს. აღნიშნული მოქმედების საფუძველი როგორც კონკრეტული ხასიათი, ასევე შემთხვევითობაა. ეპიური პოეზიის მეორე მხარე არის ლირიკა, რომლის შინაარსს სუბიექტური, შინაგანი სამყარო, მთავროვნე მგრძნობიარე სული შეადგენს. ის შინაგანი ცხოვრების შედეგია, სიტყვიერად მკლავდება და მუსიკალურ მხარეს ეხმარება. შინაგანი შემეცნება პოეზიაში სუბიექტურადაა შესაძლებელი. ეპიურ პოეზიაში, ცოცხალი მოვლენის ან მისი სუბსტანციური საყოველთაობის საშუალებით, სუბიექტი თავის პოეტურ მოღვაწეობაში ქრება, ეს მისი გაუცხოებაა, რომლისაგან განთავისუფლება შესაძლებელია, ერთის მხრივ, საგნობრივი სამყაროსა და ურთიერთობების თავისთავში აღქმით, ცალკეული ცნობიერების შინაგან სამყაროში შესვლით, მეორე მხრივ კი თავისთავში თავმოყრილი სულის წარმოდგინებამდე, შემეცნებამდე ამალღებით და ამგვარად შევსებული შინაგანი სამყაროს განხორციელებით. ეპიური პოეზია უარყოფს თვითგამოხატვის აღნიშნულ ფორმას, ამიტომ პოეზიის სუბიექტური ფორმა ეითარდება ეპოსისაგან დამოუკიდებლად, საკუთარ წრეში, საგნის ობიექტურობიდან გონი თავისთავში ღრმავდება, იმეცნებს თავისთავს, საგნებს გონის უშუალო მონაწილეობით წარმოადგენს პოეტური სამყაროს შინაგანი, ენობრივი ფორმით, რაც ჰემარტიტი გრძნობისა და განცდის საფუძველზე მის (პოეზიის) ინდივიდუალურ საყოველთაო მნიშვნელობას განაპირობებს. ამდენად, გონი პოეზიაში თავისუფლდება არა გრძნობადისაგან, არამედ თვით გრძნობის სიღრმეში [5, გვ. 470].

ეპოსში — აღნიშნავს ჰეგელი — განსაზღვრული ობიექტური მოვლენებისა და მოქმედების ფორმაში, სუბიექტური ინდივიდუალური მიზანი და გარეგნული მდგომარეობები წონასწორდება. ლირიკაში სუბიექტი საკუთარ არსებას საკუთარ დამოუკიდებელ შინაგან ცხოვრებაში ამკლავნებს. დრამატულ პოეზიაში ლირიული სუბიექტივიზმი და ეპიური ობიექტივიზმი ერთიანდება. იგი შინაგანი სამყაროს პროექტია და წყვეტს ინდივიდუალსა და კოლიზიების ბუნებით სუბსტანციურ მიზნებს; დრამის ჰემარტიტი შინაარსი, საყოველთაო ძალები, თავის თავში და თავისთვის არსებული ზნეობრივი, საერთოდ ღვთაებრივი და ჰემარტიტია. ღვთაებრივი ობიექტურ ჰემარტიტებას ობიექტურ სინამდვილეში წარმოადგენს. კონკრეტული დრამის დრამატული მომენტები ღვთაებრივ მდგომარეობად განისაზღვრება. დრამატული პროცესი მუდმივი მოძრაობაა — კატასტროფამდე. დრამაში თავის თავში ჩაკეტილი მოქმედება თავის უშუალო სინამდვილეში რეალური მოქმედების სახით ხორციელ-



დება და სცენიურ შესრულებას მოითხოვს, რომლის გრძნობადი მასალა, ადამიანია. მოქმედებას ან ზოგად საკაცობრიო ინტერესი ან ნაციონალური პათოსი განაპირობებს. ტრაგიკული მოქმედება შინაგანი და გარეგანი მთლიანობის პროცესია, ამდენად, დრამატული პოეზია ხელოვნების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს და როგორც შინაარსის, ასევე ფორმის სახით, დასრულებულ მთლიანობას აღწევს [5, გვ. 512].

ჰეგელისათვის ტრაგიკული ღვთაებრივ-სუბსტანციური საწყისია, რომელიც, ერთის მხრივ, ინდივიდუალურ მოქმედებას განაპირობებს, მეორეს მხრივ კი, მოქმედებაში საკუთარ არსს ახორციელებს. ინდივიდუალური მოქმედება არსებული ჰარმონიის დარღვევას და დაპირისპირებაში გადასვლას განაპირობებს, რადგან განსაზღვრული ხასიათი და მიზანი ცალმხრივად იკეტება საკუთარ, თავისთავად დამთავრებულ განსაზღვრებაში, რომელსაც განსხვავებული ინდივიდი და, შესაბამისად, განსხვავებული მოქმედება, ხასიათი, მიზანი უპირისპირდება. ტრაგიზმი, დაპირისპირებული ინდივიდუალური მიზნებისა და ხასიათების დამკვიდრება, ერთმანეთის უარყოფა, მთლიანობის დარღვევა, დანაშაულია. ზნეობრივი სუბსტანცია, ერთის მხრივ, განსხვავებული ინდივიდების მთლიანობაა, რომლის საშუალებით გონისმიერი ამოცანების განხორციელება ხდება შესაძლებელი; მეორეს მხრივ, მთლიანობა აბსტრაქტული იდეალურობიდან რეალურ სინამდვილეში გადასვლა, დაპირისპირებაა, რომელიც ჭეშმარიტ საწყისად ვერ დგინდება. ჭეშმარიტება დაპირისპირების მოხსნაა, ამიტომ, რამდენადაც გამართლებულია ინდივიდუალური ტრაგედია, იმდენად ტრაგიკული კოლიზია გამართლებული და აუცილებელია. სუბსტანცია ინდივიდის სიკვდილის შემდეგ თავის კუთვნილ ადგილს იკავებს, რადგან მომავალი სუბსტანციური რეალობა ისეთი შერიგებაა, რომელშიც განსაზღვრული ინდივიდი თავის თავს, ტრაგიკული დასასრულის პირობებში, ჰარმონიაში ახორციელებს.

ინდივიდი და ქორო ჰეგელისათვის სამყაროს მთლიანობის შემადგენელი ნაწილებია, ტოტალობის თანაბრად მნიშვნელოვანი ელემენტებია. ინდივიდუალური მოქმედების სფერო ორ ჰემისფეროდ იყოფა; პირველი კოლიზიის საფუძველია, რომელშიც თითოეული ცალ-ცალკე ზნეობრივი სუბსტანციის მთლიანობის პრეტენზიის მქონეა; მეორე ცალმხრივი, ზნეობრივად თანაბრი უფლებების მქონე ხასიათების ტრაგიკულ დასასრულს ახორციელებს. ამდენად, ინდივიდის მოქმედება ზნეობრივი სუბსტანციის რეკონსტრუქციის საფუძველია, ხოლო ქორო უმაღლესი სუბსტანციური ცნობიერებაა, რომელიც კონფლიქტს უარყოფს და მთლიანობის დასასრულს იზიარებს. იგი ზნეობრივი, გამართული ცხოვრების ჭეშმარიტი სუბსტანციაა, რეალობაა, რომელიც მუდმივია, უცვლელი სიცოცხლის სფეროს მტკიცებას წარმოადგენს. ამდენად, ქორო არ მოქმედებს, არ განიკითხავს, მოქმედ ინდივიდებს ღვთაებრივი სიმართლისაკენ მოუწოდებს. მისი უმოქმედობა ღირიულია, თუმცა თავისი ეპიური ხასიათით ღითორამბს უახლოვდება. მისი გარეგნული საფუძველი ბახუსის დღესასწაულში არსებული ქოროს სიმღერაა, რომელშიც მოქმედი ინდივიდი თავის მხრივ დრამატული მოქმედების რეალურ ფიგურად დამკვიდრდა, ქოროს მონაწილეობა ტრაგედიაში აუცილებლობითაა განაპირობებული და ამიტომ, ტრაგედის დაცემა, ტრაგედიაში ქოროს როლის დაცემამ და საერთოდ არასწორმა გამოყენებამ განაპირობა [5, გვ. 563].

ტრაგედის საფუძველი — ხელოვნების კლასიკური ფორმა — თავისთავაში, პეროიკული ეპოქის არსებობას გულისხმობს, რომელშიც აუცილებლობას



უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გააჩნია. კლასიკური ტრაგედიის ტრაგედია-ლები ჰეგელისათვის ძირითადად ესქილე და სოფოკლეა, ხოლო რომანტიკული ტრაგედიისა — ძირითადად შექსპირი და გოეთე. რომანტიკულ ხელოვნებაში ბედისწერა ინდივიდუალური ხასიათით იცვლება, რაც ძველი და ახალი ტრაგედიის ბუნების პრინციპული განმასხვავებელი ნიშანია. ჰეროიკულში ისეთი ინდივიდი მოიხაზრება, რომელიც არჩევანის გარეშე ბუნებით არის ის, რაც მას სურს და რასაც აღასრულებს. მოქმედება ბედისწერითაა განსაზღვრული, რომელიც მისთვის (ინდივიდისათვის) ტრაგიკულად მთავრდება. თავისუფალი ინდივიდი რომანტიკული ხელოვნების თემაა.

დრამატული ხელოვნების პირველი ნიშნები ჩინეთში და ინდოეთში შეინიშნება. მისი ჭეშმარიტი საფუძველი საბერძნეთია, რომელშიც იგი ჩამოყალიბდა და განხორციელდა, რადგან იქ, ინდივიდუალობის პრინციპმა, ხელოვნებაში კლასიკური ფორმის არსებობა განაპირობა. ბერძნული ტრაგედიის შინაარსი, ჰეგელის თანახმად, საყოველთაო ზნეობრივი ძალებია. განსაზღვრული მოქმედების მიმართ ცნობიერების ზნეობრივი სიმართლე და მისი გამართლება; ტრაგიკული გმირი აღნიშნული ძალების ინდივიდუალური წარმომადგენელია. საყოველთაო ინდივიდუალური ძალები ღვთაებრივი პირველადი სახით მელანდებდა, რადგან ჯერ სახელმწიფო კანონებისა ან მორალური მცნებების დაცვანობიერი შინაარსი არ გააჩნია, ამიტომ ან ერთმანეთს უპირისპირდებიან ან ინდივიდუალური შინაარსს წარმოადგენენ. ზნეობრივი ძალები, ერთის მხრივ, უბრალო ცნობიერებას წარმოადგენს, როგორც თავისთვის, ასევე სხვისთვის ნეიტრალურ სიმშვიდეში არსებობს, რაც სუბსტანციის საკუთარი განსაკუთრებული მხარეების დაშლელი იგივეობრივი არსებობითაა განპირობებული. ცნობიერება არ მოქმედებს და თავისთავს მაყურებლისათვის განკუთვნილ საფუძვლად აცნობიერებს, მოქმედი ინდივიდების ბრძოლას ზნეობრივი ძალების სუბსტანციურ იდეალობას უპირისპირებს. ზნეობრივი ძალები, მეორეს მხრივ, ინდივიდუალური პათოსია, რომელიც ინდივიდების კონფლიქტის ზნეობრივად გამართლებულ მიზეზს წარმოადგენს. ინდივიდი გარკვეული ხასიათით ან უბრალო აბსტაქცია არ არის, მათ შორის არსებულება, თავისთავში კოლიზია არ გააჩნია. აბსოლუტურად განსაზღვრული არსებაა, რომელიც განსაკუთრებულ ზნეობრივ ძალაში განისაზღვრება. აღნიშნული სახის ინდივიდების დაპირისპირება ტრაგიზმის საფუძველია. და ამდენად, ტრაგიკული, ადამიანური მოქმედების შედეგს წარმოადგენს [5, გვ. 561].

კლასიკური ტრაგედია ჰეგელისათვის ცალმხრივია, რომლის ზნეობრივი სუბსტანცია, აუცილებლობა საყოველთაო მნიშვნელობისაა. რომანტიკულმა ტრაგედიამ არსებითი ცვლილებები განიცადა, რომლის შინაარსი ინდივიდის სუბიექტური, შინაგანი ცხოვრებაა, რომელიც მოქმედებას გარეგნული, შემთხვევითი მიზეზის საფუძველზე ახორციელებს, ასევე შემთხვევითობის საშუალებით განსაზღვრავს მთლიანობას, ამიტომ სუბსტანციური მასში თავისთავად გამოირიცხება და ჭეშმარიტი არსებითი შინაარსი მისი მრავალსახეობის და სპეციფიურობის მცირე ნაწილს განმსჭვალავს. მისი მოქმედების სფერო ყოფიერებაა, რომელიც კლასიკური დრამისათვის უცხოა, მასში ის სუბიექტური პრინციპი მოქმედებს, რომელიც ინდივიდის წესსა და მიზანს შეადგენს. სუბიექტურობა თავისთავს ერთადერთი შინაარსის ხარისხში ამკვიდრებს, რაც დანაშაულის საფუძველად დგინდება, რომელსაც იგი (სუბიექტი) თავისთავზე იღებს, როდესაც ან თავისთავად მიზნის ხარისხი არ გააჩნია, ან როდესაც მიზანი სა-

ყოველთაობას აღწევს, ან როდესაც თავისთავში არსებული სუბსტანციური მიზნის სახით ხორციელდება [5, გვ. 574]. ამდენად, რომანტიული ტრაგედიის მნიშვნელოვან მხარეს ინდივიდუალური ხასიათი და კოლოზია წარმოადგენს.

ჰეგელისათვის რომანტიული ტრაგედიის ძირითადი მოტივი სიყვარულის, პატივმოყვარეობის, ეჭვისა და სასოწარკვეთილების უსასრულო ვარიაციებით განისაზღვრება; ამდენად, ინდივიდი სუბსტანციურს ვერ იმეცნებს, თუმცა, რადგან ინდივიდი საკუთარი მოქმედებით რეალური ცალკეულობის წრეში ობიექტივირდება, დაშლილი არსებითი შინაარსის განზომილებაში არსებობს, სუბსტანციურის სრული არ არსებობა მასში (რომანტიულ ტრაგედიაში) გამოირიცხება. ინდივიდის ამოცანა არსებითი შინაარსის განთავისუფლებაა, რომელიც კმნის ისეთ სახეს, რომელშიც თავისთავს ობიექტურად ხედავს და თეორიულად იმეცნებს. ინდივიდის მიზანი, კლასიკური ტრაგიკული ინდივიდებისაგან განსხვავებით, სუბიექტურ ხარისხში საყოველთაოებად იშლება და სამყაროს მდგომარეობის განვითარების ახალი საფეხურის მოახლოებას, ანტიციპაციას და კონცენტრაციას ახდენს. კლასიკურ-ინდივიდუალური განსაზღვრული, ზნეობრივი პათოსი მის გამთავრებულ ბუნებას შეესაბამება, რომელსაც აუცილებლობისაგან განპირობებული კონფლიქტი ზნეობრივ ძალებთან აქვს. რომანტიული ინდივიდი შემთხვევით ურთიერთობებსა და პირობებში მოღვაწიობს, რომელშიც მისი მოქმედება განსაზღვრული არ არის, კონფლიქტი მის მიერვე არის განპირობებული, რომელსაც ვნება განსაზღვრავს. ამდენად, მს სუბიექტური მნიშვნელობა არ გააჩნია და არის ის, რაც არის. მისი გადაწყვეტილების საფუძველი მისივე საკუთარი მოთხოვნაა, რომელსაც გარეგანი ზეგავლენის საფუძველზე იღებს; ამიტომ აქ არჩევანი შემთხვევაზეა დამოკიდებული, ამდენად რომანტიული პოეტიკა კავშირებულია ისეთ კონკრეტულ ინდივიდთან, რომელიც თავისი სუსტი ნების გამო სულმდაბალია, ხასიათის მხოლოდ ფორმალური სიძლიერე გააჩნია, რათა თავისი ინდივიდუალური მოქმედება და მისგან გამოწვეული საზარელი დრამა განახორციელოს [5, გვ. 559]. რომანტიულ ტრაგედიაში ინდივიდუალური ტრაგიზმი მხატვრული დიალექტიკის პრინციპებს ახორციელებს, რომელშიც შინაგანად მყარი და თავისთავში დარწმუნებული ხასიათი უარყოფილია, რადგან ინდივიდუალური მიზანი რეალიზაციის შემთხვევაში, მთლიანობის კანონზომიერი დასასრულის ფორმით, დიალექტიკური განვითარების ხარისხში ადგილს ვერ იკვიდრებს და ცარიელ განუსაზღვრელ ფორმად დგინდება. ამდენად, ინდივიდუალური შინაგანი მდგომარეობის ცვალებადობა, ინდივიდის განვითარებისა და გამჟღავნების აუცილებელი პირობაა.

კლასიკურ ტრაგედიაში — აღნიშნავს ჰეგელი — ზნეობრივი სუბსტანცია ინდივიდუალური მოქმედებისაგან დაცული, გადარჩენილია, რაც ბედისწერის აბსოლუტური ძალის მოქმედებითაა განპირობებული. რომანტიულ ტრაგედიაში სამართლიანობას ან აბსტრაქტული ან ცივი, კრიმინალური ბუნება გააჩნია, რომელშიც დანაშაული ღრმავდება ისეთი ინდივიდის მოქმედების საშუალებით. რომელიც თავისთავს ამკვიდრებს, მაგრამ ტყდება დაპირისპირებული ინდივიდის მოქმედების შედეგად, რაც საკუთარ ბედისწერასთან ინდივიდის შინაგან შერიგებას განპირობებს, რომელიც ან რეალური ხასიათისაა, ან ფორმალური, მიწიერია. როდესაც ინდივიდი, გარემოებებისა და უბედურების მიუხედავად, სიკვდილამდე თავის შინაგან თავისუფლებას ინარჩუნებს, გაცილებით





დიდი შინაარსის მატარებელი ხდება და თავის უბედურებას თავისი უბედურებისაგან შესაბამისად აღიარებს [5, გვ. 580]. რაც შეეხება წმინდა ბოროტებას, ვი არარაა, უშინაარსო ნეგატიური არსია, სიკვდილის სამყაროა, რომელიც სიცოცხლეზე იმარჯვებს, თუმცა ხელოვნების პრინციპების შესაბამისივით, რადგან სამყაროს ისტორიას მსხვერპლად ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე მშვენიერი ეწირება; ამდენად, იგი (ბოროტება) სულის კეთილგონიერებისა და ქვეშაირიტების გამჟღავნების ერთგვარი საშუალებაა.

ჰეგელისათვის აზროვნება არის ღმერთი; სინამდვილე მისი (ღმერთის) რეალიზაციაა, რომელშიც თავისთავს იმეცნებს და თავისთავში ბრუნდება. სინამდვილის ცენტრი ადამიანია, რომელიც აზროვნებს და რომლის გარეშე იგი (ღმერთი) სამყაროში დაუმთავრებელი პირველადი არსის სახით იარსებებდა, არაფერი ეცოდინებოდა თავისთავზე, რადგან აზროვნების პროცესი თვით ქმნადობის პროცესია, რომლის საშუალებით სამყაროში ჯერ არარსებული აზრი იქმნება; ე. ი. აზრი არის ღმერთი, ახალი აზრი მისი (ღმერთის) სიახლეა, მისთვის (ღმერთისათვის) ჯერ უცხო, რომელშიც იგი (ღმერთი) თავისთავს აღმოაჩენს. აღნიშნული პროცესი თავისუფლების საშუალებით ხორციელდება, რომელიც თავისთავად მოცემული არ არის და გარკვეული სახის განვითარების, დიალექტიკური განვითარების შედეგია, რომლის სტრუქტურა თავისუფლებისაკენ უწყვეტი სვლაა; მიზანი უწყვეტი განათვისუფლებაა, რომელიც მისი (ღმერთის) უწყვეტი სხვადასხვის ცალკეულობას თავისთავში აბრუნებს. დიალექტიკა გონის მოძრაობაა, როგორც თავისთავად და თავისთვის, ასევე მის სხვადასხვაში, რომელიც უმაღლესი ერთიანობით მთავრდება. ტრაგიკული მისი შედეგია, რომლის შინაარსი ღმერთში დაბრუნების ან მის მიღმა დარჩენის შესაძლებლობაა; ამდენად, შესაძლებელი კათარზისია, მაგრამ ამასთან ერთად იგი (ტრაგიკული) თვით დიალექტიკაა, რადგან დასაწყისი და დასასრული თავისთავში გააჩნია; აიღენად, მომავალი ცხოვრებაცაა მომავალი სამყარო, მომავალი ღმერთი.

#### ლიტერატურა

1. ჰეგელი, გონის ფილოსოფია. თბ., 1984.
2. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება. თბ., 1962.
3. Гегель, Философия природы, М., 1975.
4. Hegel, Ästhetik. B. 1, B. W., 1955.
5. Hegel, Ästhetik. B. 2, B. W., 1965.

მ. მ. მნათობიშვილი

### ПРОБЛЕМА ТРАГИЧЕСКОГО В ФИЛОСОФИИ ГЕГЕЛЯ

#### Резюме

Диалектика Гегеля есть диалектика духа. Диалектическое развитие на самом деле есть становление свободы или непрерывный путь к свободе. Трагическое обнаруживается в этом фарватере становления свободы, подлинный смысл которого заключается в возможности возвратиться в божественное или же оставаться за его пределами. Лишь постольку содержит оно в себе возможный катарзис.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

## ფსიქოლოგია

### შოთა ნადირაშვილი

#### ადამიანის პრობლემა განწყობის ანთროპოლოგიურ თეორიაში

ფსიქოლოგიაში ადამიანის შესახებ ნათელი და გამოკვეთილი აზრი დღეისათვის არ არსებობს. ფსიქოლოგიის ისტორიაში ადამიანის ადგილი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ადრე, როდესაც არისტოტელეს გავლენით ფსიქოლოგია სულის შესახებ მეცნიერებად ითვლებოდა, ბევრად უფრო ნათელი იყო თუ რა იგულისხმებოდა ადამიანის ცნებაში. ადამიანი იყო სულიერი არსება, რომლის შესწავლა სულის რაობის გარკვევით ხდებოდა. ადამიანის დახასიათება ხდებოდა ასოციაციის კანონებით, მეხსიერებით, ყურადღებისა და ემოციის თავისებურებებით.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დეკარტემ ცნობიერება აღმოაჩინა და იგი გამოყო სიცოცხლისა და სულის ცნებისაგან, ფსიქოლოგიისათვის ადამიანის შესწავლის საკითხი საკმაოდ გართულდა. სულის შესწავლა მეცნიერულად შეუძლებლად გამოცხადდა და ფსიქოლოგია უსავენოდ დარჩა. აღმოჩნდა, რომ მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას, რასაც სულის შემსწავლელ ფსიქოლოგიას უწოდებდნენ, რეალურ სინამდვილეში შესასწავლი საგანი არა ჰქონია. მაგრამ ისიც უზადი გახდა, რომ ადამიანის ცნობიერების პროცესები რეალურად არსებობენ და ისინი შეიძლება მეცნიერული შესწავლის ობიექტად იქცნენ.

ამ პერიოდიდან ყალიბდება ემპირიული ფსიქოლოგია, როგორც ცნობიერების პროცესების შემსწავლელი მეცნიერება. ამ დროისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ ცნობიერების პროცესები, განცდები ისევე რეალურად არსებობენ, როგორც ფიზიკური მოვლენები. ამიტომ მათ შესასწავლად საბუნებისმეტყველო მეთოდები გამოიყენეს. ფიზიკური მეცნიერებათა მიზნებით ფსიქიკაშიც მისი ელემენტების ძიება დაიწყო, რითაც თითქოსდა ფსიქიკა იყო აგებული. ასეთ ფსიქიკურ ატომებად მარტივი შეგრძნებები და გრძნობები იქნა მიჩნეული, რომლებიც ასოციაციური კავშირებით არიან გაერთიანებული. ამგვარად კონსტრუირებულ ფსიქიკურ სინამდვილეში ადამიანს, როგორც ერთ მთლიან რეალობას არავითარი ადგილი აღარ დარჩა.

აღნიშნულმა თვალსაზრისმა ფიზიკური და ფსიქიკური ელემენტების ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტისას ფსიქოლოგია პრინციპული სიძნელეების წინაშე დააყენა. ერთი მხრივ, საჭირო იყო ფსიქიკის თავისებურებათა გათვალისწინება, ფიზიკურისაგან მისი გამოყოფა და დიფერენცირება, მეორე მხრივ, აუცილებელი იყო მათ შორის საერთო ელემენტის მოძებნა, რის საფუძველზეც გასაგები გახდებოდა მათი ურთიერთობა, მათი ურთიერთქმედება.

ფიზიკური მეცნიერება, როგორც ცნობილია, ფიზიკური მოვლენების ერთიანობის იდეაზეა აგებული, რომელშიც ფიზიკური მოვლენები მიზეზშედეგობრივ კავშირებით არიან გაერთიანებული. დადგენილი იყო, რომ ფიზიკურ მოვლენათა მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში რეალიზირდებიან ენერჯისა და მასის



მუდმივობისა და სხვა პრინციპული ფიზიკური კანონები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ბუნებრივი მოვლენების ახსნა.

სინამდვილის ამ მიზეზშედევობრივი კავშირების ჯაჭვში ფსიქიკურის ჩართვა ნიშნავდა ან ფსიქიკურის ფიზიკალიზაციას, ფიზიკურზე დაყვანას, ან მის ეპიფენომენად გამოცხადებას, ფსიქიკურის ფიზიკალიზაციის მიხედვით ფიზიკური მოვლენების ზემოქმედებით ფსიქიკაში შეიძლება მოხდეს ცვლილებები, რომლის დროს ფიზიკური ენერჯია ფსიქიკურ ენერჯიაში გადადის. თუ იმ ხანად ფსიქოლოგიაში არ დასტურდებოდა ფსიქიკური ენერჯიის არსებობა და მისი გაზომვის შესაძლებლობა, ივარაუდებოდა, რომ მომავალში ეს შესაძლებელი გახდებოდა. ამ შეხედულების თანახმად, ფსიქიკა ისეთი ობიექტების გვერდში აღმოჩნდა, როგორებიცაა ელექტრობა, სითბო და სხვა, იგი ფიზიკური მოვლენების ერთ-ერთ სახედ იქნა მიჩნეული. ეს იყო უკიდურესი მექანიციზმი ფსიქოლოგიაში. ამ პრინციპის საფუძველზე იყო აგებული პერბარტის „წარმოდგენების მექანიკა“. მაგრამ ეს თვალსაზრისი ფსიქოლოგიისათვის არაფრის მომცემი იყო და მიუღებელი აღმოჩნდა, მასში სრულიად უგულვებელყოფილი იყო ფსიქიკის თავისებურება.

არც ის თვალსაზრისი შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური მოვლენები, ფიზიკურ მოვლენათა მიზეზშედევობრივ ჯაჭვშია ჩართული, იგი ასახავს სინამდვილეს და გავლენას ახდენს მის მიმდინარეობაზე, მაგრამ ფიზიკურისაგან განსხვავებით, ფსიქიკურს მასა და ენერჯია არ გააჩნია. იგი საერთოდ ფიზიკური მოვლენებისაგან განსხვავებით, რეალობის განსაკუთრებული ფორმით ხასიათდება. ასეთი შეხედულების მიხედვით როდესაც ფიზიკური მოვლენების გავლენით აღმოცენდება ფსიქიკური ან გარკვეული ცვლილებები ჩნდება ფსიქიკაში, გამოვა რომ, ამის გამომწვევი ფიზიკური ენერჯია უკვალოდ იკარგება. ასევე, როდესაც ფსიქიკურის გავლენით ფიზიკურ სინამდვილეში გარკვეული პროცესები აღიძვრებიან, უნდა ვიფიქროთ, რომ ამისათვის საჭირო ენერჯია არაარაობიდან ჩნდება. ეს ვითარება ეწინააღმდეგება იმ ძირითად პოსტულატებსა და დებულებებს, რომელზედაც ბუნებისმეტყველური მეცნიერება იყო აგებული.

აღნიშნული სიძნელის დაძლევისათვის გაჩნდა ერთ-ერთი უკიდურესი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური მოვლენები რეალობას მოკლებულ მოვლენებს, ეპიფენომენებს წარმოადგენენ. ისინი, უბრალოდ, როგორც ჩრდილი, მოჩვენება, თან სდევს ფიზიკურ პროცესებს. მათ ნამდვილი ყოფიერება არ გააჩნიათ. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანის სურვილები, ემოციები, აზრები, ნებელობის დაძაბვა და სხვა ფსიქიკური მოვლენები, ფაქტიურად არავითარ გავლენას არ ახდენენ ადამიანის აქტივობაზე. ადამიანის მოქმედება, მის საფუძველად მდებარე ფიზიოლოგიური, ფიზიკური პროცესებით არის განსაზღვრული, ხოლო თანმხლები ფსიქიკური პროცესები უბრალოდ გამოხატავენ მის საფუძველად მდებარე მატერიალური პროცესების მიმდინარეობას და არაფრთარ რეალურ გავლენას არ ახდენენ მათზე.

ფაქტიურად ასეთივე თვალსაზრისია გატარებული ე. წ. სპირიტუალისტურ შეხედულებაში. მის მიხედვით, პირიქით, რეალობით მხოლოდ სულიერი სინამდვილე და ფსიქიკური პროცესები ხასიათდებიან, ხოლო საგნები და მოვლენები, რომელთა გარემოშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ფაქტიური მოვლენებია. ისინი ფსიქიკური მოვლენების კომბინაციათა საფუძველზე იქმნებიან, ფიზიკური მოვლენები ფსიქიკური მოვლენებისაგან კონსტრუირებულ ქვაბობიექტებს.



წარმოადგენენ და საშუალებას აძლევენ ადამიანებს სინამდვილე საგნობრივი სისტემის სახით წარმოიდგინონ. აქ ფაქტიურად იგივე ეპიფენომენალისტური თვალსაზრისია გატარებული, მაგრამ ამ შემთხვევაში რეალობის ნიშანი სულიერ სფეროს აქვს მინიჭებული, ხოლო საგნობრივ-მატერიალური მოცემულობა ეპიფენომენალურ სინამდვილედ არის გამოცხადებული.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება, პირველი თვალსაზრისის, ფიზიკალისტურ-საგნობრივი პრინციპის საფუძველზე ვითარდებოდა და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ამიტომ ეს თვალსაზრისი თანდათან გავრცელდა ადამიანის და სულიერი მოვლენების შესწავლაზეც, რის გამო ადამიანი საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესასწავლ საგნად იქცა. სულიერისა და ფიზიკურის ერთიანობის სპეციფიკური ასპექტი, ადამიანის სპეციფიკა თანდათან მეცნიერული კვლევის გარეთ დარჩა. ძირითადი ყურადღება ადამიანის ფსიქიკის შესწავლის დროს მისი ელემენტებისა და მათი კავშირების შესწავლაზე გადავიდა. ფსიქოლოგია ფიზიოლოგიურ და ფიზიკალისტურ მეცნიერებად იქცა.

აღნიშნულ თვალსაზრისებში სრულიად დაიშალა და გაქრა ადამიანი, როგორც მთლიანი რეალური არსება. იგი ბუნებისმეტყველურ მეცნიერებაში განხილული იყო როგორც ფიზიკური მოვლენების ერთობლიობა, ხოლო ფსიქოლოგიაში — როგორც ცნობიერების პროცესების ერთობლიობა. ამ შეხედულებათა გაერთიანების საფუძველზე ადამიანი განხილული იყო როგორც ფიზიკური და ბიოლოგიური არსება, რომელიც ფსიქიკური პროცესებით ხასიათდება. ადამიანი გავებული არ იყო, როგორც მთლიანი და ერთიანი რეალური არსება, რომელსაც შეუძლია ვააერთიანოს ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენების რიგები.

ამრიგად, ემპირიულმა ფსიქოლოგიამ დაკარგა ადამიანი, იგი ფსიქიკას, ადამიანის გარეშე ცნობიერების ელემენტების სახით შეისწავლიდა. ემპირიული ფსიქოლოგია ცნობიერებასა და სინამდვილეს შორის ვერავითარ დამაკავშირებელ საშუალებას ვერ ხედავდა. ფსიქოლოგია თავისდა უნებურად უშუალოდ პოსტულატზე დაფუძნებული აღმოჩნდა, რომლის თანახმად ცნობიერების პროცესები ერთმანეთთან და ფიზიკურ პროცესებთან უშუალოდ არიან დაკავშირებული, მათი გამაშუალებელი რგოლის — ადამიანის გარეშე. ამ პოსტულატის მიხედვით, ადამიანის ურთიერთობა სინამდვილესთან შემდგენიარად შეიძლება აღიწეროს: საგნის ზემოქმედება იწვევს ცნობიერების პროცესებს, ისინი თავის მხრივ იწვევენ მოტორული სისტემის ამოქმედებას, რაც სინამდვილის საგნებზე ახდენს გავლენას. ამ პროცესში ფსიქიკური აქტივობა ისეა ჩართული მოვლენათა მიზეზშედგომობრივ ჯაჭვში, რომ არსად არ ჩანს ადამიანი, რომელიც აქტიურ ფსიქიკურ პროცესს ახორციელებს. ამ პროცესში ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენები ერთი რიგის კომპონენტებად არიან განხილული. ფსიქიკური თავის ბუნებით და მოქმედებით ფიზიკურ მოვლენასთან არის მიმსგავსებული, ფიზიკურზეა დაყვანილი.

ემპირიულ ფსიქოლოგიას შემდგომში ხშირად ანალიტიკურ ან ატომისტურ ფსიქოლოგიასაც უწოდებენ. ფსიქიკის პირველად მასალას, რითაც იგი არის აგებული, ელემენტები, ატომები წარმოადგენენ. მისი მთლიანობა მეორადია, ეს მთლიანობა ელემენტების გაერთიანებით იქმნება, ამიტომ ფსიქიკაში არც სულისათვის და არც მთლიანი ადამიანისათვის ადგილი აღარ რჩება. ამის გამო ფსიქოლოგია ფიზიკალისტურ მეცნიერებად იქცა.



ფიზიკალისტური ბუნებით ხასიათდება ყოველგვარი ფიზიკალური და ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიური თეორია. ისინი უშუალოდ პრაქტიკულ საფუძველზე არიან აგებული. მათში ერთ სიბრტყეზეა დალაგებული ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენები. ფიზიკური სტიმულები უშუალოდ იწვევენ შეგრძნებებსა და სხვა ცნობიერების მოვლენებს, სხვადასხვა ფსიქიკური პროცესები უშუალოდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ფსიქიკური პროცესები ასევე უშუალოდ უკავშირდებიან ინდივიდის ქცევას და სინამდვილის საგნებს.

ბევრი ფსიქოლოგიური თეორია, რომლისთვისაც შეუძლებელი იყო ფსიქიკურის დაყვანა ფიზიკურზე, უხეში რედუქციის მიღება, „ფსიქოფიზიკური პარალელიზმის“ თეორიას მიემხრო.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიის მიხედვით, ფიზიკური და ფსიქიკური პროცესები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენათა მიმდინარეობის ჩაქვებს ქმნიან. ყოველი ფიზიკური მოვლენა და პროცესი ისევე ფიზიკური მიზეზით არის განპირობებული. მათგან დამოუკიდებლად ფსიქიკური პროცესებიც, ასევე მიმდინარეობის გარკვეულ მწკრივებს ქმნიან. ამიტომ ფიზიკური მოვლენები ისევე ფიზიკური მიზეზებით უნდა აიხსნას და ფსიქიკური მოვლენები კი ისევე ფსიქიკური ფენომენებით. მაგრამ ეს თვალსაზრისი უდიდესი საიდუმლოების წინაშე აღმოჩნდა. ისემა კითხვა: რითაა გამოწვეული, რომ ფიზიკურ და ფსიქიკურ მოვლენათა მწკრივებს შორის იმთავითვე მოცემული შესატყვისობა და პარალელიზმი არსებობს? რა განპირობებს იმას, რომ ფიზიკურ სტიმულებს ზუსტად შეესატყვისება ფსიქიკური პროცესები? რა არის მიზეზი იმისა, რომ ისინი ქცევაში შეთანხმებული სახით გვეძლევიან? ამაზე ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიას ნათელი პასუხი არა აქვს. მის მიხედვით, ასეთი ურთიერთობა ფიზიკურ და ფსიქიკურ მოვლენებს შორის იმთავითვეა მოცემული, სამყარო გონივრულად არის აგებული.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორია დასრულებული სახით ლაბინცი-მა ჩამოაყალიბა, რომლის შინაარსის ნათელსაყოფად იგი ორი საათის მუშაობის მაგალითს იყენებდა. ორი ერთნაირად მომართული საათი, როდესაც სრულიად ერთნაირად მუშაობს და ერთსა და იმავე დროს გვიჩვენებს, აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს ერთი საათი იყოს მიზეზი მეორე საათის ჩვენებისა. ორივე საათის მუშაობას თავისი მიზეზები აქვს, ისინი უბრალოდ პარალელურად ერთნაირად მუშაობენ. ყოველ მათგანში მიმდინარე პროცესი კანონზომიერებათა თავის რიგს ემორჩილება. დრო ორივესათვის ერთნაირად გადის და მათი ფიზიკური პროცესები დროში ერთნაირად არიან განლაგებული. მათ მოქმედებაში მართალია სრული შესატყვისობა არსებობს, მაგრამ მათ შორის რეალურ ურთიერთზემოქმედებას არა აქვს ადგილი.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმის შემდგომდროინდელი დამცველები ტვინისა და ფსიქიკური პროცესების პარალელიზმის იდეას იცავენ. ისინი ფსიქოლოგიური პროცესების ახსნის და გაგებისათვის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მოქმედ კანონზომიერებებს მიმართავენ, რადგან მათ შორის პარალელური ურთიერთობის არსებობას გულისხმობენ. |

უკანასკნელ ხანებში, სინამდვილის სხვადასხვა სფეროებში იზომორფისტული სისტემის აღმოჩენის შემდეგ, ფსიქოფიზიკური პარალელიზმის მაგიერ ცნობიერებასა და ტვინის ფიზიოლოგიური პროცესების იზომორფიზმის შესახებ ლაპარაკობენ [6, გვ. 185—192], იზომორფიზმის საფუძველზე მართლაც მეცნიერების მრავალი საინტერესო საკითხი გადაიჭრა, მაგ-





რამ ჩვენს სფეროში იგი მაინც ვერ წყვეტს პრობლემას, იგი ვერ გვიჩვენებს იმ როლს, რომელიც ფსიქიკურს შეაქვს ადამიანის აქტივობაში, ადამიანურ რემოს შექმნაში, კულტურის ფორმირებაში.

არც ერთ ამ შეხედულებაში დაძლეული არ არის უშუალოდ პოსტულატი. დანახული არ არის ფსიქიკური ფენომენი, პიროვნული სინამდვილე, რომელიც აშუალებს ცნობიერების მოვლენებს და გარემოსთან მათ ურთიერთობას.

უშუალოდ პოსტულატის საფუძველზეა აღმოცენებული პერბარტის, ვუნდტის, ჯემსის და სხვათა ცნობიერების ფსიქოლოგია, ბიპევიორიზმი, თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგია.

უშუალოდ პოსტულატის დაძლევა გულისხმობს რეალური ადამიანის გათვალისწინებას მისი ფსიქიკური აქტივობის შესწავლის დროს. ამისათვის საჭიროა მონახული იქნეს ადამიანის ის რეალური ფსიქიკური სუბსტრატი, რომელიც ახორციელებს ფსიქიკურ აქტივობას, რომელიც ფიზიკური მოვლენების შუაში დგას, რომლის ფორმირების, მოქმედების კანონზომიერება არ დაიყვანება ფიზიკურ კანონზომიერებაზე. ამ პროცესში იქმნება სუბიექტური და ადამიანური სინამდვილე, რაც ზემოქმედებას ახდენს რეალობაზე.

ფსიქოლოგიაში აქამდე ასეთ ფსიქიკურ არსებად სუბიექტს თვლიდნენ, რომელიც ცნობიერებაზე და თვითცნობიერებაზე დაიყვანება. ასეთად ზოგჯერ ცოცხალი ორგანიზმი ითვლება, რომელიც ფიზიკური ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისეთი რეალობა, რომელსაც შეუძლია ცნობიერებისა და ფიზიკური მოვლენების გაშუალება.

ფსიქოლოგიაში ასეთი გამაშუალებელი პიროვნების შესახებ პირველად ე. შტერნმა ილაპარაკა, ხოლო ფილოსოფიაში ბ. ბოუნმა, ე. მუნიემ და სხვებმა ყურადღება გაამახვილეს პიროვნების, უნიკალური არსების მნიშვნელობაზე კულტურისა და საერთოდ ადამიანური ყოფიერების ფორმირებაში. მაგრამ სამწუხაროდ პერსონალიზმის იდეები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული ფსიქოლოგიაში, რადგან ამ მეცნიერებაში ჯერაც დაძლეული არ არის ემპირისტული ტენდენციები.

ფსიქოლოგიაში ადამიანის გათვალისწინებისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს ადამიანის ისეთი ფსიქოლოგიური ცნება, რომელშიც აისახება ფსიქიკური საქმიანობის მწარმოებელი აქტიური ინსტანცია, რეალური არსება, რომელიც ქმნის ადამიანურ სამყაროს, კულტურას, ნოოსფეროს.

უხნაძის განწყობის თეორიამ ამ ამოცანის გადაწყვეტა შეძლო.

უხნაძემ ექსპერიმენტული და თეორიული მუშაობის საფუძველზე გამოძებნა ადამიანის ისეთი მთლიანი მდგომარეობა, რომელიც ქცევისათვის მის მომზადებას წარმოადგენს. იგი თავისთავში ასახავს ინდივიდის მოთხოვნილებებს, საგნობრივ სინამდვილეს და ამზადებს საჭირო ფსიქოფიზიკურ ძალებს მოქმედებისათვის. ეს მდგომარეობა, ამავე დროს, შეიძლება ცნობიერების ნიშნით არ ხასიათდებოდეს და რეალური ყოფიერება ჰქონდეს. განწყობა ინდივიდის სწორედ ასეთ ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას წარმოადგენს. ქცევის წინ, განწყობაში, სამოქმედლო მომზადებული ადამიანია წარმოდგენილი და ამიტომ შეიძლება გამოვლენოს სტიმულისა და რეაქციის გამაშუალებელ რგოლად. განწყობა აშუალებს საგნის რეალურ ზემოქმედებას ინდივიდზე და ინდივიდის რეალურ ზემოქმედებას საგანზე. მას შეუძლია სპეციფიკური სახით დაუკავშირდეს ცნობიერებასაც და იგაშუალოს მისი ზემოქმედება, როგორც სტიმულთან, ისე ქცევასთან.



აღნიშნულ თავისებურებათა გამო განწყობა უზნაძის მიერ განხილული იყო როგორც ცნობიერებისა და ფიზიკური გარემოს გამაშუალებელი ფენომენი. ფსიქიკური აქტივობის პროცესში იგი შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც ადამიანის სუბიექტის ან პიროვნების რეპრეზენტანტი, წარმომადგენელი, რომელიც არ დაიყვანება არც სტიმულზე, არც ქცევაზე და არც ცნობიერებაზე.

განწყობის ამგვარი გავებით უზნაძემ განწყობის სხვა თეორიების გვერდით შექმნა კიდევ არა ერთი „განწყობის მცირე თეორია“, რომლის ამოცანას განწყობის ილუზიების ახსნა წარმოადგენდა, არამედ დაიწყო განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის ყოველი ფსიქიკური აქტივობის ახსნა და გავება. თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობა, რომელიც უზნაძემ და მისი ზელმძღვანელობით ქართველმა ფსიქოლოგებმა შეასრულეს, ნამდვილად გრანდიოზული იყო. ამავე დროს, განწყობის ფსიქოლოგიის ბოლომდე ჩამოყალიბება და გაშლა შეუძლებელი იყო იმ გარემოში, სადაც ადამიანის შესახებ ბატონობდა მარქსისტული იდეოლოგია. როგორც ცნობილია, ადამიანის ან პიროვნების ცნება არასოდეს შესულა მარქსისტული ფილოსოფიის ძირითად კატეგორიათა სისტემაში. ისეთი კატეგორიების დახმარებით კი როგორებიცაა საგანი, ცნობიერება, საზოგადოებრივი ყოფიერება, მიზეზობრიობა და სხვა შეუძლებელი იყო ადამიანის ბუნების გავება. მარქსისტულ ფილოსოფიაში ადამიანის ბუნება დაყვანილი იყო საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, ცნობიერების პროცესებზე, ბიოლოგიურ სტრუქტურაზე და სხვა მოვლენებზე. ყველა ეს საკითხი წყდებოდა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის იმ მოდელით, რაც მარქსისტულ ფილოსოფიაში იყო გაბატონებული. ყოველივე ეს არ იძლეოდა საშუალებას გარკვეული ყოფილიყო თუ რა პრინციპული და რეალური ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს ადამიანსა და საზოგადოებრივ ყოფიერებას შორის, ადამიანსა და საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის, ადამიანსა და სოციალურ ღირებულებებს შორის და ასე შემდეგ. მარქსისტულ ფილოსოფიაში არსებობდა რამდენიმე არაფრის მთქმელი შრომა ადამიანის როლის შესახებ ისტორიაში, საიდანაც მეცნიერებს ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებები მოჰქონდათ თავისი შრომის შესავალი ნაწილის გასაფარებლად. ასეთი დებულებები კი მხოლოდ ერთგვარი საშვის ფუნქციას ასრულებდა სამეცნიერო ლიტერატურაში შესასვლელად.

ასეთივე მდგომარეობა იყო მარქსისტულ ფსიქოლოგიაშიც. საბჭოთა ფსიქოლოგია ცნობიერების ან ქცევის ფსიქოლოგიაა, სადაც ადამიანი მხოლოდ ნაგულისხმებია. ადამიანი ფაქტობრივად არასოდეს გამხდარა საბჭოთა ფსიქოლოგიის შესასწავლ საგნად.

უზნაძემ განწყობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებით უარყო არა მხოლოდ უშუალოდის ყალბი პოსტულატი, არამედ კიდევ უფრო არსებითი, მიუღებელი პოსტულატი, რაც ინდივიდის ფიქტიურობის პოსტულატის სახით შეიძლება დახასიათდეს. მის შესახებ ფსიქოლოგიაში არც ისე ხშირად არის ლაპარაკი, მაგრამ მის დაძლევის არსებითი მნიშვნელობა აქვს განწყობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისათვის.

ეშპირიულმა ფსიქოლოგიამ სულის ცნებასთან ერთად ადამიანიც გააძევა ფსიქოლოგიიდან. მან ადამიანი განიხილა, როგორც მოაზროვნე მანქანა, რომ-

ლის ცნობიერების პროცესები, ფიზიკური კანონებით არის დეტერმინირებული. ამ იდეის საფუძველზეა აგებული ჰერბარტის ფსიქოლოგია, როგორც მოდერნათა მექანიკა, რომლის მიხედვითაც ადამიანი რთული დეტერმინირებული მანქანაა მხოლოდ. საღი აზრი არასოდეს არ ეგუებოდა ამ შეხედულებას.

საღი აზრის მიხედვით, ფსიქოლოგია ადამიანის ბუნების შემეცნებას ემსახურება. ფსიქოლოგიამ უნდა გაიგოს როგორ ასახავს გარემოს ადამიანი, რა აწუხებს და რა ახარებს მას, რისკენ ისწრაფვის და რას გაურბის იგი, როგორ ახდენს ადამიანი სხვა ადამიანზე გავლენას, რატომ უყვართ ან სძულთ იგი სხვებს, როგორ მართოს ადამიანი თავისი თავი, როგორ გამოავლინოს თავის შესაძლებლობები, შექმნას თავისი შინაგანი უნიკალური სამყარო, რა გზით შეიტანოს ეროვნულ და საკაცობრიო კულტურაში თავისი წვლილი, რა არის და რას ემსახურება იგი. ფსიქოლოგიას ამის გარკვევა ევალებოდა. ასეთი იმედით შეპყრებდნენ ფსიქოლოგიას სხვა მეცნიერებანიც.

მაგრამ სამწუხაროდ, მეცნიერული ფსიქოლოგია თავიდანვე სხვა მიმართულებით განვითარდა. მან მხოლოდ ცნობიერების პროცესები აქცია შესწავლის საგნად, ადამიანი კი ყურადღების გარეშე დარჩა. ცნობიერების ფსიქოლოგიისათვის ადამიანი განხილულ იქნა როგორც ცნობიერების ველი, სადაც გარკვეული განცდები: შემეცნების, ემოციისა და ნებელობის პროცესები მიდიან და მოდიან, ასოციაციის კანონების მიხედვით ცვლიან ერთმანეთს, ადამიანი კი როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი არავითარ მონაწილეობას არ იღებს ამ პროცესში.

ინდივიდის ფიქტიურობის პოსტულატის საფუძველზეა აგებული ბიპვეიორისტული ფსიქოლოგიაც. მან უარი თქვა ადამიანის შინაგანი სამყაროს შესწავლაზე. ბიპვეიორიზმის მიხედვით, ადამიანის გავება უნდა მოხდეს გამღიზიანებელსა და რეაქციას შორის არსებული კანონზომიერებების დადგენით. ასეთი მიდგომა სრულიად ზედმეტს ხდის ადამიანის ფსიქოლოგიურ ცნებას. ბიპვეიორიზმი შეისწავლის ისეთ პროცესებს, რასაც ადამიანი როგორც ბიოლოგიური, ცოცხალი არსება ასრულებს. ასეთი ადამიანი ბიოლოგიური შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, მასში არავითარი ფსიქიკური რეალობა არ მონაწილეობს. ბიპვეიორისტული ფსიქოლოგიაც ინდივიდის ფიქტიურობის პოსტულატზეა აგებული.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას რუსეთში ფართოდ გავრცელებული საქმიანობის ფსიქოლოგიური თეორიის შესახებ, რადგან ამ მიმართულების ერთ-ერთმა ძირითადმა წარმომადგენელმა ა. ლეონტიევმა რუსულ ფსიქოლოგიაში დიდი მუშაობა ჩაატარა უშუალობის პოსტულატის დასაძლევად. მის მუშაობას ამ მიმართულებით სერიოზული შედეგი არ მოყოლია, რადგან უშუალობის პოსტულატის დაძლევა შეუძლებელი იყო თუ დაძლეული არ იქნებოდა პოსტულატების მთელი სისტემა, რომელშიც უშუალობის პოსტულატია გაერთიანებული. ამ პოსტულატების სისტემას, აღნიშნულის გარდა ქმნის ემპირიული, მკვრეტელობის, ინდივიდის ფიქტიურობის, მთლიანობის ინტეგრაციისა და სხვა პოსტულატები. ა. ლეონტიევმა სცადა უშუალობის პოსტულატის დაძლევა ისე, რომ დანარჩენი პოსტულატები ხელუხლებლად დაეტოვებინა. ამას, ცხადია, წარმატება ვერ მოყვებოდა. მან გაიზიარა უზნაძის დებულება, რომ შეუძლებელია ადამიანის რეალური ფსიქოლოგიის აგება თუ დაძლეული არ იქნება უშუალობის პოსტულატი ფსიქოლოგიაში, მაგრამ, მისი აზრით, განწყობის ცნებას არ შეუძლია ამ ამოცანის შესრულება, რადგან იგი განწყობას



სუბიექტურ მოვლენად თვლიდა. მისი აზრით, ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ საქმიანობის ცნებით არის შესაძლებელი.

ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ განწყობა სუბიექტური მდგომარეობა არ არის, როგორც ემპირიული, ექსპერიმენტული და თეორიული მონაცემების საფუძველზე დამტკიცდა, განწყობა სუბიექტის მდგომარეობაა და არა სუბიექტური მდგომარეობა, ა. ლეონტიევი ურევს მათ ერთმანეთში. განწყობა ინდივიდის მდგომარეობაა, რომელიც ობიექტურ ვითარებას ასახავს და ცნობიერების გარეშე შეუძლია არსებობა. იგი ინდივიდში გადმოსული ობიექტური ვითარება და ამიტომ შეუძლია ადამიანის ცნობიერებისა და ქცევის გაშუალება.

გარდა ამისა, უშუალოდ პოსტულატის დაძლევა ნიშნავს არა მხოლოდ საგნისა და ცნობიერების ურთიერთობის გამაშუალებელი რგოლის მოძებნას, არამედ ისეთი მოვლენის მიგნებას, რომელიც გამოდგება გამაშუალებელ რგოლად საგნის შემოქმედებასა და ქცევის შორის, ასევე ცნობიერების სხვადასხვა რიგებს შორის. ასეთ მოვლენების გამაშუალებლად ცხადია საქმიანობა ვერ გამოდგება, რადგან საგნის შემოქმედება და მის საფუძველზე აღმოცენებული საქმიანობა თვითონ მოთხოვენ გამაშუალებელ რგოლს. ასევე, ცნობიერებას უშუალოდ არ შეუძლია ადამიანის საქმიანობის აღმოცენება, საჭიროა მოინახოს მათი გამაშუალებელი რგოლი. მათი გაშუალება, ცხადია, იმავე საქმიანობას არ შეუძლია.

მაგრამ მთავარი, რისი აღნიშვნაც ჩვენ გვინდა, ის არის, რომ ა. ლეონტიევმა ვერ მოახერხა უშუალოდ პოსტულატის დაძლევა, რადგან მისი საქმიანობის თეორია ინდივიდის ფიქტიურობის პოსტულატის საფუძველზე დგას. მისი აზრით, საგნის შემოქმედება და ცნობიერების პროცესები საქმიანობით არის გაშუალებული, მაგრამ მის თეორიაში სრულიად არ ჩანს საქმიანობის განმახორციელებელი ინდივიდი. პიროვნება, მისი აზრით, საქმიანობის საფუძველზე აღმოცენებული ცნობიერების პროცესებიდან გამოეყოფა და იქმნება ასახული საგნობრივი სინამდვილე და ინდივიდი სუბიექტად იქცევა. ამიტომ ცხადია, ფსიქოლოგიური ინდივიდი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტანცია ვერ იქნება, იგი ფიქციაა. ინდივიდის შესახებ წარმოდგენა ობიექტურად შიშიდინარე საქმიანობიდან აღმოცენდება და იქმნება. ა. ლეონტიევისათვის საქმიანობა ინდივიდისა და ცნობიერების გაჩენამდე არსებული პროცესია, ამიტომ იგი ფაქტობრივად ფსიქოლოგიური კატეგორიის მოვლენა არც არის, ამაზე სრულიად ნათლად მისი კოლეგებიც მიუთითებდნენ მაგალითად, ბ. ლომოვი. საქმიანობაში ორგანიზმზე სინამდვილის შემოქმედების შედეგად აღძრული მატერიალური და ბიოლოგიური პროცესები იგულისხმება, რაც ცხადია ვერ ჩაითვლება აქტივობის განმახორციელებელ ინდივიდად, რომელიც წარმართავს საქმიანობას. ინდივიდი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ლეონტიევისათვისაც ფიქციად დარჩა.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაძლეული ყოფილიყო ინდივიდის ფიქტიურობის პოსტულატი.

ექსპერიმენტული მონაცემებით დადგინდა, რომ როდესაც ადამიანი ქცევის წინ განწყობილია, მომზადებულია საჭირო მიზანშეწონილი ქცევის შესასრულებლად, იგი, ამ დროს, წარმოადგენს რეალურ ფსიქოლოგიურ ინდივიდს, რომელიც ფსიქიკურ აქტივობას ასრულებს.

განწყობის თეორია შესაძლებლობას იძლევა ფსიქიკური აქტივობის, ყველაზე უფრო ღრმად და დონეზე შესრულებული აქტივობა განხილული იყოს, როგორც ინდივიდის სუბიექტის, პიროვნების ან უნიკუმის მიერ შესრულებული ფსიქიკური საქმიანობა, რასაც რეალური ადამიანი ახორციელებს და არა ფიქტიური ინსტანცია, როგორც ეს აქამდე გაბატონებულ ემპირისტულ ფსიქოლოგიაში იგულისხმებოდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობის ცნების დახმარებით უზნადის მიერ ფსიქოლოგიაში კვლავ შემოყვანილი იქნა ადამიანი, როგორც რეალური ფსიქიკური აქტივობის განმახორციელებელი ინსტანცია, რომელიც ემპირიული ფსიქოლოგიის მიერ გაძევებული იყო ფსიქოლოგიიდან. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის გავლენით, ფსიქოლოგია ისევ იქცა ადამიანისა და მისი აქტივობის შემსწავლელ მეცნიერებად.

აქტივობის წინ გარკვეული ქცევისათვის განწყობილი, გარკვეული მიმართულების ქცევისათვის მომზადებული ადამიანი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ინდივიდს, სუბიექტს ან პიროვნებას, რომელიც ახორციელებს საჭირო ქცევას. მასში იგულისხმება არა მხოლოდ კუნთოვანი, ნერვული, საჭმლის მომნელებელი, ლიმფური და სხვა სისტემების მქონე ბიოლოგიური არსება ან ცნობიერების პროცესების გარკვეული ერთობლიობა, არამედ კონკრეტული, საჭირო ქცევისათვის მომზადებული აქტიური არსება, რომელსაც განწყობისივლიად გათვალისწინებული აქვს მოთხოვნილება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს, გარემო, სადაც უნდა მოხდეს მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ის ფსიქოლოგიური ძალები და ოპერატიული შესაძლებლობები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ქცევის განხორციელების დროს.

როგორც ვხედავთ, განწყობის თეორიაში პრინციპულად გააწეკდა გამაშუალებელი რგოლის, ადამიანის შემოყვანის საკითხი. მაგრამ ისიც უნდა ითქვას რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი.

ახლა გვინდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ის არსება, რომელიც უზნაძემ შემოიყვანა განწყობის ფსიქოლოგიაში. ვინ არის განწყობის ფსიქოლოგიაში შემოსული ადამიანი? რა ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე დგას იგი?

ამ საკითხების გარკვევის დროს ბევრად უფრო ძნელ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გვეგონა. იმისათვის, რომ გაირკვეს თუ ვინ არის ის ადამიანი, ვინც უზნაძემ ფსიქოლოგიაში შემოიყვანა, განწყობის თეორიის ანთროპოლოგიური თვალსაზრისით განხილვაა საჭირო. შევეცდებით იმის გარკვევას თუ ადამიანის რა გაგებაა ნაულისხმები განწყობის უზნადისეული თეორიაში.

საქმის ვითარებას ერთგვარად ის ართულებს, რომ განწყობის თეორია ჯერ კიდევ უზნაძის მოღვაწეობის პერიოდში განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მასში ადამიანის სხვადასხვაგვარი გაგება იგულისხმებოდა.

უზნაძის მიერ განწყობის ცნების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე განწყობა ადამიანში ბიოსფეროს ერთიანობის გამომხატველი იყო. მაშინ განწყობის ცნებით ფსიქიკურის მიღმა მდებარე, არაფსიქიკური სინამდვილის დახასიათება იყო ნაცადი. მასში სიცოცხლის ძირითადი კანონზომიერებანი იყო ასახული, რაც სიცოცხლის შენარჩუნებისა და სინამდვილესთან შეგუების ამოცანებს ემ-





სახურება. მასში საზოგადოდ ბიოსფეროს თავისებურებანი იყო ასახული და ამიტომ სპეციფიკური ადამიანური ბუნების გარკვევისათვის არ იძლეოდა საკმარის ინფორმაციას. განწყობის ცნებაში მაშინ ადამიანის არსი სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი. ადამიანი მაშინ ამ სასიცოცხლო კანონზომიერებათა საფუძველზე დაყრდნობილ ცნობიერების მონაცემთა ერთობლიობის სახით იყო განხილული. განწყობა, ცნობიერების პროცესების სხვა ფენომენებთან ერთად ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების მახასიათებლად იყო მიჩნეული, ადამიანის როგორც ფსიქიკური არსების გაუთვალისწინებლად; ეს შეხედულებები უზნაძემ ჩამოაყალიბა თავის მონოგრაფიაში „ფსიქოლოგიის პრინციპული საფუძველები“. იქ ჯერ კიდევ არ არის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია. განწყობა ყოველი ქცევის საფუძველად მდებარე ფსიქიკურ ფენომენად არ არის მიჩნეული. იგი ზოგად სასიცოცხლო ორიენტაციის გამოხატევას ემსახურება.

შემდგომში განწყობის საკითხების სისტემატიური თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე უზნაძემ დაიწყო განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბება. ეს პროცესი ორ ეტაპად უნდა დაიყოს. პირველი ეტაპი დასრულდა განწყობის თეორიით, რომელიც მან „ზოგად ფსიქოლოგიაში“ დააღვა. ეს წიგნი 1940 წელს გამოვიდა. აქ უზნაძეს ჯერ კიდევ არა აქვს ერთმანეთისაგან გამოყოფილი ფსიქიკური აქტივობის ორი დონე. მის მიერ ფსიქიკური პროცესები აქ ერთ დონეზე განიხილება, დაწყებული ემოციებიდან, დამთავრებული წარმოსახვით. ადამიანის ქცევა და მასში ჩართული ცნობიერების პროცესები გარკვეული განწყობის საფუძველზე მიმდინარე ფენომენების სახით არის განხილული. ქცევის საგნობრივი მნიშვნელობა, მიმდინარეობა და მიზანშეწონილი გამოყენება განწყობის საფუძველზეა გაგებული. განწყობის ამ თეორიის მიხედვით განწყობა, როგორც პრინციპულად, ასევე რეალურადაც, წინ უსწრებს, განსაზღვრავს და საფუძველად ედება ყოველგვარ ცნობიერების პროცესსა და ქცევას. თუმცა ერთ გამოჩაყლის მანც ჰქონდა ადგილი. აქტივობის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ თავში, იმპულსურ ქცევასთან დაპირისპირებით ნებელობითი ქცევის განხორციელების დროს უზნაძე ლაბარაკობს ნებისმიერი ქცევის განწყობაზე. მისი აღმოცენების ფაქტორებად მას ფსიქიკის გარეთ არსებულ მოვლენებთან (მოთხოვნილება, სიტუაცია, ოპერატიული შესაძლებლობა) ერთად თვითონ ცნობიერების ფაქტი, მოტივი მიაჩნია. ნებელობითი ქცევის განწყობისათვის ცნობიერების პროცესი იქცა ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად და ამავე დროს მის ერთ-ერთ კომპონენტად.

აქამდე განწყობა თუ ყოველთვის იყო ცნობიერებისა და ფსიქიკური აქტივობის წინმსწრები განმსაზღვრელი და წარმმართველი მოვლენა, ახლა განხილულია ისეთი განწყობა, რომლის ფორმირებისათვის თვითონ ცნობიერება ასრულებს გარკვეულ როლს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უზნაძე განწყობის ზოგადი დახასიათების დროს ისევ განწყობის მხოლოდ ორი ფაქტორის შესახებ ლაბარაკობდა. ამ ეტაპზე მას არ გაუფართოებია განწყობის ორფაქტორიანი თეორია, მისთვის განწყობა მოთხოვნილებისა და საგნობრივი გარემოს ერთობლივი ზემოქმედების შედეგად აღმოცენებულ მოვლენად დარჩა.

შემდგომში უზნაძემ ფსიქოლოგიაში ობიექტივაციის აქტის ცნება შემოიტანა, რამაც მოითხოვა განწყობის სტრუქტურის შეცვლა და ადამიანის ფსიქიკის გაგების გაღრმავება. განწყობის თეორიის განვითარების ეს მეორე ეტაპი

განზოგადებულია მის მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელიც 1949 წელს გამოვიდა.

სანამ ამ ეტაპის თავისებურებაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ თუ ადამიანის რა გავება ივლისსხმება განწყობის თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე.

როგორც აღნიშნული იყო, ადრე განწყობა განხილული იყო, როგორც ადამიანის ბუნების გამომხატველი ფსიქიკური შინაარსი, სინამდვილე რომელიც აშუალებს ცნობიერებასა და ქცევას, უფრო ზოგადად კი ფიზიკური მოვლენების ურთიერთობას, რაც ადამიანზე გავლის გზით ხორციელდება. ამ პროცესში ადამიანის აქტიური მონაწილეობით იქმნება ადამიანური ყოფიერება, მატერიალური და სულიერი კულტურა. ვინ არის, როგორია ეს კულტურის შემქმნელი ადამიანი?

უზნაძის „ზოგად ფსიქოლოგიაში“ არის სპეციალური თავი „განწყობის ფსიქოლოგია“, სადაც გაცემულია პასუხი ამ კითხვაზე: ქცევის განმახორციელებელი ადამიანის „მოთიანპიროვნული“ შინაარსის დახასიათებისათვის უზნაძეს გამოყენებული აქვს ცნებათა გარკვეული სისტემა, რომლებიც განწყობის ცნების გარშემო ერთიანდებიან.

აქ გამოყენებული განწყობის ცნება შემდგომი შინაარსით ხასიათდება: იგი ასახავს „ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურზე“ მყოფი ცოცხალი ორგანიზმის მდგომარეობას, „რომლის გარეშეც ორგანიზმის მოქმედების გავება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა“.

ამ სპეციფიკური თავისებურების გავებისათვის საჭიროა მისი ძირითადი შინაარსის ნიშნების დახასიათება. ეს ნიშნებია: მიზანშეწონილი ქცევა და მოთხოვნილება. ეს გამოარჩევს ცოცხალ ორგანიზმს სინამდვილის სხვა მოვლენებისაგან. მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება კიდევ სხვა ვითარებების დახასიათებას საჭიროებს.

სათანდო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მოთხოვნილებასა და მიზანშეწონილებას შორის შინაგანი კავშირი არსებობს: „მიზანშეწონილ ქცევას მოთხოვნილების ფაქტი უდევს საფუძვლად“. ქცევის აქტს იმიტომ მიმართავს ორგანიზმი, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ისეთი ქცევა, რომელიც ამ ამოცანას შეასრულებს — მიზანშეწონილ ქცევად ითვლება. მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი მაშინ მოხდება, როდესაც მიზანშეწონილი ქცევის გამოყენებით ორგანიზმი გარემოში მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგანს მონახავს და გამოიყენებს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ტენდენცია ორგანიზმს ქცევის აქტებს ახორციელებინებს, რომლის პროცესში იგი ინდივიდალ იქცევა, ხოლო მასზე ზემოქმედი გარესინამდვილე მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია ხდება.

ამრიგად, ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკური მდგომარეობის გარკვევისათვის უნდა გამოვიყენოთ მისი ისეთი არსებითი მახასიათებლები, როგორებიცაა: მოთხოვნილების მქონე ინდივიდი, მიზანშეწონილი ქცევის განმახორციელებელი ინდივიდი, ქცევის სიტუაცია.

შემდგომი ანალიზის საფუძველზე უზნაძე გვიჩვენებს, რომ სინამდვილესთან ურთიერთობაში ინდივიდი გარემოს ზემოქმედებას როგორც მთლიანი არსება განიცდის. ამიტომ მოთხოვნილების მქონე ეს მთლიანი ინდივიდი საჭირო

სიტუაციის ზემოქმედებას, როგორც მთლიანი ორგანიზმი იღებს. აპიტომ ის ცვლილება, რაც მასში ხდება „მხოლოდ მთლიანობითი ხასიათისა შეიძლება იყოს“. ეს მთლიანი ხასიათის ცვლილება მისი „მოთხოვნილების“ და ამ მოთხოვნილების შესატყვისი სიტუაციის შესატყვისია. როგორც იმოქმედებს მოცემულ სიტუაციაში ინდივიდი ეს უკვე მანამ არის გარკვეული სანამ მოქმედება დაიწყებოდეს. ეს ბაღებს ინდივიდში წინასწარ მიღრეკილებას, იგი ინდივიდის „გარკვეული მოქმედების ტენდენციაა“.

ინდივიდის ასეთ მთლიან მოდიფიკაციას განწყობა წარმოადგენს. მომავალი „მიზანშეწონილი ქცევა უკვე წინასწარაა მასში განსაზღვრული“. განწყობა როგორც სპეციფიკური მდგომარეობა დინამიკური სახის მოვლენაა, რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა პოვოს, ადამიანის ყოველი ქცევა „ამა თუ იმ განწყობის რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს“.

მექანიციზმისა და ვიტალიზმის ორწევრიანი ფორმულები „გარემო — ქცევა“ ან „ენტელექია — ქცევა“ უნდა შეიცვალოს სამწევრიანი ურთიერთობით „გარემო — სუბიექტი (განწყობა) — ქცევა“. განწყობა, როგორც ადამიანის ფსიქიკური წარმომადგენელი აშუალებს გარემოსა და ქცევის ურთიერთობას.

უზნაძის მიერ ამგვარად არის დახასიათებული საგნებისა და ქცევის გამაშუალებელი განწყობა, რომელშიც ადამიანის ბუნება და სტრუქტურა არის გამოხატული. ასეთია პრინციპულად, განწყობის შინაარსი, მაგრამ, ცხადია, აქ ადამიანის ზოგადი, სასიცოცხლო ასპექტია წარმოდგენილი. ეს საკმარისი იყო, რომ ფსიქიკურ აქტივობაში ადამიანი ყოფილიყო შემოყვანილი. აქ წარმოდგენილია ადამიანი, რომელიც თავის სასიცოცხლო ამოცანებს ასრულებს. თვითონ უზნაძე გრძნობს, რომ აღნიშნული ასპექტის შემოტანით ადამიანი მთელი თავისი ფსიქოლოგიური შინაარსით არ არის წარმოდგენილი. აქ ადამიანი ძირითადად ბიოლოგიური არსებაა მხოლოდ. ადამიანის სპეციფიკაზე მითითების მიზნით, უზნაძემ ამ თავში საგანგებო პარაგრაფი გამოყო, „განწყობა და ადამიანი“. აქ მან დამატებითი ცნობები მოგვცა ადამიანის არსის შესახებ.

მისი აზრით, „ადამიანის ქცევასაც მოთხოვნილება უდევს საფუძვლად“. ამ თვალსაზრისით ცხოველსა და ადამიანს შორის განსხვავება მართლაც არაფერია. მაგრამ ადამიანი ისტორიული არსებაა, მისი მოთხოვნილებები ცვლილებას განიცდიან და, ამავე დროს, მას ახალი მოთხოვნილებებიც უჩნდება. ამის გამო, მისი მოთხოვნილებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. იმისათვის, რომ რომელიმე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს, მან უნდა გააცნობიეროს რა შედეგი მოყვება მის ქცევას.

ცნობიერება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს „აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის ზეგავლენით აღმოცენებულ განწყობას, რეალური ქცევის ნაცვლად, წარმოსახული ქცევის სახით მისცეს გამოვლენა და ამდენად აქტუალური განწყობის მონობისაგან თავი გაითავისუფლოს“.

ქცევის შედეგის გაცნობიერებით ადამიანი არკვევს თუ რამდენად მისაღებია მისთვის ამ ქცევის რეალური განხორციელება — „შესაძლო ქცევის ღირებულებების გაცნობიერების მიხედვით, სუბიექტს მისი შესრულების თუ შესრულებლობის განწყობა უჩნდება და ასე ხდება, რომ სუბიექტი გარკვეული ქცევის აქტს მიმართავს“.

ბოლოს და ბოლოს, ადამიანის თავისებურებას არსობრივად ის განსაზღვრავს, რომ იგი არ ემორჩილება აქტუალურ განწყობას, როგორც ამას ადგი-

ლი აქვს ცხოველის შემთხვევაში. იგი წინასწარ აცნობიერებს თავისი აქტუალური განწყობის შესატყვისი ქცევის შედეგებს და იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მისაღები იქნება იგი მისთვის, ადამიანი განაზოროციელბს ქცევას.

უზნაძის მიერ განწყობის ადრე დახასიათებული შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით ვიცით, რომ იგი ორფაქტორიან ფსიქიკურ მოვლენას წარმოადგენს. მასში ადამიანი ვაგებულაია, როგორც ვარკვეული მოთხოვნილებების მქონე არსება, რომელიც აქტივობისათვის ვარემოს თავისებურებათა ასახვისა და ვათვალისწინების საფუძველზე მოიმართება.

იგი ამ ფაქტორების ვავლენით აზოროციელბს მიზანშეწონილ ქცევას. ამ ორივეტაციის მიხედვით ადამიანი ბიოლოგიურ არსებად არის წარმოდგენილი და სასიცოცხლო ამოცანებს ასრულბებს.

ადამიანის სპეციფიკის ვათვალისწინების შემდეგ უზნაძეს არსებითი ცვლილება არ შეუტანია ვანწყობის სტრუქტურის, მოქმედებისა და ფუნქციის ვაგებაში. მისი აზრით, ადამიანის ფსიქიკაში მომხდარი ცვლილება იმაში ვამოიხატება, რომ მკვეთრად იზრდება მოთხოვნილებათა წრე, რომელიც მან უნდა დაიკმაყოფილოს. ეს ადამიანს აიძულებს ანგარიში ვაუწიოს და ვააცნობიეროს სხვა მოთხოვნილებებიც, რომლებიც იღვიძებენ, კონფლიქტში მოდიან და აფერხებენ აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, შესატყვისი ვანწყობის რეალიზაციას.

მოთხოვნილებათა შეცვლისა და დიფერენციაციის ვარდა, უზნაძე ადამიანის დონეზე სრულიად ახალი თვისობრიობის მქონე მოთხოვნილებათა ფორმირებაზე ლაპარაკობს. ასეთებად იგი მორალურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს თვლის. უზნაძისათვის ისინიც მოთხოვნილებებია, ამიტომ მათ საფუძველზე აღმოცენებული ვანწყობა და ქცევა იმავე სტრუქტურით ხასიათდება, რითაც ცხოველებისა და ადამიანის იმპულსური ვანწყობა.

მაგრამ მათი ფუნქციისა და მოქმედების ზერელე ანალიზიც საკმარისია იმის დასანახად, რომ ისინი სულ სხვა ბუნების მოვლენებია, ვიდრე მოთხოვნილებები.

მოთხოვნილებები, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის შენარჩუნებას ემსახურებიან. თავისი სასიცოცხლო მდგომარეობის შესანარჩუნებად ორგანიზმები მუდმივ აქტივობაში არიან. ნორმალური მდგომარეობიდან ვადახრა, ვარკვეული ნივთიერების დანაკლისი, რის ვარეშეც შეუძლებელია სიცოცხლის ვაგარძელება, ორგანიზმის მიერ მოთხოვნილებად ვანიცდება და ეს აიძულებს მას მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის იაქტივოს.

მოთხოვნილება, როგორც სამართლიანად ამბობენ, ავტონომიურობისა და დომინანტობის ტენდენციებით ხასიათდება. იგი ინდივიდის აქტივობის ცენტრში დგება და მთელი მისი ძალები ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებიან. მაშინაც როდესაც მოცემულ მომენტში ორი ან რამდენიმე მოთხოვნილება აქტივირდება, ამ დროსაც რომელიმე მათგანმა უნდა დაიკაოს ვაბატონებული მდგომარეობა. კონფლიქტის შემთხვევაში მისი დაკმაყოფილების შემდეგ მეორის დაკმაყოფილება ხდება და ასე შემდეგ.

სულ სხვა მდგომარეობასთან ვვაქვს საქმე მორალურ, ესთეტიკურ და სხვა „მაღალ მოთხოვნილებათა“ დაკმაყოფილების შემთხვევაში. ისინი ადამიანის აქტივობის სულ სხვა სახის ტენდენციებს ვანეკუთვნებიან, ეს სრულიად ნათლად ჩანს თვითონ უზნაძის მიერ ვანხილულ მაგალითებშიც. „მშვიერი ადვილად დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას, რომ მას ნება მიეცა თავისი



თავისათვის, თავისი ამხანაგის ულუფა ქურდულად ან ძალით <sup>ერყენული</sup> მიფთვინება-  
ნა“. შიმშილისა და მოცემული სიტუაციის ნიადაგზე ადამიანს გარკვეული ქცე-  
ვის განწყობა უჩნდება, მაგრამ სანამ ეს უკანასკნელი ქცევაში გადაიდოდეს,  
მისი მეორე მოთხოვნილება — მორალური მოთხოვნილება — იღვიძებს და  
აღნიშნული განწყობის ქცევაში გადასვლას აფერხებს“. „შესაძლო ქცევის ღი-  
რებულების გაცნობიერების მიხედვით, სუბიექტს მისი შესრულებები თუ შეუ-  
სრულებლობის განწყობა უჩნდება“.

ამ მაგალითის ანალიზიდან ჩანს, რომ „მორალური მოთხოვნილება“ რო-  
მელიმე კონკრეტული, ავტონომიური ქცევის და მისი შესატყვისი განწყობის  
აღმოცენებას არ ედება საფუძვლად. მორალური მოთხოვნილება კმაყოფილ-  
დება იმ შემთხვევაში, თუ ნაქურდალი ულუფით შიმშილის დაკმაყოფილება არ  
მოხდება. „მორალური მოთხოვნილება“ იმ შემთხვევაშიც შეიძლება დაკმაყო-  
ფილდეს თუ იგი შეაფერხებს ჭამის, სმის, ჩაცმა-დახურვის, მოხმარების, და  
სხვა ფორმის ქცევებს, როდესაც ისინი ადამიანის მიერ შეწყნარებულ მორა-  
ლურ მოთხოვნებს არ შეესატყვისება. იგი გარკვეული საგნების მოპოვებას,  
დანაკლისის შევსებას კი არ ემსახურება, არამედ ზღვარს უდებს, აფერხებს  
ყოველი სახის არამორალურ ქცევას. ამიტომ სწორი არ იქნებოდა გეგეიქრა,  
რომ ჭამით შიმშილის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამორალურ ქცევა-  
ზე უარის თქმით მორალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთი და იმა-  
ვე სტრუქტურის და ბუნების ფსიქოლოგიური აქტივობაა. მაგრამ რით გან-  
სხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, იმ განწყობებით, რომელთა საფუძველზე  
ისინი ხორციელდება თუ სხვა დამატებითი მექანიზმებით? უნდა ითქვას, რომ  
უზნაძეს ეს საკითხი იმ დროს ბოლომდე არც ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ სა-  
კითხის გადაწყვეტა მან შემდგომში სცადა ობიექტივაციის ცნებისა და მასთან  
დაკავშირებული პროცესების საფუძველზე. მაგრამ თუ კარგად ჩაუვკვირდე-  
ბით, ნათელი გახდება, რომ მშინ უზნაძე არ ასხვავებდა ერთმანეთისაგან გან-  
წყობათა ფორმებს, რომლებიც საფუძველად ედებიან იმპულსურ და მორალურ  
ქცევებს.

უზნაძის აზრით, ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ მას  
ცნობიერება აქვს და მისი ქცევის განწყობა პირდაპირ არ გადადის ქცევაში,  
მის ცნობიერებაში იკვლევს ვზას და თავის რეალიზაციას აქ პოულობს. შე-  
საძლო ქცევის ღირებულებას გაცნობიერების შემდგომ თუ ადამიანი არამო-  
რალურად ჩათვლის, ამ განწყობით არ მოქმედებს, ხოლო თუ მორალურად მი-  
საღებად ჩათვლის, ამ განწყობით იმოქმედებს. სპეციფიკური ადამიანური აქ-  
ტივობა აქ იმაში გამოიხატება, რომ იგი ან აჩერებს მორალურად მიუღებელ  
ქცევის განწყობის მოქმედებას ან არ აფერხებს აღნიშნული განწყობის მოქმე-  
დებას, მის შესატყვისს ქცევას.

ამ ვითარებიდან ნათლად ჩანს, რომ განწყობა ადამიანის აქტივობის დო-  
ნეზე, რომელიც აშუალებს საგნობრივ ზემოქმედებას და ადამიანის ქცევას,  
არაფერს შეიცავს ისეთ სპეციფიკურს, რაც მას განასხვავებდა ცხოველის აქტი-  
ვობის განწყობისაგან. ორივე განწყობა ორი ფაქტორის გავლენით აღმო-  
ცენდება და ორი კომპონენტისაგან შედგება. მასში ასახულია ინდივიდის მო-  
თხოვნილება და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნობრივი გარემო.

მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება იმის მხედველობიდან გაშვება, რომ  
უზნაძის აზრით, ადამიანური აქტივობის დონეზე, ადამიანს აქვს თავისი გან-



წყობებისა და მისი შესატყვისი შესაძლო ქცევების კონტროლის უნარი ზოგიერთი განწყობის მოქმედებას აჩერებს, რადგან მორალურად მიუღებელ ქცევას აღძრავს, ხოლო მორალურად მისაღები ქცევის განწყობას არ უპირისპირდება და შეუფერხებლად ხორციელდება მისი შესატყვისი ქცევა. ასეთი კონტროლი ცნობიერების დახმარებით ხორციელდება. უზნაძე წერს: „ადამიანის სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ცხოველისაგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრებაში ცნობიერება (ხანჯასმა უზნაძისაა) ასრულებს. იგი აქტუალური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებულ განწყობას არ ემორჩილება, როგორც ამას ცხოველის შემთხვევაში აქვს ადგილი. იგი წინასწარ აცნობიერებს თავის ქცევას და ამა თუ იმ აქტს მხოლოდ იმის შემდეგ მიმართავს, თუ რას მიიღებს ამ გაცნობიერების შემდეგ“.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, უზნაძემ განწყობის ცნებით ფსიქოლოგიაში ადამიანი შემოიყვანა, რომელიც აშუალებს საგნობრივ სინამდვილესა და მის აქტივობას. მაგრამ განწყობის ცნების ის შინაარსი, რომელიც თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე განისაზღვრა, საკმარისი არ აღმოჩნდა ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკურობის დასახასიათებლად. უზნაძემ მაშინ ადამიანის სპეციფიკა განწყობის გარეშე ადამიანის ცნობიერებაში დაინახა. ცნობიერების დახმარებით ადამიანი ახერხებს მისთვის მიუღებელი განწყობის მოქმედების შეჩერებას და ისეთ განწყობას აძლევს მოქმედების საშუალებას, რაც მის მორალურ მოთხოვნებთან არ მოდის წინააღმდეგობაში.

საფიქრებელია, რომ უზნაძე თვითონაც კარგად გრძნობდა ამ შეხედულების შეუსატყვისობას განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასთან. ამიტომ იყო, რომ მან განწყობის ცნება უკვე ისეთ კონტექსტში განიხილა, სადაც ცნობიერების გავლენით ქცევის მიუღებლობა-მისაღებლობის საკითხი წყდება. იგი წერს: „შესაძლებელი ქცევის ღირებულების გაცნობიერების მიხედვით, სუბიექტს მისი შესრულების თუ შეუსრულებლობის განწყობა უჩნდება“. აქ მართლაც ადამიანის აქტივობის სპეციფიკურობაა მითითებული, მაგრამ ამ კონტექსტში გამოყენებული განწყობის ცნებას არაფერი აქვს საერთო განწყობის იმ შინაარსთან, რაც უზნაძემ ადრე ნათლად დაახასიათა.

განწყობა, მანამდე, სრულიად სამართლიანად, ქცევისათვის მზაობად იყო მიჩნეული, რომელშიც მოცემული იყო ის ფსიქოლოგიური პირობები, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო ქცევა. მასში განსაზღვრული იყო თუ რა მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს, რა საგნები და მოვლენები უნდა ჩაირთოს ქცევაში და რა ფსიქიკური ძალები უნდა იყოს ამისთვის გამოყენებული.

მოცემულ ვითარებაში კი განწყობა დახასიათდა, როგორც ცნობიერების რაღაც მექანიზმი, რომელიც ქცევის აქტუალური განწყობის მოქმედებას შეაჩერებს ან ნებას დართავს იმოქმედოს მისთვის შესატყვისი მიმართულებით.

ამ შეხედულების მიხედვით, ადამიანისა და ცხოველის განწყობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, არამედ მის გარეთ არსებული ცნობიერების პროცესებით, რომლებიც მათ განსხვავებულად მოიხმარენ. ადამიანის ცნობიერება იმორჩილებს და აკონტროლებს განწყობის მოქმედებას. იგი ქმნის პირობებს იმისა, შესრულდეს თუ არა ქცევა აქტუალური განწყობის საფუძველზე. ამ პირობის შექმნაც უზნაძის მიერ რა-



ტომლაც განწყობის ფორმირებად არის მიჩნეული, რაც სრულიად უფრო მეტად განწყობის ცნებაში. ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ საკითხის დადებითად გადაჭრის დროს ჩვენ გაურკვეველ და უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. ამ შემთხვევაში ადამიანს ექმნება იმის ახალი განწყობა, რომ იმოქმედოს თავისი აქტუალური განწყობით, ე. ი. თუ ადამიანი ცნობიერების გავლენით თავისი აქტუალური განწყობით მოქმედებას მისაღებად ჩააუვლის, ამ შემთხვევაში მას გაუჩნდება განწყობა იმოქმედოს თავისი აქტუალური განწყობით. ეს დებულება ცხადია ვერ დაამყენებს განწყობის თეორიას.

ასეთ რთულ და უხერხულ ვითარებაში, ცხადია შემთხვევით არ აღმოვჩნდით, თუ გვინდა ადამიანის განწყობის სპეციფიკურობაზე, მისი აქტივობის თავისებურებებზე მივუთითოთ, ჩვენ განწყობის შიგნით უნდა მოვნახოთ მისი სტრუქტურული და შინაარსობრივი თავისებურებანი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ მიმართულებით უზნაძემ გარკვეული მუშაობა ჯერ კიდევ განწყობის თეორიის ფორმირების პირველ ეტაპზე ჩაატარა. მან სცადა ადამიანის განწყობის შიგნით, მის სტრუქტურაში მოეხაზა მისი სპეციფიკური თავისებურებანი.

„ზოგადი ფსიქოლოგიის“ იმ პარაგრაფის ბოლოს, სადაც განწყობისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხია განხილული, უზნაძემ ერთხელ კიდევ სცადა ცხოველისა და ადამიანის განწყობების დიფერენცირებული დახასიათება. იგი წერს: „ცხოველის განწყობას აქტუალური სიტუაცია ქმნის, ხოლო ადამიანის განწყობას, რომელიც მის ქცევას უდევს საფუძვლად, გაცნობიერებული წარმოსახული სიტუაცია“.

თუ კარგად ჩაუვყვირდებით, ადამიანისა და ცხოველის განწყობათა ამ განზოგადებულ დახასიათებაშიც არა ჩანს, მათი შინაარსობრივი და სტრუქტურული განსხვავება. ადამიანის განწყობაც იმავე ორი ფაქტორის ზემოქმედებით მიღებულ ფსიქიკურ ფენომენად არის მიჩნეული. მასშიც ორი კომპონენტი—მოთხოვნილება და სიტუაცია—არის ასახული და გათვალისწინებული. იგი როგორც სტიმულისა და რეაქციის გამაშუალებელი განწყობა, რომლის სახით აქტივობაში ადამიანია შემოყვანილი, ფაქტურად არაფერ სპეციფიკურადამიანურს არ შეიცავს. ამ შემთხვევაშიც, ცნობიერების ფსიქოლოგიის მსგავსად, ადამიანის სპეციფიკურობას ცნობიერების მოვლენების ერთობლიობა ქმნის. ეს პროცესები ფენომენალობით ხასიათდებიან და ამიტომ საკმარისი არ არიან პიროვნების სტრუქტურის შესაქმნელად.

როგორც ვხედავთ, უზნაძის მიერ გადაწყვეტილი გრანდიოზული პრობლემა ადამიანის შემოყვანისა ფსიქოლოგიაში, შემდგომ დახვეწას მოითხოვს. განწყობის ცნებით ადამიანის შემოყვანის საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის მიყვანილი. განწყობის ზოგად ფსიქოლოგიაში უნდა ჩამოყალიბდეს განწყობის ისეთი ცნება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ადამიანი, მთელი თავისი შინაარსითა და სიღრმით.

განწყობის ასეთი ცნების საფუძველზე შესაძლებელი გახდება გავიგოთ ფიზიკური მოვლენების გამაშუალებელი ადამიანის ფსიქიკური ბუნება, რომელიც ქმნის ადამიანურ ყოფიერებას, მატერიალურ და სულიერ კულტურას, განწყობის ასეთი ცნების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ ადამიანის მიზანშეწონილ ქცევასთან ერთად, მისი შემოქმედებითი და კულტურული საქმიანობა.

ამგვარი მოსაზრებების გათვალისწინებით, უზნაძემ შემდგომში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა განწყობის თეორიაში. 40-იან წლებში მან

ფსიქოლოგიაში „ობიექტივაციისა“ და „ფსიქიკური აქტივობის ორი დონის“ ცნებების შემოტანით ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ახალი ობიექტები აქცია შესწავლის საგნად.

აღრე, განწყობის ცნებით შეისწავლებოდა ადამიანის არაცნობიერი სფეროს ფსიქიკური შინაარსი, რაც ადამიანის მოქმედებასა და ცნობიერებაზე ახდენდა სათანადო გავლენას. განწყობის თეორიის განვითარების მეორე საფეხურზე აქცენტი ფსიქიკური აქტივობის სხვა მხარეზე გადავიდა. უზნაქემ გადაწყვიტა უკვე იმის გარკვევა თუ რა წვლილი შეაქვს ცნობიერებას განწყობის ფორმირებაში და ადამიანის შეგნებული აქტივობის განხორციელებაში. ამ ახალი ამოცანის მნიშვნელობა განწყობის თეორიისათვის ჩვენში ბევრისათვის შეუმჩნეველი დარჩა.

ახალ ეტაპზე უზნაქემ გვიჩვენა განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების ახალი კანონზომიერებანი, რომლებიც სპეციფიკურ ადამიანური აქტივობის კანონზომიერებას გამოხატავს.

აღნიშნული მიმართულებით მოპოვებული კვლევის შედეგები უზნაქემ განაზოგადა მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“.

უზნაქის განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები და შედეგები ამ წიგნით გახდა ცნობილი ფსიქოლოგთა ფართო წრეებისათვის. ამ ნაშრომში მოცემულია ადამიანის განწყობის ახალიზი და მოცემულია მის მიერ ფსიქოლოგიაში შემოყვანილი ადამიანის ფსიქოლოგიური შინაარსი.

შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ადამიანის, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენის დახასიათება, რაც აღნიშნულ ნაშრომშია მოცემული. „ზოგად ფსიქოლოგიაში“ პარაგრაფს „განწყობა და ადამიანი“ 3 გვერდი ჰქონდა დათმობილი. აღნიშნულ ნაშრომში კი უკვე ცალკე თავი — „განწყობა ადამიანთან“ — (37 გვერდი) უყავია. ამ ნაშრომშიც ადამიანი, რომელიც აშუალებს სინამდვილის საგნების ურთიერთქმედებას და ადამიანურ ყოფიერებას ქმნის, განწყობის სახით არის წარმოდგენილი. განწყობის ცნებით არის განპირობებული საგნობრივი სტიმულებისა და ქცევის ერთობლიობა. ასევე, განწყობა არის მიჩნეული რგოლად, რაც ცნობიერების პროცესების გარკვეული რიგების ურთიერთქმედებას აშუალებს.

განწყობის ცნებით ნაცადია იმის ჩვენება, თუ როგორ თავისუფლდება ადამიანი სინამდვილის საგნობრივი მოვლენების მიზეზშედეგობრივი ჯაჭვისაგან, აუცილებლობის სფეროსაგან და როგორ იწყებს იგი ღირებულების სფეროში ცხოვრებას, შემოქმედებას და კულტურის შექმნას.

უზნაქე ამ საკითხს პირდაპირ და მკვეთრად სვამს: „რას წარმოადგენს ის... სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ესოდენ მკვეთრად განასხვავებს ადამიანს ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან?“.

ჩვენ შევეცდებით ამოვკრიბოთ და გავაერთიანოთ ყველა ის ნიშანი, რომლითაც ადამიანი ხასიათდება.

უზნაქის აზრით, პირველი, რაც თვალში გვხვდება ისაა, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და მას მეტყველების უნარი აქვს. ამის გამო სინამდვილე მასზე ორმაგ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, როგორც უშუალოდ მოქმედი გამლზიზიანებელი და, მეორე მხრივ, როგორც არაპირდაპირი სიტყვიერი სიმბოლო. ეს უყანასკნელი იმას ნიშნავს, რომ სინამდვილის შემოქმედებაზე ადა-



მიანი პასუხს სცემს მისი გაცნობიერებისა და გააზრების შემდეგ. ადამიანი აღ-  
 მიანის სპეციფიკური აქტივობის ერთ-ერთი თავისებურება.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ადამიანის გაცნობიერებული და გააზრე-  
 ბული პასუხი ენობრივ კატეგორიზირებულ სინამდვილეზე ნიშნავს ადამიანის  
 მიერ სინამდვილესთან უშუალო სასიცოცხლო ურთიერთობაზე უარის თქმას.

სინამდვილესთან უშუალო სასიცოცხლო ურთიერთობაში ყოფნა ნიშნავს,  
 მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვას, ფსიქიკური აქტივობისათ-  
 ვის ისეთი მიმართულების მიცემას, რათა სასიცოცხლო ამოცანები გადაწყდეს.  
 საკითხავია, სხვაგვარ დამოკიდებულებაში შეუძლია კი იყოს ინდივიდი სინამ-  
 დვილესთან? მას სხვა ამოცანა შეიძლება ჰქონდეს? — უნდა ითქვას რომ ინ-  
 დივიდს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს სხვაგვარი დამოკიდებულება არც შეი-  
 ძლება ჰქონდეს. ცოცხალი ორგანიზმის ურთიერთობა სინამდვილის მიმართ ამ-  
 გვარი პრაგმატული ურთიერთობით ამოიწურება. მაგრამ სრულიად სხვა მდგო-  
 მარეობა გვაქვს ადამიანთან. ადამიანს აქტივობისათვის სულ სხვა უნარები  
 აქვს და სხვაგვარ დამოკიდებულებასაც ამყარებს სინამდვილესთან.

ადამიანი არაპრაქტიკულ ურთიერთობას სინამდვილესთან მაშინ ამყარებს,  
 როდესაც განწყობის საფუძველზე მიმდინარე მოთხოვნილების დაკმაყოფილე-  
 ბისათვის განხორციელებული მისი ქცევა ფერხდება, თავის დანიშნულებას ვერ  
 ასრულებს. ასეთი რამ კი მაშინ ხდება, როდესაც იმპულსური ქცევის განწყო-  
 ბაში სიტუაცია საკმარისად არ არის ასახული. ამას შეიძლება მოჰყვეს ის,  
 რომ ქცევა წინააღმდეგობაში მოვიდეს გარემოსთან, შეფერხდეს. ამ დროს  
 ადამიანი აჩერებს თავის იმპულსურ აქტივობას და საგანგებო დაკვირვების  
 საგნად, ობიექტად აქცევს ქცევის შემფერხებელ გარემოებას, საგანს. ამ  
 საგნის ასახვა იმდენად ნათელი და დეტალური უნდა გახდეს, რომ იგი საკმარ-  
 ისი აღმოჩნდეს ქცევის მიზანშეწონილი დასრულებისათვის.

ასეთ შემთხვევაში ადამიანი, მოცემულ მომენტში, სრულიად სხვაგვარ და-  
 მოკიდებულებას ამყარებს სინამდვილესთან. იგი ჩერდება, ქცევის ხელისშემშ-  
 ლელი საგნის ობიექტივაციას ახდენს და არკვევს მიზეზებს, რის გამოც შე-  
 ფერხდა ქცევის მიზანშეწონილი აქტივობა.

უზნაძე წერს „ეს სპეციალური აქტი, რომელიც ადამიანის მოქმედებათა  
 ჯაჭვში ჩართულ საგანს ან მოვლენას გამოჰყოფს, შეაჩერებს და დაკვირვების  
 საგანგებო დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს, შეიძლება ობიექტივაციის აქტის  
 სახელით აღვნიშნოთ“ [2, გვ. 139].

ადამიანისათვის არის დამახასიათებელი ობიექტივაციის დონეზე აქტივო-  
 ბა. განწყობის დონისათვის დამახასიათებელი ასახვისაგან განსხვავებით, სადაც  
 სინამდვილე ინდივიდის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების მიხედვით აისა-  
 ხება, ობიექტივაციის დონეზე ადამიანი სინამდვილეს არსებითად, ლოგიკურად  
 და ობიექტურად ასახავს. ადამიანის აქტივობა გააზრებული, წარმოსახული  
 სინამდვილის საფუძველზე წარიმართება. ეს არის ადამიანის აქტივობის მეორე  
 სპეციფიკური თავისებურება.

მაგრამ რაც უნდა არსებითად და ობიექტურად განხორციელდეს სინამ-  
 დვილის ასახვა, იგი უზნაძის აზრით, საბოლოოდ ადამიანის პრაქტიკულ საკი-  
 თების გადაწყვეტას ემსახურება. ადამიანი ბოლოს და ბოლოს „ქცევის ისეთ  
 აქტს უნდა მიმართოს, რომელიც თეორიული შედეგის სრულ პრაქტიკულ  
 განხორციელებას მოგვეცემს. საკითხი ახლა ობიექტივაციის პლანიდან აქტუა-  
 ლობის პლანში გადასვლას ეხება“. მან ნებელობის აქტი უნდა შეასრულოს, გა-



აზრებული მომავალი ქცევა რეალობად აქციოს. ამას იგი იმით ახერხებს, რამდენადაც იქმნის მოაზრებული, მისაღები ქცევის განწყობას, რაც ადამიანის შეგნებულ ქცევას წარმართავს.

ამრიგად, ობიექტივაციის დონეზე ყალიბდება აზროვნებაც და ნებელობაც. ადამიანი გაცნობიერებული და წინასწარ მოწონებული ქცევის განწყობას იქმნის და მის საფუძველზე მოქმედებს — ასეთია ადამიანის ფსიქოლოგიის გახსაკუთრებულობა. ესაა რომ მას ესოდენ მკვეთრად გამოყოფს ცხოველთა სამყაროსაგან.

სანამ ამ ეტაპზე წარმოდგენილ ადამიანის გაგებაზე, მის შინაარსზე ვილაპარაკებდეთ, ჩვენი აზრით, საჭიროა ობიექტივაციის საკითხი განვიხილოთ უზნაძის მომდევნო შრომის მიხედვით: „განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები“. იგი მხოლოდ 1977 წელს გამოქვეყნდა უზნაძის გარდაცვალებიდან 27 წლის შემდეგ, მისი შრომების VI ტომში. აქ კიდევ უფრო ვალრპავეებულია ფსიქოლოგიური შეხედულება ადამიანის ცნობიერების პროცესების შესახებ.

როგორც უკვე ვნახეთ, ობიექტივაციის დონეზე განხორციელებული ადამიანის ფსიქიკური აქტივობა გამდიდრებულია დაკვირვების, აზროვნების, ფანტაზიისა და ნებელობის პროცესებით. ადამიანის მოთხოვნილებების თუ სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება გაადვილებულია აღნიშნული უნარებით და ძალებით, რაც მას ცნობიერ, გონიერ და შეგნებულ არსებად აქცევს. მაგრამ საკითხავია, მისი თავისებურება იმ ფსიქიკური ძალებით და უნარებით ამოიწურება რითაც იგი თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახორციელებს თუ სიციცხლის გარდა, არსებობს ღირებულება. საზრისი, დანიშნულება, რომელსაც ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანი ემსახურება?

უზნაძე ფიქრობს, რომ გამოცდილების სფეროსა და ფსიქიკური უნარების სფეროს გაფართოებასთან ერთად ფართოვდება ადამიანის განწყობისეულ მდგომარეობათა მოცულობებიც, იგი შეიცავს არა მარტო უშუალოდ აღმოცენებულ განწყობებს, არამედ ისეთ განწყობებსაც, რომელიც როდესღაც სუბიექტის ცხოვრების მიმდინარეობაში გაშუალებული იყო ობიექტივაციის აქტებით და განხორციელებული ნებისყოფის დაძაბვით.

ამ განწყობებს უნდა დაემატოს ისეთებიც, რომლებიც არა საკუთარი აზროვნების საფუძველზე იყო გაშუალებული, არამედ ისეთებიც, რომლებიც ოდესღაც შემოქმედი, განსაკუთრებული მაღალნიჭიერი პირების ობიექტივაციის საფუძველზე იყო აგებული, ხოლო შემდეგ გადაეცა სხვა ადამიანებს უკვე მზა ფორმულების სახით. მათი „შექმნის წყაროს წარმოადგენს აღზრდა და სწავლა, რომელიც აუცილებელია ადამიანის საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე“.

ცხოველის განწყობების სფერო მხოლოდ მისი გამოცდილებაში ფიქსირებული განწყობების სფეროთი შემოიფარგლება. ადამიანის განწყობათა სფეროს წარსულში საკუთარი ან სხვა ადამიანების ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენებული განწყობებიც ამდიდრებენ, რაც შეიძლება „განათლების დახმარებით — მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემების შესწავლით“. „მაშასადამე, განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის განწყობის სფეროშიც მეტად არსებითად უნდა ჩაითვალოს“. ადამიანს, ცხოველისაგან განსხვავებით, თვისებრივად სულ სხვაგვარი განწყობები აქვს და ამავე დროს მათ საფუძველზე ქცევის განხორციელებისას სრულიად განსხვავებულ საშუალებებს იყენებს, ვიდრე ცხოველი.





როგორც ვხედავთ, უზნაძე უკვე სრულიად აშკარად გრძობდა რეალურად მისი ფსიქიკური შინაარსის, სტრუქტურისა და ბუნების წვდომით უნდა მოხდეს და არა მხოლოდ იმ ძალეობისა და ფუნქციების გათვალისწინებით, რომელთა დახმარებით იგი ახდენს თავის ყოფიერების შენარჩუნებას.

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ ჩვენ ისევ უნდა დავუბრუნდეთ ადრე დასმულ კარდინალურ საკითხს: ადამიანის როგორი ვაკება შემოიტანა ფსიქოლოგიაში განწყობის თეორიამ? უზნაძის შრომებში ამ კითხვაზე გარკვეული პასუხია გაცემული.

I. ადამიანი თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროს იყენებს ისეთ ძალებს და უნარებს, რაც მას გამოარჩევს ცხოველთა სამყაროსაგან. ობიექტივაცია და მის საფუძველზე აღმოცენებული პროცესები, დაკვირვება, დასწავლა, ფანტაზია, აზროვნება და ნებელობა ქმნიან სპეციფიკურ ადამიანურ აქტივობას, რაც მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სპეციფიკურ ადამიანურს ხდის.

II. ადამიანი სოციალური არსებაა. ის ანგარიშს უწევს სხვის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. სოციალური მოთხოვნილების გათვალისწინების გამო, შემოვლილი გზით იგი თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელისშემწყობ სოციალურ გარემოს ქმნის. ეს სპეციფიკური თავისებურებაც მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ამ ასპექტში ჩანს ადამიანის არა სპეციფიკური ყოფიერება, არამედ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სპეციფიკური გზები და საშუალებები.

III. უზნაძის ბოლო ნაშრომების მიხედვით, ადამიანი როგორც სპეციფიკური ფენომენი განსხვავდება ცხოველისაგან. ეს სხვაობა არ ამოიწურება თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებებით.

IV. უზნაძე ბოლო ხანებში განწყობის ფორმირებისა და რეალიზაციის სრულიად ახალ ობიექტებს შეეხო. მან გვიჩვენა, რომ ადამიანის განწყობები შეიძლება აღმოცენდნენ პირადი გამოცდილების საფუძველზე, როცა გარემო გაუცნობიერებლად არის ასახული; ობიექტივაციის დონეზე როცა განწყობის ფორმირებაში ცნობიერება მონაწილეობს; სხვისი ობიექტივაციის შედეგების გამოყენებით, როცა იგი სხვა ადამიანებთან პირადი ურთიერთობის პროცესში ეწევა ფსიქიკურ აქტივობას; და საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში, როცა მას განწყობა უმუშავდება „განათლების დახმარებით — მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემების შესწავლით“.

თუ კარგად დავუკვირდებით, ამ შემთხვევაში, ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის თავისებურებებზე მითითება არ ხდება, აქ ყველგან, ბოლოს და ბოლოს ის სპეციფიკური გზები და საშუალებებია დახასიათებული, რომლებითაც ხდება ადამიანის განწყობის ფორმირება და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მისი აქტივობის მიზანშეწონილების შემდგომი ზრდა. აქ, ჯერ კიდევ ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი ადამიანის სპეციფიკური ბუნების შესახებ, რომელიც შემოყვანილი უნდა იქნეს ფსიქოლოგიაში.

V. უზნაძის ბოლოდროინდელ ნაშრომებში არის ტენდენცია დახასიათდეს ადამიანი, როგორც სპეციფიკური, მთლიანი და სხვა ფაქტორებზე დაუყვანადი ფენომენი, რომელიც არსებითად განსხვავდება სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან. ეს სხვაობა, როგორც ჩანს, არ უნდა ამოიწურებოდეს მოთხო-

ნიღბათა დაკმაყოფილების გზებით და საშუალებით. პასუხი უნდა გაეცხადებინათ, თხვას თუ რა არის ადამიანი, რით განსხვავდება იგი ყველა სხვა მოვლენისაგან. რას ემსახურება იგი. არის თუ არა რაიმე სხვა ღირებულება, სიცოცხლისაგან განსხვავებული, რომელსაც იგი ემსახურება. თუ იგი სხვა ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად მხოლოდ სიცოცხლით ხასიათდება, მაგრამ მათგან განსხვავებით სასიცოცხლო ამოცანებს უფრო სრულყოფილი უნარებისა და საშუალებების გამოყენებით წყვეტს?

VI. უზნაძის ბოლოდროინდელ ნაშრომებში არის ტენდენცია ადამიანი დახასიათდეს, როგორც ცხოველისაგან არსობრივად განსხვავებული სპეციფიკური ფენომენი. ეს სხვაობა, როგორც ჩანს, არ უნდა ამოიწურებოდეს იმით, რომ ადამიანს აქვს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სპეციფიკური გზები და საშუალებანი, იგი თვითონ არის განსაკუთრებული მოვლენა. მისი აქტივობა სიცოცხლისადმი სამსახურით არ ამოიწურება, იგი ისეთ ღირებულებებს ემსახურება, რომლებიც შორს სცილდებიან სიცოცხლის აზრსა და მნიშვნელობას. ეს აზრი გამოსკვივის უზნაძის დებულებაში, რომ ადამიანის განსხვავება ცხოველისაგან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მის განწყობაში უნდა ვეძიოთ და არა ამ განწყობის რეალიზაციაში. ეს იდეა კარგად შეესატყვისება იმ დებულებას, რომ ფსიქოლოგიაში ადამიანი განწყობის ცნებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

ამ დებულების მიღების შემდეგ აუცილებელი ხდება ცხოველის განწყობისაგან განსხვავებით ადამიანის განწყობის დიფერენცირებული დახასიათება.

#### ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940.
2. უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, თბილისი, 1949.
3. უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, შრომები, ტ. V, 1977.
4. Леонтьев А. Н., Деятельность, сознание, личность, М., 1975.
5. Ломов Б. Ф., Методологические и теоретические проблемы психологии, М., 1984.
6. Пиаже Ж., Характер объяснения в психологии и психофизический параллелизм. Экспериментальная психология, т. I—II, ред. Фресс П. и Пиаже Ж., М., 1966.

Ш. А. НАДИРАШВИЛИ

### ПРОБЛЕМА ЧЕЛОВЕКА В АНТРОПОЛОГИЧЕСКОЙ ТЕОРИИ УСТАНОВКИ

#### Резюме

В работе предпринята попытка рассмотрения теории установки с антропологической точки зрения. Утверждается, что разработкой понятия установки Д. Н. Узнадзе опроверг не только ложный постулат непосредственности, лежащий в основе традиционной психологии, но, что еще более существенно, неприемлемый постулат, который можно охарактеризовать как постулат фиктивности индивида. Посредством понятия установки в психологию возвращен индивид как инстанция, осуществляющая реальную психическую активность.

Ставится вопрос о том, что представляет собой с психологической точки зрения человек, в чем его специфичность и в чем заключаются стоящие перед ним проблемы. Иными словами, какое понимание человека подразумевается в теории установки Д. Н. Узнадзе. Ответить на этот вопрос непросто, так как теория установки еще при жизни ее автора подвергалась значительным видоизменениям. Выдвигается положение, что ответ следует искать в понятии объективации.

Антропологический анализ понятия объективации показал, что посредством акта объективации, когда в формирование установки вовлекается сознание, происходит не только дальнейшее увеличение целесообразности поведения, но и закладывается основа служения более высоким ценностям, чем собственное жизнеобеспечение.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზ-  
 ნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში

## ლია ავალიაშვილი

ეკოლოგიური მიდგომა მახსიერების თანამედროვე ფსიქოლოგიაში

### შესავალი

უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში ეკოლოგიური ვალიდობის საკითხი საკმაოდ მწვავე დისკუსიის საგნად გახდა მეხსიერების ფსიქოლოგიაში. ამ საკითხის აქტუალურობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1991 წელს ქ. ლანკასტერში ჩატარებული მეხსიერების საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა სიმპოზიუმით, რომელსაც შემდეგი საკმაოდ გრძელი სათაური ჰქონდა: „უნდა იყოს თუ არა დაპირისპირება მეხსიერების ფსიქოლოგიაში ლაბორატორიულ და ეკოლოგიურ მიდგომებს შორის?“ იმისათვის, რომ მკითხველისათვის უფრო გასაგები გახდეს ეკოლოგიური ვალიდობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, აუცილებელია მოკლე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეხსიერება და მასთან დაკავშირებული პროცესები ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ინტენსიურად ნაკვლევ სფეროს მიეკუთვნება. მართლაც, 1885 წელს გერმანელი მეცნიერის ჰერმან ებინჰაუსის ცნობილი ნაშრომის [20] გამოქვეყნებიდან დღემდე ჩატარებულია ათასობით ექსპერიმენტული გამოკვლევა და მიღებულია მრავალი საინტერესო შედეგი. ფაქტობრივად, ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ მეცნიერებად ჩამოყალიბება განაპირობა არა მხოლოდ ვუნდტის ლაბორატორიაში ჩატარებულმა რეაქციის დროის საკვლევმა ექსპერიმენტებმა, არამედ ჰ. ებინჰაუსის ხსენებულმა ნაშრომმაც, რომელშიც პირველად იყო ნაცადი მეხსიერების ამ უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის შესწავლა მეცნიერული ექსპერიმენტების გზით. ბუნებრივია, რომ მეხსიერების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების გარიყრაჟზე ძალზე მწვავედ დადგებოდა მეხსიერების კვლევისათვის ადექვატური ლაბორატორიული მეთოდების შემუშავების საკითხი, თუმცა ებინჰაუსის და სხვა იმდროინდელი ფსიქოლოგების (მაგ. ბოლტონის, კალკინსის, ვოლფისა და სხვების) სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიერ შემუშავებული მეთოდები თითქმის უცვლელი სახით დღესაც საკმაოდ ხშირად გამოიყენება ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში. ამ მეთოდების მიზანია მეხსიერების შესწავლა არა იმ სახით, რა სახითაც ის გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში (სადაც ის მჭიდროდ არის გადახლართული სხვადასხვა მოტივაციურ-ემოციურ პროცესებთან), არამედ მისი შესწავლა სუფთა სახით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ე. წ. „წმინდა მეხსიერების“ შესწავლა. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ცდის მიმდინარეობაში გაუთვალისწინებელი და არაკონტროლირებადი მოტივაციურ-ემოციური ფაქტორების ჩარევა (რაც ცდისპირებს არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა), ებინჰაუსმა ცდის მასალად გამოიყენა უაზრო მარცვლები. სხვა მკვლევარების მიერ უაზრო მარცვლებს გარდა



გამოყენებულ იქნა აგრეთვე ციფრებისა და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვათა შუქრიები. ძირითადად ამგვარი მასალის გამოყენებით წარმოებდა მეხსიერების კვლევა ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც. მეხსიერების კვლევა შემდგომშიც არ შემწყვდარა (თვით ბიჰევიორიზმის ბატონობის პერიოდშიც) და განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა 60-იან წლებში ინფორმაციის თეორიისა და ხელოვნური ინტელექტის მოდელირებასთან დაკავშირებული პრობლემების ზეგავლენით ევროპასა და ამერიკაში გაჩნდა ახალი მძლავრი მიმდინარეობა კოგნიტური ფსიქოლოგიის სახით. ვინაიდან ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესში მეხსიერება მეტად არსებით როლს თამაშობს, მეხსიერების კვლევამ კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, შეიძლება ითქვას, რომ არნახული მასშტაბებიც კი მიიღო. მაგრამ 1976 წელს, როცა კოგნიტური ფსიქოლოგია თავისი აღმავლობის ზენიტში იმყოფებოდა, ამ მიმდინარეობის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა ულრიკ ნაისერმა უელსის დედაქალაქ კარდიფში გამართულ კონფერენციაზე — „მეხსიერების პრაქტიკული პრობლემები“ — წაიკითხა მოხსენება, რომელიც მეხის გავარდნას ჰკავდა მოწმენდილ ცაზე. ამ მეტად გახმაურებულ მოხსენებაში (რომელიც შემდგომ სტატიის სახით ორჯერ იქნა გამოქვეყნებული [36]) უ. ნაისერმა შემდეგი მეტად სერიოზული ბრალდებები წაუყენა მეხსიერების ფსიქოლოგიას:

I. თავისი თითქმის ასწლიანი ისტორიის მიუხედავად მეხსიერების ფსიქოლოგია ვერ დაიტრიალებს საინტერესო პრინციპების, ზოგადი თეორიებისა თუ ახალი აღმოჩენების სიუხვით. ხოლო ის ერთეული კანონები, რომლითაც ასე ამაყობენ მეხსიერების ფსიქოლოგები (მაგ. აზრიანი მასალის უპირატესობა უაზროზე, დასწავლის ეფექტურობის ზრდა დასწავლაზე დახარჯული დროის ზრდასთან ერთად, ინტერფერენციის დამოკიდებულება მსგავსების ფაქტორზე და სხვა) იმდენად ტრივიალურია, რომ ხშირად პატარა ბავშვებშიც კი არ იწვევს გაკვირვებას.

II. მეხსიერების შემსწავლელ ფსიქოლოგთა ინტერესი ძირითადად ყოველთვის მიმართული იყო და არის ისეთი ზოგადი თეორიული საკითხების გასარკვევად, როგორცაა, მაგალითად, საკითხი დევიწყების ბუნების შესახებ (სმონტანური ჩაქრობა თუ ინტერფერენცია?) ან საკითხი ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების, როგორც ცალკე სისტემების არსებობის შესახებ. სწორედ ამიტომ ფსიქოლოგებს თითქმის სრულიად შეუსწავლელი დარჩათ ისეთი საინტერესო და პრაქტიკულად ღირებული საკითხები, როგორცაა ადრეული ბავშვობის ხანის ამნეზია, ადამიანთა სახეების, სახელებისა და გვარების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გახსენების თავისებურებანი, სასწავლებლებში შექმნილი ცოდნის შემდგომი შენარჩუნების საკითხი, განზრახვების დროული გახსენება ანუ პროსპექტული მეხსიერება, ან თუნდაც მეხსიერებაში ინდივიდუალურ სხვაობათა არსებობის საკითხი. ამასთან დაკავშირებით უ. ნაისერი გამოთქვამს აზრს, რომელსაც შემდგომში ნაისერის კანონიც კი უწოდეს. კერძოდ, „თუ X წარმოადგენს მეხსიერების საინტერესო ან სოციალურად მნიშვნელოვან ასპექტს, მაშინ იგი ნამდვილად არ იქნება შესწავლილი მეხსიერების ფსიქოლოგების მიერ“.

III. მეხსიერების ფსიქოლოგიაში კვლევა წარმოებს ძირითადად ლაბორატორიაში (ე. ი. ხელოვნურ გარემოში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ გარემოსთან, რომელშიც ადამიანს ჩვეულებრივ უხდება ცხოვრება), თანაც



ისეთ ხელოვნურ მასალაზე, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში ანალოგი არ მოეძებნება. მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს არასოდეს არ უხდებათ უაზრო მარცვლების, ციფრებისა თუ სიტყვების მწკრივების დასწავლა და რეპროდუქცია. მაშასადამე, მეხსიერების კვლევები არ ხასიათდება ეკოლოგიური ვალიდობით და ამიტომ ლაბორატორიაში ამგვარ ხელოვნურ მასალაზე მიღებული შედეგების განზოგადება ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ძნელია, ხოლო ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიც კი.

უ. ნაისერის აზრით, მის მიერ წამოყენებული ბრალდებების თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ ფსიქოლოგები მოეშვებიან უსარგებლო და საბოლოო ჯამში არაფრისმთქმელ თეორეტიკებს და ბოლოს და ბოლოს დაიწყებენ მეხსიერების კვლევას იმ სახით, რა სახითაც ის გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ე. ი. თუკი დაიწყება ე. წ. ყოველდღიური მეხსიერების (Everyday memory) შესწავლა, რაც თავის მხრივ იმის საწინდარი იქნება, რომ ჩატარებული კვლევები მაღალი ეკოლოგიური ვალიდობის მატარებელი იქნება.

უ. ნაისერის ამ მოხსენებამ მეტად დიდი გავლენა იქონია თანამედროვე მეხსიერების ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებაზე. მართლაც, ამჟამად სულ უფრო და უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს სწორედ იმ საინტერესო და ამავე დროს ნაკლებად შესწავლილი საკითხების კვლევა, რომლებიც ამ მოხსენებაში იყო მითითებული. კერძოდ, საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით იკვლევა მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებული მეხსიერების პრობლემები, ადამიანის სახეების ცნობის თავისებურებანი, პროსპექტული მეხსიერება, ავტობიოგრაფიული მეხსიერება, ე. წ. ენის წვერის ფენომენი, სკოლაში და უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნის ხანგრძლივობის საკითხი და სხვა. ამრიგად, 1978 წელი (ამ მოხსენების გამოქვეყნების თარიღი) სამართლიანად არის მიჩნეული მეხსიერების ფსიქოლოგიაში ახალი, ე. წ. ყოველდღიური მეხსიერების კვლევის ანუ ეკოლოგიური მიდგომის ჩამოყალიბების თარიღად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უ. ნაისერის მიერ მეხსიერების ტრადიციული, ე. ი. ლაბორატორიული კვლევის ამგვარ საოცრად მძაფრ კრიტიკას არ შეიძლება რომ უკურეაქცია არ გამოეწვია ფსიქოლოგთა გარკვეულ ნაწილში. აქ მხოლოდ ის იწვევს გაკვირვებას, რომ ამ უკურეაქციას უ. ნაისერის მოხსენების გამოქვეყნებიდან მხოლოდ 11 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი. მართლაც, 1989 წელს ჟურნალ „American Psychologist“-ში გამოქვეყნდა მ. ბანაჯისა და რ. კრაუდერის სტატია მეტად სენსაციური სათაურით „ყოველდღიური მეხსიერების გაკოტრება“ [9], სადაც ყოველდღიური მეხსიერების კვლევის მიმართულება საფუძვლიანი კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. ეს ავტორები უ. ნაისერს ირონიულად ადარებენ ისეთ ქიმიკოსს, რომელიც საფუარის ქიმიური თვისებების შესწავლას ცდილობს არა ზუსტი ლაბორატორიული ექსპერიმენტების მეშვეობით, არამედ საკონდიტროებსა და პურის ქარხნებში ნატურალისტური დაკვირვებების გზით. საკმაოდ პარადოქსულია, მაგრამ მ. ბანაჯი და რ. კრაუდერი ამ ახალ მიმართულებას თანამედროვე მეხსიერების ფსიქოლოგიაში ზუსტად იგივე ბრალდებებს უყენებენ, რაც თავის დროზე ნაისერმა გამოთქვა მეხსიერების ტრადიციული და კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართ. მართლაც, ეს ავტორები აღნიშნავენ, რომ თავისი ათწლიანი არსებობის მანძილზე ეკოლოგიური მიდგომის ფარგლებში „არ შექმნილა არც ერთი ისეთი



თეორია, განსაკუთრებული ამხსნელობითი ძალა რომ გააჩნდეს; არ განმარტავს ჩენით მესხიერების მოქმედების არც ერთი ახალი პრინციპი და არ შემუშავებულია არც ერთი ახალი მეთოდი განსაკუთრებული სიზუსტითა და რაფინირებულობით რომ ხასიათდებოდეს“ [9, გვ. 1185]. ამდენად, ამ ავტორთა მტკიცებით მოძრაობა ეკოლოგიურად ვალიდური მესხიერების ფსიქოლოგიის შესაქმნელად მთლიანობაში უსუსური აღმოჩნდა და, რაც მთავარია, მან შეიძლება სახელიც კი გაუტეხოს მესხიერების ფსიქოლოგიის ჭეშმარიტ მონაპოვრებს. ამ, შეიძლება ითქვას, გამანადგურებელ სტატიას მომენტალურად დიდი გამოხმაურება მოჰყვა მრავალი პუბლიკაციის სახით (იხ. მაგ. [16; 18]), რომელთა ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ მ. ბანაჯისა და რ. კრაუდერის ბრალდებების უმართებულობა და უსაფუძვლობა<sup>1</sup>.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ როგორც უ. ნაისერის ცნობილი მოხსენება, ასევე მ. ბანაჯისა და რ. კრაუდერის გახმაურებული სტატიაც ორი ერთმანეთის გამომრიცხავი რადიკალური პოზიციის გამომხატველია. საბედნიეროდ, ამჟამად უკვე დომინირებს უფრო ზომიერი და ალბათ ყველასათვის უფრო მისაღები პოზიცია, რომლის მიხედვითაც მესხიერების ტრადიციული ლაბორატორიული კვლევა და ყოველდღიური მესხიერების კვლევის ახალი მიმართულება ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ურთიერთშემავსებელია [16; 17; 49]. ამგვარი მიდგომა საქმაოდ ნათლად გამოიკვეთა ქ. ლანკასტერში ჩატარებულ მესხიერების საერთაშორისო კონფერენციაზეც [8; 50]. საყურადღებოა ისიც, რომ ამჟამად თვით უ. ნაისერმაც კი უკვე საგრძნობლად შეარბილა თავისი პოზიცია. მართლაც მისი შეხედულებები მესხიერების ტრადიციული ლაბორატორიული კვლევების შესახებ გაცილებით უფრო შემწყნარებლური გახდა. შავალითად, თავის ერთ-ერთ სტატიაში ის აღნიშნავს, რომ მომავალში დამოკიდებულება ეკოლოგიურ და ტრადიციულ კვლევებს შორის, ალბათ, უფრო ურთიერთშემავსებელი იქნება, ვიდრე ანტაგონისტური [37]. ჩვენ სავესებით ვეთანხმებით უ. ნაისერის ამ მოსაზრებას, ვინაიდან ამ ორ მიდგომას შორის მართლაც არ არსებობს შვეთერი, ერთმნიშვნელოვანი საზღვარი. ამერიკელი ფსიქოლოგის ე. ვინოგრადის სიტყვებით, რომ ვთქვათ, სწორად საქმაოდ რთულია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ სად თავდება ხელოვნურობა და სად იწყება ეკოლოგიური ვალიდობა [49]. მართლაც, დღესდღეობით მოგვეპოვება, ერთის მხრივ, ისეთი ლაბორატორიული ექსპერიმენტები, რომლებიც უეჭველად მაღალი ეკოლოგიური ვალიდობით ხასიათდება, და მეორეს მხრივ, ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, ე. ი. ყოველდღიურ გარემოში ჩატარებული ექსპერიმენტები, რომლებსაც გაცილებით უფრო ნაკლები ეკოლოგიური ვალიდობა გააჩნიათ. მაგრამ ამ ექსპერიმენტებზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ურიგო არ იქნება დავსვათ კითხვა: მაინც რა იგულისხმება ეკოლოგიური ვალიდობის ქვეშ?

1 სხვათა შორის ის ფაქტი, რომ მ. ბანაჯისა და რ. კრაუდერის კრიტიკულმა სტატიამ ასეთი ფართო გამოხმაურება პოვა, ალბათ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეკოლოგიურმა მიდგომამ ამ ათი წლის განმავლობაში უკვე მოასწრო საქმაოდ სოლიდურ მიმართულებად ჩამოყალიბება, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მესხიერების ფსიქოლოგებს შორის.

ეკოლოგიური ვალიდობის ცნება და მისი ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი სულ უფრო მზარდი პოპულარობით სარგებლობს და ძალიან ხშირად იხმარება თანამედროვე ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, მისი ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. მაგრამ თუკი მაინც შევაჯამებთ ეკოლოგიური ვალიდობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ეკოლოგიური ვალიდობის ცნება ძირითადად მაინც ორ, ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებულ, მომენტს გულისხმობს, რომლებსაც პირობითად რეპრეზენტატულობისა და განზოგადოებითობის ასპექტები შეიძლება ვუწოდოთ. რეპრეზენტატულობის ქვეშ იგულისხმება ის, თუ რამდენად შეგვიძლია ჩვენთვის საინტერესო ფენომენი შევისწავლოთ იმ სახით, რა სახითაც ის კლინდება რეალურ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხოლო განზოგადოებითობის ასპექტი გულისხმობს იმას, თუ რამდენად შეგვიძლია ცდაში მიღებული შედეგები განვაზოგადოთ იმ ახალეკოლოგიურ პროცესებზე, რომლებსაც ადგილი აქვთ ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, ე. ი. ცდისპირთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმ დიდი მსგავსებისა, რომელიც არსებობს ამ ორ ასპექტს შორის, ისინი მაინც არ არიან სავსებით ერთმანეთის იდენტურნი. მართლაც, რეპრეზენტატულობის ასპექტი ეხება მხოლოდ ექსპერიმენტული სიტუაციისა და ექსპერიმენტული მასალის ან დავალების ხელოვნურობა-ბუნებრიობის საკითხს (მაგალითად, მიჩნეულია რომ უაზრო მარცვლების დასწავლის პროცესი ეკოლოგიურად ნაკლებად ვალიდურია, ვინაიდან იგი არ არის რეპრეზენტატული იმ პროცესებისა, რომლებსაც ადგილი აქვთ ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ. მართლაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ხომ სულ სხვა შინაარსების დასწავლა გვიხდება), ხოლო განზოგადოებითობის ასპექტი კი იმას, ცდაში დადგენილი კახონზომიერება მხოლოდ ლაბორატორიაში მოქმედებს თუ მის ფარგლებს გარეთაც.

ამრიგად, თუ გამოვკვლევა ხასიათდება რეპრეზენტატულობითაც და განზოგადოებითობითაც, მაშინ იგი ეკოლოგიურად სავსებით ვალიდურად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო თუ ის ამ თვისებებს მოკლებულია, მაშინ იგი ასეთად ვედარ ჩაითვლება (იხ. ნახ. 1). მაგრამ რა შეიძლება ითქვას ისეთ შემთხვევებზე, როცა გამოვკვლევა ხასიათდება მხოლოდ ერთ-ერთი ამ ასპექტით და მოკლებულია მეორეს? მაგალითად, თუ გამოვკვლევა სავსებით რეპრეზენტატულ მასალაზეა ჩატარებული, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო მაინც ვერ ხერხდება მიღებული შედეგების განზოგადება. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს,

რ ე პ რ ე ზ ე ნ ტ ა ტ უ ლ ო ბ ა

განზოგადოებითობა	+	+	-
		კვლევა ეკოლოგიურად ვალიდურია	კვლევა შეიძლება ჩაითვალოს ეკოლოგიური ვალიდობის მქონედ
	-	კვლევის ეკოლოგიური ვალიდობა შეიძლება ექვს ქვეშ დაეყენოთ	კვლევა არ არის ეკოლოგიურად ვალიდური



რომ ამგვარი ვარიანტის არსებობა იმთავითვე გამორიცხულია, ვინაიდან რეპრეზენტატულობა თითქმის ავტომატურად გულისხმობს აგრეთვე რეალურ ცხოვრებაში განზოგადების შესაძლებლობასაც. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, საკვებით შესაძლებელია, რომ ზოგჯერ გავვიჭირდეს მიღებული შედეგების განზოგადება, მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევა საკვებით რეპრეზენტატულ მასალაზეა ჩატარებული. ეს, ალბათ, პარადოქსულად ელერს, მაგრამ ამგვარ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სწორედ მაშინ, როცა ცდა ტარდება ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ. ე. ი. ცდისპირთა ყოველდღიურ, და ამდენად საკვებით რეპრეზენტატულ გარემოში. საქმე ისაა, რომ თუ ასეთ ცდაში ვერ ხერხდება ცდისპირთა ქცევაზე მოქმედი შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი ფაქტორების აღნუსხვა და კონტროლი, მაშინ საკმაოდ ძნელია იმის დადგენა, თუ რას უნდა მივაწეროთ მიღებული შედეგი: ექსპერიმენტატორის მიერ შემოტანილ დამოუკიდებელ ცვლადს, თუ ამ გაუთვალისწინებელ ფაქტორებს, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. მაგრამ იქამდე, სანამ ეს საკითხი არ იქნება გადაწყვეტილი, ძალიან ძნელია ამგვარ ცდაში მიღებული შედეგების განზოგადებაზე ლაპარაკი. მაშასადამე, თუკი გამოკვლევა მაღალი რეპრეზენტატულობით ხასიათდება, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ვერ ხერხდება მასში მიღებული შედეგების განზოგადება, მაშინ ამგვარი გამოკვლევის ეკოლოგიური ვალიდობა საკვებით სამართლიანად შეიძლება ეჭვის ქვეშ დაეაყენოთ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ამ გამოკვლევის ეკოლოგიური ვალიდობა საერთოდ ნულის ტოლია. უბრალოდ, ამით იმის თქმა გვსურს, რომ ასეთი გამოკვლევის ეკოლოგიური ვალიდობა საკმაოდ დაბალი იქნება.

დასასრულ, რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა გამოკვლევა არ ხასიათდება რეპრეზენტატულობით, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ხერხდება მასში მიღებული შედეგების განზოგადება ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ. ასეთ შემთხვევაში უხნა დაუშვათ, რომ გამოკვლევა ეკოლოგიურად საკვებით ვალიდურია. სამწუხაროდ, ასეთი გამოკვლევების რიცხვი არცთუ ისე დიდია. მაგრამ შეორეს მხრივ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ე. ი. ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნურ მასალაზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების განზოგადება ავტომატურად რომ ყოფილიყო შესაძლებელი ლაბორატორიის ფარგლებს გარეთაც, მაშინ აღარც ეკოლოგიური რეფორმის გატარება იქნებოდა საჭირო. მართლაც, უ. ნაისერის ძირითადი ბრალდება მეხსიერების ტრადიციული ფსიქოლოგიის მიმართ ხომ სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ხელოვნურ, ე. ი. არარეპრეზენტატულ მასალაზე მოპოვებული შედეგები თითქმის ვერაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს მეხსიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამრიგად, თუ გამოკვლევა არ ხასიათდება რეპრეზენტატულობით, მაშინ საკმაოდ დიდი ალბათობაა იმისა, რომ მისთვის არც განზოგადობითობა იქნება დამახასიათებელი. მაგრამ თუკი ზოგჯერ მაინც შესაძლებელია ასეთ გამოკვლევებში მიღებული შედეგების განზოგადება ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ ის ეკოლოგიურად საკვებით ვალიდურად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ასეთი გამოკვლევა ეკოლოგიურად გაცილებით უფრო ვალიდური იქნება, ვიდრე ის ზემოხსენებული გამოკვლევები, რომლებიც მაღალი რეპრეზენტატულობით, მაგრამ ამავე დროს დაბალი განზოგადობითობით ხასიათდება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური ვალიდობის ცნება არ არის მარტივი; იგი წარმოადგენს ორი ფაქტორის — რეპრეზენტატულობისა და განზოგადოებითობის — ერთობლიობას. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ეკოლოგიური ვალიდობა საკმაოდ ხშირად გაიგეებულა მხოლოდ მის ერთ-ერთ ასპექტთან, კერძოდ რეპრეზენტატულობასთან. მართლაც, საკმარისია გამოკვლევა ჩატარდეს რეპრეზენტატულ გარემოში, ე. ი. ცდისპირთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ან მეტად თუ ნაკლებად რეპრეზენტატულ მასალაზე, რომ მას ავტომატურად ეკოლოგიურად ვალიდური გამოკვლევის სტატუსს ანიჭებენ. მაგრამ სინამდვილეში განზოგადოებითობის ხვედრითი წონა ეკოლოგიური ვალიდობის განსაზღვრაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეპრეზენტატულობისა. მართლაც, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, თუ გამოკვლევა რეპრეზენტატულია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ეკოლოგიურად ძალიან ვალიდურიც იქნება. ხოლო თუ გამოკვლევაში მიღებული შედეგების განზოგადება შესაძლებელია ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ ეს კვლევა ეკოლოგიურად საესებით ვალიდურად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ნაკლებად რეპრეზენტატულ მასალაზეა ჩატარებული.

მეორე, ასევე არასწორი შეხედულება, რომელსაც ზოგჯერ ვხვდებით ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ეხება ეკოლოგიურ მიდგომაში გამოყენებული მეთოდების საკითხს. კერძოდ, მიჩნეულია, რომ ეკოლოგიური მიდგომა თავისი არსით თითქოს სრულიად გამორიცხავდეს ლაბორატორიული ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობას. მაგალითად, მ. ბანაჩისა და რ. კრაუდერის სტატიის გაცნობისას მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეექმნას, თითქოს ეკოლოგიური მიდგომის ერთადერთი მეთოდური იარაღი ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ წარმოებული ბუნებრივი დაკვირვების ან გამოკითხვის (ინტერვიუს) მეთოდი იყოს. მაგრამ ამგვარი შეხედულება სრულებით არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. სინამდვილეში, ყოველდღიური მეხსიერების კვლევა სულაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი დაკვირვებით. მართლაც, ამ მეთოდის გარდა საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება კიდევ სხვა მეთოდებიც, როგორც ექსპერიმენტული, ასევე არაექსპერიმენტულიც (მაგ. კითხვარების მეთოდი, დღიურების მეთოდი). იმისათვის, რომ მკითხველისათვის უფრო თვალსაჩინო გახდეს ის მეთოდოლოგიური ხასიათის სიძნელებები, რაც თან ახლავს ეკოლოგიური ვალიდობის მოთხოვნის შემოტანას თანამედროვე მეხსიერების ფსიქოლოგიაში, აუცილებლად მიგვაჩინა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული ეს მეთოდი.

### ეკოლოგიურ მიდგომაში გამოყენებულ მეთოდთა კრიტიკული მიმოხილვა

1. კითხვარების მეთოდი. კითხვარების მეთოდი პიროვნებისა და სოციალურ ფსიქოლოგიაში მეტად გავრცელებული მეთოდია, მაგრამ საკუთრივ მეხსიერების ფსიქოლოგიაში მისი გამოყენება მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ამჟამად კითხვარების მეთოდი საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება ნებისმიერი ასაკის ცდისპირებთან, თვით ბავშვებშიც კი (მაგ. იხ. [29]). ამ კითხვარების მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ფუნქციონირებს მეხსიერება ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან, ივთლისებება, რომ კითხვარების შედეგებით შეიძლება ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომლის მიღება მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებში სრულიად შეუძლებელია.





მართლაც, ტიპური შეკითხვები მეხსიერების კითხვარში ეხება იმავე <sup>ქართული</sup> ~~ქართული~~ დენად კარგად იხსომებენ ცდისპირები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანთა სახეებს, სიძღერის ტექსტებს, საკუთარ სახელებსა და გვარებს, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ანუ გეოტებს და სხვ. ან რამდენად ხშირად ავიწყდებათ მათ ტელეფონის ნომრები, ვინმესთვის რაიმე ინფორმაციის გადაცემა, შენახული ნივთის ადგილმდებარეობა და ა. შ. ამგვარ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ძირითადად ტრადიციული შედისაფხურაინი სკალის მეშვეობით წარმოებს, რომელსაც შემდგომი დანაყოფები აქვს: 1) არასოდეს; 2) იშვიათად; 3) ხანდახან; 4) შემთხვევათა ნახევარში; 5) ხშირად; 6) ძალიან ხშირად და 7) ყოველთვის. მიჩნეულია, რომ კითხვარების გამოყენება გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ადამიანებს აქვთ მეტამეხსიერება, ე. ი. მეხსიერება საკუთარი მეხსიერების შესახებ, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული ცოდნა (გამოცდილება) იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს მათი მეხსიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში [28]<sup>2</sup>;

კითხვარების გამოყენებით საკმაოდ საინტერესო შედეგებია მიღებული. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მეხსიერების ერთიანი უნიტარული სისტემის სახით წარმოდგენა არ არის გამართლებული, რომ არ არსებობს მთლიანად „კარგი“ ან მთლიანად „ცუდი“ მეხსიერება. მართლაც, ადამიანები თავიანთ მეხსიერებას განიხილავენ, როგორც გარკვეულ, ხშირად დამოუკიდებელ უნართა კომპლექსს და ამდენად შეიძლება კარგი მეხსიერება გვქონდეს ერთ სფეროში, ხოლო ცუდი — მეორეში. მეხსიერების კითხვარებით შესაძლებელი ხდება თითოეული ცდისპირისათვის მისი მეხსიერების ფუნქციონირების „პროფილის“ გამოკვეთა, რომელიც გაცილებით უფრო ინფორმატიულია, ვიდრე უბრალოდ გასაშუალებული ქულები.

ამგვარი „პროფილების“ არსებობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ინდივიდუალური სხვაობები მეხსიერების სტილში. მაგალითად, კითხვარის მეთოდის გამოყენებით ჯ. სეპულსტერმა მეხსიერების უნარებში სამი ძირითადი ფაქტორი გამოყო [41]. ვერბალური ფაქტორი გულისხმობს ყველა სახის ვერბალური ინფორმაციის (სიტყვების, ფაქტების, საუბრების, ანუ გეოტების და სხვა) დახსომების უნარს; ავტობიოგრაფიული ფაქტორი შეიცავს პიროვნულად მნიშვნელოვანი მოვლენების, განცდებისა და ემოციების, სიზმრების, სუნებისა და მუსიკის დახსომების უნარს, ხოლო პროსპექტული ფაქტორი კი — წინათ მიღებული განზრახვების დროული გახსენების უნარს. ამან ჯ. სეპულსტერს საშუალება მისცა შეემუშაებინა მეხსიერების ტიპოლოგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ინდივიდის მეხსიერება იმის მიხედვით, თუ როგორია მისი ქულები ამ სამივე ფაქტორზე.

მაგრამ ამგვარ გამოკვლევებში მიღებული ფრიად საინტერესო შედეგების მიუხედავად, კითხვარების მეთოდს რამდენიმე მეტად სერიოზული ნაკლიც ახლავს თან, რის გამოც მიღებულ შედეგებს საკმაოდ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეყიოდოთ. მართლაც, ინგლისელი ფსიქოლოგის პ. მორისის აზრით, იმისათვის რომ ცდისპირმა ზუსტი პასუხი გასცეს კითხვარში მოცემულ შეკითხვას, მას თანმიმდევრულად შემდეგი ეტაპები უნდა ჰქონდეს გავლილი: 1) ცდისპირს ერთხელ მაინც უნდა ჰქონდეს განცდილი დავიწყების ის შემთხვევები, რაც კითხვარშია მოცემული; 2) ამავე დროს მას გაცნობიერებული უნდა

<sup>2</sup> საკუთრივ მეტამეხსიერების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. [22].



ჰქონდეს ის, რომ მის მიერ შეცდომა იქნა დაშვებული; 3) ცდისპირმა შეძლოს ამ ინციდენტების გახსენება, როცა მას სთხოვენ ამის შესახებ, და ბოლოს 4) მან უნდა შეძლოს ამ შემთხვევათა სიხშირის შეუცდომელი შეფასება. ადვილი მისახვედრია, რომ თითოეულ ამ ეტაპზე ცდისპირის მიერ შეიძლება დაშვებულ იქნეს შეცდომა, რაც არაადექვატური პასუხის მოცემით გამოიხატება [35].

გახვიხილოთ ჯერ პირველი ეტაპი. პ. მორისი სავსებით სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ მეხსიერების შემსწავლელ კითხვარებში ხშირად გვხვდება ისეთი შეკითხვები, რომლებიც ცდისპირებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოკიყვანოთ შემდეგი შეკითხვები დ. ჰერმანისა და უ. ნაისერის [28] კითხვარიდან: რამდენად ხშირად ხდება ხოლმე, რომ გავიწყდებათ იმ ადამიანის გვარი, რომელიც ეს-ეს არის გაიცანით? ან რამდენად ხშირად ხდება ხოლმე რომ გინდათ დაუძახოთ ოფიციანტს, მაგრამ აღარ გახსოვთ მისი გარეგნობა? ადვილი შესამჩნევია, რომ ამ შეკითხვების ზედმეტმა კონკრეტულობამ ზოგჯერ შეიძლება შეუძლებელიც კი გახადოს მათზე პასუხის გაცემა. მართლაც, ხომ შეიძლება ადამიანი საერთოდ არ დადიოდეს რესტორანში და იმდენად კარჩაეცილ ცხოვრებას ეწეოდეს, რომ იშვიათად უხდებოდეს ახალი ადამიანების გაცნობა? ამრიგად, კითხვარში აღწერილი სიტუაციები ისეთნაირად უნდა იყოს შერჩეული, რომ ამ სიტუაციებში მოხვედრის ალბათობა დაახლოებით თანაბარი იყოს სხვადასხვა ცდისპირებისათვის. ამგვარი სიტუაციების შერჩევა კი, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია.

მეორე და მესამე ეტაპის გასაანალიზებლად დავუშვათ, რომ დაკიწყების გარკვეულ შემთხვევას მართლაც ჰქონდა ადვილი ცდისპირის ცხოვრებაში. მაგრამ ის, რაც ერთი ადამიანისათვის წარმოადგენს შეცდომას (მეხსიერების ლაფსუსს), და ამდენად საკმაოდ მტკივნეულად განიცდება მის მიერ, მეორისათვის სულაც არ არის შეცდომა. მაგალითად, ადამიანი რომელიც საერთოდ ხშირად იყენებს ტელეფონების წიგნაკს სულაც არ ჩათვისის თავისი მეხსიერების ნაწილად იმას, თუ მას შედარებით ახალი ნაცნობის ტელეფონის ნომერი დაავიწყდა. სამაგიეროდ, ადამიანს, რომელიც ჩვეულებრივ ადვილად იხსოვებს ტელეფონის ნომრებს, ანალოგიური შემთხვევა შეიძლება ცუდი მეხსიერების გამოვლინებად მოეჩვენოს და საკმაოდ მტკივნეულად განიცადოს იგი. სავსებით ბუნებრივია, რომ პირველს შეიძლება ადვილად დაავიწყდეს დავიწყების ეს შემთხვევა, ხოლო მეორეს კი — პირიქით, მტკიცედ აღებულოს მეხსიერებაში. ამიტომაც, კითხვაში მოცემულ შესატყვის შეკითხვაზე პასუხისას, პირველმა მათგანმა (რომელსაც სინამდვილეში გაცილებით ცუდი მეხსიერება აქვს) შეიძლება გაცილებით უფრო უკეთესი შეფასება მიიღოს, ვიდრე მეორემ, რომელსაც სინამდვილეში გაცილებით უფრო იშვიათად ავიწყდება ხოლმე ტელეფონის ნომრები. მაშასადამე, სავსებით შესაძლებელია, რომ კითხვარში მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას ცდისპირს უკვე აღარ ახსოვს წარსულში გამოვლენილი მეხსიერების სხვადასხვა ლაფსუსების გარკვეული ნაწილი. დ. ჰერმანის აზრით, ამ დროს შეიძლება ადვილი ჰქონდეს ე. წ. მეხსიერების ინტროსპექციულ პარადოქსსაც: კერძოდ, სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანებს, რომლებსაც მეხსიერება ხშირად ლალატობთ, ასევე სწრაფად ივიწყებენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოვლენილ დავიწყების ამ შემთხვევებს [27].



და ბოლოს, საკმაოდ დიდ სირთულეებს ვაწყდებით აგრეთვე ეტაპზეც, როცა ცდისპირმა უწინ განცდილი მეხსიერების ლაფსუსების აღწერა და მათი სიხშირის ზუსტი შეფასება უნდა მოახდინოს. საქმე ისაა, რომ შემთხვევათა რაოდენობა, რომელიც ერთი ცდისპირის მიერ განიცდება, როგორც „იშვიათი“, მეორის მიერ შეიძლება განიცდებოდეს, როგორც „ხშირი“, ვინაიდან ყოველ ადამიანს ათვლის საკუთარი სუბიექტური სისტემა გააჩნია. გარდა ამისა, შეუძლებელია, რომ კითხვარებში აღწერილი მეხსიერების ლაფსუსები ადამიანს „ყოველთვის“ ან „არასოდეს“ მოსდიოდეს. უფრო მეტიც, პ. მორისის აზრით, ამგვარი ლაფსუსები ადამიანს შემთხვევათა ნახევარშიც რომ მოსდიოდეს (როგორც ამას სკალის ერთ-ერთი დანაყოფი გულისხმობს) მაშინ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ადამიანის ნორმალური ფუნქციონა სრულიად შეუძლებელი გახდებოდა. ყოველთვის ამის გამო, ცდისპირები იძულებულნი არიან თავიანთი პასუხები ძირითადად განალაგონ მხოლოდ შემდეგ ორ დანაყოფზე — „იშვიათად“ და „ხანდახან“, რაც, რა თქმა უნდა, საკმაოდ აძნელებს ცდისპირთა პასუხებში რაიმე ვარიაციის გამოვლენას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უქანასკნელი სახის სიძნელის თავიდან აცილების მიზნით ზოგიერთ კითხვარში სკალის თითოეულ დანაყოფს თან ერთვის უფრო კონკრეტული დახასიათება (მაგ. „ხშირად“ ნიშნავს კვირაში ერთხელ), რომლის მიზანია ცდისპირის უზრუნველყოფა ათვლის უფრო ობიექტური და ერთმნიშვნელოვანი სისტემით (მაგ. იხ. [25]).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კითხვარების მეთოდის გამოყენებას საკმაოდ დიდი სიძნელეები ახლავს თან. საქმეს ისიც ართულებს, რომ უმეტეს შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია ობიექტურად შევამოწმოთ ცდისპირის რაიმე შტკიცება საკუთარი მეხსიერების ფუნქციონირების ამა თუ იმ ასპექტის შესახებ. მაგრამ მიუხედავად ამისა, კითხვარის მეთოდს აქვს დადებითი მხარეებიც, რის გამოც მისი სრული უარყოფა მაინც არ იქნებოდა გამართლებული. მართლაც, ის ხომ საშუალებას გვაძლევს დროის მცირე მონაკვეთში შევავროვოთ ისეთი მდიდარი ინფორმაცია ყოველდღიური მეხსიერების ფუნქციონირების შესახებ, რომლის მიღება ლაბორატორიულ პირობებში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

II. დ ლ ი უ რ ი ს მ ე თ ო დ ი. კითხვარების მსგავსად არც დღიურის მეთოდი წარმოადგენს რაიმე სიახლეს ფსიქოლოგიაში. მართლაც, ეს მეთოდი საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს და მისი მეშვეობით ბავშვის ფსიქოლოგიაში მრავალი საინტერესო მონაცემები იქნა შეგროვებული (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. [15]). მაგრამ საკუთრივ მეხსიერების ფსიქოლოგიაში მისი გამოყენება მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ამ მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: ექსპერიმენტატორი ცდისპირებს გარკვეული ვადით (ერთი კვირით, ერთი თვით და ა. შ.) ურიგებს სპეციალურ ბუკლეტებს, რომლებშიც ცდისპირებმა ყოველდღიურად უნდა აღწერონ (და ზოგჯერ დეტალურად დაახასიათონ სკალების მეშვეობით) თავიანთი მეხსიერების ფუნქციონირების ის ასპექტები, რომელთა შესწავლაც წარმოადგენს ამ გამოკვლევის მიზანს. ამასთან, ზოგიერთ გამოკვლევაში ცდისპირმა ექსპერიმენტატორისათვის საინტერესო ფენომენი უნდა აღწეროს მაშინვე, როგორც კი მას ადგილი ექნება მისი ყოველდღიური ცხოვრების მიმდინარეობაში (ე. ი. ცდისპირს დღიური ყველგან უნდა დაჰქონდეს თან),

ხოლო ზოგიერთ გამოკვლევაში მას ამის გაკეთება მოეთხოვება მხოლოდ დღის ბოლოს.

რა თქმა უნდა, დღიურის მეთოდსაც გააჩნია თავისი ნაკლოვანი მხარეები. უპირველეს ყოვლისა, ყველა ცდისპირი არ ამკლავებს ექსპერიმენტატორთან თანამშრომლობის ერთნაირ სურვილს. არიან ცდისპირები, რომლებიც საერთოდ უარს ამბობენ ამგვარი დავალების შესრულებაზე. საერთოდ, დადგენილია, რომ დღიურის შევსების მზაობა დადებით კორელაციაშია ცდისპირის განათლების დონესთან [14]. გარდა ამისა, ერთგვარ უხერხულობას იწვევს ის ეარემობაც, რომ ცდისპირმა ყველგან თან უნდა ატაროს დღიური იმ მიზნით, რომ როგორც კი ადგილი ექნება მეხსიერების რაიმე ლაფსუსს, მაშინვე აღწუსოს იგი. ხომ საკვებით შესაძლებელია, რომ ამ მომენტში, ცდისპირი იმდენად იყოს დაკავებული (მაგ. ატარებდეს მანქანას) რომ არაფრით არ შეეძლოს მაშინვე ამ ლაფსუსის დღიურში შეტანა. რა თქმა უნდა, ამ უხერხულობის თავიდან აცილება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ცდისპირს დღიურის შევსება მოეთხოვება დღის ბოლოს, ე. ი. როცა მან მხოლოდ საღამოს უნდა გაიხსენოს და აღწუსოს ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ დღის განმავლობაში. თუმცა ამ შემთხვევაში საკვებით შესაძლებელია, რომ ცდისპირს უკვე აღარ ასხობდეს ყველა ის ლაფსუსი, რომელიც მას დღიურში უნდა შეეტანა. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერ გამოკვლევაში, რომელშიც დღიურის მეთოდი გამოყენებული, დღიურში აღწუსულ შემთხვევათა რაოდენობა ყოველთვის უფრო ნაკლები იქნება შემთხვევათა რეალურ რაოდენობაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, დღიურის მეთოდით მოპოვებული შედეგები მაინც გაცილებით უფრო მაღალი სანდოობით ხასიათდება, ვიდრე კითხვარებით მიღებული შედეგები. მართლაც, მეხსიერების კითხვარში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას ცდისპირმა უნდა შეძლოს მეხსიერების რაიმე კონკრეტულ ლაფსუსთან დაკავშირებული ყველა შემთხვევის გახსენება და ამ შემთხვევათა ფარდობითი სიხშირის შეუცდომელი შეფასება, რაც როგორც ზემოთ ვნახეთ, მეტად დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ხოლო დღიურის მეთოდის გამოყენებისას ცდისპირის მეხსიერებაზე მინიმალური დატვირთვა მოდის: მან ან მაშინვე უნდა აღრიცხოს რაიმე ლაფსუსი ან დღის ბოლოს. ბუნებრივია, რომ გაცილებით უფრო ადვილია გავიხსენოთ შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სულ რამდენიმე საათის წინ, ვიდრე შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე თვის ან წლის წინათ. გარდა ამისა, დღიურის შევსებისას ადგილი არა აქვს ე. წ. რეტროსპექტულ შეცდომას (ე. ი. როცა ცდისპირი ახდენს მისთვის სასიამოვნო მოვლენის სიხშირის გადაფასებას, ხოლო უსიამოვნო მოვლენის — შეუფასებლობას), რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს კითხვარში მოცემულ შეკითხვებზე პასუხისას (იხ. [14]) და ბოლოს, დღიურის მეთოდის უპირატესობაზე მეტყველებს აგრეთვე ტ. შლეჩერის და დ. ჰერმანის გამოკვლევა, რომელშიც ცდისპირებს ჯერ სთხოვდნენ ყოველდღიური მეხსიერების კითხვარის შევსებას, ხოლო შემდეგ კი დღიურის წარმოებას, რომელშიც მათ სწორედ ის ლაფსუსები უნდა აღწუსსათ, რომლებიც კითხვარში იყო აღწერილი. აღმოჩნდა, რომ მეხსიერების ამ ლაფსუსთა რეალური სიხშირე (იგულისხმება, რომ დღიურში აღწუსილი ლაფსუსები დაახლოებით ასახავს მათ რეალურ სიხშირეს ყოველდღიურ ცხოვრებაში) არ შეესაბამებოდა კითხვარში მიღებულ ქულებს. კერძოდ, არც ერთი კორელაცია არ აღემატებოდა 0,15-ს. სამაგიეროდ, ეს კორელაციები წარმოუდგენლად გაი-



ზარდა (ორმა მათგანმა 0,7-საც კი გადააჭარბა) მას შემდეგ, რაც დლიურის წარმოების შემდეგ ცდისპირებს ხელახლა მოსთხოვეს ამ კითხვარების შეესება [43].

დლიურის მეთოდი მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ყოველდღიური მეხსიერების იმ ასპექტების კვლევისას, რომელთა შესწავლა ლაბორატორიულ პირობებში საკმაოდ ძნელია, ხოლო ზოგჯერ სრულიად შეუძლებელიც კი. ყოველდღიური მეხსიერების კვლევის საწყის ეტაპზე დლიურის მეთოდი ფსიქოლოგების მიერ გამოიყენებოდა იმის დასადგენად, თუ საერთოდ როგორია მეხსიერების ფუნქციონირების ზოგადი სურათი. ე. ი. რა უფრო ხშირად გვავიწყდება, რას უფრო კარგად ვიხსომებთ, ან რა მნიშვნელოვანი სტრატეგიებს ვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მიზნით ცდისპირებს ურიგდებოდათ დლიურები, რომლებშიც მათ შეძლებისდაგვარად უნდა შეეტანათ მეხსიერების ყველა ის ლაფსუსი, რომლებსაც ისინი უშვებდნენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში [19; 46].

ამ გამოკვლევებით შესაძლებელი გახდა მეტად მდიდარი და საინტერესო ფაქტობრივი მასალის მოპოვება ჩვენი მეხსიერების ყოველდღიური ფუნქციონირების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში თურმე უფრო ხშირად გვავიწყდება განზრახვების დროული შესრულება და არა რაიმე შინაარსები და ფაქტები. მართლაც, აღმოჩნდა რომ დლიურებში აღწუსულ დავიწყების შემთხვევათა ნახევარი (იხ. [19; 47]) ან 70%-იც კი (იხ. [46]), მოდის სწორედ განზრახვების დავიწყებაზე ანუ პროსპექტულ მეხსიერებაზე და არა რეტროსპექტულ მეხსიერებაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა განსაკუთრებით ინტენსიური შესწავლის საგანს თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე. რა თქმა უნდა, ძნელია იმის დაშვება, რომ მეხსიერების მკვლევარებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული პროსპექტული მეხსიერების არსებობის ფაქტი (გავიხსენოთ თუნდაც საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული ზ. ფროიდის ცნობილი „ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია“ [6], რომელშიც ერთი თავი მთლიანად ეძღვნება განზრახვათა დავიწყების საინტერესო შემთხვევათა ანალიზს). მართლაც, ძნელია წარმოვიდგინოთ თუნდაც ისეთი დღე, რომლის განმავლობაშიც უწინ მიღებული განზრახვების გახსენება და შესრულება არ გვიხდებოდა. მაგრამ თუ მიუხედავად ამისა, პროსპექტული მეხსიერება მთელი ათწლეულების მანძილზე მეხსიერების ფსიქოლოგიაში სრულიად უგულვებელყოფილ სფეროს წარმოადგენდა, ამის მიზეზი, ერთის მხრივ, ალბათ იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ პროსპექტული მეხსიერება იგივე პრინციპების მოქმედებას ეფუძნება, რასაც რეტროსპექტული მეხსიერება, და მეორეს მხრივ კი, ის სირთულეები, რაც თან ახლავს პროსპექტული მეხსიერების ლაბორატორიულ კვლევას. ალბათ სწორედ ამ სირთულეებით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა მეხსიერების ამ მეტად საინტერესო და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი სფეროს შესწავლა სწორედ დლიურის მეთოდით სცადა (მაგ. იხ. [21]).

დლიურის მეთოდი მეტად სასარგებლო აღმოჩნდა აგრეთვე ისეთი საინტერესო და ნაკლებად შესწავლილი ფენომენის საკვლევად, როგორცაა ე. წ. ენის წვერის ფენომენი, როცა ადამიანს თითქმის ენის წვერზე ადგას საჭირო სიტყვა (ადამიანის სახელი, რაიმე ტერმინი, წიგნის სახელწოდება და ა. შ.) მაგრამ მაინც ვერ ახერხებს მის გახსენებას (მაგ. იხ. [39]). მაგრამ ყველაზე მნიშვნე-



ლოვან როლს დღიურის მეთოდი მაინც ავტობიოგრაფიული მეხსიერების კვლევისას ასრულებს. მართლაც, პროსპექტული მეხსიერებისა და „ენის წვერის“ ფენომენის შესწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ დღიურის მეთოდით: მათი შესწავლა საესეებით შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ ლაბორატორიულ პირობებშიც, ხოლო ავტობიოგრაფიული მეხსიერების კვლევა დღიურის მეთოდის გარეშე ძალიან დიდ, მეთოდური ხასიათის სიძნელეებს აწყდება. მართლაც, თუკი გვაინტერესებს იმის დადგენა, თუ როგორ იხსომებს ადამიანი საკუთრივ თავის მე-სთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებს, თუ როგორ არის ორგანიზებული მეხსიერებაში მისი პიროვნებისეული გამოცდილება (ფაქტობრივად, ავტობიოგრაფიული მეხსიერების ქვეშ იგულისხმება ის, რასაც დ. უზნაძე თავის „ზოგად ფსიქოლოგიაში“ მოგონებას უწოდებს [1]), ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს. კერძოდ, მას უნდა დაევალოს დღიურის შევსება. როშელშიც ის ყოველდღიურად სწორედ ამ სახის ინფორმაციას შეიტანს, ხოლო ვარკვეული დროის გასვლის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, თუ რა ახსოვს ადამიანს თავის დღიურში აღწუსებული შთაბეჭდილებებიდან. როგორც ვხედავთ, ავტობიოგრაფიული მეხსიერების შემსწავლელი გამოკვლევა ორი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე ცდისპირებს მოეთხოვებათ დღიურის შევსება, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ წარმოებს ავტობიოგრაფიული მეხსიერების შემსწავლელი ექსპერიმენტისათვის ადეკვატური მასალის შეგროვება. ხოლო მეორე ეტაპზე ცდისპირს უტარდება საკუთრივ მეხსიერების ექსპერიმენტი, რომელშიც წარმოებს ცდისპირის მეხსიერების შემოწმება არა ხელოვნურ და უაზრო, არამედ მისი პირადი ცხოვრებიდან აღებულ ბუნებრივ და აზრიან მასალაზე [10; 32]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ავტობიოგრაფიული მეხსიერების შესწავლა ძირითადად დღიურისა და ექსპერიმენტული მეთოდის კომბინაციით წარმოებს, და ამდენად, დღიურის მეთოდი წარმოადგენს ავტობიოგრაფიული მეხსიერების შესწავლის აუცილებელ მაგრამ მაინც არასაკმარის პირობას.

III. ექსპერიმენტი. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარისა და დღიურის მეთოდები შეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა ყოველდღიური მეხსიერების საკვლევად, ისინი მაინც ვერ შეეცლიან (და მით უმეტეს ვერ განდევნიან) ექსპერიმენტულ მეთოდს, რომელიც ძირითადად გულისხმობს შესასწავლ ფენომენზე ზუსტი მეცნიერული კონტროლის დაწესებას. სწორედ ამიტომ ეკოლოგიურ მიდგომაში ექსპერიმენტს საკვლევ მეთოდთა შორის მაინც წამყვანი ადგილი უჭირავს. ამასთან, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ე. წ. საველე ექსპერიმენტი (Field experiment) და საკუთრივ ლაბორატორიული ექსპერიმენტი.

ა) საველე ექსპერიმენტი. საველე ექსპერიმენტი გულისხმობს ცდის ჩატარებას ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, ცდისპირისათვის ჩვეულ, ყოველდღიურ გარემოში. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში იყო გამოყენებული ვ. შტერნის მიერ მოწმის ჩვენებათა სიზუსტის ფსიქოლოგიური მექანიზმის შესწავლისას<sup>3</sup>, ხოლო 30-იან წლებ-

<sup>3</sup> ამ გამოკვლევაში მონაწილე სტუდენტები მათთვის სრულიად ჩვეულ გარემოში იმყოფებოდნენ (კერძოდ, მონაწილეობდნენ შტერნის მიერ ჩატარებულ სემინარში), როდესაც ადგილი ჰქონდა მათზე ექსპერიმენტულ ზემოქმედებას — ხდებოდა რაღაც ბუნებრივი, სრულიად ჩვეულებრივი ინციდენტის გათამაშება. ხოლო რვა დღის შემდეგ იმავე აუდიტორიაში ჩატარებულ სემინარში მონაწილეობისას მათ მოულოდნელად სთხოვდნენ ამ ინციდენტის გახსენებას და დეტალურ აღწრას [45].



ში ამ მეთოდის პროპაგანდას ეწეოდა რუსი ფსიქოლოგი ა. ლანცეტისმიერ, რომ ეს მეთოდი საბჭოთა ფსიქოლოგიაში ცნობილი იყო როგორც ლანსეტის ბუნებრივი ექსპერიმენტის მეთოდი (იხ. [5]). მიუხედავად ამისა, ეს მეთოდი გარკვეული მიზეზების გამო 70-იან წლებამდე თითქმის სრულიად მივიწყებული იყო და მის „რეაბილიტაციას“ მეხსიერების თანამედროვე ფსიქოლოგიაში ხელი შეუწყო სწორედ ეკოლოგიური მიდგომის ჩამოყალიბებამ.

საველე ექსპერიმენტის შემოღებას მეხსიერების თანამედროვე ფსიქოლოგიაში საფუძვლად შემდეგი მოსაზრებები დაედო: უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიურად ორიენტირებული ფსიქოლოგები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ლაბორატორიული სიტუაციის ხელოვნურობის გამო. მათი აზრით, ხშირად ლაბორატორიული სიტუაცია ადამიანისათვის უცხო და გაუგებარია, რის გამოც იგი ზედმეტად იძაბება და ამიტომ შესაძლებელია მოგვეცეს ისეთი რეაქციები (პასუხები), რომლებსაც არაფერი ჰქონდეთ საერთო იმ რეაქციებთან, ექსპერიმენტი მისთვის უფრო ჩვეულ და ნაკლებად ხელოვნურ გარემოში რომ ჩაგვეტარებინა [16]. გარდა ამისა, არის მეხსიერების ისეთი ფენომენები, რომელთა მოდელირებასა და შესწავლას ლაბორატორიულ პირობებში საკმაოდ დიდი სიძნელებები ახლავს თან. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ფენომენს წარმოადგენს განზრახვის დროული გახსენება ანუ პროსპექტული მეხსიერება, რომლის შესწავლა ტრადიციული ლაბორატორიული მეთოდებით (რომლებიც არსებითად მხოლოდ რეტროსპექტული მეხსიერების საკვლევადაა გამიზნული) სრულიად შეუძლებელია. იმისათვის რომ ექსპერიმენტულად შევისწავლოთ მეხსიერების ეს ფენომენი, საჭიროა შემუშავდეს ახალი, ტრადიციული-საგანპრინციპულად განსხვავებული ლაბორატორიული მეთოდები, ანდა საჭიროა გავიდეთ ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ და ჩავატაროთ საველე ექსპერიმენტი. აღსანიშნავია, რომ პროსპექტული მეხსიერების კვლევის გარიჟრაჟზე ზოგიერთმა მკვლევარმა სწორედ საველე ექსპერიმენტს მიანიჭა უპირატესობა [34; 48]. ამ ექსპერიმენტში ცდისპირებს თავიანთი ყოველდღიური აქტივობის პროცესში უნდა შეესრულებინათ გარკვეული მოქმედებები — მაგალითად, გაეგზავნათ ღია ბარათი ექსპერიმენტატორისათვის გარკვეულ წინასწარ დათქმულ დღეებში ან დაექოქათ სპეციალური საათები დღეში რამდენჯერმე წინასწარ შეთანხმებულ საათებში. საერთოდ, საველე ექსპერიმენტი მეტად ხელსაყრელი მეთოდი აღმოჩნდა ამ ტიპის მეხსიერების საკვლევად.

ამრიგად, ხეზისმიერ საველე ექსპერიმენტში იმთავითვე გამორიცხულია ლაბორატორიული პირობებისათვის დამახასიათებელი ხელოვნურობა. მაგრამ ექსპერიმენტის ჩატარება ცდისპირისათვის ჩვეულ გარემოში ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ გამოკვლევისათვის მაღალი რეპრეზენტატულობა იქნება დამახასიათებელი. მართლაც, როგორც ეს ზემოთ უკვე იყო მითითებული, რეპრეზენტატულობას განსაზღვრავს არა მხოლოდ ექსპერიმენტული სიტუაციის (გარემოს) არამედ აგრეთვე ექსპერიმენტული დავალების (მასალის) ხელოვნურობა-ბუნებრიობის ხარისხიც. მართლაც, სავსებით შესაძლებელია, რომ ექსპერიმენტი ტარდებოდეს ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამავე დროს ცდისპირს ეძლეოდეს ისეთი საკმაოდ ხელოვნური დავალება, რომლის ანალოგი ყოველდღიურ ცხოვრებაში ძნელად თუ მოიძებნება. სწორედ ამის გამო, აქამდე ჩატარებული ყველა საველე ექსპერიმენტი შეიძლება თავის მხრივ დაიყოს ორ კლასად იმისდა მიხედვით, თუ როგორი ექსპერიმენტული დავალება ეძლევა შესასრულებლად ცდისპირს; ხე-

ლოვნური თუ ბუნებრივი. ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ხელოვნური საველე ექსპერიმენტი და ბუნებრივი საველე ექსპერიმენტი. პირველ შემთხვევაში ცდისპირის მისთვის ჩვეულ გარემოში რაიმე ხელოვნური დავალების შესრულება უხდება, და ამასთან ერთად ცდისპირმა იცის, რომ მისი ქცევა სპეციალური შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში ცდისპირი ისე ასრულებს რაიმე მისთვის სავსებით ბუნებრივ დავალებას, რომ არც კი იცის იმის შესახებ, რომ მასზე ექსპერიმენტი ტარდება.

ხელოვნური საველე ექსპერიმენტის ნიმუშს წარმოადგენს მაგალითად ზემოდასახელებული პროსპექტული მეხსიერების შემსწავლელი ექსპერიმენტები. თუმცა ეს ექსპერიმენტები ცდისპირებისათვის სავსებით ჩვეულ, ბუნებრივ გარემოში მიმდინარეობდა, საკუთრივ ექსპერიმენტული დავალებები მაინც საკმაოდ ხელოვნური იყო. მართლაც განა ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს ხშირად უხდებათ თითქმის უცნობი ადამიანისათვის (ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორისათვის) ცარიელი ღია ბარათების გაგზავნა წინასწარ დათქმულ დღეებში, ანდა პატარა პლასტმასის კოლოფების დაქოქვა დღეში ოთხჯერ გარკვეულ საათებში? ბუნებრივი საველე ექსპერიმენტის მაგალითად კი შეიძლება დაგვესახელებინა რ. ლევის [31] და სომერკილის და სხვების [44] მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები, მართლაც, რ. ლევის გამოკვლევაში ცდისპირებს (ქალებს, რომლებიც თავის ერთ-ერთ შვილთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ქცევითი თერაპიის კურსში) სთხოვდნენ დაერკიათ თერაპევტისათვის ერთი კვირის შემდეგ საღამოს 7-დან 9 საათამდე, რათა მიეღოთ შემდგომ მკურნალობასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია, ხოლო სომერკილისა და სხვების გამოკვლევაში პატარა ბავშვებს (2-დან 4 წლამდე) დედები სთხოვდნენ მომავალში რაიმეს გაკეთებას. მაგალითად, „ხვალ რომ მაღაზიაში ვიქნებით, შემახსენე რომ კამფეტები ვიყიდო“, ან „მამა რომ მოვა, უთხარი რომ ნაგავი გადაყაროს“ და ა. შ.

ადვილი შესაძინებია, რომ ამ გამოკვლევებში გამოყენებული ექსპერიმენტული დავალებები გაცილებით უფრო რეპრეზენტატიულია, ვიდრე ჯ. მიჩამისა და ბ. ლეიმანის [34] ან ა. უილკინსისა და ა. ბედელის [48] ზემოდასახელებულ ექსპერიმენტებში გამოყენებული დავალებები. ამიტომ თუ რაიმე მოსაზრებების გამო საჭიროა ექსპერიმენტის ჩატარება ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ რა თქმა უნდა უმჯობესია, თუ მივმართავთ არა ხელოვნურ, არამედ ბუნებრივ საველე ექსპერიმენტს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ექსპერიმენტების ჩატარება მოზრდილ ცდისპირებზე საკმაოდ დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული და, ალბათ, სწორედ ამიტომაც არის, რომ მათი ე. ი. ბუნებრივი საველე ექსპერიმენტების რიცხვი საკმაოდ მცირეა. გარდა ამისა, როგორც ხელოვნურ ასევე ბუნებრივ საველე ექსპერიმენტს გააჩნია რამოდენიმე ისეთი ნაკლი, რომლის გამოც ბევრი მკვლევარი საერთოდ უარს ამბობს მასზე და ისევ ლაბორატორიული ექსპერიმენტის ჩატარებას ამჯობინებს. მართლაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ექსპერიმენტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ექსპერიმენტატორი კარგავს კონტროლს ცდისპირის ქცევაზე. ვინაიდან ცდა ცდისპირის ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარეობს, რომელიც სავსეა მრავალი მოულოდნელობითა და გაუთვალისწინებელი ფაქტორებით, სწორედ ამიტომ ხშირად საკმაოდ ძნელი ხდება იმის გარ-

კვება, თუ რას უნდა მივაწეროთ მიღებული შედეგები: ექსპერიმენტატორის მიერ შემოტანილ ფაქტორს ანუ დამოუკიდებელ ცვლადს, თუ ამ გაუთვალისწინებელ ფაქტორებს, რომელთა კონტროლი ექსპერიმენტატორის ძალეზს აღემატება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საველე ექსპერიმენტებს აკლიათ შინაგანი ვალიდობა<sup>4</sup> და ამიტომ ასეთ ექსპერიმენტებში მიღებულ შედეგებს ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოვეყვიდოთ.

ბ) ლაბორატორიული ექსპერიმენტი. დასასრულ, განსახილველი დავგრაჩა საკუთრივ ლაბორატორიული ექსპერიმენტი, რომელსაც ეკოლოგიურ მიდგომაში ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მეთოდებთან შედარებით მაინც წაშყვანი ადგილი უჭირავს. ამ მეთოდის ასეთი პოპულარობა, რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმ მრავალი უპირატესობით, რაც მას გააჩნია სხვა მეთოდებთან შედარებით. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეკოლოგიური მიდგომის აღმოცენება ხომ სწორედ ტრადიციული ლაბორატორიული ექსპერიმენტის ხელოვნურობით გამოწვეულმა უქმყოფილებამ განაპირობა; მაშ რა სახეს ატარებს დღესდღეობით ლაბორატორიული ექსპერიმენტი ეკოლოგიურ მიდგომაში?

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური ვალიდობის მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი ექსპერიმენტის ჩატარება ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ ან სხვა ალტერნატიული მეთოდების გამოყენება, რომლებიც, სამწუხაროდ, ნაკლები მეცნიერული სიზუსტით ხასიათდებიან. აღმოჩნდა, რომ ლაბორატორიული ექსპერიმენტის ხელოვნურობა ნაწილობრივ მაინც, ან ზოგჯერ მთლიანად კი, შეიძლება გადაილახოს, თუ რეტროსპექტიული მეხსიერების შესწავლისას ცდისპირის დასასწავლად მიეცემა ისეთი მასალა, რომელიც მალალი რეპრეზენტატულობით ხასიათდება, ანდა თუკი ლაბორატორიულ სიტუაციაში მოხერხდება ჩვენთვის საინტერესო მეხსიერების ფენომენის იმგვარად მოდელირება, რომ იგი არ ცარგადეს იმ ნიშან-თვისებებს, რაც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში გააჩნია. ორივე ამ მიზნის მიღწევა სავსებით შესაძლებელი აღმოჩნდა. მართლაც, ამჟამად მეხსიერების ექსპერიმენტები აღარ ტარდება ისეთ უაზრო მასალაზე, რასაც არაფერი აქვს საერთო ადამიანის რეალურ მოთხოვნებსა და საქმიანობასთან. მაგალითად, ავტობიოგრაფიული მეხსიერების შემსწავლელ ექსპერიმენტებში ცდისპირს ევალება მისი პირადი ცხოვრებიდან აღებული მასალის გახსენება, ხოლო მოწმის ჩვენების შემსწავლელ ექსპერიმენტებში ცდისპირებს ეძლევათ რაიმე ინციდენტის ამსახველი ვიდეოფირები, ანდა ადამიანთა სახეების სქემატური ნახატების მაგიერ ეძლევათ ფოტოსურათები და ა. შ. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელი აღმოჩნდა აგრეთვე ისეთი ფენომენების შესწავლა ლაბორატორიულ პირობებში, როგორცაა მაგალითად, პროსპექტიული მეხსიერება [4] და „ენის წვერის“ ფენომენი [13]. ამრიგად, ეკოლოგიური ვალიდობის მიღწევა ლაბორატორიულ პირობებშიც სავსებით რეალურია, თუკი ექსპერიმენტატორი მოახერხებს ცდისპირისათვის რეპრეზენტატიული მასალის ან რეპრეზენტატიული ექსპერიმენტული დავალების მიცემას. საერთოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ ექსპერიმენტული სიტუაციისა და ექსპერიმენტული მასალის (დავალების) ხელოვნურობა-ბუნებურობას, მივღებთ ექსპერიმენტის 4 ძირითად ტიპს, რომლებიც ქვემოთ მოყვანილ სქემაშია წარმოდგენილი.

<sup>4</sup> შინაგანი ვალიდობის შესახებ უფრო დეტალურად იხ. [3].

მ ა ს ა ლ ა

	ხელოვნური	ბუნებრივი
ა ბ გ დ ე ვ ზ	I ტრადიციული ლაბორატორიული ექსპერიმენტი	II ეკოლოგიურად ვალიდური ლა- ბორატორიული ექსპერიმენტი
	III ხელოვნური საველე ექსპერიმენტი	IV ბუნებრივი საველე ექსპერიმენტი

პირველი ტიპის ექსპერიმენტი (ე. ი. ხელოვნურ მასალაზე ჩატარებული ლაბორატორიული ექსპერიმენტი) ძირითადად დამახასიათებელია მეხსიერების როგორც ტრადიციული ასევე კოგნიტური ფსიქოლოგიისათვის, თუმცა ზოგჯერ მას ეკოლოგიური მიდგომის მომხრეებიც იყენებენ. მაგალითისათვის შეიძლება მოგვეყვანა ჯ. ჰარისისა და ა. უილკინსის ექსპერიმენტი, რომელშიც პროსპექტული მეხსიერების შესწავლა ლაბორატორიულ პირობებში ნაცადი იყო ისეთი ხელოვნური დავალებით, როგორიცაა სათავგადასავლო ფილმის ყურების პროცესში 3 და 9 წუთიანი ინტერვალებით ხელის მალა აწევა [26].

მეორე ტიპის ექსპერიმენტი (ე. ი. ბუნებრივ მასალაზე ჩატარებული ლაბორატორიული ექსპერიმენტი) ძირითადად ეკოლოგიური მიდგომისთვისაა და მახასიათებელი და ფაქტიურად მის ძირითად მეთოდურ იარაღს წარმოადგენს. თუმცა ზოგჯერ ამ მეთოდს მიმართავდნენ მეხსიერების ტრადიციულ ფსიქოლოგიაშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავგვსახელებინა ფ. ბარტლეტის ცნობილი ექსპერიმენტები [11], ანდა რ. ბრაუნისა და დ. მაკნილის 1966 წელს ჩატარებული არანაკლებ ცნობილი ექსპერიმენტი, რომელშიც ამ ავტორებმა მოახერხეს „ენის წვერის“ ფენომენის გამოწვევა ლაბორატორიულ პირობებში იმ სახით, რა სახითაც ის გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში [13].

მესამე ტიპის ექსპერიმენტი — ეს არის ხელოვნური საველე ექსპერიმენტი, ე. ი. ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ცდა ხელოვნური მასალით ან დავალებით, ხოლო მეოთხე ტიპის ექსპერიმენტი კი — ბუნებრივი საველე ექსპერიმენტი, ე. ი. ლაბორატორიის ფარგლებს გარეთ ჩატარებული ცდა ბუნებრივი მასალის ან დავალების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ მესამე და მეოთხე ტიპის ექსპერიმენტები მხოლოდ და მხოლოდ ეკოლოგიური მიდგომის კუთვნილებაა, ვინაიდან მეხსიერების ტრადიციულ ფსიქოლოგიაში სრულიად წარმოუდგენელი იყო ექსპერიმენტის ჩატარება ცდისპირთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ყოველდღიური მეხსიერების კვლევისას ფაქტობრივად გამოიყენება ექსპერიმენტის ოთხივე სახეობა, თუმცა მათი ხვედრითი წონა არ არის ერთნაირი. მართლაც, ყველაზე უფრო იშვიათად გამოიყენება ექსპერიმენტის პირველი ტიპი, ანუ ტრადიციული ლაბორატორიული ექსპერიმენტი, და ყველაზე ხშირად კი — ექსპერიმენტის მეორე ტიპი, რომლისთვისაც ეკოლოგიურად ვალიდური ლაბორატორიული ექსპერიმენტი შეიძლება გვეწოდებინა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს უკანასკნელი ეკოლოგიური მიდგომის მომხრეთა მიერ სულ უფრო ხშირად გამოიყენება





ისეთ სხვა მეთოდებთან კომბინაციაში, როგორცაა სავლელ ექსპერიმენტი, დლიურის მეთოდი, კითხვარის მეთოდი, ბუნებრივი დაკვირვება და სხვა. საქმე იმაშია, რომ მეხსიერების შემსწავლელი ნებისმიერი გამოკვლევა თავის თავში შეიცავს 3 ეტაპს. ესენია: მასალის ექსპოზიციისა და მისი დასწავლის ეტაპი, მეორე — ლატენტური პერიოდი, და ბოლოს დასწავლის გახსენების ანუ ტესტირების (შემოწმების) ეტაპი. მეხსიერების ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ლაბორატორიული ექსპერიმენტი ერთი ცდის პირობებში ჩვეულებრივ სამივე ეტაპს მოიცავს, ხოლო ყოველდღიური მეხსიერების კვლევისას ეს ეტაპები სავსაობდ ხშირად დროშია ერთმანეთს დაცილებული და თითოეული მათგანის შესწავლა განსხვავებული მეთოდებით სწარმოებს. მაგალითად, ავტობიოგრაფიული მეხსიერების შემსწავლელ გამოკვლევებში პირველი ეტაპისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დლიურის მეთოდი ანდა სავლელ ექსპერიმენტი (როცა წარმოებს რაიმე ბუნებრივი, მაგრამ ამავე დროს წინასწარდაგეგმილი ინციდენტის გათამაშება), ხოლო მესამე ეტაპისათვის კი — საკუთრივ ლაბორატორიული ექსპერიმენტი. შესაძლებელია შებრუნებული ვარიანტიც, როცა პირველი ეტაპის შესწავლა ხდება ლაბორატორიაში, ხოლო მესამე ეტაპისა კი — ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩატარებული ექსპერიმენტის ანდა ბუნებრივი დაკვირვების მეთოდის გამოყენებით. მაგალითად, ერთერთ გამოკვლევაში ცდისპირებს ლაბორატორიაში ასწავლიდნენ გარკვეულ მნიშვნისტურ ხერხს, ხოლო შემდეგ ხდებოდა იმის აღნუსხვა, თუ რამდენად ეფექტურად იყენებდნენ ისინი ამ ხერხს ისეთ ყოველდღიურ სიტუაციაში, როგორცაა მაგალითად სუპერმარკეტში პროდუქტებისა და სხვა საქირო ნივთების ყიდვა [7].

### ეკოლოგიური რეფორმის მნიშვნელობა თანამედროვე ფსიქოლოგიაში

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური მიდგომის მომხრეები სულაც არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ბუნებრივი დაკვირვებით, არამედ თავის გამოკვლევაში იყენებენ მეთოდთა სავსაობდ ფართო სპექტრს, როგორც არაექსპერიმენტულს (მაგ. კითხვარები და დლიურები), ასევე ექსპერიმენტულს, ან ამ მეთოდთა რაიმე კომბინაციას. ამდენად, მხოლოდ ბუნებრივი დაკვირვებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების გამო მთელი მიდგომის გაკრიტიკება და უარყოფა სრულიად გაუმართლებელია. ნაადრევია აგრეთვე ლაპარაკი ეკოლოგიური მიდგომის უსუსურობაზე ანუ, მ. ბანაჯისა და რ. კრაუდერის სიტყვებით რომ ვთქვათ, მის „გაკოტრებაზე“. რა თქმა უნდა, ეკოლოგიური მიდგომის შემოტანა მეხსიერების ფსიქოლოგიაში ვერ შეედრება კოპერნიკისეულ გადატრიალებას, მაგრამ მან მაინც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე მეხსიერების ფსიქოლოგიაზე, გაამდიდრა რა იგი ისეთი ახალი და საინტერესო მონაცემებით, რომელთა მიღება მეხსიერების ტრადიციული ფსიქოლოგიის ჩარჩოებში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ეკოლოგიურ მიდგომას არაფერი აქვს საერთო მეხსიერების ტრადიციულ ფსიქოლოგიასთან და რომ მან მთლიანად უნდა შეცვალოს ეს უკანასკნელი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეკოლოგიური მიდგომის მომხრეები თავიანთ გამოკვლევებში ძირითადად მაინც ტრადიციული ფსიქოლოგიიდან ნასესხებ მეთოდს, კერძოდ, ლაბორატორულ ექსპერიმენტს იყენებენ. განსხვავება ამ ორ მიდგომას შორის მდგომარეობს არა იმდენად გამოყენებულ მე-

თოდებში, რამდენადაც კვლევის საბოლოო მიზნებში. როგორც სამართლმცოდნეობის მიუთითებს ჯ. კონი, მეხსიერების ტრადიციული ფსიქოლოგიის ძირითადი მიზანი იყო და არის მეხსიერების ზოგადი თეორიებისა და აბსტრაქტული მოდელების შემუშავება-შემოწმება, ხოლო ეკოლოგიური მიდგომის მიზანი კი უფრო ყოველდღიური მეხსიერების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაში მდგომარეობს [17]. სწორედ ამის გამო ეს ორი მიმართულება მეხსიერების ფსიქოლოგიაში უნდა განვიხილოთ როგორც ურთიერთმომავლებელი და არა ანტაგონისტური. მართლაც, ერთი მხრივ, ეკოლოგიური მიდგომის ჩარჩოებში მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალა ფსიქოლოგ-თეორეტიკოსებს ეხმარება იმის გარკვევაში, თუ რამდენად ფართოა ლაბორატორიაში შემუშავებული ზოგადი თეორიების მოქმედების ანუ გამოყენების არე, ხოლო მეორეს მხრივ, მეხსიერების ტრადიციულ ფსიქოლოგიაში შემუშავებული კლასიფიკაციებისა და ზოგადი თეორიული პრინციპების მართებული გამოყენება უდავოდ მეცნიერულ სინუსტეს მატებს ყოველდღიური მეხსიერების გამოკვლევებს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეკოლოგიური მიდგომა, არ წარმოადგენს მხოლოდ მეხსიერების ფსიქოლოგიის პრეროგატივას. საზოცდაათიან წლებში სერიოზული კრიტიკა იქნა გამოთქმული ფსიქოლოგიის ისეთი დარგების მიმართ, როგორიცაა მაგალითად, სოციალური ფსიქოლოგია [33], გენეტიკური ანუ ასაკობრივი ფსიქოლოგია [12; 30], აღქმის ფსიქოლოგია [24] და სხვ. საინტერესოა, რომ ამ დარგებში გამოყენებული ხელოვნური ექსპერიმენტული პარადიგმების კრიტიკა ორი წვეთი წყალივით ჰგავს უ. ნაისერის შიერ თავის ცნობილ მოხსენებაში გამოთქმულ მოსაზრებებს. ფაქტობრივად, ეკოლოგიურმა რეფორმამ მეტად თუ ნაკლებად თითქმის მთელი კონკრეტული ფსიქოლოგია მოიცვა [42], მაგრამ მეხსიერების ფსიქოლოგიის გარდა განსაკუთრებული სიძლიერით თავისი გამოხატულება მან დღესდღეობით მაინც ასაკობრივ ფსიქოლოგიასა (იხ. [2]) და აზროვნების ფსიქოლოგიაში პოვა [38; 40]. საერთოდ, ამერიკელი ფსიქოლოგის ჯ. გიზსის აზრით, ეკოლოგიურ მიდგომას აქვს ეპისტემოლოგიური მნიშვნელობა და თავისი არსით იგი ფუნდამენტურ ფილოსოფიურ საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, მისი აზრით, ეკოლოგიური მიდგომა წარმოადგენს მცდელობას ერთმანეთს შეარიგონ ის უკიდურესი ობიექტივიზმი და სუბიექტივიზმი, რომელიც გამოყენებულია თანამედროვე ფსიქოლოგიაში, ერთის მხრივ, ნეობიჰევიორიზმისა და კონკრეტული ფსიქოლოგიის აბსტრაქტულ-კომპიუტერული მოდელების, და, მეორეს მხრივ, ეგზისტენციალური და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სახით [23]. მაგრამ ვინაიდან ეკოლოგიური მიდგომა ფსიქოლოგიაში თავისი არსებობის მხოლოდ 10—15 წელს ითვლის, ამიტომ, ალბათ, მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად ძალუძს ეკოლოგიურ მიდგომას ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრა.

#### ლიტერატურა:

1. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1941.
2. Бурменская Г. В. Экологическая ориентация в современной американской психологии развития. Вопросы психологии, 1985, № 4.
3. Готтעדанкер Р. Основы психологического эксперимента. М., 1982.
4. Квалишвили Л. Дж. Воспоминание (забывание) намерения, как особая форма памяти и влияющие на него факторы. Тбилиси, 1990.
5. Лазурский А. Ф. Психология: общая и экспериментальная. Л., 1925.
6. Фрейд З. Психопатология обывденной жизни. М., 1910.

7. Anschutz L. et al. Maintenance and generalisation of mnemonics for grocery shopping by older adults. *Experimental Aging Research*, 1985, 11.
8. Bahrick H. P. Appropriate strategies for memory research. Paper presented at the International Conference on Memory. Lancaster, July, 1991.
9. Banaji M. R. and Crowder R. The bankruptcy of everyday memory. *American Psychologist*, 1989, 44.
10. Barclay C. R. and DeCooke P. A. Ordinary everyday memories: Some of the things of which selves are made. In: U. Neisser and E. Winograd (eds). *Remembering Reconsidered: Ecological and Traditional Approaches to the Study of Memory*. Cambridge: Cambridge University Press, 1988.
11. Bartlett F. C. *Remembering*. Cambridge: Cambridge University Press, 1954.
12. Bronfenbrenner U. Toward an experimental ecology of human development. *American Psychologist*. 1977, 32.
13. Brown R. and McNeill O. The „tip of the tongue“ phenomenon. *Journal of Verbal Learning and Behavior*, 1966, 5.
14. Carp F. M. and Carp A. The validity, reliability and generalizability of diary data. *Experimental Aging Research*, 1981, 7.
15. Cavanaugh J. C. and Hertzog Ch. Uses of diary data in Cognitive and developmental research. In: R. L. West and J. D. Sinnott (eds.). *Everyday Memory and Aging: Current Research and Methodology*, 1990, New York: Springer-Verlag.
16. Ceci S. J. and Bronfenbrenner U. On the demise of everyday memory. *American Psychologist*. 1991, 46.
17. Cohen G. *Memory In the Real World*. Hillsdale: Lawrence, 1989.
18. Conway M. A. In defense of everyday memory. *American Psychologist*, 1991, 46.
19. Crovitz H. F. and Daniel W. F. Measurements of everyday memory. *Bulletin of Psychonomic Society*, 1984, 22.
20. Ebbinghaus H. J. *Memory: A contribution to experimental psychology*. New York: Dover, 1964.
21. Ellis J. A. Memory for future intentions: Investigating pulses and steps. In: M. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds.). *Practical Aspects of Memory: Current research and issues*, vol. 1: *Memory in everyday life*. Chichester: Wiley.
22. Flavell J. H. and Wellman H. M. Metamemory. In: R. V. Kail and J. W. Hagen (eds.). *Perspectives on the Development of Memory and Cognition*. Hillsdale: Erlbaum, 1977.
23. Gibbs J. C. The meaning of ecologically oriented inquiry in contemporary psychology. *American Psychologist*, 1979, 34.
24. Gibson J. J. *The Ecological Approach to Visual Perception*. Boston: Houghton Mifflin 1979.
25. Harris J. E. External memory aids. In: M. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds.). *Practical Aspects of Memory*. London: Acad. Press, 1978.
26. Harris J. E. and Wilkins A. J. Remembering to do things: A theoretical framework and an illustrative experiment. *Human Learning*, 1982, 1.
27. Herrman D. J. The validity of memory questionnaire as related to theory of memory introspection. Paper presented at the meeting of the British Psychological Society. London. December, 1979.
28. Herrman D. J. and Neisser U. An inventory of everyday memory experiences. In: M. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds.). *Practical Aspects of Memory*, London: Acad. Press, 1978.
29. Kreutser M. A., Leonard S. C. and Flavell J. H. Prospective remembering in children. In: U. Neisser (ed.). *Memory Observed*. San Francisco: Freeman, 1982.

30. Kuhn D. Mechanisms of cognitive and social development: One psychology or two? *Human Development*, 1978, 21.
31. Levy R. L. Relationship of an overt commitment to task compliance in behavior therapy. *Journal of Behavior Therapy and Experimental Psychiatry*, 1977, 8.
32. Linton M. Transformations of memory in everyday life. In: U. Neisser (ed.). *Memory Observed*. San Francisco: Freeman, 1982.
33. McGuire W. J. The yin and yang of social psychology. *Journal of Personality and Social Psychology*, 1973, 26.
34. Meacham J. A. and Leiman B. Remembering to perform future actions. In: U. Neisser (ed.), *Memory Observed*. San Francisco: Freeman, 1982.
35. Morris P. E. The validity of subjective reports on memory. In: J. E. Harris and P. E. Morris (eds.). *Everyday Memory, Actions and Absent-Mindedness*. London, etc.: Acad. Press, 1984.
36. Neisser U. Memory: What are the important questions. In: M. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds.). *Practical Aspects of Memory*. London: Academic Press, 1978. Also in U. Neisser (ed.). *Memory Observed*. San Francisco: Freeman, 1982.
37. Neisser U. New vistas in the study of memory. In: U. Neisser and E. Winograd (eds), *Remembering Reconsidered*. Cambridge: Cambridge Univ. Press, 1988.
38. Neisser U. (ed.). *Concepts and Conceptual Development: Ecological and Intellectual Factors in Categorization*. Cambridge: Cambridge Univ. Press, 1987.
39. Reason J. T. and Lucas D. Using cognitive diaries to investigate naturally occurring memory blocks. In: J. E. Harris and P. E. Morris (eds.), *Everyday Memory, Actions and Absent-Mindedness*, London: Acad. Press, 1984.
40. Rogoff B. and Lave T. (eds.). *Everyday Cognition: Its development in social context*. Cambridge: M. A. Harvard University Press, 1984.
41. Schulster J. R. Broader perspectives on everyday memory. In: H. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds.), *Practical Aspects of Memory: Current Research and Issues* (vol. 1). Chichester: Wiley, 1988.
42. Shaw R. and Bransford J. (eds.). *Perceiving, Acting and Knowing: Toward an Ecological Psychology*, Hillsdale, N. J: Erlbaum, 1977.
43. Shlechter T. M. and Herrman D. J. Multi-method approach to investigating everyday memory. Paper presented at the annual meeting of the Eastern Psychological Association, New York, April, 1981.
44. Sommerville S. C., Wellman H. M. and Cultice J. C. Young children's deliberate reminding. *Journal of Genetic Psychology*, 1983, 143.
45. Stern W. Realistic experiments. In: U. Neisser (ed.). *Memory Observed*, San Francisco: Freeman, 1982 (originally published in 1904).
46. Terry W. S. Everyday forgetting: data from a diary study. *Psychological Reports*, 1988, 62.
47. West R. An analysis of prospective everyday memory. Paper presented at the meeting of the American Psychological Association, Toronto, 1984.
48. Wilkins A. J. and Baddeley A. D. Remembering to recall in everyday life: An approach to absent-mindedness. In: M. M. Gruneberg, P. E. Morris and R. N. Sykes (eds.), *Practical Aspects of Memory*. London and New York: Academic Press, 1978.
49. Winograd E. Continuities between ecological and laboratory approaches to memory. In: U. Neisser and E. Winograd (eds.). *Remembering Reconsidered*. Cambridge: Cambridge University Press, 1988.
50. Winograd E. The case for both approaches to memory. Paper presented at the International Conference on Memory, Lancaster, July, 1991.

Л. Дж. КВАВИЛАШВИЛИ

## ЭКОЛОГИЧЕСКИЙ ПОДХОД В СОВРЕМЕННОЙ ПСИХОЛОГИИ ПАМЯТИ

### Резюме

В работе изложена краткая история становления нового, т. е. экологического подхода в современной психологии памяти, главной особенностью которого является стремление изучить функционирование памяти в естественных условиях своего проявления. На основе критического анализа понятия экологической валидности делается вывод о том, что данное понятие включает в себя два тесно взаимосвязанных аспекта, которые можно назвать факторами репрезентативности и обобщенности. Под первым подразумевается то, насколько мы в состоянии изучить память в том виде, в каком она реально существует в повседневной жизни людей, а под вторым — действует ли установленная нами закономерность только в лаборатории или и за ее пределами.

Анализ тех разнообразных методов (экспериментальных и неэкспериментальных), которые весьма успешно используются в рамках экологического подхода, указывает на большие возможности, открывающиеся перед исследователями каждодневной памяти. Подчеркивается, что экологический и традиционный лабораторный подходы в психологии памяти не исключают, а, наоборот, дополняют и взаимно обогащают друг друга.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნა-  
დის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



პიტაღორა

ეგზისტენციალიზმი (ვიქტორ ემილ ფრანკლი)

ვიქტორ ემილ ფრანკლის კონცეფცია ეგზისტენციალიზმი, რასაც ასევე ლოგოთერაპია ეწოდება, ცნობილია როგორც „ვენის ფსიქოთერაპიული სკოლის მესამე მიმართულება“ (ზ. ფროიდის ფსიქოანალიზისა და ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგიის გვერდით). ეგზისტენციალიზური კონცეფციის ჩამოყალიბებაში ავტორზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს: მ. ჰაიდეგერმა (რომელთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა), კ. იასპერსმა, მ. შელერმა, ლ. ბინსვანგერმა, გ. მარსელმა.

ვ. ფრანკლის მოღვაწეობის ძირითადი მოტივი იყო ფსიქოლოგიზმის დაძლევა ფსიქოთერაპიაში (ასევე — ანთროპოლოგიაში, ადამიანთმცოდნეობაში). „ეგზისტენციალიზის ამოსავალი პოზიციაა ოპოზიცია ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ფსიქოთერაპიაში“ [1, გვ. 176]. ეს ვითარება განაპირობა ადამიანზე მიმართული ხედვის თავისებურებამ, რომელმაც ადამიანში მზერა მიაპყრო სპეციფიკურ ადამიანურზე (არაფსიქიკურზე), რომლის გაუკუღმართება ფსიქოლოგიურ განზომილებას არ უკავშირდება (ფსიქოგენური არაა) და, ამდენად, მისი განკუთრება (მკურნალობის გზა) ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ვერ მიიღწევა; ამ საქმეში ახალი მეთოდი — ლოგოთერაპია — უნდა იქნეს გამოყენებული. სპეციფიკურ ადამიანურის — ნოეტურის — დაუნახაობა სწორედ რომ რედუქციონიზმია, ორიგინალური ადამიანური განზომილების დაყვანა სხვა რამეზე, ეს კი სუბჰუმანიზმია [2, გვ. 151]<sup>1</sup>.

ვ. ფრანკლი თავისი კონცეფციის აღსანიშნავად იყენებს ორ ტერმინს: ეგზისტენციალიზმი და ლოგოთერაპია (ლოგოთერაპია). ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროდ თვლის მოგვეცეს განმარტება. ლოგოთერაპია და ეგზისტენციალიზმი არსებითად ერთი და იგივეა, ყოველ შემთხვევაში ეს ასეა იმდენად, რამდენადაც ორივე ერთი და იგივე თეორიის „ორი წახნავია“ [1, გვ. 174]. ეს დახასიათება რაღაც განსხვავებას მაინც გულისხმობს. ეს ვითარება იმაზე მიმნიშნებელია, რომ ავტორის ძიხედვით, ლოგოთერაპია „გონითი მხრიდან“ (vom Gestingen her), ხოლო ეგზისტენციალიზმი — თერაპია „გონითისაკენ“ (auf Geistiges hin) [1, გვ. 69].

მაგრამ გარკვეულ მომენტებში ავტორი მაინც თავისი თეორიის აღსანიშნავად უპირატესობას ანიჭებს „ლოგოთერაპიის“ ტერმინს, ვინაიდან ტერმინმა „ეგზისტენციალიზმი“ შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს [3, გვ. 19], იგი სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული და დასაბამი მისცეს განსხვავებულ თვალსაზრისებს. მაგალითად, ეგზისტენციალიზმი არაა იგივე,

<sup>1</sup> ავტორის აღიარებით, ფსიქოლოგიზმის დამლევადი მასთან პრინციპული მნიშვნელობა ითამაშა მ. შელერის წიგნმა „Formalismus in der Ethik“, რომელიც, როგორც ავტორი წერს, „ჩემთვის ბიბლია იყო“ [2, გვ. 152].



რაც დაზინისანალიზი (ყოფნის ანალიზი). დაზინისანალიზს (Daselbstanalyse) მთელი სიმძიმე გადააქვს ეგზისტენციის განათებაზე, რაც იგივე ყოფიერების ანალიზია. ხოლო ეგზისტენციანალიზი (Existenzanalyse) გადის ყოფიერების ანალიზის მიღმა და ჩერდება საზრისის (Sinn) განათებაზე. ეგზისტენციანალიზი არის კონკრეტული პერსონის არა მხოლოდ ანალიზი, ე. ი. ანალიზი ონტიური მნიშვნელობით, არამედ ასევე ანალიზი ონტოლოგიური მნიშვნელობით, სახელდობრ, პერსონული ყოფის ექსპლიკაცია, არსის გახსნა [4, გვ. 61].

„ლოგოთერაპიაში“ მსჯელობა არაა ლოგიკაზე, ლოგოსი ლოგიკას არ ნიშნავს. აქ ლოგოსში იგულისხმება ს ა ზ რ ი ს ი (der Sinn), რომელიც არის გონის განზომილება, ობიექტური გონითი. ლოგოთერაპია, მაშასადამე, არის საზრისზე ცენტრირებული თერაპია.

ასევე მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ლოგოთერაპიის მიზანდასახულება. ლოგოთერაპია არაა არსებული ფსიქოთერაპიის უარყოფა, უკუგდება. „შეუძლებელია ფსიქოთერაპიის შენაცვლება ლოგოთერაპიით, მაგრამ აუცილებელი კი არის ფსიქოთერაპიის შევსება ლოგოთერაპიით“ [1, გვ. 172].

გაუგებრობის წყაროდ შეიძლება მოგვევლინოს ფორმულა — „ლოგოთერაპია წარმოადგენს ფსიქოთერაპიის გონითი მხრიდან“, ამიტომ ეს დებულებაც განმარტებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ შეიძლება იყოს თერაპიაზე „ზემოდან“. საეხებით სწორი თვალსაზრისია, რომ არ უნდა დაეკმაყოფილდეთ ადამიანის სიღრმით მხარეზე შეჩერებით. სიღრმის ფსიქოლოგია ვერ დაგვეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში — ადამიანის ბუნების გარკვევაში, ვინაიდან ის ჩერდება იმ დონეზე („ჩვედა სართულზე“, როგორც იტყოდა ფროიდი), რომელიც არ წარმოადგენს ადამიანისათვის სპეციფიკურს. უნდა მივმართოთ სიმალის ფსიქოლოგიას, რომელმაც უნდა გაგვითვალისწინოს ადამიანში არსებული მაღალი დონეები. ადამიანური ეგზისტენციის მაღალი ფენის ბუნების ცოდნა, რაც უნდა მოგვეცეს სიმალის ფსიქოლოგიამ, დაგვეხმარება ადამიანის რაობის გაგებაში. ცნობიერად უნდა ვწვდეთ არა მარტო დღემდე ცნობილ ფსიქიკურ საფეხურებს, არამედ მათზე უფრო მაღლა მდგომ გონითის საფეხურსაც. თერაპიამ უნდა გაითვალისწინოს ეს ვითარება; დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა ან მთლიანად ყურადღების გარეშე რჩებოდა ადამიანში უმაღლესი ფენა — გონითი სინამდვილე.

დიდი ხანია არსებობდა „უსულო ფსიქოლოგია“ (Psychologie ohne Seele) (ფ. ა. ლანგე), რომლის დაძლევაში არც თუ მცირე როლი ითამაშა ზ. ფროიდის მტკვლობამ. მაგრამ დღეს ჭერ კიდევ არაა დაძლეული „უგონი ფსიქოლოგიის“ (Psychologie ohne Geist) თვალსაზრისი. ეს უგონი ფსიქოლოგია სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგისტური ფსიქოლოგია [2, გვ. 176].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რთულ ტერმინში — „ეგზისტენციანალიზი“ — ანალიზის ზუსტი მნიშვნელობა უნდა იქნეს მითითებული. ეგზისტენციანალიზში ანალიზი არ ნიშნავს ეგზისტენციის ანალიზს პირდაპირი მნიშვნელობით. ეს იქნებოდა წინააღმდეგობა. იმის, რასაც თავისთავად ეგზისტენცი წარმოადგენს, არც ანალიზი შეიძლება და არც სინთეზი. ეგზისტენცი თვითონაა სინთეზი: ეგზისტენცი სინთეზის სუბიექტია; ამდენად შეუძლებელია

ის იყოს სინთეზის ობიექტი. თუკი ეგზისტენციის ანალიზი წინააღმდეგობაშია, ეგზისტენციის სინთეზი პლენანზმს წარმოადგენს. ეგზისტენციის ანალიზი ანალიზი კი არაა ეგზისტენციისა, არამედ ანალიზია ეგზისტენცზე დაყრდნობით.

ცნობილია, რომ ფსიქონალიზი ცნობიერების უკან სვამს არაცნობიერ ლტოლვით სინამდვილეს (Müssen), სხვაგვარად, აქ „იგი“-ს ლტოლვითი ენერგია წამყვანი ძალაა; ფსიქონალიზური თვალსაზრისისათვის ყველაფერი არის „vis“—vis a tergo.

ნამდვილად კი ადამიანი იძულებითაა წარმართული არა ლტოლვებით, არამედ აღძრულია ღირებულებებით, „მიზიდულია“ ღირებულებითი სფეროს მიერ. ადამიანი თავისუფლებითა და პასუხისმგებლობით წყვეტს ღირებულების განხორციელებას; ადამიანი აღმოაჩენს ღირებულებათა სამყაროს, მას აცნობიერებს და მიზნად ისახავს მის განხორციელებას, მის მიხედვით აქტივობას. სულიერის (ლტოლვითის) მსგავსად გონითაც აქვს ღინამიკა. გონითს ამოძრავებს არა ლტოლვითობა, არამედ ღირებულებისაკენ მისწრაფება. ღირებულებისაკენ მისწრაფებისათვის ლტოლვები წარმოადგენენ „მკვებავ ენერგიას“ [1, გვ. 179]. ეს თვალსაზრისი მ. შელერის კონცეფციის გაზიარებაა, სადაც გონის არაძალისმიერობას უპირისპირდება ლტოლვის ენერგეტიკული სავსეობა. ლტოლვის ენერგია ქმედითუნაროანს ზღის გონს, პირველის ენერგია ხმარდება გონითის პროდუქტს აქტივობას.

ვ. ფრანკლი პანდეტერმინიზმის თვალსაზრისის პრინციპული უარყოფელია. უნდა უარყოფოთ არა დეტერმინიზმი, არამედ პანდეტერმინიზმი, ვინაიდან მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება ვერ ამოწურავს სამყაროში მიმართებათა რავგარობას. გასაგებია, რომ ადამიანი დეტერმინირებულია, ექვემდებარება გარკვეულ პირობებს. ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ პირობებზე დამოკიდებული ადამიანი სრულიადაც არაა თავისუფალი. ადამიანი საერთოდ არაა თავისუფალი პირობებისაგან (სიტუაციისაგან), მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ის ვითარება, რომ მის გვერდით ადამიანი თავისუფალია; ადამიანი თავისუფალია რაიმესათვის, რაიმეს მიმართ და არა რაიმესაგან. ეს ნიშნავს თავისუფლებას ყველა პირობის თუ სიტუაციის მიმართ პოზიციის დაჭერაში.

ვ. ფრანკლის ეგზისტენციანალიზური კონცეფციის ცენტრში დგას გონის ცნება. გონი ფსიქიკისაგან განსხვავებულია, მაგრამ პრინციპულ როლს თამაშობს ადამიანის ფსიქიკურ აქტივობაში, მას მიმართულებას აძლევს. და, როგორც აღინიშნა, ფრანკლის მკვლელობა მიმართულია იქითკენ, რომ გონის შინაგანი ბუნება, ფუნქცია და ფსიქიკისათვის მისი მნიშვნელობა მთელი სიცხადით გაგვითვისდეს.

ჩემი გონი არის ფაქტიურად ყველაფერ-თან, რაზედაც კი ვაზროვნებ, რასაც კი „ვეხები“. ავტორის მიხედვით, უფლება არა გვაქვს ეს თ ა ნ ყ ო ფ ნ ა (bei-sein) წარმოვიდგინოთ სივრცობრივად, ვინაიდან ის ნამდვილი „თანყოფნაა“, არის მისი არა ონტიური, არამედ ონტოლოგიური მნიშვნელობა. მაგ., თუკი მე ვფიქრობ ავსტრალიის კონტინენტზე მცხოვრებ ჩემს ძმაზე, გონითად („გონში“) მე ვარ მასთან. ჩემი გონი არის ჩემ ძმასთან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ჩემი გონი არის ჩემ ძმასთან რეალურად ავსტრალიაში, შორეულ კონტინენტზე. ამის საპირისპიროდ, სწორი იქნებოდა მტკიცება: ჩემი გონი ძმას-თან „იმყოფება“ ავსტრალიაში აზრით (მას ასე ვიზრებთ).



რა არის გონითი არსებულის ეს თან-ყოფნა? ის სხვა არაფერია, გონითობა. იყოს, თუ არა ამ გონითად არსებულის (geistig Seiende) ინტენციონალობა. გონითად არსებული თავისი არსის საფუძველში ინტენციონალურია. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ: გონითად არსებული არის გონითად არსებული, არის ცნობიერება (ცნობიერად ყოფნა, Bewusstsein). არის „თავისთავთან“ მაშინ, როცა ის სხვა არსებულს „თან არის“, როცა სხვა არსებულს „ა ც ნ ბ ი ე რ ე ბ ს“ (bewusst hat). ასე აღასრულებს (ახორციელებს) გონითი ყოფიერება საკუთარ თავს „თ ა ნ - ყ ო ფ ნ ა შ ი“ და გონითი ყოფიერების ეს თან-ყოფნა არის მისი უინტიმურესი, უსაკუთრივესი შესაძლებლობა: ვინაიდან მისი საწყისისეული შესაძლებლობაა (Urvermögen) [1, გვ. 91].

ეგზისტენციალური შემეცნების შემთხვევაში ტერმინი — „აქვს“ ნიშნავს არსებითად სხვას ვიდრე ესენციური შემეცნების დროს, ჰუსერლის ფენომენოლოგიაში არის ჰეიზელის შემთხვევაში. ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში „აქვს“ (ი. ან) ნიშნავს სწორედ რომ არის ქონებას, ესენციის ასეთად ყოფნის (Sosein) ქონებას. ეგზისტენციალური შემეცნება, ამას უნდა მიეჭყეს ყურადღება, მეტია ვიდრე ესენციალური შემეცნება. თუ არის ქონება მეტია ვიდრე ეს უბრალო ყოფნა, მასზე მითითება (an-wesen), მაშინ ეგზისტენციალური შემეცნება ნიშნავს არა შემეცნებულის ყოფნას, მასზე მითითებას (an-wesen), არამედ შემეცნებადთან თან-ყოფნას (bei-sein). შეგვეძლოს გვეთქვა: განსხვავება ესენციალურ და ეგზისტენციალურ შემეცნებას შორის შემდეგია — ესენცია „მითითებს“ ეგზისტენციაზე, ხოლო ეგზისტენცია მასთან „თან-არის“ [1, გვ. 91].

3. ფრანკლის თვალსაზრისის მიხედვით, გონი არაა სუბსტანცია, არამედ იგი გაგებულია როგორც წმიდა დინამიკა, მოძრაობა (Dynamis). გონი წარმოადგენს ონტოლოგიურ ენტიტეტს, გარკვეულობას და მასზე ვერ ვიმსჯელებთ ისე როგორც ონტიურ რეალობაზე, ე. ი. სუბსტანციაზე ტრადიციული გაგებით. მკაცრი საზღვრის გავლება გონითსა და ფსიქოფიზიკურ სინამდვილეს შორის აუცილებელია. როგორც ფიგურა გამოიყოფა ფონისაგან, ისე ეგზისტენცია გამოიყოფა ფაქტიურობისაგან და პერსონი — ხასიათისაგან [1, გვ. 147].

ადამიანში თავისუფალ პერსონს გონითი ეწოდება. გონითი პერსონი ისაა ადამიანში, რასაც ყოველდროსა და ყოველთვის ოპონირება (შეპასუხება) შეუძლია, ოპონირება ყველა პოზიციის მიმართ: აღნიშნულში შედის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი პოზიცია. შინაგანი პოზიცია ეს იგივე დისპოზიციის ანუ ხასიათს წარმოადგენს. გონს შეუძლია სიტუაციის მიმართ დისტანცია დაიჭიროს; დისტანციის დაკავება ეს იგივე სიტუაციისადმი განწყობაა. ეს ის საფუძველია, რომელიც გონს თავისუფლებას ანიჭებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გადაწყვეტილების მიღებას პოზიციის ან დისპოზიციის (ხასიათის) სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ადამიანში გონითი პერსონი უპირისპირდება სულიერ ხასიათს. პერსონი თავისუფალია, ხასიათი არაა თავისუფალი. ეს იმიტომია, რომ პერსონი გონითია, ხასიათი კი სულიერი (ფსიქიკური), რომელიც ემყარება და მომდინარეობს შექცვიდრეობით მიღებული მიდრეკილებებისაგან. ხასიათი ფსიქიკური გ ე ნ ო ტ ი პ ი ა. ხოლო ის, რასაც ადამიანი ქმნის მიდრეკილებებიდან, მისგან აფორმებს, ფ ე ნ ო ტ ი პ ს წარმოადგენს. ის ისტანცია, რომელიც ამ გაფორმებას

(Gestaltung) ახორციელებს, გონითი პერსონია. ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ ხასიათი (ადამიანის ასეთად ყოფნა Sosein) შექმნილია, ხოლო პერსონი — შემოქმედი.

ვ. ფრანკლს მოსწონს ალერსის (Allers) ფორმულა: ადამიანს „აქვს“ ხასიათი, მაგრამ ის „არის“ პერსონი და თავის მხრივ უმატებს: ადამიანს, ვითარცა პერსონს, აქვს ხასიათი და ამ ხასიათის საპირისპიროდ — თავისუფლება [1, გვ. 145].

პერსონის თავისუფლება არის არა მხოლოდ ხასიათისაგან (რაიმესაგან) თავისუფლება, არამედ თავისუფლება პიროვნებისათვის. ისაა თავისუფლება საკუთარი ფაქტიურობისაგან და თავისუფლება საკუთარი ევზისტენციალიზმისათვის; ისაა თავისუფლება ასეთად ყოფისაგან და თავისუფლება სხვაგვარად-გახდომისათვის. სხვაგვარადგახდომა ორიენტირებულია ობიექტურ საზრისზე და ღირებულების სამყაროზე.

ადამიანში ლტოლვა და თავისუფლება ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ლტოლვა არაა თავისუფლებისა და თავისუფლება ლტოლვის გარეშე. ეს მიმართება განსხვავებულია ფსიქიკისა და ფიზიკურის მიმართებისაგან. ობლიგატორული (აუცილებელი) ფსიქოფიზიკური პარალელიზმის საპირისპიროდ გვაქვს ფაკულტატიური (არააუცილებელი) ფსიქონოეტური ანტაგონიზმი. ეს ანტაგონიზმი ადამიანის ის უნარია, რომელიც განაპირობებს დისტანციის დაჭერას ფსიქოფიზიკურისაგან. ადამიანი დისტანციას იკავებს ლტოლვისაგან. ცხოველს ეს არ შეუძლია და ამიტომ ცხოველი ლტოლვის იდენტურია, ცხოველს ლტოლვები კი არ „აქვს“, პირიქით, თვითონ „არის“ ლტოლვა, ცხოველი არ იცნობს არავითარ ანტაგონიზმს, მისი არსებობა ერთიანი ფსიქოფიზიკური პარალელიზმია. ადამიანი კი მხოლოდ მაშინ იწყებს ადამიანურ ყოფნას, როცა მას ძალა შეეძლება დაუპირისპირდეს საკუთარ ფსიქოფიზიკურ ერთიანობას, გამოვიდეს აის საწინააღმდეგოდ. ცხოველის სხეულებრივ-სულიერი ერთიანობის ადგილზე ადამიანში სხეულებრივ-სულიერი-გონითი მთლიანობაა. გონითია ამ მთლიანობაში წამყვანი [1, გვ. 148].

ადამიანი, როგორც გონითი არსება, აღინიშნა, რომ არა მარტო უპირისპირდება გარე და შიგა სამყაროს, არამედ მათ მიმართ პოზიციასაც იჭერს. ადამიანს შეუძლია სამყაროს მიმართ რადანცნაირად „განწყოს“, როგორც „მოიქცეს“ და ეს თვით-მოქცევა სწორედ რომ თავისუფალია, როგორც ბუნებრივი და სოციალური გარემოს, ისე ვიტალური ფსიქოფიზიკური შინასამყაროს, ანუ შინაგანი გარემოს მიმართ ადამიანი ყოველ წამს იკავებს პოზიციას. ლტოლვათა ჰოყოფა არაა თავისუფლების უარყოფა. ლტოლვათა ჰოყოფა არ უნდა მოხდეს თავისუფლების ჰოყოფის ფასად, არამედ თავისუფლების სახელით. თავისუფლება კი თავისუფლებაა როგორც რაიმესაგან (van etwas), ისე რაიმესათვის (zu etwas) [1, გვ. 142].

ადამიანის უნარს, რომ საგნზე მალა დადგეს, ეკუთვნის აგრეთვე შესაძლებლობა დადგეს საკუთარ თავზე მალადაც. აქ ამ შემთხვევაში უნდა განსხვავდეს ორი „მე“. ის „მე“, რომელზედაც მალა ვდგავართ და ის „მე“, რომელიც მალა დგას. პირველი „მე“ არის არაპერსონი, მეორე „მე“ გონითი პერსონია. პირველი „მე“ არის ის, რაც მე არ „ვარ“, არამედ „მაქვს“; ეს „მე“ ჩემი საპირისპიროა, დაძლეულია თვითონ ჩემს მიერ; ამით ეს „მე“ უკვე ქცეულია „იგი“-დ [1, გვ. 143].

ადამიანი არასდროს „არაა“, იგი მუდამ „ქმნადია“. ის არასდროს



არაა ის, რომელიც იტყობდა: მე ვარ ის, რაც მე ვარ; ადამიანი მუდამაა ის, რომელსაც საკუთარ თავზე შეუძლია თქვას: მე ვარ ის, რადაც გავხდები; ანდა იმად გავხდები; რაც ვარ. გავხდები კი იმად, რაც ვარ შესაძლებლობისდა მიხედვით.

კითხვა — ვინ არის საკუთრივ ადამიანი — ნიშნავს ადამიანის ყოფიერების საზრისის (Sinn) შესახებ კითხვის დასმას.

ადამიანი ერთიანობა და მთლიანობაა. მაგრამ ეს ერთიანობა და მთლიანობა არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი შედგენილია სხეულის, სულისა და გონისაგან. ეს ყველაფერი ერთშია. მაგრამ მხოლოდ გონი კონსტიტუირებს ამ ერთს და ვარანტიას იძლევა ამ „ერთისას“. საიდან მოდის სიმრავლე ერთიანობაში — ადამიანი? არა აქედან, რომ ადამიანი შედგება სხეულის, სულისა და გონისაგან; არამედ იქიდან, რომ გონითი მიმართებაში მოდის სხეულებრივთან და სულიერთან, მათ მიმართ პოზიციას იჭერს, უპირისპირდება მათ. ადამიანს „აქვეს“ სხეული და სული, მაგრამ ის „არის“ გონი. რამდენადაც ადამიანი გონია, ისაა უპირობო; რამდენადაც ადამიანი უპირობოდ არის, ამდენად ისაა პირობადებული. ადამიანი განპირობებულია პირველ რიგში თავის სხეულებრიობაში; ის იშვა, მშობლებმა განსაზღვრეს მისი სხეულებრივი ყოფნა; მაგრამ არა მათი ასეთად ყოფნა.

ადამიანის ყველა თვითგანხორციელება არ მიმდინარეობს მარტოდმარტო მასში. პირიქით, ეგზისტენციალური თვითგანხორციელება ხდება სხვა ეგზისტენტთან ერთად. რამდენადაც ეგზისტენცი საკუთარ თავს ახორციელებს, ის მუდამ მიიწევს საკუთარი თავის მიღმა. აქ საქმე გვაქვს იმ ეგზისტენციალურ საწყის ფენომენთან, რასაც გ. ჰაიდეგერი უწოდებს „ტრანსცენდენტს“, კ. იასპერსი — „კომუნიკაციას“, ლ. ბინსვანგერი — „სიყვარულის ერთობას“ (communio) [1, გვ. 115].

ადამიანი არის აბსოლუტური სიახლე (Novum) — გონითი ყოფიერება ინდივიდუალური ყოფიერებაა. ეგზისტენცი პერსონალურია. ეგზისტენციალური პერსონი, არსებითად, როგორც ითქვა, ერთიანობა და მთლიანობაა (ერთიანობაა საპირისპიროდ დანაწევრებულობისა და მთლიანობაა საპირისპიროდ შეგამებულობისა, კრებადობისა). მაშ, ეგზისტენციალური პერსონი არც დაყოფადია და არც კრებადი. როცა ერთმანეთისაგან ვასხვავებთ სხეულებრივსა და სულიერს-გონითს, ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ადამიანი ამ ნაწილებისაგან შედგებოდეს, ადამიანი შეკრებადი კი არაა; არამედ ინტეგრალური არსებაა. ამდენად, იგი არა მხოლოდ აბსოლუტური სიახლეა, არამედ აბსოლუტური ინდივიდუუმი და აბსოლუტური მთლიანობა (Insummabile).

გონი აქცევს ადამიანს პერსონად. პერსონული ეგზისტენცი სამნაირია: ერთადერთი, მთლიანი და ახალი. როგორც ერთადერთი ეგზისტენცი დაუნაწევრებელია, როგორც მთლიანი ეგზისტენცი შეურწყმადია, როგორც ახალი ეგზისტენცი გადაუტანელია. თავისი ფსიქოფიზიკური ფაქტურობის საპირისპიროდ ადამიანის გონით-ეგზისტენციალური პერსონი არის: In-dividuum, In-summabile და Novum. აღნიშნული სამი ეგზისტენციალი ერთად ქმნის haecitas-ს (რითაც აღინიშნებოდა სქოლასტიკოსების ინდივიდუაციის პრინციპი) [1, გვ. 117].

არისტოტელი გონს ჩვენში „გარედან შემოსულად“ თვლიდა. ვ. ფრანკლის აზრიც ამ საკითხზე მისგან არ განსხვავდება. მისთვისაც გონი სხეულებ-



რიც-სულიერში საიდანაც როგორც შედის [1, გვ. 117]. მემკვიდრეობა მძიმეა, მიღებულია სხეულებრივი და სულიერიც. სულიერის წარმართვა, აღზრდა შესაძლებელია, გონითი არ აღიზრდება, გარედან მართვას არ ექვემდებარება, იგი უნდა განხორციელდეს; გონითი საერთოდ „არის“ მხოლოდ თვითგანხორციელებაში, ეგზისტენციის განხორციელების სინამდვილეში [1, გვ. 119].

თვითგანხორციელების შემთხვევა იქ გვაქვს, სადაც ადამიანი საზრისს ავსებს, ადავსებს და ღირებულებას განახორციელებს. საზრისის ავსებასა და ღირებულების განხორციელებას თან სდევს თვითგანხორციელება, საკუთარი თავის განხორციელება. და ეს ხდება თვითონ, როგორც მათი შედეგი და არა როგორც წინასწარდასახული მიზანი, თუკი ის სერიოზულად მოინდომებდა თვითგანხორციელების მიზნად დასახვას, მის ნახვას, მაშინ ის ამით რეზულტატს ვერ მიაღწევდა, დაიმსხვრეოდა ინტენციაში. მხოლოდ ეგზისტენცს, რომელიც საკუთარ თავს ტრანსცენდირებს, მხოლოდ ადამიანურ ყოფნას, რომელიც სამყაროშია და თვითონ ტრანსცენდირებს სამყაროს, შეუძლია საკუთარი თავის განხორციელება, თვითგანხორციელება. ხოლო როდესაც თვითგანხორციელება ინტენდირებულია (ინტენციის საგანადა დასახული), შედეგს ვერ ვაღწევთ.

ვლამარაკობთ საზრისის აღსრულებაზე (Erfüllung) და არა დაკმაყოფილებაზე (Befriedigung), რამდენადაც დაკმაყოფილება შეიძლება ჩემი საკუთარი ლტოლვებისა, მოთხოვნილებებისა, საბოლოოდ შეიძლება დავკმაყოფილდე მე თვითონაც. ხოლო საზრისისა და ღირებულების შემთხვევაში ლამარაკია იმაზე, რაც მე მეტება, ჩემთან მოდის, სახელდობრ, რაც სამყაროდან ჩემთან მოიტანება და რაც არაა ჩემი თვითონის გამოვლენა ან ჩემი საკუთარი ლტოლვისა და მოთხოვნილებების პროექცია. საზრისი პირველად ხომ სამყაროშია და არა ჩემში. ადამიანს უფლებაც არ აქვს დასვას კითხვა ყოფიერების (Dasein) საზრისის შესახებ; მან ინტერპრეტაცია უნდა მოახდინოს საკუთარი თავისა როგორც დაკითხულისა (Befragte), მისი ეგზისტენციისა როგორც შეკითხულისა [1, გვ. 28].

გონითი ეგზისტენცი ჩვენთვის სხვაგვარად არაა ცნობილი თუ არა ფსიქოფიზიკურთან თანა-არსებობაში. რაც სხეულის, სულის, დროის მიღმა, რაც ხდება წმინდა ყოფიერებაში, მისი ცოდნა შეუძლებელია. გონი, ვ. ფრანკლის გაგებით, იგივეობრივი არაა ცნობიერებისა. ონტოლოგიური კონცეფცია შორს დგას სპირიტისტული (ფსევდო) მეტაფიზიკისაგან, ასევე ინტელექტუალისტური ფსიქოლოგიისაგან. გონი არ ფარავს ცნობიერებას. ლტოლვითი არაცნობიერის გვერდით არის გონითი არაცნობიერიც. გონი თუ გონითი იმდენადაა არაცნობიერი, რამდენადაც არსებობს გონითი აქტების არარეფლექსირებული განხორციელება, ვ. ფრანკლი განასხვავებს სხეულის მსგავსად ცოდნასა და ცნობიერებას ამ ცოდნისას. ცოდნა პირველადი (პრიმერული) აქტია, ცოდნის ცნობიერება მეორადი (სეკუნდარული) აქტია. რასაც ავტორი უწოდებს ცნობიერებას, რეფლექსური ცნობიერებაა, საკუთარი ცოდნის ცნობიერებაა, ცოდნაა საკუთარი თავის შესახებ, თვითცნობიერებაა. ამ ცნობიერებას ანუ თვითცნობიერებას ის უპირისპირებს უშუალო ცნობიერებას. ამ უკანასკნელს შეესატყვისება „პირველადი ინტენცია“, ხოლო რეფლექსური ანუ თვითცნობიერება არის „მეორადი ინტენცია“ [1, გვ. 134—135].

ფსიქოლოგიაში გონითის წინააღმდეგ სცოდავს ორნაირად: ჯერ ერთი, იმით რომ ის გონითი პერსონის ეგზისტენციალობას უშვებს მხედველობის



არედან — ესაა „სუბიექტური გონის“ წინააღმდეგ ცოდვა, მეორეა, რომ ის განუხილველად ტოვებს გონითი აქტების ინტენციონალობას — ესაა „ობიექტური გონის“ მისამართით ცოდვა.

ეს ორმაგი შეცდომა, ვ. ფრანკლის მიხედვით, მოითხოვს ორმაგ კორექციას: უნდა მოხდეს როგორც ეგზისტენციის თვითცნობიერება, ისე ლოგოსის, როგორც ღირებულების, გაცნობიერება.

ის, რომ ბოლო დრომდე ვერ ამჩნევდნენ გონითი სინამდვილის თავისებურებებს, ამაში ბრალი მიუძღვის ნიჰილიზმს (ყოფიერების საზრისის უარყოფელს). ნიჰილიზმის სამი სახე — ფიზიოლოგიზმი, ფსიქოლოგიზმი, სოციოლოგიზმი — შეზღუდულნი არიან ვიწრო ჩარჩოებით. მათ არ იციან გონითი ყოფიერება. ნიჰილიზმისათვის ადამიანი პროდუქტია, მარიონეტია, კარნიკატურაა, ადამიანი მისთვის ჰომუნკულუსია. ჰომუნკულუსი კი დროის სულის იარაღია. ამდენად ნიჰილიზმი ვერასდროს მიგვიყვანს ჰუმანიზმამდე. ჰუმანიზმთან მისასვლელი გზა ნიჰილიზმის კრიტიკულად დაძლევაა.

ფსიქოლოგიზმის საშიშროების კრიტიკული დაძლევა აქტუალური ამოცანაა, დღესაც, განსაკუთრებით ფსიქოთერაპიის სფეროში. ყველაფრის სათავეა გონითის რაობის გაგება, რომ გონითი არ უნდა აირიოს ფსიქიკურში, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენ დროში ფსიქოლოგიზმისათვის. ეს უკანასკნელი ყველაფერს სულიერ ზედაპირზე აპროეცირებს. ამით იკარგება ინტენციონალური მიმართება ტრანსცენდენტულ საგანზე, გონითის ადგილს სულიერი მდგომარეობა იჭერს. ლოგოთერაპია არის ფსიქოთერაპიაში ფსიქოლოგიზმის დაძლევა. ვ. ფრანკლის თვალსაზრისით ისე არ უნდა ვავიგოთ, თითქოს, ის მოითხოვდეს საერთოდ ფსიქოთერაპიიდან ფსიქოლოგიური კუთხით მოვლენათა განხილვის უარყოფას. ფსიქოგენური პათოლოგიური მოვლენების განხილვა ფსიქოლოგიური კატეგორიების გამოყენებით აუცილებელია, ვინაიდან მათი ბუნების თავისებურებას სხვა განზომილებით ვერ მიწვდები. აქ მსკელობა სხვა რაიმეზეა, კერძოდ იმაზე, რომ ადამიანში უმაღლესი ფენის — გონის მიხედვით თუ მონაწილეობით ფსიქიკური აშლილობის ფაქტი დასტურდება და ამ შემთხვევაში აუცილებელი ჩანს ახალი მეთოდოლოგიური ხერხის გამოყენებით (ლოგოთერაპიით) გაუქულმართებელი მოვლენის ანალიზი და მკურნალობა.

ეგზისტენციის ობიექტივაცია არ შეიძლება, მისი მხოლოდ განათებაა (aufhellen) შესაძლებელი. ის მხოლოდ იმდენადაა განათებადი, რამდენადაც იგებს საკუთარ თავს. ეგზისტენციას აქვს თვითგაგება. ეგზისტენციაში იმპლიცირებული ეს თვითგაგება განაპირობებს ექსპლიციაციას და რამდენადაც ექსპლიციაცია შესაძლებელია, ეგზისტენციის განათებაც ასევე შესაძლებელია. ეგზისტენციის თვითგაგება სხვაზე დაუყვანადი საწყისი ფენომენია. ეგზისტენციას შეუძლია საკუთარი თავის გაგება, მაგრამ მას არ შეუძლია საკუთარი თვითგაგების გაგება. ეს გაგება, ეს პოტენციაში არსებული უშუალო თვითგაგება უნდა მიმდინარეობდეს უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე თავდაპირველადი თვითგაგება.

მარტოდმარტო ფსიქიკურ ანალიზს ვერ მივყავართ ეგზისტენციას; ჩვენ მასთან მიგვიყვანს მხოლოდ და მხოლოდ ეგზისტენციალური ანალიზი, რომელიც არაა იგივე, რაც ეგზისტენციის ანალიზი. ეგზისტენციალური ანალიზი ანალიზის ზღვრული შემთხვევაა.

ფსიქოლოგიზმი არა მხოლოდ გონით პერსონს აქცევს ობიექტად, არამედ

ის ობიექტად აქცევს გონით აქტებსაც. თავისი არსის მიხედვით გონითი აქტები ინტენციონალურნი არიან და ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ თავის მხრივ მათ აქვთ ობიექტები, რომლებზედაც მიმართულნი არიან. იმწამსვე, როგორც კი აქტები თვითონ იქცევიან ობიექტებად, მაშინვე ინტენციონალური აქტის ობიექტი ხელიდან უსხლტება ჩვენს მხერკას. რამდენადაც ამ ობიექტებთან პირველ რიგში ლაპარაკია ობიექტურ ღირებულებებზე, აქედან გამომდინარეობს, რომ ფსიქოლოგიაში ასევე ბრმაა ღირებულებათა მიმართ, როგორც გონითის მიმართ [1, გვ. 170].

ღირებულება სავანს აქვს, ხოლო ღირსება პერსონს. ეს ღირსება არის ღირებულება. პერსონის ღირსება, როგორც ღირებულება არ უნდა აგვირიოს საჭირო ღირებულებებში, რომელიც შეიძლება პერსონს ქონდეს ღირსების მიღმა. ადამიანის სოციალურ საჭიროებებს არაფერი ესაქმება პერსონულ ღირსებასთან. ღირსებისადმი ბრმაა ყოველი მკურნალი, როგორც კი ის პერსონს აქცევს სავანად, ობიექტად [1, გვ. 175].

ვეზისტენტანალიზი ადამიანებს მოუწოდებს თავისუფლებისა და პასუხისმგებლად ყოფნისაკენ. ის ადამიანს მიმართავს პასუხისმგებლობით. ხედვის ცენტრში შემოაქვს საზრისი, ადამიანის ღირსება, პასუხისმგებლად ყოფნის ცნობიერება.

ვეზისტენტანალიზი ანუ ლოგოთერაპია, როგორც ფსიქოთერაპია, არ ეხება იმას, თუ რა შეუძლია ან რისი უფლება აქვს ადამიანს, არც იმას, თუ რა უნდა მას. მას არსებითად აინტერესებს ის, თუ ადამიანი რის ვალდებულია. უნდა გადავლახოთ ნიჰილიზმი (ფიზიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში და სოციოლოგიაში), რომ შემოვიტანოთ ფსიქოთერაპიაში კატეგორიები: ჯერარსისა (Sollen), ღირებულებისა (Wert) და საზრისისა (Sinn). მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საზრისის ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს აზრის (საზრისის) მინიჭების აქტს (Sinnggebung): ადამიანი, რომელიც იძლევა ყოფიერების საზრისის ინტერპრეტაციას, ყოფიერებას გარედან კი არ აძლევს რომელიცაა საზრისის, არამედ საზრისის პოულობს მასში [1, გვ. 199].

ლოგოთერაპია წარმოადგენს საზრისზე ცენტრირებულ ფსიქოთერაპიას. ლოგოთერაპია არაა დოქტრინა, რომელიც ვინმეს თავზე ეხვევა, ის შეთავაზებაა, წინადადებით მიმართვია. ლოგოთერაპია აღმოსავლურ ბაზარს კი არ უნდა დავამსკავსოთ, სადაც სურვილის საპირისპიროდ რაიმეს შეგჩრიან ხელში; იგი უფრო ჰგავს სუპერბაზარს, სადაც ამოირჩევი და შეიძენ მხოლოდ იმას, რაც შენთვის საჭიროა და აუცილებელი.

თუკი ფსიქოლოგისტური ფსიქოთერაპიის პრობლემა ფსიქოსომატურ განზომილებას არ სცილდებოდა (სულისა და სხეულის დამოკიდებულების ჩარჩოებში ექცეოდა), ლოგოთერაპიული ფსიქოთერაპია დგას ნოოფსიქიკური პრობლემის წინაშე (სულისა და გონის ურთიერთმიმართების ფარგლებში). სული-გონის პრობლემა არაფსიქოლოგისტური ფსიქოთერაპიის პრობლემაა. გონით პერსონზე, გონის ძალაზე დაყრდნობით ფსიქოფიზიკურს დაუპირისპირდე, მას გონითი წინააღმდეგობა გაუწიო, ამაზე ამყარებს იმედს ლოგოთერაპია. ამ ძალისკენ მოგვიწოდებს ის [5, გვ. 101]. ნოო-ფსიქიკურ ანტაგონიზმზე დაყრდნობა ლოგოთერაპიის ამოსავალია. პერსონულ-გონითის ძალით დაუპირისპირდე ფსიქო-ფიზიკურს — ამას ნიშნავს ლოგოთერაპია, როგორც ფსიქოთერაპია „გონის მხრიდან“.



დღეს ადამიანი ფრუსტირებულია სექსუალურად კი არა, არამედ ფსიქოლოგიურად. ადამიანი დღეს უჩივის არა ნაკლოვანებას, არამედ უსაზროსობას. აღნიშნული უსაზრობის გრძნობას თან ერთვის ჩვეულებრივ სიცარიელის გრძნობა, ე. წ. „ეგზისტენციალური ვაკუუმი“.

რა განაპირობებს ეგზისტენციალურ ვაკუუმს? ამ კითხვაზე ვ. ფრანკლი ასეთ ახსნას გვთავაზობს: ცხოველის საპირისპიროდ ინსტინქტები და ლტოლვები ადამიანს არ ეუბნებიან, თუ მან რა უნდა აკეთოს. ძველი დროისაგან განსხვავებით დღეს არც ტრადიცია ეუბნება მას, თუ რა ვალდებულება უნდა შეასრულოს, რა აკეთოს. ამას მოჰყვა შედეგად ის, რომ მას იმის გაკეთება უნდა, რასაც სხვები აკეთებენ — ეს კი კონფორმიზმია, ანდა ამის საპირისპიროდ, ის იმას აკეთებს, რაც სხვებს უნდათ, რასაც სხვები მოითხოვენ მისგან — ეს ტოტალიტარიზმია. კონფორმიზმი და ტოტალიტარიზმი აგზისტენციალური ვაკუუმის პროდუქტებია, ადამიანის საკუთარი მეს (საზრისის) დაკარგვის შედეგია. ეგზისტენციალური ვაკუუმის ეს შედეგი სპეციფიკური ნევროტბიციზმია, სახელდობრ ე. წ. „ნოოგენური ნევროზი“, რომელიც, როგორც მივითთა, დაიყვანება უსაზროსობის გრძნობაზე, ცხოვრების საზრისის თაობაზე, ეპვზე საერთოდ.

ვ. ფრანკლი თვლის, რომ ეს დაექვება, ეგზისტენციალური ფრუსტრაცია თავისთავად პათოლოგიური არაა. ეგზისტენციალური ფრუსტრაცია სოციოგენური ნევროზია, იგი ფრუსტრაციაა საზრისისადმი ნებისა. საზრისის გაცნობიერებაც თავისებურად უნდა მოხდეს; ის გარედან კი არ უნდა მიეცეს პიროვნებას, არამედ მან თვითონვე უნდა აღმოაჩინოს, მონახოს ის; უნდა ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ იპოვოს ცხოვრების საზრისი. ლოგოთერაპია ინდივიდის მხედველობის არეს აფართოებს, რომ აღიქვას კონკრეტული საზრისისა და ღირებულების შესაძლებლობების სავსე სპექტრი. ავტორი საზრისის მონახვის ორგანოზედაც მიუთითებს; სინდისი „საზრისის ორგანოა“. მაშასადამე, ის ფსიქოთერაპია, რომელიც ითვალისწინებს სპეციფიკურ პუმანურ დენომენს, წარმოადგენს რეპუმანიზირებულ ფსიქოთერაპიას [4, გვ. 34].

ფსიქოანალიზის მეთოდის სპეციფიკა ისაა, რომ ხდება არაცნობიერის (განდევნილი ფსიქიკური შინაარსების) გაცნობიერება (მათი არაცნობიერებიდან გადმოტანა ცნობიერებაში). ლოგოთერაპია ცდილობს გონითის გაცნობიერებას (არარეფლექსირებული ყოფიერების საზრისის — ღირებულებების ცნობიერების საგნობრივ დონეზე ამოტანას); მასში იგულისხმება ადამიანის ეგზისტენციის არსობრივი საფუძვლის გაცნობიერება — ადამიანის პასუხისმგებლობის, პასუხისმგებლად ყოფნის გაცნობიერება. ადამიანი თავისუფალი რაიმესათვის ან რაიმეს წინაშე. ლოგოთერაპია პაციენტებს მხოლოდ მის პასუხისმგებლობას უცნობიერებს და თვითონ აწყვეტინებს, რისთვის დახარჯოს საკუთარი ყოფნა როგორც პასუხისმგებლობა.

ვ. ფრანკლის ეგზისტენციალური (ლოგოთერაპიული) კონცეფცია მრავალმხრივაა საინტერესო, მაგრამ ასევე ზოგ შემთხვევაში ამ კონცეფციის პრინციპული მნიშვნელობის თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, ლოგიკურად ბოლომდე დასრულებული სახით არაა განვითარებული. იდეა ადამიანის არსებაში უმაღლესი (გონითი) ფენის რაობისა და ფუნქციის შესახებ ჰემარბიტებაა, მრავალ საგულისხმო და საინტერესო მომენტს შეიცავს, რომლისთვის ანგარიშის გაწევა სავალდებულო ჩანს. მაგრამ ისიცაა აღსანიშნავი, რომ თეო-



რიის ძირითადი კატეგორიების შინაარსი და ურთიერთმიმართების ცალკეულ შემთხვევაში შეპასუხებას იწვევს. აღნიშნავთ შემდეგს:

1. ვ. ფრანკლის იდეა „სიმაღლის ფსიქოლოგიის“ თაობაზე, რომელიც საპირისპიროა „სიღრმის ფსიქოლოგიისა“, გარკვეული კუთხით მოითხოვს დასაბუთებას. ცნობილია რომ „სიღრმის ფსიქოლოგია“ თავიდანვე ეწოდა ზ. ფროიდის ფსიქონალიზურ თეორიას, აღნიშნავდა იმ კონცეფციას, რომელიც ცდილობდა არაცნობიერი ფსიქიკის (ცნობიერების მიღმა არსებული ფსიქიკის) დაშვების გზით აეხსნა ცნობიერების ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობა. ვინაიდან ცნობიერი ფსიქიკის ბუნების გაგება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა არაცნობიერი ფიზიოლოგიური სინამდვილის თავისებურებათა გათვალისწინებით, სიღრმის ფსიქოლოგიამ არაცნობიერი ფიზიოლოგიურის ადგილზე დასვა არაცნობიერი ფსიქიკური და ფსიქიკის ფარგლებში ფსიქიკური (ცნობიერი და არაცნობიერი) პროცესების კაუზალური დამოკიდებულების გზით, თითქოსდა ვასაგები გახდა ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების საქმის ვითარება. როგორც აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში მეთოდოლოგიური გზა მიმართულია ქვემოდან ზევით: დაბალი საფეხური, არაცნობიერი ფსიქიკა თავსდება მაღალი, ცნობიერი ფსიქიკის საფუძველში და ამ უკანასკნელით მიღებულად, წარმოშობილად გაიზრება.

სიმაღლის ფსიქოლოგიის იდეა გულისხმობს საპირისპირო მიმართულებით მზერის მიპყრობას. თუკი სიღრმის ფსიქოლოგია ეხება ფსიქიკის სიღრმით განზომილებას (მის სავარაუდო ღრმად მდებარე ფენას), სიმაღლის ფსიქოლოგია უნდა ეხებოდეს ფსიქიკის სიმაღლით განზომილებას. ცნობიერი ფსიქიკის სიღრმე თუ არაცნობიერი ფსიქიკის სახითაა წარმოდგენილი, მისი სიმაღლე ცნობიერ ფსიქიკაზე მაღლა თავსდება, ცნობიერების მაღალ ფენას შეადგენს, რაც გონის სახელწოდებითაა ცნობილი. სიმაღლის ფსიქოლოგია გონის ფსიქოლოგიაა. სიმაღლის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური თვალსაზრისი ცნობიერი ფსიქიკის საქმის ვითარების მაღლიდან, გონის განზომილებიდან განხილვას, მისი სწორედ რომ გაგებაა.

აქვე დგება პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხი გონის რაობის თაობაზე. თუ გონი ფსიქიკაა, რა თქმა უნდა, ის ცნობიერი ფსიქიკის მაღალ ფენად გაიზრება და გონის, როგორც ფსიქიკის, უმაღლესი დონის შემეცნება ნამდვილად ფსიქოლოგიის, სიმაღლის ფსიქოლოგიის გადაუდებელი საქმე იქნება, მაგრამ დღეს გონს ფსიქიკად არ იაზრებენ, გონს ცნობიერებაში აქვს ადგილსამყოფელი (რამდენადაც ადამიანურ-სუბიექტურ გონზეა მსჯელობა), მაგრამ ის ცნობიერების არაფსიქიკურ შინაარსად აა გამოცხადებული. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად არაფსიქიკური შინაარსის დასახვა არაა გამართლებული და სიმაღლის ფსიქოლოგიის კანონიერებაც დაუსაბუთებელი ჩანს: არ არსებობს ის რეალური სინამდვილე — გონითი ფსიქიკა — რაც სიმაღლის ფსიქოლოგიის არსებობას გაამართლებდა. მეორეს მხრივ, სავსებით კანონიერია ცნობიერი ფსიქიკური ცხოვრების გაგებისათვის არაფსიქიკური გონითი რეალობისადმი მიმართვა, მისი გამოყენება. მაგრამ ამ საქმის ვითარებას თვითონ ფსიქოლოგია შეძლებს და არ ჩანს სიმაღლის ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის ახალი დარგის თუ დისციპლინის საჭიროება. სიმაღლის ფსიქოლოგიის ცნება დასაბუთებული არაა.

2. ვ. ფრანკლის კონცეფციაში აქტიურად დგება ადამიანისა და ფსიქიკის ურთიერთმიმართების საკითხი. ავტორი პრინციპულად და სავსებით სამართლიანად აყენებს საკითხს საერთოდ ნიპილიზმის, კერძოდ კი ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე შემდეგი პოზიციიდან. რომ ადამიანის რაობა ფსიქიკაზე არ დიყვანება, ადამიანი გონითი არსებაა. გონი ფსიქიკური განზომილება არაა. მაგრამ ავტორი ასევე ლაპარაკობს სუბიექტური გონის შესახებ. რა არის სუბიექტური გონი? თუკი სუბიექტური გონი ფსიქიკური სინამდვილის აღმნიშვნელია, მაშინ ფსიქოლოგიზმიდან თავის დაღწევა შეუძლებელი ჩანს. ხოლო თუკი სუბიექტური გონი ნიშნავს გონის კონკრეტულად გახლომის ფაქტს, ადამიანთან გონის დაკავშირებას (საპირისპიროდ ობიექტური გონისა, რაც ადამიანისაგან დამოუკიდებელი არსებობაა ფიქსირებული გონათი პროდუქტებისა), მაშინ საეჭვო არაფერია; ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა თავის ლოგიკურ გაგრძელებასა და დასრულებას ნახულობს.

ამდენად ჩვენთვის სავსებით მისაღებია ვ. ფრანკლის მინიშნება ფსიქოლოგიისა (resp. ადამიანის ფსიქოლოგიისა) და ადამიანის შესახებ მეცნიერების გათიშვის შესახებ. ადამიანის ფსიქოლოგია ფსიქიკის ფარგლებს არ უნდა შორდებოდეს (მაგ., ადამიანის ხასიათი ფსიქიკაა და ამიტომ მას ფსიქოლოგია სწავლობს). ადამიანის შესახებ მეცნიერება ფსიქიკას არ ეხება, იგი ადამიანს, როგორც სუბიექტურ გონს (ადამიანის გონით განზომილებას, რაც ფსიქიკა არაა, მაგრამ სუბიექტის კუთვნილებაა) განიხილავს, იგი ადამიანის ეგზისტენციის კონკრეტული ონტიური განზომილებითაა დაინტერესებული. ანთროპოლოგია (ეს ტერმინი ავტორთან აღნიშნავს იმას, რასაც ჩვეულებრივ ფილოსოფიური ანთროპოლოგია ეწოდება) არის ადამიანის ფილოსოფია. ფილოსოფიური ანთროპოლოგია ადგენს ადამიანის არსს, რაობას, რომ იგი ეგზისტენციაა, ეგზისტენციის არსი კი ტრანსცენდენტიაა.

3. ფრანკლი მომხრეა და იცავს ე. წ. „უგონო ფსიქოლოგიის“ უარყოფის თეზისს, რაც ნიშნავს ფსიქოლოგიის ვალდებულებას ანგარიში გაუწიოს გონით სინამდვილეს, უფრო მეტიც, გაამართლოს „გონითი ფსიქოლოგიის“ არსებობის აუცილებლობა. რატომ უნდა გაეწიოს ანგარიში ფსიქოლოგიაში გონს? გონი ხომ ფსიქიკა არაა! გონითი ფსიქოლოგიის მოთხოვნა მეთოდოლოგიური თვალსაზრისის კუთხით ხორციელდება. ფსიქიკური ცხოვრების გაგება გონის კატეგორიის მომარჯვებით უნდა მოხდეს. გონს (ღირებულებას) მიჰყავს ადამიანის ქცევა და ამ გონითის გათვალისწინების გარეშე ადამიანის მოღვაწეობა უსაზრისო აქტივობამდე დადის.

3. ვ. ფრანკლმა ლოგოთერაპია, როგორც მკურნალობის ხერხი, ჩათვალა ფსიქოთერაპიად. ამას განმარტება უნდა.

ავტორი მრავალგზის მიუთითებს, რომ ლოგოთერაპია წარმოადგენს შემავსებელ და არა შემნაცვლებელ მეთოდოლოგიურ ხერხს ფსიქოთერაპიისას. რატომ იმსახურებს ლოგოთერაპია ფსიქოთერაპიის სახელწოდებას?

ფსიქოთერაპია არის აშლილი ფსიქიკის მკურნალობა ფსიქოლოგიური საშუალებების გამოყენებით — ფსიქიკაზე ეზემოქმედებთ ფსიქიკურივე გზით. მართალია, ლოგოთერაპიის შემთხვევაშიც ვლაპარაკობთ ფსიქიკურ აშლილობაზე, „ეგზისტენციალურ ვაკუუმზე (სიცარიელეზე)“, რაც თავისთავად ლოგოსის (გონითის) დარღვევა კი არაა (ლოგოსის დარღვევა შეუძლებელია), არამედ

ადამიანის მთლიანობის გაუქმობათება, დაშლა; საზრისის (ლიბერტულების) გაუცნობიერებლობა ინდივიდის მიერ განაპირობებს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობის—მთლიანობისა და ერთიანობის—შელახვას. ეს ვითარება განაპირობებს ადამიანის ფსიქიკაში ცვლილებას, ჩნდება შიში, რწმენის დაკარგვა. ცხოვრების საზრისის ცნობიერება სპობს ადამიანში ამ არანორმალურ ვითარებას. თუკი ცხოვრების საზრისის გაცნობიერება ფსიქიკის სფეროა, მაშინ ლოგოთერაპია ფსიქოლოგიური მეთოდია, რამდენადაც აქაა ფსიქიკის მკურნალობა ლოგოსის გაცნობიერებით, საბოლოო მიზანი — ფსიქიკის სიჯანმრთელის უზრუნველყოფა — დაკულია და საშუალებაც — გაცნობიერების ფაქტი — ფსიქიკის სფეროში თავსდება.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგი გაცნობიერების ფაქტს ფსიქიკად არ ჩათვლის და საესეებით ლოგიკურად მოიქცევა, რამდენადაც ცნობიერებით ხედვა ინტენციონალური აქტია და ის, როგორც ასეთი, ფსიქიკის მიღმა არსებულა. ამ ასპექტის მხედველობაში მიღება ლოგოთერაპიის შეფასების სხვა შესაძლებლობას ქმნის. ამ შემთხვევაში ლოგოთერაპია ფსიქიკის მკურნალობა კი არის, მაგრამ ის არაა ფსიქიკით მკურნალობა და საერთოდ, გარკვეული აზრით, ფსიქოთერაპიის შინაარსს ვერ აკმაყოფილებს (ფსიქიკით ფსიქიკის მკურნალობა).

მაშასადამე, სადავო საკითხი — ნამდვილად არის თუ არა ლოგოთერაპია ფსიქოთერაპია — უნდა გადაწყვიტოს ტერმინის — „ფსიქოთერაპიის“ ერთმნიშვნელოვანმა შინაარსმა. საკმარისია საგანზე (ფსიქიკაზე) მითითება, თუ გადაწყვეტი როლი ამ საგანზე შემოქმედების საშუალებამ (ფსიქიკამ) უნდა ითამაშოს. თუ კი ფსიქოთერაპიაში გადაწყვეტია საგანიც და საშუალებაც, მაშინ ლოგოთერაპია არ უნდა მოთავსდეს ფსიქოთერაპიის სფეროში. ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ზუსტი განსაზღვრა იმის, თუ რას წარმოადგენს ლოგოსის მხრიდან მკურნალობა? როგორ ხდება ლოგოსის შემოქმედება ფსიქიკაზე? საერთოდ აქ შემოქმედება ხდება ფსიქიკაზე თუ ადამიანზე? გაცნობიერება როგორ კურნავს ფსიქიკას თუ ადამიანს? (ეს პრობლემა ჯერ კიდევ ფსიქოანალიზმა დასვა, მაგრამ მისი გადაწყვეტის ფსიქოანალიზური გზა დღევანდელი მეცნიერებისათვის სადავო ჩანს).

4. ვ. ფრანკლი ცოდნის ცნობიერებას აიგივებს თვითცნობიერებასთან. ეს გაიგივება დაუშვებელია, თუკი თვითცნობიერებაში ავტორი იგულისხმებდა „მე“-ს ანუ „თვითონის“ ცნობიერებას. იმთავითვე ცხადი უნდა იყოს, რომ „მე“ (ანუ თვითონი) არაა „ცოდნა“ და მათი ცნობიერებაც განსხვავებულ საქმის ვითარებაზე მიუთითებს. ცოდნის ცნობიერება იმ შემთხვევაში, თუკი ცოდნა გაიგივებულია ცნობიერებასთან (კ. მარქსი), იქნებოდა რეფლექტორული ცნობიერება ანუ ცნობიერება ცნობიერების (ცოდნის) შესახებ.

ერთი სიტყვით, ცოდნის ცნობიერება, იქნება იგი რეფლექტორული ცნობიერება თუ ნამდვილად ცოდნის ცნობიერება, განსხვავებულია თვით ცნობიერებისაგან (იგივე მე-ს ცნობიერებისაგან). ერთ შემთხვევაში ცნობიერების საგანია ცოდნა ან ცნობიერება, მეორე შემთხვევაში — მე ან თვითონ...

5. ლოგოთერაპია (ეგზისტენციალიზმი) ფსიქოლოგიური თეორიაა თუ ადამიანთმცოდნეობა? ცნობილია, რომ ზ. ფროიდი „ფსიქოანალიზით“ აღნიშნავდა ფსიქიკის შესახებ თეორიასაც და მკურნალობის ორიგინალურ მეთოდსაც,

რაც ემყარებოდა ფსიქიკის თავისებურ გაგებას (ფსიქიკის სტრუქტურის სებურებათა ცოდნას). ასევეა ლოგოთერაპიის შემთხვევაში. ლოგოთერაპია არის ფსიქიკური აშლილობის მკურნალობის ორიგინალური მეთოდი და თეორია ადამიანის ბუნების შესახებ.

ლოგოთერაპია (ეგზისტენციალიზი) განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანის სტრუქტურულ აგებულებას. ფენობრივი აგებულების თვალსაზრისის მომარჯვებით არსება-ადამიანში გონითი ფენის გაანალიზება ავტორს საფუძველს აძლევს ადამიანის რაობა გაიაზროს როგორც გონითის ფუნქციონება, რომ ადამიანის განმსაზღვრელია უმაღლესი ფენა — გონი, რომელიც ფსიქიკისაგან განსხვავებულია და მასზე მაღლა მდგომ გარკვეულობას წარმოადგენს. ამდენად გასაგებია ვ. ფრანკლის პრინციპული ბრძოლა ადამიანის გაგებაში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ (ადამიანის რაობა არ დაიყვანება ფსიქიკაზე, ადამიანში ფსიქიკა ერთ-ერთი ფენაა და ისიც არაუმაღლესი).

მართალია, ვ. ფრანკლი ცდილობს არსებითად დაახასიათოს გონითი სინამდვილე, მისი ფუნქციონების ბუნება და მისი წამყვანი ადგილი ადამიანის ერთიან და მთლიან სტრუქტურაში, მაგრამ ამევე დროს ის ყურადღების გარეშე არ ტოვებს ფსიქიკური სინამდვილის თავისებურებათა გათვალისწინებას და გონითის მნიშვნელობას ფსიქიკის ნორმალური ფუნქციონებისათვის. მაგრამ მთავარ პრობლემად მინც დასახულია ადამიანის შინაგანი ბუნების ცხადყოფა და ამდენად ლოგოთერაპია (ეგზისტენციალიზი) ადამიანთმცოდნეობა (მეცნიერება ადამიანის შესახებ) და არა ფსიქოლოგიური თეორია.

ცნობილია, რომ ფსიქოანალიზს ფსიქიკაზე მსჯელობის დროს მოუხდა ადამიანის ბუნების გათვალისწინება, მისი კვლევა-ძიების პირდაპირი საგანი ფსიქიკა იყო, მაგრამ მისმა კვლევამ იგი მიიყვანა ადამიანის ბუნების გაგებამდე, რაც მოითხოვა ადამიანის სტრუქტურაში ფსიქიკის ადგილის გარკვევამ (და რაც ადამიანის ფსიქოლოგიური გაგებით დამთავრდა). ეგზისტენციალიზის შემთხვევაში რამდენამდე საპირისპირო მიმართულებასთან გვაქვს საქმე. კვლევის პირდაპირმა ობიექტმა — ადამიანის არსის ძიებამ — ვ. ფრანკლი მიიყვანა ფსიქიკის ბუნების გათვალისწინებამდე, იმის ცნობიერებამდე, რომ ფსიქიკის ბუნებას პრინციპულად არ შესწევს ძალა გავგაგებინოს ადამიანის რაობა. ამდენად ლოგოთერაპია ანუ ეგზისტენციალიზი ადამიანის შესახებ მეცნიერების ფარგლებში თავსდება, ის ადამიანთმცოდნეობა და არა ფსიქოლოგია (ადამიანის ფსიქოლოგია).

#### ლიტერატურა:

1. Frankl V. Der leidende Mensch, Bern, 1984.
2. Frankl V. Der Sinnfrage in der Psychotherapie, München, 1985.
3. Frankl V. Im Anfang war der Sinn, München, 1986.
4. Frankl V. Die Psychotherapie in der Praxis, Wien, 1982.
5. Frankl V. Ärztliche Seelsorge, Frankfurt am Main, 1987.

В. Л. КАКАБАДЗЕ

ЭКЗИСТЕНЦИАЛИЗ (ВИКТОР ЭМИЛЬ ФРАНКЛ)

Резюме

Концепция В. Э. Франкла рассматривается в основном как попытка автора преодолеть психологизм в психотерапии. Анализ основных категорий этой теории показал, что эта попытка не во всем оказалась успешной — помешала недостаточная обоснованность такого основного понятия как «вершинная психология» — в противовес «глубинной психологии», а также вопроса о том, можно ли считать логотерапию психотерапией. Выдвигается положение, что логотерапия или экзистенциализ принадлежит сфере науки о человеке, является человековедением, а не психологией.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



მარინე ჩხაიძე

ერთაშორის ურთიერთობათა კანონზომიერებები

(1988—1989 წლებში ქ. თბილისის სტუდენტი და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეთნიკურ განწყობათა ექსპერიმენტული შესწავლის შედეგების მიხედვით)

ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მკვიდრი ერის ან ერების წარმომადგენლებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, ერთაშორისი ურთიერთობები ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ისეთ ქვეყანაში, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ხასიათის ფაქტორების გავლენით ერთ ერს პრივილეგირებული, სხვა ერებს კი მისდამი დაქვემდებარებული მდგომარეობა უჭირავთ. პრობლემა კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს მაშინ, როცა თავისივე ტერიტორიაზე მცხოვრები მკვიდრი ერი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფება სხვა ერის წარმომადგენლების მიმართ.

სწორედ ასეთი იყო ქართველთა მდგომარეობა საქართველოში, რომელიც ბოლო დრომდე ერთ-ერთი შემადგენელი რესპუბლიკა იყო ყოფილი საბჭოთა კავშირისა, რომელიც უნიკალურ ეთნოპოლიტიკურ წარმონაქმნს წარმოადგენდა. თუმცა ყოფილი საბჭოთა კავშირი ინტერნაციონალურ ზესახელმწიფოდ მიიჩნეოდა, სადაც ოფიციალურად განცხადებით, ერთხელ და სამუდამოდ იყო გადაჭრილი ეროვნული საკითხი, აქ ფაქტობრივად პრივილეგირებული მდგომარეობა რუსებს ეჭირათ, ამასთან გამალებულად მიმდინარეობდა სხვა ერების ასიმილაციისა და მათი ე. წ. საბჭოთა ხალხად ჩამოყალიბების პროცესი, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ თეორიულ მოსაზრებებს ეფუძნებოდა.

საქმე ისაა, რომ მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე ყოფილ საბჭოთა კავშირში გაბატონებული იყო შეხედულება ახალი ისტორიული ერთობის, ე. წ. ერთიანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების შესახებ. მარქსისტული მსოფლმხედველობით, ერთიან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში გაერთიანებული სხვადასხვა ხალხი, რაც შეეხება ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ენა, კულტურა, ფსიქიკური წყობა და სხვა, ისინი მეორად, შექმნილ თვისებებად ითვლებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთაშორისი ურთიერთობები მხოლოდ პოზიტიური კუთხით განიხილებოდა გაბატონებული იდეოლოგიის თანახმად, ის მხოლოდ და მხოლოდ მეგობრულ, ძმურ ხასიათს ატარებდა. ამით ფაქტობრივად მიჩქმალული იყო საზოგადოებისათვის ამ სფეროში რეალურად მიმდინარე პროცესები, რაც მეტად უარყოფით გავლენას ახდენდა არა მარტო მათ შესწავლა-განზოგადებაზე, არამედ რეგულირებაზეც. ეს კი სულ უფრო მეტად განაპირობებდა მწვავე პრობლემების თანდათანობით დაგროვებას, რასაც ნათელყოფს კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილ მრავალ სახელმწიფოში ერთაშორის ურთიერთობათა გამწვავება და მათი სისხლიან კონფლიქტებში გადაზრდა, რასაც, სამწუხაროდ, ვერც ჩვენი ქვეყანა გადაურჩა.

ერთაშორის ურთიერთობათა ხასიათს, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის ურთიერთ დამოკიდებულებები განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, აისახება ეთნიკურ განწყობათა თავისებურებებში, რომლებიც, თავის მხრივ, სოციალურ განწყობათა ცნებაში თავსდება. საქმე ისაა, რომ პიროვნების ქცევა, უწინარესად, სოციალური ქცევაა, რომელსაც იმ განწყობათა თავისებურებანი განაპირობებს, რომელთა საფუძველზეც ხდება ამ ქცევის რეალიზაცია. ეთნიკური განწყობები ყალიბდება და ფიქსირდება ადამიანურ ურთიერთობათა პროცესში. ამ ტიპის განწყობებს, რომლებიც სოციალურ განწყობათა ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, ჩვენი აზრით, უნდა ახასიათებდეს ის ზოგადი თავისებურებანი, რომლებიც, საერთოდ, ნიშანდობლივია დისპოზიციურ განწყობათათვის. ეთნიკური განწყობები კი, ვფიქრობთ, ფიქსირებულ სოციალურ განწყობებს მიეკუთვნება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთაშორისი ურთიერთობები, ჩვეულებრივ, განიხილებოდა როგორც სოციალ-ეკონომიკურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა სპეციფიკური ნაირსახეობა. ამასთან, გამოიყოფოდა ამ ურთიერთობათა გამოვლენის ორი ფორმა: 1. ინსტიტუციონალური ანუ ურთიერთობანი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და ა. შ. შორის და, 2. არაინსტიტუციონალური ანუ ურთიერთობანი სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა შორის, ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების დონეზე. კვლევა ძირითადად ინსტიტუციონალური პრობლემატიკით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება არაინსტიტუციონალურ დონეზე ერთაშორის ურთიერთობათა საკითხებს, მათი შესწავლა მხოლოდ 70-იანი წლებიდან დაიწყო. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ლ. დრობიევიას [7], ი. არუთუნიანის [5], ა. სუსოკოლოვის [9], გ. სტაროვოიტოვას [8] და სხვ. მეცნიერთა მიერ შესრულებული კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებშიც გაშუქებულია ეროვნულ ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტი.

ამ მიმართულებით გარკვეული კვლევა-ძიება საქართველოში მიმდინარეობდა. მხედველობაში გვაქვს ი. კაჭარავას [1], ა. სურგულაძის [3], დ. ჩიკიშვილის [4], ე. მენაბდიშვილის [2], რ. გრძელიძისა [6] და სხვ. ქართველ მეკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც გამოკვლეულია შრომით კოლექტივებში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ურთიერთობის თავისებურებანი, ინტერნაციონალური აღზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები და სხვა აქტუალური საკითხები.

მიუხედავად ამისა, ჩვენში დღემდე, ფაქტობრივად, შეუსწავლელია ერთაშორის ურთიერთობათა სოციალურ-ფსიქოლოგიური მხარეები, მათ შორის ერთაშორის დამოკიდებულებები, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივ და ეთნიკურ ურთიერთობათა კვლევა ჯგუფთაშორის დამოკიდებულებათა კრილში ჩვენი საუკუნის 40—50-იანი წლებიდან იწყება. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს მ. შერიფის ექსპერიმენტები, რომლებიც 1949—1950 წლებში ჩატარდა [11].

შემოადინიშნული ჭარბების შევსების მოკრძალებული ცდაა ჩვენი გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი მკვიდრი ერის — ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი არამკვიდრი ერების — რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენლებისადმი ქართველი ეროვნების სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდე-



ბულებების შესწავლას, კერძოდ, იმის გარკვევას, თუ როგორი ეთნიკური წყობები უყალიბდებოდა მკვიდრი ერის წარმომადგენლებს საკუთარი ერის, აგრეთვე სხვა ეროვნების ადამიანთა მიმართ, მაშინ, როდესაც ქვეყანაში პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავთ არამკვიდრი ერის წარმომადგენლებს, იმის გათვალისწინებით, რომ სწავლა-განათლების მიღება ხდებოდა: 1. მკვიდრი ერის წარმომადგენელთა — ქართველთა მშობლიურ ენაზე; 2. პრივილეგირებული ერის წარმომადგენელთა — რუსების ენაზე; 3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების — სომხებისა და აზერბაიჯანელების ენაზე. ამასთან ერთად, კვლევისას გარკვეული ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე ზოგიერთი სოციალური, კულტურული და სხვა სიტუაციური ფაქტორების გავლენის ხარისხის დადგენას.

როგორც ცნობილია, დასავლურ ეთნოფსიქოლოგიაში რასობრივ და ეთნიკურ დამოკიდებულებათა საკვლევად ტურსტონის, დრობის, ოსგუდისა და სხვ. მეცნიერთა მიერ შემუშავებული განწყობათა საზომი სპეციალური სკალები გამოიყენება. კერძოდ, მკვლევარები პირდაპირი შეკითხვების საშუალებით ცდილობენ დაადგინონ რესპონდენტთა დამოკიდებულებები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მიმართ. მაღალი მეცნიერული ღირებულების მიუხედავად, ჩვენს სინამდვილეში შეუძლებელი იყო ამ მეთოდის გამოყენება.

საქმე ისაა, რომ 1988—1989 წლებში, როცა ჩვენი ექსპერიმენტი ტარდებოდა, საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ყოფილ სსრ კავშირში მცხოვრებ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს ერთმანეთთან მხოლოდ მეგობრული, ძმური ურთიერთობა ჰქონდათ და მათ შორის არანაირი პრობლემა არ არსებობდა. ასეთი მიდგომიდან უმნიშვნელო გადახრაც კი დაუშვებელი იყო. ასეთ პირობებში, მიუხედავად ჩვენი დაპირებისა, რომ ექსპერიმენტის დროს დაცული იქნებოდა მასში მონაწილეთა ანონიმურობა, ძნელი იყო იმის ვარაუდი, რომ რესპონდენტები გულწრფელად გაგაცემდნენ პასუხს პირდაპირ შეკითხვებზე და დაუფარავად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ ერის წარმომადგენლების შესახებ. აქედან გამომდინარე, ჩავთვალეთ, რომ უფრო მიზანშეწონილი იყო კვლევისათვის გამოგვეყენებინა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის (თ. ნონიაშვილი, დ. ჩარკვიანი, ე. მენაბდიშვილი, მ. როგოვსკაია, ნ. დათეშიძე) მიერ აკადემიკოს შ. ნადირაშვილის ხელმძღვანელობით 1986—1987 წლებში შემუშავებული ერთაშორის დამოკიდებულებათა გაზომვის არაპირდაპირი, პროექტული მეთოდი, რომელსაც საფუძვლად უდევს დამოკიდებულებათა თავსებადობის პრინციპი, რომელიც ჰაიდერმა ჩამოაყალიბა. ამ პრინციპის თანახმად, თუ ადამიანს გაზიარებული აქვს ესა თუ ის დებულება და მის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გააჩნია, აქედან გამომდინარე, მას სხვა ადამიანების მიმართ გარკვეული დამოკიდებულება უყალიბდება: იმათ მიმართ, ვისი მოსაზრებებიც ემთხვევა მის შეხედულებებს, მას დადებითი დამოკიდებულება უმუშავდება, ხოლო იმათ მიმართ, ვინც სხვა პოზიციასზე დგას — უარყოფითი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად ისეთი დებულებები შეირჩა, რომლებსაც, ერთი მხრივ, ერთმნიშვნელოვნად — დადებითად ან უარყოფითად აფასებს სხვადასხვა ადამიანი, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელია ამა თუ იმ დებულებათა სხვადასხვა ხარისხით სხვადასხვა ეროვნებისადმი მიკუთვნება. ასეთ დებულებებად საკვლევ



საკითხის შესწავლისათვის ადამიანის პიროვნული თვისებები და სოციალური ღირებულებები შეირჩა.

კვლევის მეთოდის შესამუშავებლად თავდაპირველად პიროვნული თვისებებისა და სოციალური ღირებულებების ორი ჩამონათვალი შედგა. პირველი ჩამონათვალი 47 როგორც დადებით, ასევე უარყოფით პიროვნულ თვისებას მოიცავდა, მეორე კი — 37 სოციალურ ღირებულებას. ამის შემდეგ შეირჩა საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი 9 ეროვნების 50—50 ადამიანი (ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, ბერძენი, ქურთი, ებრაელი), სულ — 450 ექსპერტი, რომელთაც ზემოაღნიშნულ ჩამონათვლებში შეტანილი პიროვნული თვისებებიდან და სოციალური ღირებულებებიდან 5—10 ყველაზე დადებითი და უარყოფითი თვისება და ღირებულება უნდა შეერჩიათ<sup>1</sup>. თითოეული ეროვნების ექსპერტთა მონაცემები ცალ-ცალკე მუშავდებოდა.

საბოლოოდ, 6 სხვადასხვა ჩამონათვალი შედგა. პირველ ჩამონათვალში შეტანილ იქნა 9 პიროვნული თვისება, რომლებსაც ყველა ექსპერტი დადებითად აფასებდა. მეორე ჩამონათვალში ასევე 9 პიროვნული თვისება შევიდა, ოღონდ ყველა ექსპერტს მასზე უარყოფითი აზრი ჰქონდა. მესამე ჩამონათვალი შერეული იყო. იგი 5 დადებით და 4 უარყოფით თვისებას მოიცავდა. ანალოგიურად შედგა სოციალური ღირებულებების ჩამონათვალთა სამი რიგი.

პიროვნული თვისებებისა და სოციალური ღირებულებების ჩამონათვალთა შედგენის შემდგომ განისაზღვრა ამა თუ იმ თვისებისა და ღირებულების პრიორიტეტულობა. ამისათვის ექსპერტებს 9 ბარათი ეძლეოდათ. თითო ბარათში თითო პიროვნული თვისება ან სოციალური ღირებულება იყო შეტანილი. ამ თვისებებიდან და სოციალური ღირებულებებიდან ექსპერტებს მათი აზრით ყველაზე დადებითი უნდა აერჩიათ. არჩეული ბარათი ცალკე გადაიდებოდა, ექსპერტებს კი დარჩენილ 8 ბარათს შორის ისეთი უნდა შეერჩიათ, სადაც მათი აზრით ყველაზე დადებითი თვისება ან სოციალური ღირებულება იყო აღნიშნული. ასე გრძელდებოდა უკანასკნელი ბარათის არჩევამდე, რითაც, საბოლოოდ ჯამში, პიროვნულ თვისებათა და სოციალურ ღირებულებათა რიგითობა დგინდებოდა.

ამის შემდეგ ანალოგიური ხერხით განისაზღვრებოდა იმავე ექსპერტების თვალსაზრისით სხვა ეროვნების ადამიანების დამოკიდებულება ამა თუ იმ პიროვნული თვისებებისა და სოციალური ღირებულებისადმი და ამის მიხედვით დგინდებოდა მათი რიგითობა. რაც უფრო ნაკლები იქნებოდა განსხვავება ამ ორ თანმიმდევრობას შორის, მით უფრო დადებითი იქნებოდა ამა თუ იმ ექსპერტის დამოკიდებულება საინტერესო ეროვნების მიმართ.

1 იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ ერის წარმომადგენლებისადმი პიროვნების დამოკიდებულების გასარკვევად ამა თუ იმ პიროვნული თვისების ან სოციალური ღირებულების შესახებ ამ პიროვნების მოსაზრებას ეყრდნობიან, დამოკიდებულებათა თავსებადობის პრინციპის თანახმად, ჭერ დადგენილ უნდა იქნეს, თუ როგორ აფასებს ეს ადამიანი ამა თუ იმ პიროვნულ თვისებას ან სოციალურ ღირებულებას, ხოლო ამის შემდეგ გაირკვეს მისი აზრი იმაზე, თუ როგორ აფასებენ ამ პიროვნულ თვისებას ან სოციალურ ღირებულებას სხვა ეროვნების ადამიანები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ ადამიანს დადებითი დამოკიდებულება ექნება იმ ეროვნების ადამიანის მიმართ, ვისი თვალსაზრისიც ამა თუ იმ პიროვნული თვისებებისა თუ სოციალური ღირებულების შესახებ ემთხვევა მის მოსაზრებას, ხოლო უარყოფითი — იმ ეროვნების ადამიანების მიმართ, ვისი თვალსაზრისი განსხვავებულია მისი შეხედულებებისაგან.

შემუშავებული მეთოდის სრულყოფილების შემოწმების მიზნით, ექსპერტები პირდაპირი გზითაც გამოიკითხნენ. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ახალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ 6 ჩამონათვალს შორის კორელაციის ხარისხი ყველაზე მაღალი იყო მაშინ, როდესაც ექსპერტები მესამე ჩამონათვალში ჩამოთვლილ პიროვნულ თვისებებს აფასებდნენ და მანძილი ექსპერტის პოზიციიდან გაიანგარიშებოდა. აქედან გამომდინარე, გადაწყდა, კვლევის მეთოდის საფუძვლად დადებოდა ის 9 პიროვნული თვისება, რომელსაც ეს ჩამონათვალი შეიცავდა და რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავდა ჩვენთვის საინტერესო ეროვნებების წარმომადგენლებისადმი ამა თუ იმ ექსპერტის დამოკიდებულებას.

კვლევის მეთოდის შემუშავების შემდეგ უშუალოდ ექსპერიმენტის ჩასატარებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტსა და თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე შეირჩა ქართველი ეროვნების 95 სტუდენტი, რომლებსაც ქართული სკოლა ჰქონდათ დამთავრებული. ამავე ჯგუფს დაეკისრა საკონტროლო ჯგუფის ფუნქციებიც.

სოციალური და ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით საკონტროლო ჯგუფის შეზღუდული სახით ჩამოყალიბება, უწინარეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ, ჯერ ერთი, ასეთი ჯგუფის ეთნიკურ განწყობათა შესწავლით სავსებით შესაძლებელი იყო კვლევის მიზნების მიღწევა და, მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შერჩევით ერთობლიობაში სხვა ერებისა და ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა შეყვანადიდად გაართულებდა საკვლევი საქსპერიმენტო ფაქტორების მანიპულაციას. გარდა ამისა, კვლევის მასშტაბების გაფართოება მრავალ, ტექნიკური ხასიათის სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული და, ამასთან, დიდძალ დროსაც მოითხოვდა.

დასახული ამოცანის შესაბამისად, ექსპერიმენტის მომდევნო ეტაპებზე გამოკვლევამ მოიცვა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის ქართველი ეროვნების 36 ქართულ და 26 რუსულ სკოლადამთავრებული, ამავე სექტორის ქართველი ეროვნების — 12 და არაქართველი ეროვნების — 14 რუსულ სკოლადამთავრებული, ამავე უნივერსიტეტის დმოსვლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიისა და თურქოლოგიის სპეციალობების 20—20, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე, შრომით სემესტრზე სამშენებლო სამუშაოებზე გაგზავნილი 63 და სამშენებლო სამუშაოებიდან დაბრუნებული 34 ქართველი ეროვნების ქართულ სკოლადამთავრებული სტუდენტი, ქ. თბილისის № 47 საშუალო სკოლის 31 მოსწავლე. გარდა ამისა, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხელმეორედ ჩატარდა გამოკვლევა საკონტროლო ჯგუფის რესპონდენტებთან. ამასთან, ორჯერ იქნა გამოიკითხული თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის 23 სტუდენტი, სულ რესპონდენტთა რიცხვმა 469 კაცი შეადგინა.

ექსპერიმენტში მონაწილე თითოეულ ახალგაზრდას 9—9 ბარათი ეძლეოდა, რომლებიც პიროვნულ თვისებათა მესამე ჩამონათვლის საფუძველზე იყო შედგენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 5 ბარათში დადებითი პიროვნული თვისება იყო შეტანილი, 4-ში — უარყოფითი, თითოეული თვისება 1-დან 9 ქულით იყო შეფასებული და დასმული ჰქონდა შესაბამისი რიცხვი, რომელიც



ამვე დროს ქულათა რაოდენობასაც გამოხატავდა: 1. მოლალტე; 2. მახზლარა; 3. თავხედი; 4. ეგოსტი; 5. მამაცი; 6. გულწრფელი; 7. გულისხმიერი; 8. თავმდაბალი; 9. პატიოსანი. დადებით ქულათა მაქსიმალური რაოდენობა — 24, ხოლო მინიმალურ ქულათა რაოდენობა 6 ქულით განისაზღვრებოდა. საბოლოო ჯამში, ქულათა შეფასების საფუძველზე დგინდებოდა ამა თუ იმ ერის წარმომადგენლისადმი რესპონდენტების დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები. რაც უფრო მაღალი იყო ეს მაჩვენებელი, მით უფრო დადებითი იყო ამა თუ იმ ერის წარმომადგენლებისადმი რესპონდენტთა ეთნიკური განწყობები.

ექსპერიმენტის დაწყების წინ ერთნაირად ხდებოდა გამოკვლევაში მონაწილე თითოეული ჯგუფისათვის კვლევის მიზნების გაცნობა. კერძოდ, აუდიტორიას წარუდგენდნენ ექსპერიმენტატორს, როგორც ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელს, რომელსაც დავალებული ჰქონდა სოციალურ განწყობათა კვლევა. თვით ექსპერიმენტი შემდეგნაირად ტარდებოდა: თითოეულ რესპონდენტს მაგიდაზე უდებდნენ 9—9 ბარათს, რომლებზეც დაწერილი იყო ესა თუ ის დადებითი ან უარყოფითი პიროვნული თვისება. მათ თხოვდნენ, ეს ბარათები ყურადღებით წაეკითხათ და ნებისმიერი სამი ისეთი პიროვნული თვისება შეერჩიათ, რომლებსაც, მათი აზრით, ქართველები, რუსები, სომხები და აზერბაიჯანელები ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან ადამიანისათვის. ექსპერიმენტი იწყებოდა რესპონდენტის მიერ იმ ბარათის არჩევით, სადაც აღნიშნული იყო ის თვისება, რომელსაც, მისი აზრით, ქართველები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ადამიანისათვის. არჩეული ბარათი გადაიდებოდა ცალკე, ახალი არჩევანი კი დარჩენილ 8 ბარათს შორის კეთდებოდა. ახლად არჩეული ბარათი კვლავ ცალკე გადაიდებოდა. ასე გრძელდებოდა უკანასკნელი ბარათის შერჩევამდე. რესპონდენტთა პასუხები მათ თვალწინ სპეციალურ ოქმში ფიქსირდებოდა. შემდეგ ასეთივე წესით ხდებოდა იმ პიროვნული თვისებების რიგითობის განსაზღვრა, რომლებიც, რესპონდენტთა აზრით, სხვა ერების წარმომადგენელთა შეხედულებით ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

ექსპერიმენტით მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, საიდანც ჩანს, რომ მეტად დადებითია ქართულ სკოლადამთავრებულ ქართველი ეროვნების სტუდენტთა დამოკიდებულება, როგორც საკუთარი ერის, ისე საქართველოში მცხოვრები რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენლებისადმი.

ც ხ რ ა ლ ი 1

რესპონდენტთა ჯგუფების დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნებების მიხედვით (ქულებში)			
	ქართველები	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტისა და თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტები (საკონტროლო ჯგუფი)	20,2	17,3	17,1	16,73



კვლევის მომდევნო ეტაპი მიზნად ისახავდა იმის დადგენას, ავლენდნებ თუ არა განსხვავებულ დამოკიდებულებებს ჩვენთვის საინტერესო ერების წარმომადგენლებისადმი ქართველი ეროვნების სტუდენტები, რომელთა ერთ ნაწილს საშუალო განათლება მშობლიურ ენაზე ჰქონდა მიღებული, მეორე ნაწილს კი — პრივილეგირებული ერის ენაზე. საექსპერიმენტოდ ახალგაზრდათა ორი ჯგუფი შეირჩა. პირველ ჯგუფში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის ქართველი ეროვნების ქართულ სკოლადამთავრებული 32 სტუდენტი გაერთიანდა, მეორე ჯგუფში კი — ამავე სექტორის ქართველი ეროვნების რუსულ სკოლადამთავრებული 26 ახალგაზრდა. ჩატარებულ კვლევის შედეგებს თვალნათლივ წარმოგვიდგენს მეორე ცხრილში მოტანილი მონაცემები.

ცხრილი 2

რესპონდენტთა ჯგუფების დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნებების მიხედვით (ქულაში)			
	ქართველება	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
1. ასე ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის ქართულ სკოლადამთავრებული ქართული ეროვნების სტუდენტები	19,9	15,5	15,5	13,03
2. ასე ფილოლოგიის ფაკ. რუსული სექტორის რუსულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტები.	18,7	17,7	15,7	13,3
სანდობის კრიტერიუმი	t <sup>2</sup>			
1. ქართულ სკოლადამთავრებული სტუდენტებისათვის	0,5	1,7	1,5	3,0
2. რუსულ სკოლადამთავრებული სტუდენტებისათვის	2,7	0,3	1,3	2,6

როგორც პირველსა და მეორე ცხრილში მოტანილი მონაცემების შედარებიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ერების წარმომადგენლებისადმი პირველი ჯგუფის რესპონდენტთა დამოკიდებულებების საშუალო მაჩვენებლები მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის შესაბამისი მაჩვენებლებისაგან. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მასში გაერთიანებულ რუსულ სკოლადამთავრებულ სტუდენტთა დამოკიდებულებები ქართველებისადმი განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის შესაბამისი მაჩვენებლებისგან.

ექსპერიმენტით მოპოვებული მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ რუსულ ენაზე საშუალო განათლება მიღებულ ახალგაზრდებს შედარებით უფრო მეტად უყალიბდებათ უარყოფითი დამოკიდებულება ქართველების მიმართ. ექსპე-

2 სანდობის კრიტერიუმი გვიჩვენებს, სტატისტიკურად რამდენად სანდოა სხვაობა საკონტროლო ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებსა და დანარჩენი ექსპერიმენტული ჯგუფების შესაბამის მონაცემებს შორის.

რიმენტებმა ისიც ნათელყო, რომ მეტად არსებით გავლენას ახდენს განწყობათა ფორმირებაზე საშუალო განათლების არამშობლიურ, გირებულ ერის ენაზე მიღება, რითაც ეს ენა საკომუნიკაციო ენიდან ძირითად სააზროვნო და საყოფაცხოვრებო ენად იქცევა. კერძოდ, კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც განათლებას პრივილეგირებული ერის ენაზე იღებენ, უფრო მეტად ამქვეყნებენ უარყოფით დამოკიდებულებას საკუთარი ერის წარმომადგენელთა მიმართ, მაშინ, როცა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც საშუალო სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლობენ, ხოლო შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში პრივილეგირებული ერის წარმომადგენელთა ენაზე აგრძელებენ სწავლას, ძლიერი და მყარი დადებითი დამოკიდებულება უნარჩუნდებათ საკუთარი ერის წარმომადგენლებისადმი.

საგულისხმოა ისიც, რომ ანალოგიურ დამოკიდებულებებს ამქვეყნებდნენ ჩვენთვის საინტერესო ერების წარმომადგენელთა მიმართ სხვა ეროვნების ის რესპონდენტებიც, რომლებიც სწავლა-განათლებას პრივილეგირებული ერის ენაზე იღებდნენ. ასეთი ტენდენციის გარკვეული მდგრადობა კვლევის პროცესში ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც დაადასტურა. მხედველობაში გვაქვს გამოკვლევა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის რუსულ სკოლადამთავრებულ სტუდენტთაგან შერჩეულ ორ ჯგუფში ჩატარდა. პირველი ჯგუფი მონოგამიური ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდებს აერთიანებდა, ე. ი. იმათ, ვისაც ქართველი ეროვნების მშობლები ჰყავდათ, მეორე ჯგუფი კი ენდოგამიური ოჯახებიდან გამოსულებს, ე. ი. იმათ, ვისაც სხვადასხვა ეროვნების მშობლები ჰყავდათ.

ცხრილი 3

რესპოდენტთა ჯგუფების დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნების მიხედვით (ქულაში)			
	ქართველები	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
1. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის რუსულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტები.	17,9	18,1	13,7	11,9
2. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის რუსულ სკოლადამთავრებული არაქართველი ეროვნების სტუდენტები	19,5	17,4	17,4	14,4
სანდობის კრიტერიუმი — 1 <sup>3</sup>	0,9	0,2	1,9	0,9

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტები, რომლებსაც საშუალო განათლება რუსულ ენაზე ჰქონდათ მიღებული, მიუხედავად იმისა, ქართველი თუ არაქართველი ეროვნების მშობლები ჰყავდათ, ერთნაირად უარყოფითად იყვ-

<sup>3</sup> სანდობის კრიტერიუმი განგარიშებულია ზემოაღნიშნულ ორ ჯგუფში ჩატარებულ ექსპერიმენტის შედეგად მიღებული საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე.



ნენ განწყობილი ქართველების მიმართ. ყოველივე ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ შრავალეროვან ქვეყანაში, სადაც არამკვიდრი ერის წარმომადგენლებს პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავთ, ამ პრივილეგირებული ერის წარმომადგენელთა ენაზე განათლების მიღების შემთხვევაში ადამიანებს, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა, უარყოფითი ეთნიკური განწყობები უყალიბდებოდათ მკვიდრი, მათ შორის, საკუთარი ერის მიმართ.

## ც ბ რ ი ლ ი 4

რესპონდენტთა ჩგუფების დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნებების მიხედვით (ქულებში)			
	ქართველები	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
1. თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის სპეციალობის ქართულ სკოლადამთავრებულ ქართველი ეროვნების სტუდენტები.	19,3	16,1	14,6	12,9
2. თსუ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის სპეციალობის ქართულ სკოლადამთავრებულ ქართველი ეროვნების სტუდენტები	19,5	16,9	15,9	13,3
სანდოობის კრიტერიუმი — t				
1. არმენოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის	0,6	1,0	2,0	2,6
2. თურქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის	1,2	0,3	1,0	2,5

მეტად საინტერესო სურათი გამოავლინა აგრეთვე იმ ქართულ სკოლადამთავრებულ ქართველი ეროვნების სტუდენტებს შორის ჩატარებულმა ექსპერიმენტმა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა ენებსა და კულტურას სწავლობენ. მხედველობაში გვაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიისა და თურქოლოგიის სპეციალობათა ქართველი ეროვნების სტუდენტებთან ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. კერძოდ, გამოირკვა, რომ გამოკვლევაში მონაწილე სტუდენტთა ორივე ჩგუფი, რომლებიც 20—20 ახალგაზრდას აერთიანებდა, საკონტროლო ჩგუფთან შედარებით უფრო მეტად ამქდავენებდა უარყოფით დამოკიდებულებას იმ ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი, რომელთა ენასა და კულტურას თვითონვე სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებელში.

მეოთხე და პირველი ცხრილის მონაცემების შედარებიდან ჩანს, რომ სომეხი ერის წარმომადგენლებისადმი უფრო უარყოფით დამოკიდებულებას ამქდავენებენ არმენოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, ვიდრე საკონტროლო ჩგუფის რესპოდენტები. ასეთივე ტენდენცია გამოავლინა თურქოლოგიის სპეციალობის სტუდენტთა შორის ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც. კერძოდ, აზერბაიჯანელთა წარმომადგენლებისადმი მათი დამოკიდებულებები უფრო უარყოფითია, ვიდრე საკონტროლო ჩგუფის რესპოდენტებისა.

მართალია, ძნელია ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების აბსოლუტური

სიზუსტით ახსნა, მაგრამ ამ მიზეზთა შორის მინც შეიძლება ერთი გარემოება ვივარაუდოთ. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში პრივილეგირებული ერის წარმომადგენლებთან მიმართებაში განისაზღვრებოდა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების იერარქიული მდგომარეობა. ვინაიდან, ყოფილ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა რუსული ენა და აქედან გამომდინარე, მეტად მაღალი იყო მოთხოვნა რუსულენოვან კადრებზე, ამ ენასთან მიმართებაში ქართული ენა თვით საქართველოშიც ნაკლები საზოგადოებრივი ღირებულების ენად აღიქმებოდა. შესაბამისი იყო დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ენებისადმი, რომელთა გამოყენების სფერო რესპუბლიკაში კიდევ უფრო შეზღუდული იყო. ამიტომაც, ისინი კიდევ უფრო ნაკლები ღირებულების ენად მიიჩნეოდა. ჩვენი აზრით, ასეთი მდგომარეობა სტუდენტებისათვის უფრო სწავლის პროცესში ხდებოდა საცნაური. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული სომეხი და აზერბაიჯანელი ერების წარმომადგენელთა მიმართ ზემოთ აღნიშნული ჯგუფების სტუდენტთა შედარებით უარყოფითი დამოკიდებულება.

როგორც ჯგუფთაშორის ურთიერთობათა კვლევის შედეგები [10] ცხადჰყოფს, ცალკეულ პიროვნებასა თუ ჯგუფს შორის ურთიერთობათა ინტენსიფიკაცია მნიშვნელოვნად აღიარებს მათ შორის მიმდინარე პროცესებს. კერძოდ, ამა თუ იმ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ურთიერთობათა გახშირებამ შეიძლება გაზარდოს მათ შორის ურთიერთ დადებითი განწყობილება და პატივისცემა, ან პირიქით, განაპირობოს ერთი პიროვნების ან ჯგუფის მიერ მეორე პიროვნების ან ჯგუფის მიუღებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ სიტუაციის ისეთნაირ მოდელირებას, რომლის დროსაც მაქსიმალურად შესაძლებელი იქნებოდა ქართველი ეროვნების სტუდენტების რეალური, მრავალმხრივი ურთიერთობა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან. ასეთ სასურველ სიტუაციურ მო-

დელად მიჩნეულ იქნა ურთიერთობა, რომელიც მესამე შრომითი სემესტრისათვის შექმნილ სტუდენტურ სამშენებლო რაზმებში ყალიბდებოდა. როგორც ცნობილია, ასეთ სტუდენტურ რაზმებს, რომლებიც ყოფილი სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს შესასრულებლად იგზავნებოდა, მკიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ეწყობოდა მასობრივ-კულტურული ღონისძიებები: სპორტული შეჯიბრებები, კონცერტები, ექსკურსიები და სხვ. ცხადია, ასეთ პირობებში უშუალო, პირადი კონტაქტები მყარდებოდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის.

ექსპერიმენტი ისე დაიგეგმა, რომ გაზომილიყო ჩვენთვის საინტერესო ეროვნებების ადამიანებისადმი ქართველი ეროვნების სტუდენტების დამოკიდებულება მათ მიერ როგორც მესამე, შრომითი სემესტრში მონაწილეობის მიღებამდე, ისე ამ შრომითი სემესტრის დამთავრების შემდეგ.

ამ მიზნით მესამე, შრომითი სემესტრის დაწყებამდე გამოიკითხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო და ავტომატიკის ფაკულტეტების ქართველი ეროვნების ქართულ სკოლადამთავრებული 63 სტუდენტი, რომლებიც სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად რსფსრ-ს ქ. ეისკში უნდა გამგზავრებულ იყვნენ. შრომითი სემესტრის დამთავრების შემდეგ



კი ამავე სტუდენტთაგან განმეორებით 34 ახალგაზრდა იქნა გამოკითხული. ექსპერიმენტის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 5

არესპონდენტთა ჯგუფების დასახელება	დამოკიდებულება საშუალო მაჩვენებლები ეროვნების მიხედვით (ქულებში)			
	ქართველები	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
1. მესამე, შრომითი სემესტრის დაწყებამდე გამოკითხული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო და ავტომატიკის ფაკულტეტების ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტები	20,0	17,7	17,1	16,9
2. მესამე შრომითი სემესტრიდან დაბრუნების შემდეგ გამოკითხული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო და ავტომატიკის ფაკულტეტების ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტები	20,3	16,1	16,9	15,9
სანდოობის კრიტერიუმი — 15	0,6	1,8	0,2	0,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, შრომით სემესტრში მონაწილეობის პროცესში მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტთა დამოკიდებულება როგორც საკუთარი ერის, ისე ჩვენთვის საინტერესო სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისადმი.

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა აგრეთვე ქართველი, რუსი და სომეხი ერის წარმომადგენლებისადმი საშუალო სკოლის მოსწავლეთა დამოკიდებულება. ექსპერიმენტში მონაწილეობდა ქ. თბილისის № 47 ქართული საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასების (VIII, IX და X) ქართველი ეროვნების 31 მოსწავლე. კვლევის შედეგები წარმოდგენილია მე-6 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ერების წარმომადგენლებისადმი გამოკითხულ მოსწავლეთა დამოკიდებულება მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტთა შესაბამისი მაჩვენებლებისაგან. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას გვაფიქრებინებს, რომ ამა თუ იმ ერის ადამიანების მიმართ ეთნიკური განწყობები პიროვნებას აღრეულ ასაკში უყალიბდება, ამასთან, განსაკუთრებული მნი-

4 თავდაპირველთან შედარებით გამოკითხულ სტუდენტთა რიცხვის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ყველა ახალგაზრდას, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა სამშენებლო სამუშაოებზე გამგზავრება, არ მიუღია შრომით სემესტრში მონაწილეობა.

5 სანდოობის კრიტერიუმი გაიანგარიშებოდა ზემოაღნიშნულ ჯგუფში პირველი და მეორე გაზომვების შედეგად მიღებული საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე.

შენელობა აქვს იმ ენობრივ გარემოს, რომლის პირობებში ზდება ამ ბათა ფორმირება.

ც ხ რ ი ლ ი 6

რესპონდენტთა ჯგუფის დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნებების მიხედვით (ქულებში)		
	ქართველები	რუსები	სომხები
ქ. თბილისის № 47 საშუალო სკოლის ქართველი ეროვნების მოსწავლეები	20,4	17,0	17,4
სანდობის კრიტერიუმი — 1	0,2	0,1	0,1

კვლევის პროგრამის შესაბამისად, ექსპერიმენტი ჩატარდა აგრეთვე ეთნიკურ განწყობაზე დროითი ფაქტორის გავლენის შესასწავლად. კერძოდ, ექსპერიმენტულად შემოწმდა, შეიცვლებოდა თუ არა რესპონდენტთა დამოკიდებულებანი ჩვენთვის საინტერესო ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ გარკვეული დროის გავლის შემდეგ. დროის ასეთ ინტერვალად 4 თვე განსაზღვრა. თუ ავიღებდით უფრო მოკლე პერიოდს, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დროის სიმცირის გამო უმნიშვნელო იქნებოდა საექსპერიმენტო ჯგუფის რესპონდენტთა ეთნიკურ განწყობებზე ამ ფაქტორის გავლენა. უფრო დიდი დროითი ინტერვალის შემთხვევაში კი გაჭირდებოდა დამოკიდებულებათა ცვლილებებზე გარეშე ფაქტორების მოქმედების გამოირიცხვა. საექსპერიმენტო ჯგუფი თბილისში სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის შეირჩა. პირველი გამოკვლევა 1988 წლის იანვარში მოეწყო. მასში 32 სტუდენტი მონაწილეობდა. მეორე, განმეორებითი გამოკვლევა, წინასწარ განსაზღვრული ინტერვალის შესაბამისად, 4 თვის შემდეგ — 1988 წლის მაისში მოეწყო. ამ ეტაპზე გამოკითხულ იქნა 23 სტუდენტი, რომლებიც პირველ გამოკვლევაში მონაწილეობდნენ. ექსპერიმენტის შედეგები წარმოდგენილია მე-7 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება პირველი და მეორე გამოკვლევების შედეგად მიღებული მაჩვენებლები, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმაზე მიუთითებს, რომ ეთნიკური განწყობები ხანგრძლივი დროის მანძილზე გარკვეული სტაბილურობით გამოირჩევა. ამასთან, შესაძლებელია ამ განწყობათა მკვეთრი ცვლილება თუ ერთი ერის წარმომადგენლები სხვა ერის წარმომადგენლების მიმართ მტრულ მოქმედებებს გამოამყვანებენ. ეს თვალნათლივ დადასტურა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდგომ, 1989 წლის მაისში საკონტროლო ჯგუფში გაერთიანებულ სტუდენტთა შორის ჩატარებულმა განმეორებითმა გამოკვლევებმა. ექსპერიმენტი ორი გზით: არაპირდაპირი და პირდაპირი გზით მოეწყო. არაპირდაპირი გზით მიღებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია მე-8 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 9 აპრილის მოვლენებმა არსებითი ცვლილებები შეიტანა რუსი ერის წარმომადგენლებისადმი საკონტროლო ჯგუფში

გაერთიანებულ სტუდენტთა დამოკიდებულებებში. კერძოდ, ამ მოვლენების შემდეგ მკვეთრად უარყოფითი გახდა ამ ერის წარმომადგენლებისადმი მათი დამოკიდებულება. უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა არმიისადმი, რომელიც მოსახლეობაში რუსულ არმიად აღიქმებოდა გადმოტანილ იქნა მთელი რუსი ერისადმი.

ც ხ რ ი ლ ი 7

რესპონდენტთა ჯგუფის დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნებების მიხედვით (ქულებში)			
	ქართველები	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
1. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის პირველად გამოკვლეული სტუდენტები	20,3	16,7	16,6	16,2
2. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის განმეორებით გამოკითხული სტუდენტები	20,3	18,6	15,3	16,2
სანდოობის კრიტერიუმი — t	0,02	1,6	1,1	0,02

ც ხ რ ი ლ ი 8

რესპონდენტთა ჯგუფის დასახელება	დამოკიდებულებათა საშუალო მაჩვენებლები ეროვნებების მიხედვით (ქულებში)			
	ქართველები	რუსები	სომხები	აზერბაიჯანელები
საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტისა და თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტები (საკონტროლო ჯგუფი)	14,2	13,4	16,0	12,5
სანდოობის კრიტერიუმი — t	1,0	4,6	1,3	3,7

პირდაპირი ვაზომვების დროს რესპონდენტებს ეძლეოდათ ათსაფეხურიანი სკალა და მათ თხოვდნენ ცალ-ცალკე შეეფასებინათ ჩვენთვის საინტერესო ერების წარმომადგენლები. ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთა მიმართ ექსპერიმენტის მონაწილეთა უკიდურესი უარყოფითი დამოკიდებულება სკალაზე 1-ით გამოიხატებოდა, უკიდურესი დადებითი — 10-ით. დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებების სხვადასხვა ხარისხები გამოიხატებოდა შესაბამისი რიცხვების მეშვეობით. ამ გზით მიღებული შედეგების ანალიზმა გამოავლინა მჭიდრო კავშირი პირდაპირი და არაპირდაპირი გზით ჩატარებულ

ლი გამოკვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის. მაღალი რისკის რეალაცია არაპირდაპირი გზით მიღებულ შეფასებებსა და სკალაზე მოცემულ შეფასებებს შორის, რომელსაც ნათლად გამოხატავს ქვემოთ წარმოდგენილი სქემა:

$$\begin{aligned} \text{ქართულები: } R &= 0,208 \\ 0,012 < R < 0,388 \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{რუსები: } R &= 0,335 \\ 0,14 < R < 0,498 \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{სომხები: } R &= 0,416 \\ 0,239 < R < 0,566 \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{აზერბაიჯანელები: } R &= 0,501 \\ 0,338 < R < 0,635 \end{aligned}$$

გამოკვლევის ძირითადი შედეგები ზოგადად შეიძლება ასეთი სახით ჩამოყალიბდეს — მრავალეროვან სახელმწიფოში, სადაც სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ. ფაქტორების გავლენით გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ არამკვიდრი ერის წარმომადგენლებს, მკვიდრი ერის ადამიანებს თავისებური და რთული დამოკიდებულება უვითარდებათ როგორც საკუთარი ერის, ისე ამ ქვეყანაში მცხოვრები პრივილეგირებული ერის, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისადმი. კერძოდ, კვლევის პროცესში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა:

1. საშუალო განათლების პრივილეგირებული ერის წარმომადგენელთა ენაზე მიღების შემთხვევაში ადამიანებს, მიუხედავად მათი ეროვნული კუთვნილებისა, შედარებით უარყოფითი ეთნიკური განწყობები უყალიბდებათ მკვიდრი, მათ შორის, საკუთარი ერის წარმომადგენელთა მიმართ.

ამას ნათელყოფს საკუთარი ერის — ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი ერების — რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელთა წარმომადგენლებისადმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტისა და თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის ქართული სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტების (საკონტროლო ჯგუფი) დამოკიდებულებათა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის ქართული და რუსული სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარება:

საკონტროლო ჯგუფის წევრებმა დადებითი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს როგორც საკუთარი ერის წარმომადგენლებისადმი, ისე რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელებისადმი. ამავე ჯგუფის მაჩვენებლებისაგან მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება უნივერსიტეტის შემოაღნიშნული სექტორის ქართველი ეროვნების იმ რესპონდენტთა დამოკიდებულება ამავე ეროვნების წარმომადგენლებისადმი, რომელთაც ქართული სკოლა ჰქონდათ დამთავრებული, მაშინ, როცა ქართველი ეროვნების ახალგაზრდები, რომელთაც რუსული სკოლა ჰქონდათ დამთავრებული და სწავლას შემოაღნიშნული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ სექტორზე განაგრძობდნენ, საკონტროლო ჯგუფის წევრებთან შედარებით ამჟღავნებენ უფრო უარყოფით დამოკიდებულებას საკუთარი ერის წარმომადგენლებისადმი.

ასევე, შედარებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს ქართველების მიმართ სხვა ეროვნების სტუდენტებმაც, რომლებსაც რუსული სკოლა



ქონდათ დამთავრებული და რუსულ ენაზევე განავრცობდნენ სწავლასა და მუშაობას ლეს სასწავლებლებში.

საკონტროლო ჯგუფის წევრებთან შედარებით უარყოფითი დამოკიდებულება გამოიჩინეს სომეხი და აზერბაიჯანელი ერების წარმომადგენლებსადმი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგისა და თურქოლოგის სპეციალობათა ქართულ სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტებმაც, რომლებიც ამ ერების ან მათი მონათესავე ხალხების ენებსა და კულტურას სწავლობდნენ, რადგან ამ ერების წარმომადგენელთა ენები პრივილეგირებული ერის, აგრეთვე მკვიდრი ერის წარმომადგენელთა ენასთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლები ღირებულების ენად მიიჩნეოდა.

2. რეალური ყოფითი ურთიერთობების გახშირება იწვევს სხვა ერების წარმომადგენლებისადმი ადრე ჩამოყალიბებული განწყობების განმტკიცებას. ეს დადასტურა ქართველი, რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი ერების წარმომადგენლებისადმი სამშენებლო სამუშაოებზე გაგზავნამდე და ამ სამუშაოებიდან დაბრუნების შემდეგ სამშენებლო რაზმებში გაერთიანებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო და ავტომატიკის ფაკულტეტების ქართული სკოლადამთავრებული ქართველი ეროვნების სტუდენტების დამოკიდებულებების ექსპერიმენტულმა შესწავლამაც — მესამე, შრომითი სემესტრის მანძილზე მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა ამ ახალგაზრდების დამოკიდებულება როგორც საკუთარი ერის, ისე ზემოაღნიშნული ერების წარმომადგენლებისადმი;

3. ეთნიკური განწყობები ადამიანებს ადრეულ ასაკში უვითარდებათ. ეს ცხადყო თბილისის № 47 საშუალო სკოლაში ჩატარებულმა გამოკვლევამაც: ამ სკოლის ქართველი ეროვნების VIII, IX და X დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება როგორც საკუთარი ერის, ისე რუსების, სომეხისა და აზერბაიჯანელებისადმი, ამასთან, მათი დამოკიდებულების მაჩვენებლები მხოლოდ უმნიშვნელოდ ვანსხვავდება საკონტროლო ჯგუფის შესაბამისი მაჩვენებლებისაგან;

4. ეთნიკური განწყობები ხანგრძლივი დროის მანძილზე გარკვეული სტაბილურობით გამოირჩევა და მათ მკვეთრ შეცვლას ერთაშორის ურთიერთობებში მომხდარი მხოლოდ არსებითი ხასიათის მოვლენები იწვევს. კერძოდ, მკვეთრ უარყოფით განწყობებს განაპირობებს ერთი ერის წარმომადგენელთა მტრული მოქმედება მეორე ერის წარმომადგენლებისადმი. ეს მთლიანად დაადასტურა 9 აპრილის მოვლენების შემდგომ საკონტროლო ჯგუფის წევრებთან განმეორებით ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც;

5. ცალკეული ადამიანების თუ ჯგუფების სოციალური აქტივობის ხასიათი მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ როგორი განწყობები გააჩნიათ მათ სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ. ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთაშორის ურთიერთობათა ყოველმხრივ სრულყოფასა და ჰუმანიზაციას, სხვადასხვა ერის ადამიანთა შორის მეგობრული, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობის ჩამოყალიბებას, მათი ეროვნული და პიროვნული ინტერესებისა და პოზიციების პატივისცემას, სხვადასხვა ეროვნული ჯგუფისათვის საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნებისა და ამოცანების დასახვას, რაც განაპირობებს თითოეული ეროვნების ადამიანთა



შორის სრული თანასწორობის უზრუნველყოფას, მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის მტკიცე სამართლებრივი გარანტიების შექმნას.

#### ლიტერატურა

1. კაკაბაძე მ. ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები. თბილისი, 1966.
2. შენაბდიშვილი ე. ეროვნულ ურთიერთობათა ადგილი შრომითი კოლექტივების სოციალურ სტრუქტურაში. თბილისი, 1975.
3. სურგულაძე ა. ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ. თბილისი, 1970.
4. ჩხიკვიშვილი დ. ერი, კულტურა და სოციალიზმი, თბილისი, 1972.
5. Арутюнян Ю. В. Конкретно-социологическое исследование национальных отношений. Журн. „Вопросы философии“, № 2, 1962.
6. Грдзелидзе Р. К. Социально-психологический аспект интернационального воспитания. Сб. „Некоторые вопросы коммунистического воспитания студенческой молодежи“. Тбилиси, 1975.
7. Дробижеева Л. М. Об изучении социально-психологических аспектов национальных отношений. Журн. „Советская этнография“, № 4, 1974.
8. Старовойтова Г. В. К исследованию этнопсихологии городских жителей (по материалам опроса населения трех городов Татарской АССР). Журн. „Советская этнография“. № 3, 1975.
9. Сусоколов А. Непосредственное межэтническое общение и установка на межличностные контакты. Журн. „Советская этнография“, № 5, 1973.
10. Американская социология, перспективы, проблемы, методы. М., 1972.
11. Sherif M., Harvey D., White B., et al. Experimental study of positive and negative intergroup attitudes between experimentally produced groups robbers case study. Norman, 1954.

მ. შ. ჩხაიძე

### ЗАКОНОМЕРНОСТИ МЕЖНАЦИОНАЛЬНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

(по результатам экспериментального изучения этнических установок студентов и учащейся молодежи г. Тбилиси в 1988—1989 годах.)

#### Резюме

В работе исследованы этнические установки представителей коренного населения, грузинских студентов и учащейся молодежи, в условиях существования некоренной, привилегированной нации в многонациональной стране, с предусмотрением того, на каком языке приобреталось образование: 1. На языке коренного населения; 2. На языке привилегированной нации; 3. На языке национального меньшинства.

Вместе с этим внимание уделялось определению влияния некоторых социальных, культурных и других ситуационных факторов на формирование и смену этнических установок представителей коренной националь-

ности к представителям некоторых национальностей, проживающих в Грузии, в том числе к русским, армянам, азербайджанцам. В результате исследования было установлено, что 1) в случае получения среднего образования на языке привилегированной нации, у людей, несмотря на их национальную принадлежность (грузин, негрузин), формируются относительно отрицательные установки к представителям коренной, в том числе к собственной нации; 2) отрицательные установки формируются в отношении национального меньшинства у тех грузинских студентов, окончивших грузинскую школу, которые изучали языки и культуру этих наций; 3) этнические установки у людей формируются сравнительно в раннем возрасте. Это было установлено на примере исследований, проведенных в № 47 тбилисской средней школе; 4) увеличение реальных межнациональных взаимодействий вызывает укрепление ранее существующих установок к представителям других национальностей; 5) этнические установки в течение длительного времени характеризуются определенной стабильностью. Их резкое изменение вызывают только явления существенного характера. Конкретно, отрицательные действия представителей одной национальности к другой вызывают усиление отрицательных установок по отношению к ним. Это целиком подтвердилось экспериментом, проведенным после событий 9 апреля 1989 года.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზ-  
ნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა



**გენო ცინცაძე**

ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა; გარდაიცვალა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გენო ვა-სილის ძე ცინცაძე.

იგი დაიბადა 1929 წელს, 20 დეკემბერს. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. წარჩინებით დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1957 წელს დაბრუნდა თბილისში; მუშაობა დაიწყო ფილოსოფიის ინსტიტუტში. ამ პერიოდში იგი აწარმოებს ინტენსიურ მეცნიერულ კვლევა-ძიებას, აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებსა და ცალკე წიგნებს ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე, მონაწილეობს სამე-ცნიერო სესიებსა და კონფერენციებში, აქტიურად ებმება საზოგადოებრივ სა-ქმიანობაში. ფილოსოფიის ინსტიტუტში მომწიფდა და ვაიფურჩქნა გენო ცინ-ცაძის მეცნიერული შემოქმედების უნარი. აქ აიღვა მან ფეხი მეცნიერებაში და გამოაქვეყნა თითქმის მისი ყველა სამეცნიერო ნაშრომი. 1965 წელს დაი-ცვა სადოქტორო დისერტაცია. 1974 წლიდან გარდაცვალებამდე (1992 წლის 11 ივნისი) მუშაობდა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედ-რის გამგედ, პრორექტორად, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ წელს — თბილი-სის პოლიტოლოგიისა და ადამიანთმცოდნეობის დამოუკიდებელი ინსტიტუტის პრორექტორად. ამ სარბიელზეც მან დიდი ავტორიტეტი და თანამშრომელთა სიყვარული დაიმსახურა.

პროფ. გენო ცინცაძე ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების იმ ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის, რომელმაც განუზომლად მალა ასწია და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვისებრივად გარდაქმნა ფილოსოფიური კვლევა-ძიება ჩვენი რეს-პუბლიკაში. გენო ცინცაძე ამ მკვლევართა ავანგარდში იდგა. იგი მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ჩვენს რესპუბლიკაში ფილოსოფიური კა-ტეგორიების კვლევა დაიწყო. ამ მიმართულებით მის მთავარ ნაშრომს წარმო-ადგენს ვრცელი მონოგრაფია „აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთი-ერთობის შესახებ“ (თბ., 1965), რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გამოკლე-ვაა ამ თემაზე დაწერილ წიგნთა შორის.



პროფ. გენო ცინცაძემ საფუძვლიანი ნაშრომები გამოაქვეყნა ფილოსოფიისა და სპეციალურ მეცნიერებათა ურთიერთობის, ფილოსოფიური დოლოგიის, სისტემური კვლევის მეთოდისა და სხვა დარგში, სადაც განვლინა ნოვატორული ნიჭი, პრობლემებისადმი ახლებური მიდგომის უნარი და დიდი ფილოსოფიური ერუდიცია.

პროფ. გენო ცინცაძე იყო არაჩვეულებრივად კეთილშობილი ადამიანი, მაღალი კულტურის მატარებელი მოქალაქე, უღალატო, უშურველი და სრულიად უანგარო მეგობარი. შესაშური იყო მისი სიდინჯე, სიღარბისლე და მინდობილი საქმისადმი გულმოდგინე დამოკიდებულება.

პროფ. გენო ცინცაძე მისი ინტელექტუალური აყვავების პერიოდში გარდაიცვალა. წავიდა ჩვენგან გამოჩენილი მეცნიერი, ახალგაზრდა თაობის დიდი მოამავე, უკეთილშობილესი ადამიანი და საუკეთესო მეგობარი. რომლის ხსენება სამუდამოდ დარჩება მათ გულში, ვინც მას იცნობდა და ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოება  
 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი  
 თბილისის უცხო ენების კვლევითი ინსტიტუტი

გვ. 80/2

ინდექსი 76195



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა